მაია ახვლედიანი

ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე

ქუთაისი
2009

რუსული კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკა ქართველ მოსარდთა სწავლებას ცარისტული რეჟიმის ამოცანებს უქვემდებარებდა, მომავალ თაობას ავიწყებდა ყველაფერს ეროვნულს, თვით მშობლიურ ენასაც კი, რითაც ძირს უთხრიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ქართველ მამულიშვილთა მოწინავე ნაწილმა სრულყოფილად შეიგნო საშიშროება, ხმა აღიმაღლა ძალმომრეობის წინააღმდეგ, რუსულ ძალისხმევას ქართული სკოლების დაარსებით, სწავლების ქართულად წარმართვის მოთხოვნით უპასუხა. სწორედ ამ საქვეყნო იდეას ისახავდა მიზნად ქუთაისში ქართული დაწყებითი სკოლის დაარსება, რომელიც მალე პროგიმნაზიად გადაკეთდა, 1905 წლიდან კი ეროვნულ გიმნაზიად გარდაიქმნა.

ჩვენ შეეცადეთ მკითხველს მივაწოდოთ კვლევის შედეგები აღნიშნული სასწავლებლის მიერ გაწეული ეროვნული სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

რედაქტორი: ჯემალ ჯინჯიხაძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმდივანი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი.

რეცენზენტები: გიორგი გერძულიშვილი, პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

ნინო სოხაძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ.

იმერი გასილაძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 978-9941-408-58-8

წინათქმა

საქართველოზე ძალადობრივი ზემოქმედების თემას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. თანამედროვე საერთაშორისო თვალთახედვის მიუხედავად კვლავ გრძელდება ქართულ მიწაზე გავლენის შენარჩუნებისათვის აშკარა თუ ფარული ბრძოლა, რაც არც თუ ისე უმტკივნეულო დაღს ასვამს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

მსოფლიო ისტორია იცნობს არაერთი ძლიერი და სახელოვანი ერის შერწყმის, გადაგვარების, მიწისაგან აღგვის ფაქტებს. მრავალჭირნახული საქართველო ხშირად მდგარა მსგავსი განსაცდელის წინაშე. რომ მამულიშვილთა თავგანწირული შრომა და ხელჩართული ბრძოლა არა, ვინ იცის, რა ელოდა უძველეს, დიდი წარსულის მქონე ქართულ მიწას.

უცხო წარმომავლობის ადამიანთა ჩასახლების, ქართველთა სხვა ერის შვილად აღრიცხვის, ეროვნული პასპორტების ჩანაცვლების პროცესები და სხვა თანმდევი დეტალები სტიმულს გვაძლევენ ვთქვათ, ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება ეროვნული გრძნობის გაფაქიზებით თუ იქნება შესაძლებელი. ჩვენი აზრით, წარსულის გაკვეთილები და მათი პროპაგანდა დიდად წაადგება სამომავლო საქმეს, ამიტომაც გადავწყვიტეთ მკითხველს მივაწოდოთ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში მოქმედი ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზიის კოლექტივის გლობალური მიზნისა და კონკრეტული ნაბიჯების შორსგამიზნული დეტალები. ამით შთავაგონოთ თანამედროვეთ აქტივობის ამაღლებისა და ღრმად დაფიქრების აუცილებლობა.

საქართველოში ბევრმა სასწავლებელმა მისი ფუნქციონირებით წარუშლელი კვალი დააჩინა ეროვნული კადრების მომზადებასა და ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზიაც ასეთ სასწავლებლად მოიაზრება.

ნაშრომში წარმოდგენილია სწავლებისა და აღზრდის ძირითადი ფორმები და მეთოდები, რომელსაც გიმნაზია მოსწავლეთა ეროვნულ ტრადიციებზე აღსაზრდელად იყენებდა, აღწერილია ღირსეულ პედაგოგთა ღვაწლი ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების, ეროვნული კადრების სწავლებისა და აღზრდის, ქართული ენის, ქართული ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის საქმეში.

ქართული სკოლის დაარსების წინამორბედი და თანხმლები პირობები ქუთაისში

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების მიუხედავად, ეროვნული სულის დანაწევრების პირობებში საქართველომ თავი ვერ დააღწია მუსლიმანურ გარემოცვას, ამიტომ გახდა იძულებული ერთმორწმუნე რუსეთისათვის ეთხოვა მფარველობა. 1783 წელს მეფე ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით ხელი მოეწერა ტრაქტატს ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობდა ნებაყოფლობით შესვლას რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში სუვერენული უფლებების შენარჩუნებით.

ახალმა ვითარებამ, რუსეთთან და დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებთან ურთიერთობამ გააძლიერა საგანმანათლებლო იდეებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელების სურვილი, მაგრამ რუსეთის მიერ აღთქმული მფარველობა 1801 წლის მანიფესტის საფუძველზე ანექსიით შეიცვალა. აღდგა იმედგაცრუებული ქართველი ხალხი რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. 1832 წლის შეთქმულება, რომელიც რუსიფიკატორული რეჟიმის ლიკვიდაციას და ქართველთა პოლიტიკური ცხოვრების ახლებურ ორგანიზაციას ისახავდა მიზნად, დამარცხდა, შეთქმულების მონაწილენი სასტიკად დაისაჯნენ. დამკვიდრდა დაპყრობითი რეჟიმი, გარუსების პოლიტიკა. საქართველოში გაუქმდა ქართული სამეფო განათლების, სამონასტრო დაწყებითი სკოლების და სემინარიების ქსელი, დაიწყო ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, სისტემისა, რომელიც ეყრდნობოდა რუსულ საგანმანათლებლო რეაქციულ წესდებებს, დებულებებს და მიზნად ისახავდა ცარიზმის ერთგულ მოხელეთა აღზრდას. თანდათან იზღუდებოდა ეროვნული თავისუფალი აზროვნება, რომელსაც ჯერ კიდევ მე-10, მე-12 საუკუნეებიდან ჰ ქონდა საფუძველი ათონის ივერთა მონასტრის (საბერძნეთი), პეტრიწონის

სავანის (ბულგარეთი), იერუსალიმის ჯვრის, გელათის, იყალთოს, გრემის აკადემიების, თბილისისა და თელავის სემინარიების ბაზაზე.

საქართველოში საგანმანათლებლო საკითხების გამგებელი იმჟამად უშუალოდ მთავარმართებელი იყო. სამხედრო და სხვა ვალდებულებებით მისი დატვირთვა არ იძლეოდა საგანმანათლებლო საქმისადმი ყურადღების გამახვილების საშუალებას. მოზარდი თაობის აღზრდა სტიქიურად და უსისტემოდ მიმდინარეობდა. 1840 წელს შეიცვალა განათლების მმართველობითი სისტემა, დაინიშნა ამიერკავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორი. 1844 წელს გარდაიქმნა სახელმწიფო მართვის სისტემა. ნაცვლად მთავარმართებლისა ამიერკავკასიაში მეფის ნაცვალი დაინიშნა. საქართველოს მეფის ნაცვალი ვორონცოვი ცდილობდა გაეშალა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, გაეფართოებინა განათლების ქსელი, შეექმნა რუსული ორიენტაციის გავრცელების ყველა პირობა. ეს პერიოდი ემთხვევა ნიკოლოზ პირველის რეაქციული მოღვაწეობის მძვინვარებას, განათლების სისტემის სამწეროვან ფორმულაში მოქცევას [1] (თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ხალხურობა). განსაკუთრებული შევიწროება ამ მიმართებით განიცადეს რუსეთის იმპერიაში შემავალმა არარუსმა ხალხებმა (პოლონეთში 1830 წელს და საქართველოში 1832 შეთქმულებების ჩახშობის შემდეგ). პოლონეთის სკოლებში მხოლოდ რუსულ ენაზე ისწავლებოდა საგნები, პოლონური ენის სწავლება აიკრძალა. საქართველოში გაუქმდა ქართული ენის გამოყენებით სწავლება გიმნაზიის პირველ ორ კლასში და სამაზრო სკოლებში. სასწავლო დაწესებულებები მუშაობდა რუსეთის სამინისტროს სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა მთლიანად მოექცა რუსულ გარემოში.

ვორონცოვი, იგრძნო რა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება, შეეცადა დაძაბულობის შენელებას და შეამუშავებინა ახალი დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მისი დაქვემდებარების სასწავლებლებისათვის. დებულებაში შეტანილი ცვლილებებით მეფის ნაცვალმა განათლების სისტემა რამდენადმე შეუფარდა მხარის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პირობებს, კადრების მომზადების

იმდროინდელ ამოცანებს. აღნიშნული დებულების მიხედვითაც სასწავლებლები წოდებრივი და დიდმპყრობელური ხასიათის მატარებელი იყო. მის ძირითად მიზნად დარჩა ადგილობრივი, მრავალრიცხოვანი კადრების მომზადება და მეფის მთავრობის სამსახურში ჩაყენება.

60-იან წლებში რუსეთის იმპერია დიდი გარდაქმნების წინაშე აღმოჩნდა.

1861 წელს რუსეთში გაუქმდა ბატონყმობა, სამიოდე წლის შემდეგ საქართველოშიც განხორციელდა იგივე აქტი.

ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ბირთვი უარყოფით მხარეებთან ერთად რეალურად ხედავდა რუსული ორიენტაციის დადებით შედეგებს (რუსული ენის ცოდნით ევროპული კულტურისა და განათლების ზიარების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან დაახლოების და გადმონერგვის შესაძლებლობებს) და გეზს იღებდა რუსეთის კულტურის ცენტრისაკენ, პეტერბურგისაკენ, იქ იტვირთებოდა ცოდნით და დემოკრატიული იდეებით სამშობლოში დაბრუნებული საშურ შრომას ეწეოდა ერის, ხალხის თავისუფლებისათვის. ამ გზით განვითარდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამ გზით არსდებოდა საზოგადოებები, იცემოდა წიგნები, ითარგმნებოდა მსოფლიო შედევრები.

სამოციანელებმა განსაკუთრებული ბრძოლა გააჩაღეს სოციალური უსამართლობისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ ეროვნული სკოლების გამრავლებას, მშობლიურ ენაზე სწავლებას. ამ პერიოდის ქართული პედაგოგიური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ენა საგანძეა, ხალხის ჭკუის, ზნეობისა და გრძნობებისა, ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა ხდაა და მერე იკითხე, ხალხს რატომ არ ვუყვარვარო, ვინ? სულთამხდელი? ეგ ბუნების წინააღმდეგია და ამ შემთხვევაში ბუნების ძალა უძლეველია... სულთამხდელს კაცი ვერ შეიყვარებს, ვერა, ვერა!“ [2]

იაკობ გოგებაშვილს ალაპარაკებდა მაშინდელი სწავლების მძიმე და აუტანელი მეთოდები, ქართული ენის უარყოფა, ქართველი მოზარდების უმწეობა და მონურ სულიერ ყალიბებში მოქცევა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დიდმპყრობელური რეჟიმი, მისი დაუნდობელი ცენზურა გამალებით დევნიდა ქართულ პროგრესულ აზრს, ქართველი მამულიშვილები პრესის, პირადი გამოსვლების, მემუარების, შემოქმედებითი ნიმუშების მეშვეობით გაბედულად გამოდიოდნენ ხალხის და, კერძოდ, ქართველი ადამიანების დასაცავად. სწორედ ამ გზითაა შემონახული, როგორ პირობებში უწევდა ცარიზმის ბატონობის ხანაში ცოდნის შეძენა საქართველოს მომავალს, მის მოზარდ თაობას. უტყუარია ცნობები, რომელსაც გვაწვდიან მოგონებები. მათი ავტორები ფიზიკური და სულიერი ტრავმირების მიუხედავად გამძლენი აღმოჩნდნენ და მომადლებული ნიჭის წყალობით ღირსეული მემკვიდრეობა შემოუნახეს ამ მხრივ მომდევნო თაობებს.

„იმ დროს პედაგოგია მეტად დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად. ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწავლეებს და აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა“ [3], წერს აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“.

სამშობლოს ზვარაკად შეწირული ქართველის დიმიტრი ყიფიანის შეფასებით „მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთ-ერთი წესით გამოიხატებოდა. გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე.ი. შეუგნებლად მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავით ცემა“ [4].

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირმშო იყო პედაგოგთა შემადგენლობა, რომელიც სიცოცხლეს უწამლავდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას, ზღუდავდა მის ინიციატივას, თვითმოქმედებას, შრომის სურვილსა და ხალისს.

„ამდენი ხალხის ბედი რა მაიმუნების ხელშია ჩავარდნილი, რა კეთილი უნდა გამოვიდეს იმ „ზავედნიიდან“, საცა ასეთი გონებით გლახაკი რექტორი და სულით ღარიბი ინსპექტორი არის. აფსუს, ნიჭიერნო ქართლის

შვილებო!" [5], წერს იონა მეუნარგია თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ, სადაც სწავლობდა და გარიცხეს არასაიმედობის გამო.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე გერონტი ქიქოძე თვითმხილველისა და განმცდელის პოზიციიდან წერს: „სასწავლებელს პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ იქ არცერთი ქართული წიგნი არ მოიპოვებოდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენა ოფიციალურად აკრძალული ყოფილიყოს, ის უფრო აბუჩად იყო აგდებული. ქართულისათვის კვირაში ერთი ნახევარსაათიანი გაკვეთილი გვქონდა დანიშნული, ის არავისთვის სავალდებულო არ იყო, ამიტომ ზოგიერთი ქართველი მოსწავლეც არ ესწრებოდა მას" [6].

კოლონიურმა პოლიტიკამ მალე გამოიღო მთავრობისათვის სასურველი შედეგი. ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, გვარების რუსულ ყაიდაზე გადაკეთებას მიჰყო ხელი, რუსული ენა გააბატონა შინ და გარეთ, მოადუნა ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების შეგრძნება, იმაზეც დაიწყო ქადაგება, რომ კვდომა ელოდა მცირე ერის ენას, უნდა განქარვებულიყო ის, უნდა შერწყმოდა დიდი ხალხის ენას, ასეთ ვითარებას ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა ქართველ მამულიშვილთა მხრიდან. სხვებთან ერთად აღიმაღლა ხმა გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ). მისი პასუხით მუხრანსკისადმი მან გაბედულად თქვა ერისკაცის სათქმელი:

„ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის, თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისთვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს არის სასურველი. მცირე ხალხი მოკლებული თავის ენასა, იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათითა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვინაც და სხვისთვინაცა, როგორადაც კერძო პირი, არა მქონი პირადი თვით-მდგომარეობისა ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს" [7].

ოჯახის მომავლისათვის მზრუნველი (ვიწრო გაგებით) მშობლები

ცდილობდნენ რუსულ ყაიდაზე აღეზარდათ შვილები, რუსული გარემო შეექმნათ მათთვის, დაევიწყებიათ ქართული ენა.

სწორედ ამის გამო შეადარა ქართველი ქალები იაკობ გოგებაშვილმა მითიურ ანთეოზს, რომელიც დედამიწიდან მისი უძლეველობის საყრდენიდან მოწყვეტამ დააუძლურა და დაღუპა. დიდი პედაგოგი შიშით ამბობდა, ქართველმა ქალმა „ზურგი შეაქცია ეროვნულს, ოჯახს, ეროვნულ ეკლესიას, ღვიძლს ენას, ქართულს ლიტერატურას, ეროვნულს საქმეს, ეროვნულს მისწრაფებას და გადაბირების გზას დაადგა“ [8] და დარწმუნებულია ავტორი, რომ ეროვნული ნიადაგიდან მოწყვეტა ქართველ ქალებს, ქართულ ოჯახს დაღუპავს საბოლოოდ ისე, როგორც მითიური ანთეოსი დაღუპა დედამიწისაგან მოწყვეტამ.

ყველა სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიება, რომელიც საქართველოში ხორციელდებოდა, რუსეთის იმპერიის გაფართოება-განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. ბატონყმობის გაუქმება, რკინიგზების გაყვანა, სამთამადნო მრეწველობის განვითარება, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრების შექმნა (თბილისი, ბათუმი, ჭიათურა, ფოთი და სხვ.), უცხოეთის სავაჭრო ურთიერთობათა განდევნა და რუსულის განმტკიცება ქვეყნის პოლიტიკურ დაპყრობასაც მოასწავებდა, მაგრამ რუსეთს არ შეეძლო ეკონომიკური და პოლიტიკური დაპყრობის იმ დონით დაკმაყოფილება, რომელსაც მე-19 საუკუნის დასაწყისში მიაღწია, მის შორეულ მიზანს შეადგენდა ნაციონალური ჩაგვრის ნიადაგზე ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული და ეროვნული თავისებურებების აღმოფხვრა, მისი ასიმილაცია. ამ მიზნით განსაკუთრებული ნაბიჯი გადაიდგა მაშინ, როცა დაიწყო რუსი გლეხების ჩასახლება შავიზღვისპირეთში, კახეთში, ბორჩალოში, ქართლში და სამეგრელოშიც კი. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო ნაციონალური და შიდა ეროვნულ წინააღმდეგობათა გაძლიერება-გაღვივება. ვერავითარი საშუალებით ვერ განხორციელდებოდა საქართველოს სრული კოლონიზაცია, თუ

იარსებებდა ქართული ენა სკოლაში, ეკლესიაში, სახელმწიფო და სამწერლო ასპარეზზე, ამიტომ დაიწყო ქართული ენისა და კულტურის დევნა სკოლებიდან, ეკლესიიდან, ოჯახებიდან, რაც ერის დაკნინებას, დეგრადაციას, საბოლოო გაქრობას მოასწავებდა. ცარიზმმა ამ საქმეში დიდი როლი დააკისრა განათლების რუსულ სისტემას.

1879 წელს კავკასიის ოლქში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება (ისწავლებოდა რუსული ენაც) სკოლათა 33,3%-ში, 1888 წლისათვის ასეთმა სკოლებმა სკოლათა საერთო რაოდენობის 28% შეადგინა, 1893 წელს - 20%, 1898 წელს - 9%. სკოლები, რომელშიც ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა ოლქში, 1879 წელს 49,8% იყო, 1888 წელს 71%-მდე გაიზარდა, ხოლო 1898 წელს 91%-ს მიაღწია [9].

სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის მოთავედ და აქტიურ განმახორციელებლად მოევლინა საქართველოს კავკასიის სკოლათა მზრუნველი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი. ქართველი მამულიშვილები აღაშფოთა სწავლების კოლონიურმა სისტემამ. ნიკო ცხვედაძე წერდა დიმიტრი ყიფიანს:

„იანოვსკიმ ხელმეორედ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უცქერის ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრს და მოთხოვნილებას. სახალხო სწავლების დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მათი ხასიათი, ზნეობა და ჩვეულებანი... როდესაც სახალხო სკოლისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან, აღმოაჩინონ მართლაც გამოსადეგი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოვლენა როგორც განათლებულ რუსთათვის, ისე განათლებულ ქართველთთავის - ერთი სიტყვით, ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობა, დიდი სამწუხარო მოვლენაა“ [10]. ავტორი თხოვდა დიმიტრი ყიფიანს ჩარეულიყო აღნიშნულ საქმეში და სიტყვიერი განმარტებებით ნათელი შეეტანა საკითხის არსში.

ქართველთა გარუსება-გადაგვარებისაკენ მიმართული მეფის რუსეთის პოლიტიკა მთელი ძალით მუშაობდა, იგი ცდილობდა

ქართველთა შორის განხეთქილების გაღრმავებას და თუ სადმე საყრდენს მოიხელთებდა, იყენებდა სრულყოფილად. ასეთ საყრდენად მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თავი იჩინა ქართული ენის სწავლებისადმი ვიწრო, კუთხურმა მიდგომამ, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მეგრული ენა სხვა ენა იყო და მას საერთო არა ჰქონდა რა ქართულთან. ასეთებმა შექმნეს მეგრული ანბანი, მოითხოვდნენ სამეგრელოს სამრევლო სკოლების სასწავლო გეგმიდან ქართული ენის ამოღებას და რუსული ენის სწავლების განხორციელებას მეგრული ენის საშუალებით. კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მმართველთან იანოვსკისთან წარადგინეს კიდეც მეგრული შრიფტის შემქმნელი თადეოზ აშორდია, რომელმაც რუსულ ასოებს რაღაც დეტალები - კუდები შემატა და ამის საფუძველზე შექმნა ვითომდა მეგრულის შესაბამისი დამწერლობა. აღნიშნული მიმართულების მხარდამჭერთა ერთი ნაწილი წირვა-ლოცვის მეგრულად წარმართვასაც მოითხოვდა სამეგრელოს ეკლესიებში. ეს ყველაფერი გაანგარიშებული იყო ერის მთლიანობის შესარყევად, მის გასახლეჩად. იგრძნო რა საკითხის მთელი სერიოზულობა, პროგრესულად მოაზროვნე ქართულმა საზოგადოებამ გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა მეთაურობით, ხმა აიმაღლა ეროვნული მთლიანობის შესანარჩუნებლად. გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭომ, მეგრელმა თავად-აზნაურობამ საჩივარი მოამზადა და გააგზავნა. ქართველთა დაქსაქსვა-დაქუცმაცების წინააღმდეგ მებძოლ ადამიანთა შორის სხვებთან ერთად იყო თავადი ოტია დადიანი. ოტია დადიანის შვილის ქორწილში მეგრული ანბანის შემქმნელად აღიარებულ თადეოზ აშორდიას მეგრულ-ქართული ენების ურთიერთგათიშვის აუცილებლობის მტკიცებისათვის ფიზიკურად გაუსწორდნენ ცემეს. კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველ იანოვსკის საყვედურს აღნიშნული ფაქტის თაობაზე ოტია დადიანმა უპასუხა:

„მეგრელები ქართველები ვართ და ჩვენს სკოლებში მეგრული ენის შემოღება კი არ გვინდა, არამედ მშობლიური, ქართული

ენის სწავლების სათანადო დონეზე დაყენება გვსურს, რასაც თქვენის მხრივ ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა... და თუკი იმისათვის ჩამობრძანდით, რომ აქ თადა აშორდიას ქომაგობა გაუწიოთ, ჩემი კეთილი რჩევაა, სანამ თქვენ და თქვენს მხლებლებს აშორდიას ბედი არ გწვევიათ, საჩქაროდ აქედან გაემგზავრეთო" [11].

იანოვსკი, ბუნებრივია, მის ერთგულ კაცად თვლიდა და ამიტომ გამოექომაგა თ. აშორდიას. თ. აშორდია კი თავის მხრივ აგზავნიდა პატაკებს იანოვსკისთან, აღუწერდა, როგორ დევნიდნენ მას კუთხურობისათვის. მის ერთ პატაკში სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად იგი წერს:

„ბ. მამფორიამ მე დუელში გამომიწვია. აკაკი წერეთელი მეუბნებოდა დეკანოზისა და მისი შვილის იონა მეუნარგიას თანდასწრებით, რომ სასამართლოს შიში არ ჰქონდეს, მომკლავდა მე... ასე თუ ისე ისინი მე ამ საქმის მსხვერპლად გამხდიან, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ თქვენს აღმატებულებას, დააჩქაროთ ანბანის ბეჭდვა" [12].

პედაგოგთა დიდმა ნაწილმა ფოთში, სენაკში, ზუგდიდში დააყენა საკითხი მეგრული ენის მეშვეობით სწავლების გასაუქმებლად, აღნიშნულ საკითხზე წარმოშობილი დავის გამო იანოვსკი კატეგორიულად თხოვდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს, გაეთავისუფლებიათ სამუშაოდან სენაკის სააზნაურო სკოლის გამგე სამსონ ყიფიანი. ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად დაჟინებული მოთხოვნისა, სკოლის გამგეს მხარს უჭერდა ბოლომდე.

„მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში და იქ ყველას ესმის ეს ენა, ამჟამად კი იქ ახალ კულტურას ნერგავენ - მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ისე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ-ხევსურისა, ინგილოებისა, მთიელებისა და სხვათათვის" [13]. - წერდა 1885 წლის 30 დეკემბერს დიმიტრი ყიფიანი დუნდუკოვ-კორსაკოვს.

სასულიერო პირებიც აქტიურად ჩაებნენ ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მარტვილის სამრევლო სკოლის გახსნისას 1893 წელს ეპისკოპოსს გრიგოლს (დადიანს) ასე მიუმართავს მოსწავლეებისათვის:

„გულში ღრმად ჩაიმარხეთ, შვილებო, რომ მეგრელები ძველისძველი ქართველები ვართ... სამეგრელო ნაწილია ერთის ქვეყნისა, ჩვენი საზოგადო სამშობლოსი, საქართველოსი, მეგრელი სახელია იმ ქართველისა, რომელიც საქართველოს ერთ ნაწილში, სამეგრელოში ცხოვრობს... ნუ დაუჯერებთ იმ ზოგიერთ სულმდაბლებს, რომელთაც მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის დაიწყეს ქადაგება ქართველისა და მეგრელის განსხვავებაზედ. ასრე, პატარებო, იშრომეთ, ისწავლეთ და ნუ დაჰკარგავთ თქვენს საზოგადო სამშობლო ენასა“ [14].

შალვა დადიანი სიამოვნებით იხსენებს:

„როდესაც მეგრულად ათარგმნინა უწმინდესმა სინოდმა სახარება, ლოცვები და მთელი ტიბიკონი ლიტურგიებისა ვითომდა მეგრელთა გასაგისობისათვის, აქაც მაქსიმე (გოგინავაზეა საუბარი) პირველი თაოსანი იყო მოწინააღმდეგე ჯგუფისა და სულ თვალები უბრწყინავდა, როდესაც მამამ თავის მოხსენებით ბარათში, რომელიც შემდეგში ეგზარხოსს გადაეგზავნა და მაშინდელ რუსულ გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი, მეგრულიდან რუსულად თარგმნა სლავურიდან გადამეგრელებული ზოგიერთი ლოცვა და ასეთის მოიარებით დაამტკიცა სრული მიუღებლობა მეგრულად წირვა-ლოცვის წარმოქმნისა, რადგანაც მეგრულად ეს ლოცვები პირდაპირ პორნოგრაფიული რამ გამოდიოდა“ [15].

გრიგოლ ორბელიანი სოფიო ორბელიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „მმართველობა მოუწყვეტელმა მზრუნველობამ აღიყვანა განათლება და კეთილდღეობა საქართველოსი ისეთს მაღალი ხარისხზე, რომ ამას იქით ქართველი მღვდელისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა

სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლო დაკარგვა დროისა. მაშასადამე, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა... საქართველოში ურიები, თათრები, ლოტრანები ილოცვენ თავიანთ ენაზე და არავინ არის დამშლელი მათი, თვით ფრანგებიც ქართულ ენაზე ჰგალობენ და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულ ენაზე ლოცვა? რათა? სხვადასხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად! აი, საქართველოს ბედი!" [16].

გრიგოლ ორბელიანი ცდილობდა გამოსარჩლებოდა შეგინებულ ქართულ ენას, დაბეჩავებულ ქართველ კაცს. მისი შუამდგომლობაც კი, წარჩინების, ჩინ-მედლებისა და მდგომარეობის მიუხედავად უშედეგოდ ჩაივლიდა ხოლმე....

გრიგოლ ორბელიანმა შეჰკადრა ერთჯერ დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ქართველი სამღვდელოების ვედრება, სასულიერო სემინარიაში ქართული ენა მოსპეს და უბრძანეთ, ხელახლა შემოიღონო. მთავარმართებელმა დახმარება აღუქვა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მოახსენა პოეტს: „კნიაზო, მე ვნახე ექსარხოსი და მითხრა, რომ ქართული ენისათვის ხელი არავის უხლია. როგორ მოხდა, რომ თქვენთვის ტყვილი მოუხსენებიათ.

თქვენო უმაღლესობავ, მაშ, მეც და მთელი ტფილისის სამღვდელოებაც მტერი ვყოფილვართ ქართული ენისაო" [17] უპასუხა გულდაწყვეტილმა მამულიშვილმა, მიმხვდარმა, რომ უშედეგო იყო მისი ცდა.

გრიგოლ ორბელიანმა სხვა დროსაც სცადა გამოსარჩლებოდა ქართველ გლეხებს, რომელთაც უსასყიდლოდ ამუშავებდნენ კავკასიის გზაზე. დიდ მთავართან მის საუბარს ესწრებოდა ბარონი ნიკოლაი, ორბელიანის გამოსარჩლებით გაღიზიანებულმა ბარონმა ასეთი პასუხი გასცა მოსაუბრეებს: აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით მთავარმართებელთან მე გახლავართ ერთადერთი მომხსენებელი, დანარჩენები მხოლოდ „დანოსჩიკები" არიანო. რუსი მოხელისაგან შეურაცხყოფილმა ქართველმა გენერალმა ერთი კვირა იავადმყოფა

თურმე იონა მეუნარგიას ცნობით [18].

კარგად აღნიშნავდა ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია ამ პერიოდის შედეგებზე გაზეთ „ფონში“, „დასეტყვეს ახლადაღმოცენებული განათლების ჯეჯილი სამეგრელოში. იმ დროს დამჩნეული დაღი დღესაც ამჩნევია ხალხს, დღესაც ხშირად შეხვდებით მეგრელს, რომელმაც რუსული წერა-კითხვა იცის და ქართული არა. ეს გახლავთ ნაყოფი იმ უკუღმართი მუნჯური მეთოდის, რომელიც წინ გადაეღობა ისედაც კუს ნაბიჯით მიმფორთხავ გონებრივ წინმსვლელობას“ [19].

იბრძოდნენ ქართველი მამულიშვილები, ყველა საშუალებას იყენებდნენ, რომ პრესაში გაეშუქებიათ საფრთხე, რაც მოყვებოდა ქართველთა დაქუცმაცებას, კუთხურობას, ცარიზმის პოლიტიკის მონურ მორჩილებას და აი, გამოძებნეს კიდეც მძლავრი საშუალება.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის და სხვათა სახელთანაა დაკავშირებული ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო და სუფთა ქართულ-ეროვნულ მოთხოვნათა შესაბამისობით მსუნთქავი საზოგადოების დაარსება, როგორიც იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. იგი დაარსდა 1879 წლის 15 მაისს. სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ: დიმიტრი ყიფიანი (1879-82 წ.წ.), ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1882-85 წ.წ.), ილია ჭავჭავაძე (1885-1907 წ.წ.), გიორგი ყაზბეგი (1908-21 წ.წ.).


მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა „საზოგადოების“ გამგეობა გაბედულად მოქმედებდა საქართველოში დაწყებითი განათლების ქართულად მოწყობისათვის. მათი ინიციატივით დაარსებული დაწყებითი სკოლები ქართული სულის ცხოველმყოფელობის გამოვლენის საუკეთეს საშუალებად იქცნენ.

ქალაქი ქუთაისი მე-18-მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე

ქ. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ცენტრად ითვლებოდა, მაგრამ მისი კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ტემპი ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს. ყოველგვარი ინიციატივა, რომელსაც ქალაქის მოსახლეობა იჩენდა ცხოვრების დონის ასამაღლებლად, მკაცრი ცენზორის, რუსეთის თვითმპყრობელობის თვალსაწიერს ვერ ასცდა, ამიტომ ერთობ შეიზღუდა ეროვნული სული. ეროვნული განათლებისა და კულტურის, სანახაობითი და პოლიგრაფიული დაწესებულებების სიმცირე ინერტულ, ერთი შეხედვით, მდორე გარემოს ასადგურებდა, რაც ქმნიდა ცარისტული რეჟიმის გაძლიერების ხელსაყრელ პირობებს. აქა-იქ თუ გამოკრთებოდა ქართველ ინტელიგენტთა საოჯახო აქტივობა. ასეთი ოჯახები მათ ირგვლივ იკრებდნენ თანამოაზრეთ, ასეთ ოჯახებში ისმოდა კითხვები: ვინა ვართ, საით მივდივართ, რას ვაძლევთ ქვეყანას.



პარკის სარეალიზაციო გაზარი



ყურძნის სარეალიზაციო გაზარი


ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილი იყო.

გაუბედავი და უინიციატივო იერი დაჰკრავდა ქალაქს. ცარიზმი ცდილობდა გავლენის ძალის ზრდას, ასიმილაციის პროცესის დაჩქარებას. იძულებითი დუმილი ერჩია ქუთაისის მოსახლეობას, მონურ მორჩილებას შეჩვეულებს უჭირდა აქტიური პოზიციის დაჭერა.

„იმდროინდელი ქუთათური ინტელიგენცია საერთოდ არ მომწონდა. აქ იყვნენ როგორც რუსი, ისე ქართველი ინტელიგენტები, მაგრამ მათ შორის არავითარი იდეური კავშირი არ არსებობდა.

რუსი პედაგოგები ქართველებს ზევიდან დაჰყურებდნენ, მუდამ დაცინვის კილოთი ელაპარაკებოდნენ და ხშირად მასხრადაც იგდებდნენ.


– არც ქართველი პედაგოგები (გამონაკლისის გარდა) იდგნენ თავის სიმაღლეზე. უმრავლესობა გატაცებული იყო ქაღალდის თამაშით და სადილ-ვახშმით ქეიფით და ასე დროსტარებას ხშირად ჩხუბიც მოჰყვებოდა ხოლმე. პირველ ხანებში ამ გონებრივმა ატმოსფერომ ძალიან დამაფიქრა“ [20] - წერს ალ. გარსევანიშვილი. მაგრამ, როცა ღრმად ჩაწვდა ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორი



ყაფანი (ბაზრობა)

ქალაქის ცხოვრებას, როცა გაიცნო ქუთაისელთა სულისკვეთება, მათი ღრმა ეროვნული სუნთქვით სიცოცხლის გაუმჯღავნებელი სურვილი, შეეცადა დაეცვა მასები შოვინისტური ზემოქმედებისაგან, ქუთათურთა პროგრესულად მოაზროვნე და ღრმად განსწავლული ნაწილის შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით ეროვნული სიამაყის გრძნობა აეშალა ფართო მასებში, სულის შემხუთველი გარემოსაგან განერიდებინა ისინი და საკვირაო სკოლების, სახალხო უნივერსიტეტის, საღამოს კურსების აუდიტორიებში გადაეტანა მათი ყურადღება. სკოლის პედაგოგები ყოველთვის მზად იყვნენ ხალხთან სასაუბროდ.

ქუთაისში თანდათან იღვიძებდა აქტიური მოქმედების სურვილი და ფართოვდებოდა წრეები, ძლიერდებოდა მსჯელობა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, განათლებისა და ცხოვრების დონის ამაღლების საკითხებზე. ასე მწიფდებოდა აზრი პრივილეგირებულ ფენასთან ერთად ხელოსანთა, ვაჭართა და გლეხთა შვილების მოქალაქეობრივი აქტივობის ზრდის აუცილებლობის შესახებ. სიბნელე, რომელიც მეფის რუსეთისაგან



ქუთაისი. ვორონცოვის ქუჩა. დღევანდელი ფალიაშვილი

საეარისტველოს ანექსიის პირობებში შეიქმნა, უნდა დაძლეულიყო, ასეთი იყო ეპოქის მოთხოვნა.

1825 წელს ქუთაისში დაარსდა დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი, 1830 წელს სამაზრო სასწავლებელი (1850 წლიდან კლასიკური გიმნაზია), 1847 წელს წმინდა ნინოს სასწავლებელი, 1880 წელს ქართული დაწყებითი სკოლა. არსდებოდა კერძო და საკვირაო სკოლები.

ქუთაისის ცხოვრებას საკუთარი კვალი დააჩინა ბატონყმობის გაუქმებამ, თერგდალეულთა ახალმა თაობამ. 1870-იან წლებში სინათლის სვეტად წამოიმართა ქალაქში სცენისმოყვარეთა საკმაოდ საინტერესო ჯგუფი კ. მესხის, ვ. აბაშიძის, ანტონ და ელენე ლორთქიფანიძეების, ა. მრევლიშვილის შემადგენლობით. დრამატული ჯგუფის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა პოეტი აკაკი წერეთელი. გაჩნდა მუდმივი ქართული თეატრის დაარსების, ლექციამოხსენებების მოსმენის, ლიტერატურული საღამოების მოწყობის სურვილი, შემოქმედი ინტელიგენცია ჩაება რუსული და უცხოური ლიტერატურის თარგმნის საქმეში ცოცხლდებოდა ქალაქის სულიერ ცხოვრება [21]. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ანტონ

ლორთქიფანიძის ინიციატივით, მისივე წიგნების ბაზაზე 1883 წელს გაიხსნა ქუთაისში 1 ბიბლიოთეკა, 1880 წელს დაარსდა პროფესიული თეატრალური დასი, 1881-83 წლებში გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი „შრომის" სახელწოდებით (რედაქტორი ნ. დადიანი და დ. ნაზარიშვილი). ელენე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოსვლა დაიწყო ქალთა ჟურნალმა „ქართული ბიბლიოთეკა"

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სწავლის უფლების მასშტაბურმა ზრდამ ფართო გზა მისცა მასების განათლების მიღების პრეტენზიას. შესაბამისად იზრდებოდა სწავლის მსურველთა რაოდენობა. მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობა ქალაქში არსებულ რამდენიმე სკოლას და კერძო სასწავლებელს არ შეეძლო. ინტელიგენციის მიერ გაწეული საგანმანათლებლო მუშაობა, მიუხედავად მისი დადებითი შედეგებისა, ვერ აკმაყოფილებდა 20000 კაციანი ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნებს. ბუნებრივია, ხალხის ასეთ მისწრაფებას გამოეხმაურა ქართული პრესა.

„არ დავიჯერებთ, რომ სადმე სხვაგან იყოს ისეთი სურვილი სწავლის მიღებისა, რომელსაც თქვენ ქუთაისის მცხოვრებში ნახავთ. ჯერ გიმნაზიას მიადგებიან საწყალი მშობლები თავიანთი შვილებით, როდესაც აქ მათ უარი გამოეცხადებათ რაიმე მიზეზის გამო, გაიქცევიან პროგიმნაზიაში, იქაც რომ ამგვარსავე უარს მიიღებენ, გამოიქცევიან და შემოეხვევიან სასულიერო სასწავლებელს, წელს 200 მთხოვნელზე მეტი იყო გიმნაზიაში შესვლის მსურველი" [22] - წერდა გაზეთი „დროება" გაზეთის ასეთი პოზიცია ფაქტიური მდგომარეობის აღწერაც იყო და მოწოდებაც, დახმარებოდნენ ქალაქს სიბნელიდან თავის დასაღწევად.

1875 წელს დაარსდა ქალაქის თვითმმართველობა, 1876 წელს საადგილმამულო ბანკი. 1879 წელს დაარსებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მის საქმიანობაში ჩააბა ქართველი თვალსაჩინო მოღვაწეები. მისწრაფება - ქართველს ქართველობა შეენარჩუნებინა, ეროვნული გადაგვარებისაგან დაეღწია თავი, ქართული ენა და ქართული ტრადიციები დაეცვა ხელყოფისაგან უდიდეს სამომავლო შედეგებს ითვალისწინებდა.

ქართული სკოლის დაარსება-განვითარება ქუთაისში

1879 წლის 31 ივლისს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თანამშრომელთა კრებამ დააყენა საკითხი ქუთაისში მოსამზადებელი სკოლის დაარსების შესახებ და გადაწყვიტა, მოგებიდან 8000 მანეთი გაეღო აღნიშნული სკოლის მოსაწყობად. სასწავლებელი გამიზნული იყო პირველი ორი განყოფილებით მიწათმფლობელთა წოდების მოსამზადებლად. მას უნდა მიეცა მოსწავლეთათვის იმდენი ცოდნა, რომ კურსდამთავრებულებს შეძლებოდათ სწავლის გაგრძელება სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა სასწავლებლების პირველ



ქუთაისის თავადაზნაურობა

წევს არჩ. ახვლედიანი. სხედან / რიგში. კოსტა ერისთავი, მიხა მიქელაძე. // რიგში - პაპინია მიქელაძე, კოწია მარჯანიშვილი, დათა ფაღავა, დათა ნიჟარაძე დგანან: კოწია წულუკიძე, გოცირიძე, ბონდო მიქელაძე, არჩილ ჩიჯავაძე, კოწია გურიელი

კლასში. სკოლაში უნდა მიეღოთ არა მარტო პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები, არამედ სხვა წოდებების მქონენიც, განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებთა, გლეხთა შვილები. ბანკის ხელმძღვანელობას შემუშავებული ჰქონდა სკოლის გახსნის პირობები, წესდების პროექტი, მაგრამ ის არ მიუღიათ, რადგან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ სულ მალე განიხილა ბანკის თანამშრომელთა კრების გადაწყვეტილება და იკისრა ქუთაისში მოსამზადებელი სკოლის გახსნა, მისი წესდებისა და მეთოდური ხელმძღვანელობის პრინციპების შემუშავება. საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორმა მიმართა სასწავლო ოლქის მზურნველს ქუთაისში ქართული დაწყებითი სკოლის დაარსების ნებართვის თაობაზე. ასეთი ნებართვა 1980 წლის 12 იანვარს მიიღო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. 1880 წლის 5 იანვარს გაზეთი „დროება“ წერდა: „ტფილისის საზოგადოება, ქართველთა შორის კავკასიის სანამესტნიკოში წიგნის - ცოდნის გამავრცელებელი მომავლის 1880 წლის იანვრის თოთხმეტიდან ხსნის ქ. ქუთაისში მოსამზადებელ შკოლას, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან დანიშნულის ხარჯით.

ხსენებული საზოგადოების გამგეობისაგან არჩეული შკოლის მზრუნველები ვაცხადებთ რა ამას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის საცნობელად, ვთხოვთ, ყმაწვილების დედ-მამებს და სხვა მათ ნათესავებს, რომ თავისის თხოვნით, ყმაწვილების შკოლაში მიღებაზედ მიმართოთ მოსამზადებლის შკოლის ინსპექტორს ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძეს, მცხოვრებს ქ. ქუთაისში მესხეთის ქუჩაზედ, უფ. მინა პეტრიაშვილის სახლში.

მომავალ წელს შკოლაში იქნება მხოლოდ ორი კლასი. პირველში მიიღებიან მეშვიდეს ან მერვეს წელიწადში მდგომი ყმაწვილები, რომელთაც წიგნი ჯერ სრულიად არ უსწავლიათ და მეორე კლასში, ვინც მათგანმა ქართული წერა-კითხვა მაინც იცის. შკოლაში სწავლებისათვის არავითარი გადასახადი არ არის დანიშნული!“ [23].

იმავე წლის 8 თებერვალს დაინიშნა სკოლის საზეიმო გახსნა. სკოლის ინსპექტორად მიწვეულ იქნა ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (მუშაობდა კერძო დაწყებითი სკოლის გამგედ). ა. ჭიჭინაძის მიერ განვლილი გზა, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ნაყოფიერება ერთგვარ ავტორიტეტს უქმნიდა ახლადდაარსებულ სკოლას. სკოლის მზრუნველთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო ანა მუსხელიშვილისა, წევრები - ელენე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ფიფინაშვილი, სიმონ ღოღობერიძე, ანტონ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ყიფიანი, კირილე ლორთქიფანიძე. ცალკეული მათგანის აქტიური პოზიცია ნათლადაა გამოხატული იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც სკოლის გახსნის პირველი დღეებიდანვე გაიმართა მოსწავლეთა სწავლისა და ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის მიზნით.

სკოლას არ ჰქონდა კეთილმოწყობილი ბინა, ძირითადად დაკომპლექტებული იყო ღარიბი მოსწავლეებით, იგრძნობოდა პედაგოგთა დეფიციტი. გაზეთი „დროება“ ახლად დაარსებული სკოლის შესახებ წერდა:

„სწავლა დაწყებულია და კარგად მიმდინარეობს, ბავშვებს არ აქვთ კარგი ბინა, თითქმის პერანგის ამარა დაიარებიან, ისეთი სიღარიბეა ამათ შორის, ტიტველი, შიშველი, მშიერ-მწყურვალი. რა სწავლა შეუა ასეთ ღარიბ ბავშვებს თავში“ [24].


მზრუნველთა კომიტეტი მაშინვე აქტიურად ჩაება სასკოლო ცხოვრებაში. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებამ პირველსავე წელს გაუწია საჭირო მატერიალური დახმარება სკოლის 12 მოსწავლეს. ბანკის მიერ გამოყოფილი 8000 მანეთიდან დაზოგილი თანხაც ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად გადაიდო. ასეთი ცუდი სასწავლო და ცხოვრების პირობების მიუხედავად სკოლისაკენ ლტოლვა ძლიერდებოდა. მზრუნველთა კომიტეტის თავმჯდომარე ანა მუსხელიშვილი იძულებული გახდა სკოლის გაფართოებაზე ეზრუნა. იგი წერდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას:

„ქუთაისში ამჟამად არცერთი სახლი არ არის, სადაც სამი განყოფილება დაეტიოს. ანტონ ლორთქიფანიძე აპირებს სახლის

აშენებას სკოლისათვის, მზრუნველთა კომიტეტმა მასთან ხელშეკრულება დადო სათანადო ბინის ასაგებად" [25].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოამზადა ქუთაისის დაწყებითი სკოლის წესდება, რომელიც უნდა დაემტკიცებინა ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორს. წესდებაში სკოლის ამოცანა ღრმა ეროვნული სულისკვეთებითაა ჩამოყალიბებული.

„ქუთაისის გუბერნიის მიწათმფლობელთა მოსამზადებელ სკოლას მიზნად აქვს მისცეს ბავშვებს დაწყებითი განათლება და მოამზადოს ისინი სამოქალაქო ან სამხედრო უწყებათა სასწავლებლის პირველ კლასში შესასვლელად. სკოლაში მიიღებიან როგორც



ძველი სკოლა

მიწისმფლობელთა, ისე სხვა წოდებათა, უპირატესად სოფლის მცხოვრებთა შვილები. სკოლა 4 განყოფილებისაგან შედგება თითოეული - ერთწლიანი კურსით... ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ამავე დროს რუსული ენისათვის იმდენი საათია განკუთვნილი, რამდენიც უზრუნველყოფს კურსის

დასრულებისას ბავშვების მიერ ამ ენის სრულ დაუფლებას. სასწავლებელში სწავლა უფასოა“ [26].

სკოლა ჩამოყალიბდა ოთხი განყოფილებით.

დაარსების პირველ წელს იგი სრულყოფილი არ იყო. მხოლოდ პირველი ორი განყოფილების, ე.ი. ორი კლასის დაკომპლექტება შეიქნა შესაძლებელი. ორი კლასით და 89 მოსწავლით დაიწყო სასწავლებელმა არსებობა. 1880 წლის სექტემბერში კი დაემატა მე-3 და მე-4 განყოფილებები, მაგრამ მე-4 განყოფილებისათვის მოსწავლეთა კონტინგენტი არ შეგროვდა, ამიტომ 3 განყოფილება შეიქმნა 4 ჯგუფით. მე-2 განყოფილების 2 ჯგუფი დაკომპლექტდა. სკოლის 69 მოსწავლეს 1880 წლის სექტემბრისათვის ე.ი. მეორე სასწავლო წლისათვის 114 ახალი მოსწავლე დაემატა და კონტინგენტმა 183 მოსწავლემდე მიაღწია.

სკოლის პირველ განყოფილებაში, როგორც გაზეთი „დროება“ წერდა, ღებულობდნენ 7-8 წლის ბავშვებს (წერა-კითხვის უცოდინართ), მე-2 განყოფილებაში - 9 წლამდე ბავშვებს, მე-3 განყოფილებაში - 10 წლამდე, მე-4 განყოფილებაში 11 წლამდე. სულ სკოლაში 11 საგანი ისწავლებოდა (საღვთო სჯული, რუსული ენა, ქართული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლა, სამშობლოს აღწერა, სუფთა წერა, გალობა, ხატვა, გიმნასტიკა). პირველ, მე-2 განყოფილებებში მეცადინეობა 4-4 საათს გრძელდებოდა, მე-3 და მე-4 განყოფილებებში 5-5 საათს. სკოლაში სწავლება წესდების მიხედვით ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო, მაგრამ მოწვეულ პედაგოგებს უჭირდათ ქართულ ენაზე სწავლების განხორციელება, ყველა დისციპლინაში არ იყო მშობლიურ ენაზე სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოები.

სკოლის ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე მის 1880 წლის ანგარიშში მიუთითებდა, რომ იძულებულნი იყვნენ თვალსაჩინოების და არითმეტიკის გაკვეთილები პირველი წლის მეორე ნახევრიდან რუსულ ენაზე ჩაეტარებინათ.

როგორც წესი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურად იხილავდა მისი



კაიანის სახლი, სადაც განთავსებული იყო ქართული სკოლა ქუთაისი ლესია უკრაინკას ქუჩა № 5

დაქვემდებარების სკოლათა ანგარიშებს. ანგარიშების ირგვლივ საკითხის მომზადება ყოველთვის იაკობ გოგებაშვილს ევალებოდა. ალექსი ჭიჭინაძის მიერ 1880 წელს წარდგენილი ანგარიშის განხილვისას გოგებაშვილმა მკაცრად შენიშნა, რომ სკოლაში შელახული იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საწესდებო მოთხოვნა სწავლების მშობლიურ ენაზე მოწყობის შესახებ.

„პირველ სამ განყოფილებაში ყოველი საგანი უნდა ისწავლებოდეს ქართულ ენაზე და რუსული ენა მხოლოდ მეოთხე წელიწადს უნდა იხმარებოდეს როგორც ორგანო სწავლისა. არც არითმეტიკის სწავლებაში არის სასარგებლო რუსული ენის გარევა მესამე წელს, როგორც ეს ჩანს ანგარიშიდან“ [27], აღუნიშნავს მომხსენებელს.

უჭირდა ქართულ სკოლას, უჭირდა სწავლების პროცესის ქართულად განხორციელება. პედაგოგებს უძნელდებოდათ მასალის მშობლიურ ენაზე გადაცემა, რადგან განათლება რუსულად ჰქონდათ მიღებული და არ არსებობდა შესაბამისი ქართული ტერმინოლოგია. სწავლების ეროვნული მეთოდი, სახელმძღვანელოები, რომელსაც

ისინი იყენებდნენ, მხოლოდ რუსული სკოლებისათვის იყო გამოსადეგი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გრძნობდა რა ამ სიძნელეს, მისი ფორმირებისთანავე შეეცადა ხარვეზის შევსებას. 1879 წლის 23 დეკემბერს გამგეობის სხდომამ სპეციალურად იმსჯელა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. იაკობ გოგებაშვილის წინადადებით პრემიებიც კი დაინიშნა პირველდაწყებითი ქართული სკოლების სახელმძღვანელოთა ავტორების დასაჯილდოებლად, მაგრამ ამაოდ. საქმე არ იძროდა, იმდენად ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული გარუსების პოლიტიკას, იმდენად უცხოდ ეჩვენებოდა თვით ქართველების დიდ ნაწილს მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა, ამის გამო ექმნებოდა საფრთხე ქუთაისის ქართულ სკოლაში სწავლების ქართულად განხორციელებას. ახლადდაარსებული სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით დაეძლია წინააღმდეგობა, ამიტომ შესათანხმებლად უგზავნიდა გამგეობას პროგრამებს, პედსაბჭოს ოქმებს, ანგარიშებს. მათ პირადად იხილავდა ი. გოგებაშვილი, რომლის მოსაზრებებს უყოყმანოდ, უცვლელად იღებდა გამგეობა და სახელმძღვანელოდ უგზავნიდა სკოლის ინსპექტორს ალ. ჭიჭინაძეს. ალ. ჭიჭინაძე მათ პედაგოგიურ რჩევაზე იხილავდა და ატარებდა ცხოვრებაში.

რეაქციის მძიმე პირობებში, როცა მეფის რუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უცქერდა ყველაფერ ნაციონალურს, როცა დღენიადაგ ცდილობდა სასწავლებლებიდან, ახალგაზრდობისაგან ჩამოეშორებინა „არასაიმედო“ ადამიანები, განედევნა ამბოხი ეროვნული სული, მის თვალსაწიერს ვერ აცდენდა ქუთაისში ახლად დაარსებულ ქართულ სკოლას. 1880 წლის 17 ნოემბერს, სკოლის დაარსებიდან 8 თვის შემდეგ, მეფის მოადგილის, მთავარი სამმართველოს გამგის მოვალეობის აღმასრულებელი პესჩუროვი სრულიად საიდუმლოდ წერდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იმჟამინდელ თავმჯდომარეს დიმიტრი ყიფიანს:

„...ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სასწავლებლის საბჭოში

შედიან ისეთი პირები, ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციური წრის საქმის გამო, ან მასთან ახლოს იდგნენ.

ამ პირთა შორის, სხვათაშორის, აღნიშნულნი არიან: ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი ელენე და ძმა უკანასკნელის ნიკოლოზ ყიფიანი.

დიდი მთავრის, მეფის მოადგილის ბრძანებით წარმოებული ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ 1876 წ. ანტონ ლორთქიფანიძე და მისი ცოლი ნამდვილად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი ქუთაისში მავნე პოლიტიკური წრის შედგენის გამო და ნიკოლოზ ყიფიანი კი 1869 წ. უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარ არეულობათა გამო გადმოსახლებულ იქნა პეტერბურგიდან კავკასიაში და იმყოფებოდა პოლიციის თვალყურის დევნების ქვეშ...

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ამ პირებმა სახელი გაიტეხეს პოლიტიკური კეთილსაიმედობის მხრივ და გამოააშკარავეს ისეთი შეხედულებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან მთავრობის ნებასა და განზრახვებს... უხერხულია მათი ხელმძღვანელობის ქვეშ დანარჩუნება დაწესებულებისა, რომელთა ამოცანას შეადგენს მცხოვრებთა შორის განათლების გავრცელება. ხელმწიფემ, მთავარმართებელმა ინება, ჩემთვის მიენდო, რათა გთხოვოთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ამ საქმეში სრულიად კონფიდენციალური მონაწილეობა და დაარწმუნოთ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი და ნიკოლოზ ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით განაცხადონ უარი აღნიშნული სკოლის საბჭოს წევრთა სახელწოდებაზე... პ. პესჩუროვი" [28].

წერილი ადასტურებს, როგორ ადევნებდა თვალყურს ცარიზმი ანტითვითმპყრობელურ მოძრაობას, როგორ მისდევდა ფეხდაფეხ ქართველ მამულიშვილთა ნაკვალევს, როგორი დაკვირვების საგანი იყო ქუთაისის ახლად დაარსებული ქართული სკოლა მისი არსებობის პირველსავე წელს.

დიმიტრი ყიფიანმა, რუსეთის ერთგულმა მოსამსახურემ, მაგრამ ქართველთა თავგანწირულმა მოამაგემ მაშინვე აუღო ალღო

ვითარებას და შეეცადა დაეცვა მხილებული პიროვნებები თვითმპყრობელთა დამღუპველი ზემოქმედებისაგან, საქმე ეხებოდა ქართული ეროვნული განათლების ახლადდაარსებული კერის მოამაგის ანტონ ლორთქიფანიძის ოჯახის წევრებს, რომელთაც შეიფარეს ქუთაისის ქართული სკოლა და სამომავლო მიზნად დაისახეს (როგორც ადრე ავღნიშნეთ) სკოლისათვის ახალი შენობის აგება, მისი მატერიალური და მორალური უზრუნველყოფა.

დიმიტრი ყიფიანმა მეფის მოადგილის, მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს პესჩუროვს უპასუხა:

„გამოვდივარ რა იმ ფაქტიდან, რომ აქაურ სათავადაზნაურო სკოლასთან არსებობს არა მასწავლებლის საბჭო, არამედ მხოლოდ სამეურნეო მზრუნველობა, მე არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ სანკ-პეტერბურგიდან მოწოდებული ცნობები ამოკრებილია იქ არა ნათელ წყაროდან. სკოლა ინახება მიხეილის სამიწათმოქმედო ბანკის საშუალებებით და ბანკის მხრით ხარჯების სისწორეს თვალყურს ადევნებს მისი განმანაწილებელი კომიტეტის სამი წევრი, - რომელთა რიცხვშიც შედიან თავადი ანტ. ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ ყიფიანი. მათ ასეთ მოწოდებას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხრით ინაწილებენ უკანასკნელის რამდენიმე წევრნი, მათ შორის კნეინა ლორთქიფანიძისა, აღმზრდელობითი ნაწილი მათი გავლენის გარეშეა სავსებით.

იმათთვის, რა თქმა უნდა, უცხო არ იყო ის ბავშვური ანუ ახალგაზრდული გატაცებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ერთ დროს ზოგიერთ სასწავლებელში, მაგრამ ბავშვურ შეცდომათა გამეორება სიმწიფის ასაკში. უკვე ფიზიოლოგიურად შეუძლებელია. მაშინ კი ლორთქიფანიძეს ბრალდებოდა, რომ მის ბიბლიოთეკაში ოდესღაც დადიოდნენ ისეთი პირნი, რომელნიც შემდეგ აღმოჩნდნენ არაკეთილი საიმედონი, - ყიფიანის დანაშაულობა იყო ის, რომ 11 წლის წინათ მან თავის ამხანაგებთან ერთად სთხოვა უნივერსიტეტის გამგეობას, რათა დაეშვათ მათ სასარგებლოდ ზოგიერთი შერბილება უნივერსიტეტის გამგებლობის შინაგან განწესრიგების საქმეში, კნეინა ლორთქიფანიძისა კი იმაში, რომ ის ისმენდა პეტერბურგიდან



ანტონ ლორთქიფანიძე

ჩამოსული სტუდენტის, თავისი ბიძაშვილის რაღაც ბოდვებს და არ დაასმინა ის.

დანახვა ყველა ამაში პოლიტიკური არაკეთილსაიმედობისა ნიშნავს ჩემის აზრით მოსაჩვენარის სინამდვილედ აღიარებას.

ლორთქიფანიძეები ცოლი და ქმარი და ყიფიანი, როგორც უნდა იყოს მათი მოწაფეობის დროინდელი ცხოვრება, ამჟამად სარგებლობენ თავიანთი წრის პატივისცემით, როგორც შეუბღალავი ზნეობის ადამიანები" [29].

ასეთმა შეუპოვარმა, გაბედულმა პასუხმა შეძლო ქუთაისელი ინტელიგენციის ამ ღირსეულ წარმომადგენელთა დაცვა და სკოლის მზრუნველთა კომიტეტში შენარჩუნება, რამაც დიდად შეუწყო ხელი სკოლის გაძლიერებას (ცარიზმის მოხელეთა მიერ მხილებული ელენე ლორთქიფანიძე 1882 წელს მზრუნველთა კომიტეტის თავმჯდომარედ იქნა არჩეული, ანტონ ლორთქიფანიძე კი კომიტეტის მუდმივი წევრი იყო).

სკოლა განაგრძობდა საქმიანობას მზრუნველთა კომიტეტის

თანადგომით, მისი მატერიალური, ჰუმანური დახმარებითა და შემწეობით, ყურადღება არ აკლდა პედაგოგებს, აღსაზრდელებს, განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახების შვილებს. სკოლის პირველი გამოშვება მოხდა 1882 წელს, სკოლის დაარსებიდან 2 წლის შემდეგ 30-მა მოსწავლემ დაამთავრა დაწყებითი სკოლა. გამოსაშვებ გამოცდებს პედაგოგებთან ერთად ესწრებოდნენ ქალაქში მომუშავე თვალსაჩინო მოღვაწენი და მზრუნველთა კომიტეტის წევრები. საღვთო სჯულის გამოცდას დაესწრო გაბრიელი, იმერეთის ეპისკოპოსი, ქართული და რუსული ენების და არითმეტიკის გამოცდას - კლასიკური გიმნაზიის პედაგოგები: პეტროვი, ვიტუშინსკი და ელჩუკოვი. სკოლაში დამკვიდრებული მომთხოვნელობის შედეგად, მოსწავლეებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, უფრო მაღალი, ვიდრე ეს მიმდინარე შეფასებით ჰქონდათ მოპოვებული. მიუხედავად წარმატებისა დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულებს უჭირდათ სწავლის გაგრძელება მაღალი რანგის სასწავლებლებში, ამიტომ განთესვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მშობლებს პრესტიჟულ სასწავლებლებში გადაჰყავდათ მათი შვილები. დამამთავრებელი განყოფილებიდან მოზარდთა განთესვის წინააღმდეგ სკოლა საჭირო ზომებს ვერ ახორციელებდა. 1894 წლის 29 სექტემბრის რჩევის ოქმში ვკითხულობთ:

„მოსწავლენი იძულებულნი არიან, ვინც კი მოახერხებს, ჩვენს სკოლის კურსის დასრულებამდე გადავიდენ სხვა-და-სხვა კლასებიდან გიმნაზიაში, პროგიმნაზიაში თუ სხვა სასწავლებლებში“ [30]. სკოლა იძულებული იყო კლასებში მისაღები გამოცდები ჩაეტარებინა არა წლის ბოლოს, არამედ აგვისტოში, როცა ვაკანსია დადგინდებოდა. არც ამან უშველათ. კოლექტივის წევრებმა გადაწყვიტეს გამოეძებნათ უფრო ოპტიმალური გზა. ილ. ჭავჭავაძის ხელმოწერით გაიგზავნა წერილი, რომ სკოლისთვის დაერთოთ პროგიმნაზიული კლასის გახსნის ნება. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი ზღუდავდა ქართული სკოლების გაფართოებას, ამ შემთხვევაში „საზოგადოების“ გამგეობის შუამდგომლობა

დაკმაყოფილდა.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნის საფუძველზე 1882 წლის 2 აგვისტოს თანხმობა განაცხადა სკოლასთან გახსნილიყო პირველი პროგიმნაზიული კლასი. სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან ნებართვა მიღებულ იქნა 23 აგვისტოს. სწავლების ხარისხის თაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა სკოლის ინსპექტორს ალექსი ჭიჭინაძეს. პროგიმნაზიულ პირველ კლასს მეორე და შემდგომი კლასების გახსნა მოყვა და 1885-86 სასწავლო წლისათვის სკოლამ სრულყოფილი პროგიმნაზიის სახე მიიღო. წესდების შესაბამისად მოხდა პროგიმნაზიულ კლასებში პედაგოგთა შერჩევა. პედაგოგობის მსურველთაგან საუკეთესონი მიიღეს სკოლაში სამუშაოდ (სილოვან ხუნდაძე, ნინო ხელთუფლიშვილი, ბარბარე ვოლსკაია, ბესარიონ ნიჟარაძე, სამსონ ყიფიანი და სხვები). გადახალისდა სკოლის მზრუნველთა კომიტეტის შემადგენლობა.

მხოლოდ 1885 წელს სამჯერ შემოწმდა სკოლის საქმიანობა. ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორის ლევიტსკის და კავკასიის სკოლათა სამზრუნველოს ინსპექტორის კარავაევის მონაწილეობით. შემოწმების შედეგებმა გამოავლინა, რომ სკოლაში სწავლების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა.

სკოლის ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე 1886 წელს თბილისში გადავიდა სამუშაოდ. მზრუნველთა კომიტეტის რეკომენდაციით ქუთაისის სკოლის ინსპექტორად დამტკიცდა იმავე სკოლის პროგიმნაზიული კლასის პედაგოგი სპირიდონ ჯორჯიკია, რომელმაც მხოლოდ ორ წელს შეძლო სკოლის გაძღოლა, ვერ შეინარჩუნა კოლექტივში ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, დაიპირისპირა პედაგოგთა გარკვეული ჯგუფი, რამაც მნიშვნელოვანი დაღი დაასვა სწავლების პროცესს. სპ. ჯორჯიკიას გათავისუფლების შემდეგ ინსპექტორად იმუშავა ვასილ ყიფიანმა.

ქუთაისის ქართული სკოლა და 1890-იანი საგანმანათლებლო რეფორმები

ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორი ლევიტსკი ეჭვის თვალით უყურებდა ქართული სკოლის ძირითად მიზანს 0 დაწყებითი განათლების ქართულად წარმართას. ქართულ სკოლაში ყველა საგნის რუსულად სწავლება მხოლოდ მე-4 გიმნაზიებიდან იწყებოდა. სწავლების ასეთი განრიგი შემუშავებული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამჭრიახობის მიერ, მაგრამ 90-იანმა რეაქციის გამწვავების წლებმა გაართულა მდგომარეობა.

„იანოვსკისა და მეფის სხვა მოხელეების შეხედულებით სკოლა უნდა ქცეულიყო ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და მათი გარუსების იარაღად. ამას ახორციელებდნენ იანოვსკის წინაპრებიც საქართველოში, მაგრამ იანოვსკის დამსახურება ცარიზმის წინაშე იმაში გამოიხატა, რომ მან სხვებზე მტკიცედ და სისტემატურად დაიწყო ჩვენში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება“ [31]. - უთითებს პროფესორი ტროფიმე ხუნდაძე.

ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორმა ლევიცკიმ იანოვსკის მხარდაჭერით და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით გუბერნიის სკოლებიდან განდევნა გოგებაშვილისეული „დედა ენა“ და შექმნა ახალი საანბანო სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის, გავრცელდა იგი ქუთაისის გუბერნიაში.

ილია, აკაკი, გოგებაშვილი ილაშქრებდნენ ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ, თვლიდნენ რომ დედა ენა იყო ერის კონსოლიდაციის, საქართველოს კუთხეების ურთიერთ შეკავშირების საშუალება და გმობდნენ ეროვნული სკოლების მუშაობაში უხეშ ჩარევებს.

ქართულ პრესაში გაიშალა ფართო მსჯელობა. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ისე არაფერს შეუძლია დააახლოვოს, დააკავშიროს მიზარდი თაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხისა, როგორც საერთო პირველ საკითხავ წიგნსა, რომელიც სხვა შემდეგ საკითხავ წიგნებზე

მომეტებული ძლიერებით მოქმედებს ბავშვის ნორჩ ბუნებაზე და უღრმეს შთაბეჭდილებას სახავს მის გონებაში. როდესაც ნორჩი იმერელი, გურული, მეგრელი, რაჭველი, ქართლელი, კახელი და ფშავ-ხევსურელი ჩვილი გონებას იხსნის, იმდიდრებს ერთი და იგივე საუკეთესო მოთხრობებით, ანდაზებით, იმით მკვიდრდება საძირკველი სულიერის ერთობისა, გონების კავშირისა და ზნეობითი სიახლოვისა“ [32].

ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იცავდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შემუშავებული სასკოლო წესდების №3 პარაგრაფის მოთხოვნას დაწყებითი სწავლების მხოლოდ ქართულად განხორციელების შესახებ.

აზრთა სხვადასხვაობას კარგა ხანს ირეკლავდა ქართული პრესა. დავა გაგრძელდა, საბოლოოდ გაიმარჯვა არა ზნეობრივმა, არამედ ფიზიკურმა ძალამ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ გადაწყვიტა რუსული ენის სწავლება ბავშვებს დაეწყოთ პირველი წლის დასაწყისიდანვე და არა 1881 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით პირველი წლის II ნახევრიდან (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეს გეგმაც არ აწყობდა პედაგოგიური თვალსაზრისით). ბავშვი სკოლაში შესვლისთანავე იწყებდა რუსული ენის სწავლას, ზეპირობას „მუნჯური“ მეთოდით.

ასეთ ვითარებაში დამორჩილდა ძალას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის კოლექტივი. 1890 წლის 3 თებერვლის სხდომაზე პედაგოგიურმა საბჭომ სპეციალურად იმსჯელა რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხებზე და მიიღო დადგენილება 0 პირველ განყოფილებაში რუსული ენის 4 თითო საათიანი მეცადინეობის ნაცვლად კვირაში 8 ნახევარ საათიანი მეცადინეობა ჩატარებოდათ ბავშვებს (ბავშვთა მცირე ასაკით ხსნიდა პედაგოგი საათების დანაწევრებას), მეორე განყოფილებაში საღვთო სჯულის, ხოლო II და III განყოფილებებში არითმეტიკის სწავლება ორ, ქართულ და რუსულ ენებზე უნდა წარმართულიყო, III და IV განყოფილებაში სამშობლოს აღწერის გაკვეთილებზე გეოგრაფიული

ტერმინები და ადგილმდებარეობათა სახელები რუსულადაც უნდა გაცნობოდა მოზარდებს. ქართულ სააზნაურო სკოლაში ახალი პროგრამების მიხედვით მნიშვნელოვნად მეტი საათები დაეთმო რუსული ენის სწავლებას, ვიდრე ქართულისას. თუ ადრე ქართულ ენას სკოლის განყოფილებებში 20 კვირეული საათი ეთმობოდა, ხოლო რუსულ ენას - 24, ახალი გეგმით ქართულ ენას დაეთმო 21 საათი, რუსულს - 3 [33].

გატარდა სხვა ღონისძიებებიც სამუშაოდან გათავისუფლდა ზედამხედველი ხოჯევანოვი და მის ნაცვლად იქნა მიღებული 3 მანდილოსანი, რომელთაც შესვენებაზე მოზარდების თამაშის რუსულ ენაზე წარმართვა დაევალათ.

ვერ აიტანა ქართულმა სკოლამ ასეთი იძულებითი რეორგანიზაცია. დაეცა აკადემიური მოსწრება. 1895 წლის 1 ნოემბერს პედსაბჭომ სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხებზე.

ამ დროს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო სკოლის ინსპექტორის თანამდებობიდან ვასილ ყიფიანი და სკოლის ხელმძღვანელობა სკოლის მზრუნველთა კომიტეტის რეკომენდაციით დავალებული ჰქონდა ამავე სკოლის პედაგოგს სიმონ ღოღობერიძეს. მან მხოლოდ 2 სასწავლო წელი, 1895-1891 წლებში მეტად მძიმე პირობებში იმოღვაწევა სკოლის ინსპექტორად.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად სასწავლო პროცესს წუნი არ დასდებია, მაგრამ აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონისა და არასაკმარისი დისციპლინისათვის უსაყვედურეს სკოლის ინსპექტორს სიმონ ღოღობერიძეს. მან საპასუხოდ განცხადებით მიმართა საზოგადოების გამგეობას, გაეთავისუფლებიათ იგი დაკავებული თანამდებობიდან. თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და სკოლის ინსპექტორად „საზოგადოების“ გამგეობამ ალექსანდრე გარსევანიშვილი დანიშნა, რომელმაც გაითვალისწინა სკოლის მიმართ გამოთქმული შენიშვნები აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონის თაობაზე და მისი საქმიანობა სწორედ აქედან დაიწყო. პედაგოგიური

საბჭოს პირველსავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სკოლაში დისციპლინის განმტკიცებას, მოსწავლეთა ცხოვრების წესის დახვეწას. გარსევანიშვილმა 3 წელი იმუშავა ინსპექტორად. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ერთგვარი დაძაბულობა შეიქმნა სკოლაში, ამოიკვეთა წინააღმდეგობა მზრუნველთა კომიტეტსა და ინსპექტორს შორის, რაც ყურადღების გარეშე არ დარჩენია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას.

„ქუთაისი და მთელი ქუთაისის გუბერნია თვალის ჩინივით შეჰ ყურებს ჩვენს ქართულ გიმნაზიას და თუ სწავლა-აღზრდის საქმე სასწავლებელში წესიერად არ იქნა მოწყობილი, ცხადია, მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ საზოგადოებას დაეკისრება“ [34], განაცხადა გამგეობის სხდომაზე იაკობ გოგებაშვილმა და მოკლედ წარმოუდგინა მის წევრებს ქუთაისის ქართულ სკოლაში არსებული ვითარება. მომხსენებელმა ყურადღება მიაქცია სიმონ ღოლობერიძის, როგორც სკოლის ხელმძღვანელის მიერ გაწეული მუშაობის სისუსტეს, გარსევანიშვილისაგან დეზორგანიზებული სკოლის ჩაბარების ფაქტს, მისგან იმედის გაუმართლებლობას, მოითხოვა სკოლის რევიზია და მხილებული ფაქტების გადამოწმება, სასწავლებლისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა. სკოლის შესამოწმებლად შედგა სპეციალური კომისია. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ გამგეობის წევრები: ივანე ზურაბიშვილი და ალექსანდრე მიქაბერიძე, ქუთაისიდან პედაგოგები: იოსებ ოცხელი და ალექსანდრე ნანეიშვილი. კომისიამ დაადგინა სამზრუნველო საბჭოსა და სკოლის ხელმძღვანელს შორის, აღმზრდელ-პედაგოგებსა და ხელმძღვანელს შორის არაჯანსაღი ურთიერთობა, რამაც განაპირობა სასწავლებელში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შეფერხება. გამგეობამ რჩევა მისცა ალ. გარსევანიშვილს, დაეთმო სასწავლებლის გამგის თანამდებობა და დარჩენილიყო ადგილზე მასწავლებლად. ალ. გარსევანიშვილმა გაიზიარა გამგეობის რჩევა, თავი დაანება ადმინისტრაციულ სამუშაოს

და იქვე, სასწავლებელში ითხოვა რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებლად დატოვება.

როგორც ვხედავთ, ქუთაისის ქართულ სკოლაში ინსპექტორთა კადრები იცვლებოდა ხშირად, შესაბამისად ხდებოდა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ცვლა, ერთგვარად სუსტდებოდა მომთხოვნელობა, რაც სკოლაზე გავლენის ძალას მატებდა რეაქციულ წრეებს, არასასურველ ზემოქმედებას ახდენდა აღზრდის მთელს პროცესზე, ასუსტებდა ეროვნულ სულისკვეთებას, როგორც პედაგოგთა, ისე აღსაზრდელთა შორის.

მალე სკოლის მზრუნველთა კომიტეტმა სკოლის ხელმძღვანელად შეარჩია იოსებ ივანეს ძე ოცხელი, ღრმად განათლებული პიროვნება, რომელსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად გააჩნდა პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, გამოირჩეოდა დახვეწილი გემოვნებით, უტყუარი პედაგოგიური ტაქტით და ადამიანებთან ურთიერთობის შეუმცდარი ალღოთი.

როგორც პროფ. თენგიზ ბუაჩიძე წერს: - „ის იყო მათემატიკის შესანიშნავი მცოდნე, ბრწყინვალედ ერკვეოდა ბიოლოგიის, ფილოსოფიის და ისტორიის ურთულეს საკითხებში, მისი ყოველი გამოსვლა გიმნაზიის სააქტო დარბაზში ყოველთვის მჭერმეტყველების, პატრიოტიზმისა და დიდი ეროვნულობის დემონსტრაცია იყო“ [35].

ბრძოლა გიმნაზიის სტატუსის მოპოვებისათვის

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა დიდ სამსახურს უწევდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, მაგრამ კურსდამთავრებულთაგან ერთეულები თუ აგრძელებდნენ სწავლას გიმნაზიებში და ენყობოდნენ სამსახურებში. დანარჩენები, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, მიდიოდნენ იქ, „სადაც ღმერთი გზას უჩვენებს“ [36]. ამიტომ დადგა მწვავედ საკითხი როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის სააზნაურო სკოლების გადაკეთების თაობაზე. ეს ის პერიოდია, როცა იგრძნო ხალხმა არსებული სასწავლებლების საქმიანობის ნაკლოვანებანი. ქართულ პრესაში გაიმართა დისკუსია, როგორი სკოლა იყო ქართველი ერისთვის იმჯერად საჭირო. არსებული სისტემის გარდაქმნის აუცილებლობას ითხოვდნენ ერისკაცები. ზოგი საზოგადო მოღვაწე მხარს უჭერდა სწავლების კლასიკურ სტილს, რომელიც მთავრობის კანცელარიის მუშაკებს, ჩინოვნიკებს ამზადებდა; ზოგიერთი სპეციალური განათლების მილების მომხრე იყო (ტექნიკური, აგრონომიული და სხვა). ზოგიერთი პრინციპულად ითხოვდა ქართული სასწავლებლების კურსდამთავრებულებისათვის მიენიჭებინათ მეტი უფლებები. ასეთ პირობებში ქუთაისში მოწვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წარმომადგენლობითი თათბირი. განვითარდა აზრი ან გიმნაზიად გადაეკეთებიათ ქუთაისის სააზნაურო ქართული სკოლა ან აგრონომიულ სასწავლებლად. შეკრების მონაწილეებმა გამოყვეს კომისია სპ. მაჭავარიანის, ლუკა ასათიანის და ანტონ ლორთქიფანიძის შემადგენლობით. მათ მიმართვა გაუგზავნეს კავკასიის სკოლების მმართველს კ. იანოვსკის. სხვა საკითხებთან ერთად მათი თხოვნა ეხებოდა სააზნაურო სკოლის კურსდამთავრებულთა გიმნაზიაში ჩარიცხვის წესის შეცვლას (გიმნაზიაში ჩასარიცხ გამოცდებს სხვა სასწავლებლების კურსდამთავრებული მოსწავლეები მაისში აბარებდნენ, სააზნაურო

სკოლის კურსდამთავრებულები - სექტემბერში). კ. იანოვსკი ვიდრე საკითხს გადაწყვეტდა, დაინტერესდა სააზნაურო სკოლის მუშაობით, დაათვალიერა იგი. სკოლაზე დადებითი შეხედულება არ შეექმნა იმის გამო, რომ სკოლის განყოფილებებში რუსული ენის სწავლებას ისეთი ყურადღება არ ჰქონდა დათმობილი, როგორც ქართული ენისას. ამის გამო თავადაზნაურთა ხსენებული კომისიის თხოვნა უყურადღებოდ დარჩა.

სააზნაურო სკოლების უუფლებობის საკითხებზე თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამაც მიიღო გადაწყვეტილება. კრება ითხოვდა სააზნაურო ქართული სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს მისცემოდათ სახაზინო სკოლის კურსდამთავრებულთა თანაბარი უფლებები. ოლქის სკოლების მმართველმა აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ მოითხოვა სააზნაურო სკოლები მათი საარსებო სახსრებით გადაცემოდა მთავრობას. ამ მოთხოვნის შესრულებით კ. იანოვსკი აღწევდა ქართული სკოლის შორეული მიზნის დამსხვრევას განათლების ქართულად მიღების შესახებ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დებულების №3 პარაგრაფის მოთხოვნათა გაცამტვერებას. სკოლებში შეწყდებოდა დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღება, რაც დიდ ზიანს მიაყენებდა ქართულ ორიენტაციას, რომელიც ქუთაისისა და თბილისის ქართული სათავადაზნაურო სკოლების საქმიანობის ამოსავალ წერტილად იყო მიჩნეული, იგი სხვა სასწალებლების მსგავსად უნდა გადაქცეულიყო რუსიფიკატორული რეჟიმის განმტკიცების საშუალებად. ისეთი დიდი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, სააზნაურო სკოლაობა აგრონომიულ სკოლებად გადაკეთების მოწინააღმდეგენი იყვნენ. დიდი ილია გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის №24-ში წერდა:

„ქართველობის ძალა ძველის-ძველ დროიდან მიწის შემუშავება მეურნეობაა, ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყო და დღესაც გარემოება იოტის ტოლადაც არ შეცვლილა. ჩვენ გვიყვარდა ჩვენი

მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უიმისოდ ჩვენი თავი ვერც წარმოგვედგინა და ამ სიყვარულმა, ამ მიკერძოებამ მიწაზე შექმნა თვით ჩვენი ისტორიაც...

დღეს კი, სამწუხაროდ წინააღმდეგს ვხედავთ. ჩვენ ზურგი ვუჩვენეთ ჩვენს განძს, გავცვალეთ ჩვენი ეროვნული საქმე კანცელარიებზედ და ჩინოვნიკებზედ. მოწინააღმდეგენი სათავადაზნაურო სკოლებისა მათს დაკეტვას და გაუქმებას კი არ ნატრულობენ, არამედ მათი პროგრამის შეცვლას, მათს გადაკეთებას ისეთ სკოლებად, რომლებსაც ხარჯი იქნება მეტიც მოუნდეთ" [37].

ამგვარი აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა ძველებურად განაგრძობდა საქმიანობას. რაც შეეხება თბილისის სათავადაზნაურო სკოლას, მასთან 1896 წელს გაიხსნა საგიმნაზიო კლასები, რომელსაც ქუთაისის საზოგადოება დიდი იმედით შეჰყურებდა, მაგრამ კავკასიის სკოლების მზრუნველი საგიმნაზიო პარალელური კლასების გახსნის უფლებას არ აძლევდა თბილისის სააზნაურო სკოლას. დაჟინებული მოთხოვნის საპასუხოდ სკოლის ინსპექტორს ექვთიმე თაყაიშვილს მზრუნველი დაემუქრა, „რაც გაქვთ იმ კლასებსაც გაგიუქმებთო" [38].

ქუთაისის სააზნაურო სკოლის დამთავრებულებს ჯერ ეკონომიკური მდგომარეობით და შემდეგ კლასიკურ გიმნაზიასა და თბილისის ქართულ სკოლა-გიმნაზიებში უადგილობის გამო უჭირდათ სწავლის გაგრძელება. ამ უუფლებო პირობებში მათი დატოვება საზოგადოებრივი აზრის ჭიდილის გამო აღარ შეიძლებოდა.

1904-1905 წლებში მთელი რუსეთი და საქართველო მოიცვა რევოლუციურმა განწყობამ. რევოლუციურად განწყობილთა საერთო მიზანს შეადგენდა თვითმპყრობელობის დამხობა, სკოლათა რეორგანიზაცია და სწავლების მშობლიურ ენაზე განხორციელება.

ქართული გიმნაზიის პროგრესულად მოაზროვნე კოლექტივმა სწრაფად აუღო ალღო დროის მოთხოვნას. ამას ისიც დაემატა,

რომ ქუთაისის ქართული სკოლის ხელმძღვანელი იოსებ ოცხელი, ფრიად ერუდირებული და დაინტერესებული პიროვნება, თვით ჩაუდგა სათავეში სკოლის გიმნაზიად გადაკეთების საკითხის გადაწყვეტას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ნიკ. ცხვედაძის ხელმოწერით და ქუთაისის ქართული სკოლის დირექციამ ი. ოცხელის ხელმოწერით შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორის წინაშე სკოლასთან გახსნილიყო მე-5 საგიმნაზიო კლასი. გუბერნიის სკოლათა დირექ.ჯიამ, თავის მხრივ, აღძრა შუამდგომლობა ოლქის სკოლათა მზრუნველის წინაშე ქართულ სკოლასთან საგიმნაზიო მე-5 კლასის გახსნის თაობაზე.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოლქის ახალმა მზრუნველმა ზავადსკიმ, რუსული შოვინისტური გრძნობებით გახელებულმა, იმის ძიება დაიწყო, რად მიეცა ქუთაისის ქართულ სკოლას პროგიმნაზიული კლასების (4 კლასი) გახსნის უფლება, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდებით სკოლის დაარსება მხოლოდ დაწყებითი განათლების გასავრცელებლად იყო გამიზნული. აღნიშნულთან დაკავშირებით ზავადსკის მიერ სამინისტროში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მითითებულია:

„...წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თანახმად მისი წესდებისა, არა ჰქონდა უფლება გაეხსნა პროგიმნაზიული კლასები... არ ვიცი, რატომ დართო ამის ნება იანოვსკიმ და ილიაშენკომ, წ.კ. საზოგადოებას არ აქვს გიმნაზიის გახსნის უფლება და ამიტომ ახლო მომავალში არსებული პროგიმნაზიული კლასები თანდათან უნდა დავკეტო. უკეთესი იქნებოდა ეს თანხები ქუთაისის გიმნაზიას (კლასიკურ, რუსულ გიმნაზიაზეა საუბარი) გადასცემოდა პარალელური კლასების გასახსნელად. ვერც ბანკი, ვერც თავადაზნაურობა გიმნაზიას ვერ მოუვლიან“ [39]. მისივე ხელმოწერითაა დეპეშა, რომელიც შემდეგი შინაარსით გაიგზავნა 1903 წლის 6 სექტემბერს განათლების სამინისტროში:

„ქუთაისის სკოლას ინახავს საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს ხელი შეუწყოს ქართველ მოსახლეობაში წერა-კითხვისა და

განათლების გავრცელებას. ეს მიზანი არ შეიცავს გიმნაზიის მოწყობას და ვერ ვნახულობ შესაძლებლად, ნება მივცე გახსნან მე-5 კლასი" [40]. ზავადსკი დაინტერესდა იმითაც, თუ საიდან ფინანსდებოდა სკოლა, რა სახსრები იხარჯებოდა მისთვის, ვისგან შედგებოდა სკოლის მზრუნველთა კომიტეტი, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ირჩევდა.

ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორისაგან სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი მიწერილ საპასუხო წერილში ვკითხულობთ, რომ სკოლას 22700 მანეთს ურიცხავს სათავადაზნაურო ბანკი, მზრუნველთა კომიტეტის შემადგენლობაში კი შედიან: დავით ბაქრაძე (საპატიო მომრიგებელი მოსამართლე), კირილე ლორთქიფანიძე (ურთიერთდამხმარე ბანკის დირექტორი), დავით ხელთუფლიშვილი (ნაფიცი მსაჯული), იასონ ბაქრაძე (ვექილის თანაშემწე).

ქუთაისის მოწინავე საზოგადოება ვერ დააკმაყოფილა სასწავლო ოლქის მზრუნველის პასუხმა, ამიტომ სცადა პეტერბურგში, განათლების სამინისტროსაგან მიეღო ქუთაისის სათავადაზნაურო ქართულ სკოლასთან საგიმნაზიო მე-5 კლასის გახსნის ნებართვა, მაგრამ სამინისტრო ზავადსკის აზრისა იყო, საპასუხო სვლა გააკეთა ქუთაისის თავადაზნაურობამ. მოიწვია საგანგებო ყრილობა და დააყენა საკითხი, პროგიმნაზიული კლასები გამოჰყოფოდა ქართულ სკოლას, სკოლა დარჩენილიყო დაწყებითი განათლების კერად. კერძო სასწავლებელთა შესახებ არსებული წესების საფუძველზე პროგიმნაზიული სკოლისათვის საჭირო ხარჯები გაეღო თავადაზნაურობას. ზავადსკი სამინისტროსადმი ადრე (1903 წლის 25 სექტემბრის №14739) მიწერილ წერილში მიუთითებდა, რომ თავადაზნაურობა და ბანკი სკოლას ვერ მოუვლიანო და ამიტომ გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ უკანასკნელ თხოვნაზე. მან. განავითარა აზრი, რომ ასეთი კერძო სკოლის დაარსება არ იყო გათვალისწინებული არსებული კანონმდებლობით და საჭირო იყო სპეციალური დებულების შემუშავება. იგი თანახმა იყო მოცემული პროგიმნაზიული კლასების ბაზაზე დაარსებულიყო რეალური

სასწავლებელი, პროფესიულ-ტექნიკური სკოლა. სასწავლო ოლქის მმართველი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა შეეზღუდა ქართული სასწავლებლები, შეექმნა მათი ზრდა-განვითარებისათვის ბარიერი. ანალოგიურ პოლიტიკას ახორციელებდა სამინისტროც და ქუთაისის სკოლის კოლექტივისა და თავადაზნაურობის ცდები ცდებად რჩებოდა. ის ხერხები, რომელსაც ქართველი საზოგადოება მიმართავდა ხელსაყრელი პოზიციის შესანარჩუნებლად, ქუთაისის ქართული სკოლის შემთხვევაშიც იქნა გამოყენებული. და აი, რა გზით: 1880 წლის 25 ოქტომბერს ქუთაისის თავადაზნაურობის საერთო კრებამ აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის ქართულ სკოლას დარქმეოდა რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის სახელი. 1881 წლის 28 იანვარს მეფე ალექსანდრე II-ს შუამდგომლობაზე წაუწერია - „თანახმა ვარ და მადლობელი". აღნიშნულის შესახებ ქუთაისის გუბერნატორს სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველისათვის უცნობებია. ქუთაისის ქართული სკოლის არქივი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც ინახავდა აღნიშნულ დოკუმენტს. სასწავლო ოლქის მზრუნველის წინააღმდეგობის დასაძლევად აღნიშნული დოკუმენტებიც იქნა წარმოდგენილი სასწავლო ოლქში, მაგრამ სკოლათა დირექტორი ზავადსკი, განათლების სამინისტრო კვლავ წინააღმდეგობას სწევდა. სკოლის სრულყოფის სურვილი, ქუთაისის თავადაზნაურობის მოთხოვნის აღსრულება - დაწყებითი კლასები ჩამოშორებოდა საგიმნაზიო კლასებს და ეს უკანასკნელი კი კერძო სასწავლებლის უფლებით დაქვემდებარებოდა თავადაზნაურობას, გაჭიანურდა. საბოლოოდ დაძლეულ იქნა წინააღმდეგობა, 1904 წლის 29 ივლისს პეტერბურგიდან, მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორმა შეატყობინა სასწავლო ოლქის მზრუნველს ზავადსკის, რომ მთავარმართებელი გოლიცინი თანახმა იყო ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა გადაკეთებულიყო პროგიმნაზიად და იგი დაქვემდებარებოდა როგორც კერძო სასწავლებელი ქუთაისის თავადაზნაურობას. სასწავლო ოლქის მზრუნველმა კვლავ გაიბრძოლა, ხელი შეეშალა ქართული სკოლის

გიმნაზიად გადაკეთებისათვის და რუსეთის განათლების სამინისტროსაგან მოითხოვდა სკოლის სამეურნეო საქმიანობაში გარკვევას, მაგრამ 1905 წლის 2 თებერვალს განათლების მინისტრის გლაზოვის ნებართვით სკოლა გადაკეთდა გიმნაზიად. ქუთაისის ქართულ გიმნაზიადამთავრებულებს ამიერიდან მიეცემოდათ სიმწიფის ატესტატი, უნივერსიტეტში შესვლის უფლება, რაც უდიდესი მონაპოვარი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიისათვის. 1 მილიონიან გუბერნიას უნივერსიტეტისაკენ გზას მხოლოდ 1 სასწავლებელი - რუსულენოვანი კლასიკური გიმნაზია ულოცავდა, რომელსაც წლიურად 25-30 მოსწავლე ამთავრებდა. დანარჩენი სასწავლებლები და სემინარია ამ მხრივ უუფლებონი იყვნენ.

რუსეთის მთავრობა სამართლიანად შიშობდა, რომ ქართული გიმნაზია ქართული ეროვნული კულტურის კერად იქცეოდა და იზრუნებდა ქართველთა შორის ეროვნული სულსიკვეთების ასამოძრავებლად. ეს ის მთავრობა იყო, რომლის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული სტილის ტაძრებს, აშენებდა რუსულ შკოლებს, აგზავნიდა ათიათას მოშხამულ რუსიფიკატორს „განაპირებში", რათა არასლავიანური შტრიხებიც წაეშალა გეოგრაფიული კარტიდან" [41].

ასე ამგვარად, 1905 წლის დასაწყისში ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლა კერძო გიმნაზიად გადაკეთდა. მის მე-5 კლასში ჩაირიცხა 38 მოსწავლე, მათგან: 1904 წელს ამავე სკოლის კურსდამთავრებული - 21, 1903 წელს 5, სემინარიის მოსწავლე - 8. როგორც ვხედავთ, მე-5 კლასში გარდა იმავე სკოლის კურსდამთავრებულებისა სხვა სკოლებიდანაც ჩაირიცხნენ მოსწავლეები, სხვა სასწავლებელთაგან მიღებულთა რაოდენობამ 31,6% შეადგინა (38-დან 12 სხვისი მოსწავლე იყო), რაც მიგვითითებს სასწავლებლის გადაკეთების დიდ საერთო საერო მნიშვნელობაზე.



გიმნაზიის პედაგოგთა ერთი ჯგუფი: პირველ რიგში სხედან: მ. ჩინჩალაძე, ს. როგაქიძე, ი. აბესაძე, გ. ცავარეიშვილი, გ. ნათაძე, ი. ოცხელი (დირექტორი), ლ. გერსამია, ს. ოცხელი, ს. ქვარიანი. მეორე რიგში დგანან გ. სვანიძე ტ. ჯაფარიძე, თ. მთავრიშვილი, ს. ყიფიანი, ნ. ნუცუბიძე, ლ. ჩიმაკაძე, ი. კობახიძე, ა. გარსევანიშვილი, ს წერეთელი, ს. დათეშიძე, ი. პაევსკი (მხატვარი). მესამე რიგში დგანან: ა. ჯანელიძე, ს. ეზიკაშვილი, დ. ქუთათელაძე, დ. ლორთქიფანიძე და ნ. შარაპიძე.

1900-იანი წლების დასაწყისში მეტი შესაძლებლობა მიეცა პედაგოგიურ კოლექტივს გამოევლინა ეროვნული მრწამსი. გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ 1905 წლის 10 ივნისს სპეციალურად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და სკოლის რეორგანიზაციის პროექტის შესამუშავებლად გამოყო სპეციალური კომისია თ. მთავრიშვილის, ს. ყიფიანის, მ. ჩინჩალაძის და ს. ხუნდაძის შემადგენლობით. იქვე გამოითქვა აზრი დაწყებით 4 განყოფილებაში სწავლება განხორციელებულიყო მხოლოდ ქართულად. კომისიამ მალე დაადგინა, რომ სკოლის საქმიანობაში შეტანილი მცირე ცვლილება სკოლის გაეროვნულობის საბოლოო მიზანს ვერ დაეხმარებოდა, თუ ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე არ იქნებოდა მოწყობილი, მაგრამ პროგრამები, სახელმძღვანელოები მხოლოდ რუსული სკოლების შესაბამისად იყო ქართული სკოლებისთვისაც შემუშავებული. ის ექვემდებარებოდა რუსეთის სკოლების

ხელმძღვანელობას და ბუნებრივად იყო მათში ჩაქსოვილი რუსული პოზიციების დაცვის ამოცანა. საჭირო იყო პროგრამების ახლებური შედგენა, სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შექმნა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ქართული ტრადიციების აღდგენა-დამკვიდრება. მთავრობისაგან არავითარი დახმარება არ იყო მოსალოდნელი, ამიტომ სასწავლებლის რეორგანიზაციის მთელი სიმძიმე პედაგოგიურ კოლექტივს უნდა აეღო თავის თავზე. გადაწყდა, მხოლოდ I და II კლასები გადასულიყო ქართულად სწავლებაზე. დანარჩენებს ძველებურად განეგრძოთ დრომდე მეცადინეობა. ასეც მოხდა კოლექტივი შეუდგა სახელმძღვანელოების ქართულად შედგენას, ქართული ტერმინოლოგიის დადგენას.

ქართული სკოლა რეაქციის პერიოდში

რეაქციის წლებმა ძლიერ დაძაბა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობა. რუსული ცარისტული რეჟიმი ურთიერთს უპირისპირებდა პედაგოგთა და აღსაზრდელთა მიზნებს. იყო მოსწავლეთა საპროტესტო რეაქციები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ხონში, რომელიც ზოგჯერ ტრაგიკული შედეგით მთავრდებოდა.

ცარიზმი რა ცარიზმი იქნებოდა, თუ საკუთარ კლანჭებში არ მოაქცევდა ქართველთა ამბოხებულ სულს. 1906 წლის დასაწყისიდან დაიწყო მძაფრი შეზღუდვები. აიკრძალა მოსწავლეთა ორგანიზაციები, შეკრებები, კოლექტიური მოთხოვნები, მაგრამ ნაციონალური გრძნობა უკვე გაფაქიზებული იყო იმგვარად, რომ მისი დაოკება გაუჭირდა მთავრობას პოლიციის ჩარევის გზითაც კი. ეწყობოდა გაფიცვები. აღსანიშნავია თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის მოსწავლეთა გამოსვლა 1908 წლის 19 თებერვალს ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე, სადაც რამდენიმე გასროლაც კი მოხდა. ბათუმის გიმნაზიაში 1908 წლის 29 მარტს ააფეთქეს ღუმელი, რომელიც სამასწავლებლოში გადიოდა. ეს ყველაფერი ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის გამო აზვირთებული ტალღა იყო. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გერმანული ენის მასწავლებლის კუსტინოვიჩის მიმართვას ქართულად მოკარნახე მოსწავლის მიმართ - ნუ კარნახობ მაგ ცხოველის ენაზეო, საპასუხო მღელვარება მოჰყვა, ამ საკითხთან დაკავშირებულ გამოკვლევას, მიუხედავად ქართველ მოსწავლეთაგან მძაფრი რეაქციისა, შედეგი არ მოჰ ყოლია. არც გადაუადგილებიათ ქართველთა მოძულე პედაგოგი.

1912 წელს ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე გოგონები ააღელვა სასწავლებლის უფროსი ქალის ტიმჩენკო-იაროშჩენკოს ანტიქართულმა დამოკიდებულებამ. „გახსოვდეთ, რომ რუსი ხართ! საჭირო არ არის ქართველების ველური ინსტიქტების მიბაძვა“, მიმართავდა იგი მისგან პრივილეგირებულ რუს მოსწავლეებს. 200 კაცის ხელმოწერით გაიგზავნა საჩივარი მეფის

მოადგილის მეუღლესთან, მოსწავლები ითხოვდნენ უფროსი ქალის გადაყვანას ქუთაისიდან, მაგრამ მხარდაჭერის ნაცვლად მეფის მთავრობამ ქართველებზე შურისძიებას მიმართა. ქართველი პედაგოგები და მათი მხარდამჭერი რამდენიმე რუსი პედაგოგი ქუთაისიდან გადაიყვანეს, სასწავლებლის ინსპექტორმა კონსტანტინე ღოღობერიძემ ვერ გაუძლო უდანაშაულოთა მიმართ ესოდენ მკაცრ განაჩენს, მის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებებს და თავი მოიკლა.

„1908 წლის იანვარში გამართული იყო საღამო აკაკი წერეთლის სახელზე, საღამოს მცხოვანი პოეტიც დაესწრო. საღამოს პროგრამაში შედიოდა მოსწავლეთა რეფერატების კითხვა. პირველი რეფერატი აკაკი შანიძემ (მერვე კლასის მოსწავლემ) წაიკითხა. რეფერატის შესავალში იგი შეეხო აკაკის წინა დროებებს და აღნიშნა რუსთა მოხელეების უდიერი საქციელი ქართველების მიმართ. ამის გამო შანიძე კინაღამ გამორიცხეს გიმნაზიიდან. იმიტომ, რომ შანიძემ სიმართლე თქვა და არც იცოდა, თუ ამ სიმართლის თქმით შეილახებოდა რუსი პედაგოგების პიროვნება“ [42].

ასეთი დაძაბული ვითარების მიუხედავად თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლები ყველაზე აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ სწავლების ქართულად განხორციელებისათვის, ორივეს ერთნაირად აწუხებდა დაბრკოლებები, რომელიც ეროვნულ საქმეს ეღობებოდა და ორივე სასწავლებელს სწავლებისათვის არასასურველ პირობებს უქმნიდა, ამიტომ შეიქმნა აუცილებელი 1908 წლის 29 დეკემბერს ჩატარებულიყო აღნიშნული გიმნაზიების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა. სხდომას ქუთაისიდან ესწრებოდნენ: სილ. ხუნდაძე და პ. იოსელიანი. სხდომის შედეგები განიხილა ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიურმა რჩევამ, სადაც აღინიშნა, რომ სკოლის კოლექტივი უნდა გაცნობოდა ოსტაზეის მხარის თავადაზნაურთა რეგიონალური გიმნაზიების წესდებას და იმის მიხედვით შეედგინა ქართულ გიმნაზიათა წესდების პროექტები. პედსაბჭომ ამის შემდეგ განმეორებით შეკრებას დაუჭირა მხარი ქართული ნაციონალური გიმნაზიის წესდების შექმნის მიზნით [43].

პროექტი შემუშავდა ქუთაისში, პროექტის მიხედვით ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე უნდა განხორციელებულიყო, გარდა რუსული ენისა, რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიისა, აღნიშნული პროექტი იმხანად ვერ განხორციელდა.

მიუხედავად დიდი მღელვარებისა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, საქმიანი ურთიერთობა, რომელიც სუფევდა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის, თავის დადებით კვალს ტოვებდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა მთავრობისათვის.

სასწავლო ოლქი მაინც ახერხებდა გიმნაზიის შევიწროებას, მისი ავტორიტეტის შელახვას. 1907-1908 სასწავლო წელს პირველი გამოსაშვები გამოცდები დაინიშნა გიმნაზიაში. სასწავლო ოლქმა გამოცდებზე დეპუტატად გამოგზავნა შავრაზმელი და დაუცხრომელი კარიერისტი, ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი მელნიკოვ-რაზევედენკო. წერითი გამოცდების ჩატარების შემდეგ დეპუტატმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა გამოსაშვებ მოსწავლეთა მომზადება ლათინურ ენასა და სამოქალაქო ისტორიაში. მოითხოვა გამოცდების საშემოდგომოდ გადადება. ეს ფაქტი შეურაცხმყოფელი იყო გიმნაზიისათვის და ამიტომაც აღიმაღლა კოლექტივმა ხმა [44].

1914 წელს სასწავლო ოლქმა გიმნაზიაში გამოსაშვებ გამოცდებზე მოავლინა დეპუტატი კორიცკი. იგი ერთ დღეს დანიშნულ გამოცდას მეორე საგნით ცვლიდა, ძლიერ დაბალ შეფასებას აძლევდა მოსწავლეებს, აბუჩად იგდებდა საგნის მასწავლებლებს. სკოლის ხელმძღვანელობასა და დეპუტატს შორის შექმნილი უთანხმოების გამო გამოცდები შეწყდა, განაახლეს 1 აგვისტოს. დირექტორი ი. ოცხელი და მოადგილე ს. ხუნდაძე გადააყენეს სამუშაოდან. გამოცდებზე დაშვებული 82 მოსწავლიდან სკოლა 39-მა დაამთავრა. იოსებ ოცხელმა თავი იმართლა და დააბრუნეს სკოლაში სამუშაოდ. სილოვან ხუნდაძე, ეს დახვეწილი ქართველი ინტელიგენტი, ერის ღირსების მრავალმხრივი ქომაგი, საინტერესო ლიტერატორი და გრამატიკოსი სამუდამოდ ჩამოშორდა სასწავლო პროცესს.

„ეს ის დრო იყო, როდესაც იანოვსკიმ სრულიად აკრძალა ქართული ენის სწავლება ყოველი რანგის სასწავლებელში, ეს ის დრო იყო, როდესაც ტფილისის არცერთ ქართულ ეკლესიაში ქართულ წირავა-ლოცვას ვეღარ გაიგონებდით. ეს ის დრო იყო, როდესაც შავრაზმელ მღვდელს ვოსტორგოვს და მის დამქაშებს შედგენილი ჰქონდათ გეგმა, მთელ საქართველოს სოფლებში გადაეგდოთ ქართულ ენაზე ღვთის მსახურება და ქართული საეკლესიო ენის მაგიერ შემოეღოთ სლავიანური ენა“ [45].

იმერეთის საეპარქიო საბჭომ ცარიზმისადმი ერთგულება გამოიჩინა (როგორც ი. გოგებაშვილი უთითებს) და პირველი წლის სექტემბრიდან დააწყებინა რუსული ენის სწავლა მის მიერ დაშვებული ცირკულიარის საფუძველზე ნორჩებს, რამაც აიძულა იაკობ გოგებაშვილი ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე გამოსულიყო მკვეთრი პროტესტით და ბრალი დაედო ქუთაისში ახლადდაარსებული გაზეთ „კოლხიდისათვის“ ასეთი ფაქტის წინაშე დუმილის გამო. ი. გოგებაშვილი ვარაუდობდა, რომ ცირკულარი გავლენას მოახდენდა საქართველოს სხვა კუთხის სამრევლო სკოლებზე და შესაძლებელი იყო სადირექციო სკოლებშიც გავრცელებულიყო მსგავსი ძალდატანება.

1914 წლის 1 ივნისს დაშვებულ იქნა კანონი, რომლის ძალითაც სწავლების წარმართვა გიმნაზიებში შეიძლებოდა მოწყობილიყო არარუსულ ე.ი. ნაციონალურ ენაზე. თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს 1915 წლის სექტემბრიდან სწავლება შემოეღოთ ქართულ ენაზე. რუსულად მხოლოდ რუსული ენა და ლიტერატურა, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია ესწავლებიათ.

სასწავლო ოლქის მზრუნველმა მოითხოვა, სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ქართულ ენაზე განვლილ საგნებშიც რუსულად ჩაებარებიათ. გიმნაზიის ხელმძღვანელობა ამ დაბრკოლებას არ შეუშინდა.

ქუთაისის გიმნაზიას ქართული იმდენად ეწოდებოდა, რამდენადაც ყველა მოსწავლე და თითქმის მასწავლებელიც ქართველები იყვნენ,

ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება გავრცობილი, ფართო პროგრამით მიმდინარეობდა. ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის გარდა ყველა სხვა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა, სახელწოდება „სათავადაზნაუროც“ პირობითი სახელწოდება იყო, რადგან გარდა თავადაზნაურთა შვილებისა, იქ სწავლობდნენ გლეხური და სხვა წარმოშობის მოზარდებიც. 1902 წელს 512 მოსწავლიდან გლეხური წარმოშობის იყო 32 მოსწავლე (ე.ი. 6,2%), 1903 წელს 582 მოსწავლიდან გლეხის ოჯახიდან იყო 65 (ე.ი. 11,2%), შემდგომ წლებში სწრაფი ტემპით იწყო მატება გლეხთა შვილების რაოდენობამ. ყურადსაღებია, რომ მზრუნველი კომიტეტის დადგენილებით გიმნაზიაში გლეხთა წარმომადგენლობა არ უნდა ყოფილიყო 20%-ზე მეტი, მაგრამ 1911 წელს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გიმნაზიაში სულ სწავლობდა 857 მოსწავლე, მათგან 65 თავადი (7,6%), 495 აზნაური (57%), 140 გლეხი (16,3%), 70 მდაბიო მოქალაქე (8,2%), 78 სასულიერო წოდების წარმომადგენელი (9,1%), 9 სხვადასხვა წოდებისა.

1912-13 სასწავლო წელს გიმნაზიაში სულ ირიცხებოდა 1187 მოსწავლე, მათგან 74 თავადი (6,2%), 614 აზნაური (51,7%), 89 სასულიერო წოდების წარმომადგენელი (7,5%), 18 მდაბიო მოქალაქის და ვაჭრის შვილი (5,7%), 268 გლეხი (22,6%).

1914 წ. მდაბიო მოქალაქეთა რაოდენობა იზრდებოდა, ამით გიმნაზია ეროვნული სასწავლებლის ტიპიურ სახეს იღებდა. იგი ემსახურებოდა მთელს დასავლეთ საქართველოს. იმავე წლებში 1207 მოსწავლიდან ქუთაისის მკვიდრი იყო 358 (29,7%), ქუთაისის მაზრიდან იყო 308 (25,5%), შორაპნის მაზრიდან 173 (14,3%), სენაკის მაზრიდან 103 (25,5%), ზუგდიდის მაზრიდან 46 (3,8%), ოზურგეთიდან 80 (6,6%), რაჭიდან 77 (6,4%), ლანჩხუთიდან 40 (3,3%), სვანეთიდან 9 (0,7%), სხვადასხვა კუთხიდან (აფხაზეთი, აჭარა, აღმოსავლეთ საქართველო 18 (1,5%). ბუნებრივია, გიმნაზიის სასწავლო პროგრამები და გეგმები სრულყოფილად უნდა დაქვემდებარებოდა ეროვნულ მოთხოვნებს.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრინციპები ქართულ სკოლა-გიმნაზიაში

ქართული სკოლა-გიმნაზიის პედაგოგთა კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლებს შესაძლო წვლილი შეჰქონდათ ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში. გრძნობდნენ, უნდა დაგროვილიყო გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ეროვნული სკოლის მართვის, მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელების და მამულიშვილური აღზრდის ტრადიციების ჩამოსაყალიბებლად.

რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მოწყვიტა სკოლა ცხოვრებას, აღზრდის პრინციპად აქცია ყურმოჭრილ მონათა ჩამოყალიბება. ახალშექმნილმა ქართულმა სკოლებმა სხვა პოზიცია დაიჭირეს. მათ მიზნად ეროვნული სულისკვეთებით მოქმედი, შეგნებული კადრების აღზრდა დაისახეს. ამდენად, რეფორმისტულ გზას დაადგნენ, უნდოდათ დოგმატიზმისაგან დაეღწიათ თავი. ყველა პედაგოგი დაეწაფა პედაგოგიკურ მეცნიერებას.

აი რას წერს პედაგოგთა შესახებ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პირველი ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე:

„მუდამ ბეჯითად თვალყურს ადევნებდნენ საუკეთესო პედაგოგიურ თხზულებათა და პერიოდულ გამოცემათა, რომ ახალი არაფერი დარჩენოდათ შეუნიშნავი, და თუ კარგი რამ პედაგოგიური აზრი ან რჩევა იყო, გამოეყენებიათ საკუთარ პრაქტიკაში. სხვებს უკან არ ჩამოვრჩეთ, არ შევრცხვეთ, ხელი არაფერში დავაკლოთ ჩვენი მოსწავლეების სწავლა-აღზრდას და მის საერთო მიზანს არ დავუშავოთ რაო, - აი, ეს იყო საერთო ფიქრი და საზრუნავი ყველასათვის“ [46].

დიდი ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებული და შემდეგში ამავე გიმნაზიის რუსული ენის, საზოგადო ისტორიის მასწავლებელი,

ლექცია-მოხსენებებს კითხულობდა ქუთაისში პედაგოგიურ თემაზე. აქ აიდგა ფეხი როგორც მეცნიერმა. მის „ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას“ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება უდევს საფუძვლად.

პედაგოგი ტრიფონ ჯაფარიძე პრესის და ცოცხალი სიტყვის საშუალებით ავრცელებდა გამოცდილებას პედაგოგიურ სარბიელზე. წერდა პრესაში წერილებს თანამედროვე სკოლის შესახებ, კითხულობდა ლექციებს აღზრდის ფორმებსა და მეთოდებზე. „რას შესძენს თავის თავს ან ქვეყანას ის, ვისაც ცოდნა აქვს, მაგრამ ცოდნის მოხმარება არ იცის! სწავლა ცოდნას იძლევა, აღზრდა კი მოხმარების უნარს. სწავლა გონებას აფართოებს, აღზრდა კი რწმენას ამაგრებს და მიმართულებას იძლევა. დღევანდელი სკოლა ასწავლის, მაგრამ ვერა ზრდის“ [47]. - წერდა ტრ. ჯაფარიძე.

სილოვან ხუნდაძე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უბადლო მეთოდისტი იყო.

რუსული ენის სწავლების აქტივიზაციის მეთოდის გარსევანიშვილისეული გამოცდილება დღემდე იმსახურებს ყურადღებას.

გიმნაზიის ხელმძღვანელი, მოწოდებით პედაგოგი იოსებ ოცხელი საკუთარი უანგარო შრომის და თავგანწირვის ფასად ქმნიდა სანიმუშო პედაგოგის პორტრეტს, ქართულ სახელმძღვანელოთა გამოცემის ინიციატორი სასკოლო ცხოვრებას წარმართავდა უზადოდ და სხვასაც გადასცემდა მის გამოცდილებას.

ცნობილი ფაქტია, როგორი ნაყოფიერი შრომა გაწია ი. ოცხელმა დიმიტრი უზნაძისათვის გამოცდილების გასაზიარებლად საზოგადოება „სინათლის“ ქალთა სკოლაში მოღვაწეობისას.

მიუხედავად წინააღმდეგობრივი ეპოქისა, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის (შემდგომში გიმნაზიის) კოლექტივი ახერხებდა პედაგოგიური ცოდნის დაუფლებას, გამოცდილების დაგროვებას და სწავლა-აღზრდის თეორიის პროპაგანდას. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სახის პედაგოგიკურ პროპაგანდას ეწეოდა

სკოლის კოლექტივი, საკმარისია მოვიყვანოთ პედაგოგ ალექსანდრე გარსევანიშვილის მიერ ჩატარებული ლექცია-მოხსენებების ჩამონათვალი: „სახალხო განათლება“, „წერილები მშობლებს“, „რუსული ენის სწავლების მეთოდიკა“, „განათლება და სწავლება“, „მუსიკის სწავლება“, „როგორ უნდა ჩატარდეს ისტორიის გაკვეთილი“, „საოჯახო აღზრდა“ და სხვა [48].

სასწავლებლის საქმიანობის განხილვა დიდაქტიკის პრინციპების პრიზმაში ასეთ სურათს იძლევა:

ცოდნის სისტემურობისა და სწავლების თანმიმდევრობის მისაღწევად მათ მიერ გამოყენებული პროგრამები, სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები საშუალებას იძლეოდა სწავლა-აღზრდის პროცესი დაქვემდებარებოდა სწავლების სისტემატურ და თანმიმდევრულ მოთხოვნებს.

პროგრამებში შეხვდებით ასეთ შესავალს: „პირველის ნახევარს წელში ისწავლეს ანბანის კითხვა და წერა, დანარჩენს დროში გაიარეს დედა ენიდამ შემდეგი სტატიები“, „მოსწავლეებმა გაიარეს შემდეგი ლექსები, არაკები, მოთხრობები და სასაუბრონი“ ან „დედა-ენიდამ ისწავლეს“... და ჩამოთვლილია. შემდეგ აგრძელებენ საპროგრამო მასალას, ე.ი. სწავლება მიმდინარეობდა თანმიმდევრულად, განვლილი მასალის გათვალისწინებით..

პედაგოგიური რჩევა სისტემატურად იხილავდა პროგრამებს, სასწავლო გეგმებს, შეჰქონდა შესწორებები. რჩევათა შემორჩენილი ოქმები ნათელჰყოფენ, რომ საქმიანი წინადადებები დიდი გულისყურით იხილებოდა ყოველთვის. 1892 წლის 16 მარტს პედაგოგმა თომა მთავრიშვილმა რჩევის წინაშე დააყენა საკითხი, რომ მე-3 განყოფილების პროგრამა ვრცელია და ზოგიერთი სტატიის შინაარსი ამ განყოფილების ბავშვებისათვის შეუფერებელი, საჭიროა მისი განხილვა და შემოკლება. რჩევის მიერ გამოყოფილმა კომისიამ მიიღო მთავრიშვილის წინადადება. ამავე პედაგოგმა წამოჭრა საკითხი, რომ პროგრამის და სახელმძღვანელოს შინაარსი არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. მე-4 განყოფილების პროგრამაში ისეთი მასალა იყო მითითებული, რომელსაც „ბუნების კარის“ ახალი გამოცემა

არ ითვალისწინებდა, ზოგიერთი მასალა არ გამოდიოდა ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებიდან. რჩევამ საკითხის შესწავლა მიანდო პედაგოგებს: მ. მთავრიშვილს, ს. დათეშიძეს, ლორთქიფანიძეს, ალ. გარსევანიშვილს, ს. ხუნდაძეს ინსპექტორ ვ. ყიფიანის თავმჯდომარეობით. მომდევნო ოქმში ჩანს, რომ რჩევამ დაადასტურა თ. მთავრიშვილის შენიშვნა (არ იყო სახელმძღვანელოში შეტანილი მ. გურიელის „ადამიანი“, „მაისის ღამე“, ილია ჭავჭავაძის „სიმღერა ამხანაგებისა“, დავითაშვილის „მუშის სიმღერა“ და სხვა) [49]. რჩევამ დაადგინა, რომ მე-4 განყოფილების მოსწავლეთა ასაკისათვის შეუფერებელი მასალა (გრ. ორბელინის „განთიადი“, დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, სტატიები „ხუთი ბრძანება“ და სხვა) ამოეღოთ პროგრამიდან, მის ნაცვლად პროგრამაში შეეტანათ აკაკის „ხარაბუზა და ფუტკარი“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რ. ერისთავის „სამნი ძმანი“ და სხვ. პედაგოგიურ რჩევას სისტემაში, ასაკის შესაბამისობაში მოჰყავდა სასწავლო პროგრამები და გეგმები.

1901 წლის 14 აპრილს პედრჩევამ იმსჯელა სახელმძღვანელოთა შესახებ. 1905 წლის 4 სექტემბერს გამეორდა იგივე თემაზე საუბარი. ოქმში მითითებულია, რომ არსებულ სახელმძღვანელოებს ბევრი ნაკლი აქვს, რჩევა ცდილობს გააუმჯობესოს მდგომარეობა და ქმნის გიმნაზიის პედაგოგთა ძალებით კომისიებს. რუსულ ენაში სახელმძღვანელოს ირგვლივ აზრის შემუშავება და წინადადების წარმოდგენა დაევალა ალ. გარსევანიშვილს და ს. ყიფიანს, ქართულ ენაში - თ. მთავრიშვილს, ი. ნიკოლეიშვილს, ს. ხუნდაძეს, საღვთო რჯულში - ი. აბესაძეს, მ. ჩინჩალაძეს, გ. ცაგარეიშვილს, ისტორიაში - ა. გარსევანიშვილს, გ. ცაგარეიშვილს, ს. ხუნდაძეს. მათ ეს დავალება პირნათლად შეასრულეს, განვლილ მასალას მიუსადაგეს ახალი, სისტემაში მოიყვანეს იგი და თანმიმდევრობით დაალაგეს სირთულის გათვალისწინებით.

სკოლის პედაგოგიური რჩევის №15 ოქმში ვკითხულობთ (1901 წ. 9 ივნისი) სკოლის ინსპექტორის აზრს, რომ „შენიშნულია ყველა

მასწავლებლისაგან, რომ ხანგრძლივი გაკვეთილის დროს, განსაკუთრებით პაწია მოსწავლეები, შესამჩნევად იღლებიან, ისე რომ გაკვეთილის ბოლოს, განსაკუთრებით ერთი-ორი გაკვეთილის შემდეგ ყურადღება მეტისმეტად ეღლებათ და ვეღარ ითვისებენ ახსნილ მასალას. გამოცდილებით ვიცით, რომ ბავშვი არც იღლება და უფრო ადვილად ითვისებს საჭირო მასალას, როცა გაკვეთილის ხანგრძლივობა შემცირებულია, მხოლოდ საჭიროა, რომ სამაგისოდ, გაკვეთილების რაოდენობა იყოს მომატებული. ჩემი აზრით საჭიროა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნებართვით შევამოკლოთ გაკვეთილები. მაგალითად, დღევანდელი 55 წამის მაგიერ შემოვიღოთ 40 წამიანი გაკვეთილები მოსამზადებელ კლასებში" [50] (აქ წამის ნაცვლად იგულისხმება წუთი, შეცდომა დაშვებულია ოქმის გამფორმებლის მიერ. მ.ა.).

პედაგოგიურმა რჩევამ მოიწონა ინსპექტორ ი. ოცხელის წინადადება. როგორც ვხედავთ, დიდაქტიკის პრინციპი მოსწავლეთა **შეგნებულობის და აქტივობის ამაღლების თაობაზე** სკოლის რჩევას მხედველობის ცენტრში ჰქონდა და გაბედულად გამოდიოდა შენიშვნებით გაკვეთილების ხანგრძლივობის შემცირების, მოსწავლეთა აქტივობის ამაღლების და მასალის შეგნებულად ათვისების თაობაზე, ამით ამკვიდრებდა წესრიგს.

ეპოქა მძიმე იყო, რუსულად არსებული სახელმძღვანელოები ქართული შესაბამისი ტერმინოლოგიის უქონლობის გამო ძნელად ითარგმნებოდა. რუსული განათლების მიღების შემდეგ ეროვნულ კადრებს უჭირდა მასალის ქართულად გადაცემა. საჭირო იყო არსებული რუსული სახელმძღვანელოების გამოყენება, გარდაქმნა, ვიდრე ახალი, სუფთა ეროვნული სახელმძღვანელოები მიეცემოდა მოზარდ თაობას.

„რამდენადაც ახლო იყო ქართული წიგნი რუსი ბავშვის წარმოდგენასთან, იმდენად არას ეუბნებოდა ქართველი ბავშვის, ისიც რუსულის უცოდინარის გულსა და გონებას. ვერავინ დაგვარწმუნებდა, რომ ეს წიგნი ჩვენს საწამებლად არ იყო გაჩენილი"

[51] - წერს თედო სახოკია უშინსკის „დეტსკი მირის" შესახებ. ასეთ პირობებში ქართული სკოლის პედაგოგთა ინიციატივა, ჩაღრმავებოდნენ სახელმძღვანელოების თარგმნისა და შექმნის საკითხებს, დიდ ეროვნულ მიზანს ისახავდა.

სკოლის პედაგოგმა ვასილ ყიფიანმა პირველმა თარგმნა და ეროვნულ სტილში მოაქცია ალგებრის სახელმძღვანელო. ამოცანათა შინაარსი ქართულ ყოფას დაუკავშირა, ახლობელი გახადა იგი ქართველი ბავშვებისათვის, კრებულის შედგენისას პრინციპად აქცია მარტივიდან რთულისაკენ სვლა. სილოვან ხუნდაძემ მასწავლებელთა დასახმარებლად გამოსცა „ქართული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ" და არა ერთი სახელმძღვანელო ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ალექსი ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა „მეთოდური მითითებანი გეოგრაფიის სწავლების თაობაზე პირველდაწყებით სკოლაში". ჟურნალი „განათლება" გამოეხმაურა წიგნის გამოსვლას, დადებითი შეფასება მისცა. „სასარგებლო წიგნად მიგვაჩნია, სასურველიც არის, ჩვენმა დასაწყისი სკოლების მასწავლებლებმა ყურადღება მიაქციონ ამ წიგნაკს, რომელიც მათ საკმაო სამსახურს გაუწევთ" [52]. - წერდა ჟურნალი.

პედ. რჩევის 1987 წლის 15 ივნისის ოქმში ვკითხულობთ „რადგან გეოგრაფია ქართულად უნდა ასწავლონ და საჭირო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არის, დაადგინეს: გამოვცეთ ივანოვის წიგნის თარგმანი (ეს ქართულად უკვე გადათარგმნილია). ქართული ენისათვის არ გვაქვს გადათარგმნილი წიგნები და რადგან ამ ზაფხულში უნდა დაიბეჭდოს რამდენიმე წიგნი, როცა დაიბეჭდება მაშინ ავირჩიოთ" [53].

სკოლა მივლინებით აგზავნიდა ხოლმე პედაგოგებს საზღვარგარეთ, მათთვის მისაღები პროგრამების მოსაპოვებლად, სწავლების მეთოდების გასაზიარებლად. მაგ. პედაგოგმა ალ. გარსევანიშვილმა იმოგზაურა შვეიცარიაში, ფინეთში, შთაბეჭდილებებიც უხვად გაუზიარა კოლეგებს, თანამოსაქმეებს.

რჩევამ რაჟდენ დათეშიძეს თხოვა (საზღვარგარეთ იყო):

„1. მოიპოვოს და მოგვიტანოს საზღვარგარეთული გიმნაზიებისა და პირველდაწყებითი შკოლების პროგრამები ყველა საგნისა.

2. საუკეთესო სახელმძღვანელოები სამშობლო ენისა, აგრეთვე გეოგრაფიისა და ისტორიის, ბუნებისმეტყველობისა და არითმეტიკისა.

3. შეიტყოს თუ რომელ წლიდან იწყებენ ახალი ენების სწავლას და რანაირი მეთოდით ხელმძღვანელობენ.

4. მოიპოვოს საბერძნეთისა და რომის ისტორიული რუქები" [54].

დიდაქტიკის შემდგომი პრინციპი, თვალსაჩინოება სკოლის საქმიანობაში ღრმად იყო ფესვგადგმული. პესტალოცის ცხოვრება პირველად ქართულად ქართული სკოლის პედაგოგმა თ. მთავრიშვილმა თარგმნა. ამდენად, მისმა კოლეგებმა კარგად იცოდნენ, რომ პესტალოცი სწავლების უმაღლეს საწყისად თვალსაჩინოებას, გრძნობად აღთქმას თვლიდა. კონკრეტულიდან განყენებულისაკენ, წარმოდგენიდან აზრისაკენ იძლეოდა გზას ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. კომენსკის დებულებაც კარგად ჰქონდათ გააზრებული იმის შესახებ, რომ სახელმძღვანელო ცოდნისა და სწავლების უმძლავრესი წყარო იყო და ის უნდა აგებულიყო თვალსჩინოების პრინციპზე დაყრდნობით, ასეც აგებდნენ ისინი მათი ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოებს. ამის ნათელი დადასტურებაა „გუთანი" და ის ფაქტიც, რომ კლასიკურმა გიმნაზიამ, რეალურმა სასწავლებელმა და ქართულმა გიმნაზიამ ერთობლივი სასწავლო სახელოსნო შექმნეს, რადგან ცალკეული მათგანი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა სრულფასოვანი სასწავლო სახელოსნოს შექმნას.

ცოდნის მტკიცედ შეთვისების პრინციპის გათვალისწინებაც შეძლო სკოლის კოლექტივმა. დიდი ყურადღებით მოსავდნენ ისინი საკითხის არსში მოზარდის წვდომას, ღრმად გაცნობიერებას, განმეორებას. ამასთან დაკავშირებით ალექსი ჭიჭინაძე აანალიზებდა სწავლების მეთოდებს საღვთო სჯულის, ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, გეომეტრიის, ხატვის სწავლებისას, დიდ ყურადღებას უთმობდა განმეორებას, პრაქტიკულ ვარჯიშს,

თვალსაჩინოებას. მასალის გადაცემის შემთხვევაში. მისი მითითების თანახმად პედაგოგი „დაბალ კლასებში უნდა ცდილობდეს დიდხანს არ გაგრძელდეს ლექციები, გადაცემა მასალისა, იქვე გაამეორებინოს მოსწავლეს გადაცემული, აღადგინოს მოსწავლეთა მეხსიერებაში გავლილი ფაქტები, დააკავშირებიოს და შეადარებინოს იგინი ახლებთან და გამოაყვანინოს დასკვნა“ [55]. ასეთია მისი მოსაზრება და იგი სრულად ემთხვევა პედაგოგიური რჩევის ოქმების მიხედვით სკოლის პოზიციას და დიდაქტიკის მე-4, ცოდნის მტკიცედ შეთვისების პრინციპის მოთხოვნას.

პედაგოგიური რჩევის ოქმები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ყურადღებითაა გარემოსილი ცალკეული მოსწავლე. იმდენად კონკრეტული და **ინდივიდუალურია** მათდამი დამოკიდებულება, რომ ეჭვი არ არის, პედკოლექტივი მოსწავლეთა ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და მათი საქმიანობის არც ერთი დეტალი არ ჰქონდა დარჩენილი განუსჯელად. ოქმები ასახავენ, სად და როგორ პირობებში ცხოვრობენ მოსწავლეები, როგორი ხალხის გარემოცვაში არიან, რა შეძლების, ყოფაქცევის, პროფესიის ადამიანებთან უწევთ ურთიერთობა, სად ატარებენ დროს სკოლის შემდეგ, ვისთან მეგობრობენ, რა შეძლების მშობლები ჰყავთ, ვინ ადევნებს თვალყურს მათ ყოფაქცევას. რჩევა კლასის ხელმძღვანელებისაგან ითხოვს, იცოდეს მოსწავლის ცოდნა, ჩვევები, მიდრეკილებები, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის პოტენციალი, რას კითხულობს, რა სულიერი საზრდო გააჩნია და ა.შ. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ სკოლა გაცნობიერებულად ხელმძღვანელობდა დიდაქტიკის მეხუთე პრინციპით აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობის შესახებ.

პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი იგონებს, როგორც ეკიდებოდნენ ქართული სკოლის პედაგოგები ნიჭიერ მოსწავლეთა მომავალს. „1903 წლის მაისში თითონ ოცხელმა წაგვიყვანა გამოცდების ჩასაბარებლად და გამოცდების დამთავრებამდე გველოდებოდა“ [55]. აინტერესებდა აღმზრდელს მისი მოსწავლის მომავალი და ცალკეული ინდივიდის

წარმატებისათვის აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო. „ოცხელმა შენიშნა, რომ მარცხენა ხელით ვწერდი, ცაცია ვარო, მითხრა და მანამდე არ მომეშვა, სანამ არ გადამაჩვია მარცხენა ხელით წერას. როგორ მახსოვს, რამდენიმე კვირას წერის გაკვეთილებზე შემოდიოდა და მამოწმებდა, მარჯვენა ხელით ვწერდი თუ მარცხენათი“ [56].

პედსაბჭოს 1908 წლის 18 და 19 დეკემბრის რჩევის №15 ოქმში ვკითხულობთ:

„განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლე ცქიტიშვილს, რადგან დედა გათხოვდა მისი და ყმაწვილს ჭირისუფალი არავინ ჰყავსო. იგივე ოქმი უთითებს, რომ მოსწავლეების შალვა არეშიძის და მამანტი ახვლედიანის მშობლები იქნან მოწვეულნი, რადგან ზარმაცობენ და გაკვეთილებს აცდენენო“ [57].

1910 წლის 20 იანვარს ოქმი მიუთითებს, რომ მოსწავლეებმა ვ. მგალობლიშვილმა, ს. მესხმა, ტ. შავიანიძემ რესტორანში ივახშმეს, ხმაურობდნენ, ისინი წარადგინეს პოლიცმაისტერთან. რჩევამ ყოფაქცევაში ნიშანი დაუკლო ხსენებულ მოსწავლეებს [58].

რა სახის დახასიათებებს არ შეხვდებით რჩევის ოქმებში, ისე დაწვრილებით და დეტალურად იხილავენ ბავშვთა ქცევის საკითხებს, რომ მკითხველი გრძნობს აღზრდის ყველა ფორმით დაინტერესებას. მოსწავლეებმა გრიგოლ უშვერიძემ და შალვა ჯუღელმა ერთმანეთს ცემეს, რჩევამ საყვედური გამოუცხადა.

გულისხმიერია რჩევა აღსაზრდელთა მიმართ, მაგრამ დაუნდობელი სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში (ესეც აღზრდის ფორმაა). სასჯელის ფორმად იყენებენ უქმე დღეებში მშობლიურ სოფლებში გაუშვებლობას, ბნელ ოთახში მოთავსებას, უსადილოდ დატოვებას და სხვა. წახალისებასაც იყენებენ მოქნილად. კარგ შემოქმედ მოსწავლეებს ნებას აძლევენ დაესწრონ სპექტაკლებს, ათავისუფლებენ სწავლის ქირისაგან.

1908 წლის 8 დეკემბერს მე-7 კლასის ერთ-ერთმა მოსწავლემ გაკვეთილის დამთავრებისთანავე (მასწავლებელი საკლასო ოთახიდან არ იყო გამოსული) მის ამხანაგს კალოში ესროლა. ამხანაგმა, ს. მესხმა ის სხვას ესროლა. როცა მასწავლებელმა ჰკითხა ს. მესხს,

რად ისროლა კალოში, უპასუხა, „მესროლეს და ვესროლეო", არ დაასახელა ვინ ესროლა. მთელმა კლასმა დაფარა დამნაშავე. შემდეგ კლასმა პირობა დადო, მომავალში მსგავს უდისციპლინობას არ ჩაიდენდნენ. სამი დღის შემდეგ იმავე კლასმა გაკვეთილზე მასწავლებლის შესვლამდე ყიჟინი ატეხა, იღრიალა. არც ამ შემთხვევაში დაასახელეს ინიციატორი, ანალოგიური ქმედება მათ კიდევ გაიმეორეს, რჩევა აღნიშნავს განსაკუთრებით სერგი მესხის უდისციპლინობის შესახებ, რომელიც 2-3-ჯერ ნაბდით მოსიარულეც ნახეს სკოლაში და ქუჩაში. რჩევამ მთელს კლასს, ყველა მოსწავლეს დაუკლო ყოფაქცევაში ნიშანი [59].

პედაგოგიური რჩევა არც მკაცრ სასჯელს ერიდებოდა სერიოზული, საშიში დამნაშავის მიმართ.

I კლასის მოსწავლემ ნესტორ ადამიამ ლევორვერი მოიტანა სკოლაში პედაგოგი უნდა მოვკლა, რომელმაც „ერთი" დამისვაო. მიუხედავად იმისა, რომ ლევორვერი უვარგისი იყო, არ ისროდა, მოსწავლე გარიცხეს სკოლიდან [60].

საინტერესო საქმიანობას ეწეოდა სკოლა **პედაგოგთა კადრების ეროვნულ–საგანმანათლებლო პრინციპებით აღჭურვისათვის.** ყურადსაღებია ამ მხრივ სკოლის პირველი ინსპექტორის ალექსი ჭიჭინაძის პრაქტიკული საქმიანობა. იგი დაუფარავად, პირუთვნელად ამხელდა სუსტ მასწავლებლებს. ეხმარებოდა მათ და უშედეგობის შემთხვევაში აშორებდა სწავლა-აღზრდის სფეროს, კარგ პედაგოგს გზას უხსნიდა, პერსპექტივას უსახავდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მისამართით გაგზავნილ 1881-82 სასწავლო წლის ანგარიშში აშკარად იგრძნობა ავტორის ღრმად განსწავლულობა, პრინციპულობა, პედაგოგიური ალღო.

„როგორც საზოგადოთ, სხვა ჩვენი ქართველი მასწავლებლები, - წერს ის, არც ეს იყო მომზადებული სკოლისათვის (ლაპარაკია პედაგოგ მელიტონ ჭიჭინაძეზე) ქართული ენის უცოდნობა დაბრკოლებას აძლევდა გადაცემაში..."

„უმთავრესი ნაკლოვანება იმისი ის იყო, რომ ქართული სიმღერები არ იცოდა (მითითებულია გალობის მასწავლებლის მღვდელ ივ.

შავლაძის შესახებ. ამისათვის საჭირო იყო გვეძებნა უკეთესი მასწავლებელი და ეს დაგვეთხოვა“ [61] და დაითხოვეს კიდეც.

ეცნობა რა მკითხველი ალ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილ ანგარიშებს, პედაგოგთა დახასიათებებს, გრძნობს იმ დიდ პედაგოგიურ ტაქტს, რომელიც მისთვის იყო დამახასიათებელი, როგორც სკოლის ხელმძღვანელისათვის. ცალკეული ანგარიში წარმოადგენს სკოლის საქმიანობის სრულ სურათს, ცალკეულ წინადადებაში, ცალკეულ ფრაზაში ადვილად შეიძლება სამომავლო მიზნების ამოკითხვა. ანგარიშების გაცნობით აშკარაა მეთოდური დახელოვნების მიზნით სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები. იმავე სასწავლო წლის ანგარიშში ახალგაზრდა პედაგოგის სამსონ ყიფიანის ირგვლივ მსჯელობისას აღნიშნულია:

„ჯერ სრულებით არსად ჰქონდა მასწავლებლის პრაქტიკა და ეს გარემოება ემჩნეოდა პირველს მის გაკვეთილების მიცემას, არც სხვა საგნების მეთოდი ჰქონდა პრაქტიკულად გაცნობილი, მაგრამ საზოგადოდ მისი მომზადება, გონების გახსნილობა და მიმართულება იმედს გვაძლევდა, რომ ის კარგი მასწავლებელი დარჩებოდა, თუ შრომას არ დაიზარებდა“ [62].

ანგარიში მიუთითებს როგორ იზარდა ახალგაზრდა პედაგოგი, როგორ შეიძინა პედაგოგიური ტაქტი, როგორ დაეუფლა საგნის სწავლების მეთოდს, როგორ მიაღწია მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციას.

„მართლაც მალე შეითვისა საჭირო წესები სწავლებისა და კარგად გაუძღვა საქმეს. შეგირდებთან კარგად ეჭირა თავი. შეგირდები ხედავდნენ მას, როგორც მათთვის გულით მზრუნველს... ბატონ ყიფიანს შარშანაც და წელსაც საქმე რიგიანად მიჰყავდა“... [63].

„შეგირდებს ცუდათ ექცეოდა, ხშირად უყვირიოდა, დასცინოდა, როდესაც მოსწავლეს შეცდომა რამე მოუვიდოდა, მუდამ მოღუშული იყო კლასში, შიშით მოქმედებდა შეგირდებზე. უბრალო შეცდომა შეგირდისა მოთმინებიდან გამოიყვანდა. თუმცა იცოდა, რომ სასჯელს არ ვხმარობდით - და გაფრთხილებული იყო ამის შესახებ, მაგრამ მაინც ვეღარ მოითმინა და რამოდენიმე შეგირდს ცემა... მის

გაკვეთილებს (მელიტონ ჭიჭინაძეზეა ლაპარაკი) ხშირად ეტყობოდა, რომ მასწავლებელს არ ჰქონდა წინასწარ მოფიქრებული და განსაზღვრული კონსპექტი. გაკვეთილი არ იყო შეზომილი მის სინძელესთან, ყმაწვილების განვითარებასთან...“ ლავრენტი აგლაძის დახასიათებისას ნათქვამია „შეგირდებს რიგიანად ეპყრობაო“, სამსონ ყიფიანის დახასიათებისას „შეგირდებთან კარგად ეჭირა თავი, შეგირდება ხედავდნენ მას, როგორც მათთვის გულით მზრუნველს“ [64].

სკოლა ზრუნავდა ნიჭიერი, უნარიანი პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საიმედო კადრებს გზას აძლევდა უმაღლესი განათლების მისაღებად. ასე მოიქცა იგი სამსონ ყიფიანის შემთხვევაში და პეტერბურგში მიავლინა უმაღლესი განათლების მისაღებად.

პედაგოგთა მიღება სასწავლებელში ხდებოდა კონკურსით. 1883 წელს 4 ქალი აღმოჩნდა მასწავლებლობის მსურველი ერთ ადგილზე. გამოსაცდელი გაკვეთილები ჩაატარეს წესდების შესაბამისად. 2 მათგანი მოეწონათ, ორივე აიყვანეს სკოლაში სამუშაოდ ნახევარ-ნახევარ შტატზე. ერთი წლის გამოსაცდელი ვადა დაუნიშნეს, ვერ შეელივნენ კარგ კადრს.

სკოლა დარაჯად ედგა **სკოლისა და ოჯახის ერთიანობას** პრინციპის განხორციელებას. ბავშვის ქცევის ავ-კარგი მაშინვე ეცნობებოდა ხოლმე მშობლებს. სკოლამ იცოდა, რით სუნთქავდა მოსწავლის ოჯახი, რა შინაარსს ატარებდა და ეყრდნობოდა მათი ყოფა. გიმნაზიის პედკოლექტივი ერეოდა მოზარდათვის სწავლის უკეთესი პირობების შექმნის საქმეში. არაერთი კომისია იქმნებოდა მოსწავლეთა ცხოვრების დონის შესწავლის მიზნით, ეკონომიურად გაჭირვებულებს უწევდნენ ფულად და სამედიცინო დახმარებას, აძლევდნენ ტანსაცმელს, ამ საკითხებზე მსჯელობისას პედსაბჭო ყოველთვის გულისხმიერი იყო.

სწავლებისადმი სასწავლებლის კოლექტივის მიდგომა იყო **მაძიებლური.** განსაკუთრებით საყურადღებოა **მშობლიურ ენაზე სწავლების** განხორციელების მიზნით პედსაბჭოს მიერ გადადგმული

ნაბიჯები [65]. 1905 წლის 10 ივნისს პედსაბჭოზე (ოქმი №18) აღინიშნა, მინიმალური რეფორმა არ კმარაო და დაადგინეს:

1. „ყველა საგნის სწავლება ქართულად უნდა იქნეს, ხოლო რუსული უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკული სისტემით, როგორც საგანი.

2. სხვადასხვა საგნის პროგრამები უნდა შეიცვალოს იმ სახით, როგორც ამას ამ სკოლისათვის არჩეული კომისია საჭიროდ დაინახავს“ [66].

იმავე წლის 25 აგვისტოდან კვლავ რეფორმის შესახებ გაიმართა მსჯელობა. კომისიებმა შემოიტანეს წინადადება ყველა საგანი მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, რუსული ენა კი როგორც საგანი III კლასიდან დაემატოსო. ლათინური ენის სწავლებაზე უარი თქვეს, საღვთო სჯულისათვის განკუთვნილი საათები შეამცირეს (თითო კლასში - თითო გაკვეთილი). დაადგინეს, ამ გეგმის შესახებ სამზრუნველო კომიტეტს დავეკითხოთ, სადაც მოხერხდება პედაგოგთა ეროვნული კადრებით დაკომპლექტება, ვასწავლოთ ქართულად, სადაც არა რუსულადო, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს საკითხი შეეთანხმებინათ თავადაზნაურთა კრებისათვის (გიმნაზია ხომ მათი კერძო სასწავლებელი იყო).

1907 წლის 22 მაისს პედაგოგიურ რჩევაზე ისევე აღიძრა საკითხი გიმნაზიაში საგნების ქართულად სწავლების შესახებ. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავდა, დავიცვათ ჭეშმარიტი პედაგოგიური მოთხოვნა, რომელიც აღიარებს სწავლა-განათლების საქმის სამშობლო ენაზე წარმართვის აუცილებლობას. „არ მივხედოთ ზოგიერთ უფლებებს (მაგ. რუსეთის უნივერსიტეტში შესასვლელი ატესტატის მიღების უფლებას) ვიდრე ეს უფლებები შევირჩინოთ - და უცხო ენაზე სწავლება, ჩვენი მოზარდი თაობის გონების დამახინჯება განვაგრძოთო. თუ ვინცობაა მთავრობა ჩვენს მოსწავლეებს ატესტატის მიღების უფლებას არ მისცემს, იმ შემთხვევაში მშობლებს შეუძლიათ - შვილები საზღვარგარეთ გაგზავნონ და განათლება მიაღებინონო“ [67].

ბევრი მასწავლებელი, ცხოვრების პრაქტიკიდან გამომდინარე, შიშობდა, რომ ეროვნული განათლებით ცხოვრებაში ფეხს ვერ მოიკიდებდა მომავალი თაობა. მიუხედავად წინააღმდეგობისა პედსაბჭომ 1908 წლის 5 ნოემბერს კვლავ იმსჯელა სწავლების მშობლიურ ენაზე განხორციელების შესახებ და გადაწყვიტა, ყველა საგანი ესწავლებინათ მშობლიურ ენაზე, გარდა რუსული ენისა და ლიტერატურისა, რუსეთის ისტორიის და რუსეთის გეოგრაფიისა, საკითხს დავსვამთ და მთავრობა დაგვთანხმდებაო, სჯეროდა ბევრს. ცნობების შეგროვება ამ საკითხზე მიენდო პედაგოგთა ჯგუფს, იგი უნდა წარდგენოდა თავადაზნაურთა წარმომადგენლობას.

პედსაბჭოს მსჯელობის საგნად ხშირად იყო ქცეული პედაგოგთა და აღსაზრდელთა დატვირთვა. ყოველდღე მე-2 კლასში 6-6 გაკვეთილი ტარდება. უჭირთ მოსწავლეებს, გადატვირთულები არიანო და რჩევამ დაადგინა: ისე მოეწყოს გაკვეთილები, რომ დღეში 3-4 საგანი ექნეს მოსწავლეს მოსამზადებელი და მეტი არა. გაკვეთილების ამ პრინციპით განაწილება დაევალათ პედაგოგებს: ა. იოსელიანს, ს. ოცხელს, ს. ხუნდაძეს [68].

მოსწავლეთა გადატვირთვის თაობაზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ ლათინური ენა საჭირო იყო მათთვის, ვინც გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში რუსეთში აპირებდა გამოცდების ჩაბარებას. დაადგინეს, მე-5 კლასიდან დაეწყოთ ლათინური ენის სწავლება და არა ყველასათვის სავალდებულოდ [69].

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ცოდნის სისტემურობისა და სწავლების თანმიმდევრობის** მიზნით სკოლის პედაგოგები ადგენენ სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, შესწორებები შეჰქონდათ ადრე არსებულ ანალოგიურ დოკუმენტებში, თარგმნიდნენ და ქმნიდნენ სახელმძღვანელოებს ადვილიდან რთულისაკენ. ასე, ამგვარად, გამორიცხავდნენ მოსწავლეთათვის მიუწვდომელ მასალას, გადატვირთვას, ზუსტი თანმიმდევრობით გადაცემდნენ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს. აღნიშნულის დასადასტურებლად

ნაშრომში მოყვანილია ადგილები პედაგოგიური რჩევის ოქმიდან, მოგონებებიდან.

შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი რომ სკოლისათვის ახლობელი იყო, ამას ადასტურებს პედაგოგთა გამოსვლები პრესაში, მოქმედება სკოლაში და მის გარეთ, მოსწავლეთა ჩაბმა წრეებში, საგამომცემლო მუშაობაში, მონაწილეობა ღონისძიებებში, გაკვეთილზე ზეპირობის მეთოდის გამორიცხვა. მოზარდთა აქტივობის ზრდის და მასალის შეგნებულად ათვისების მიზნით მოსწავლეთა ძალებით არჩევდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ასამართლებდნენ ლიტერატურულ პერსონაჟებს, სასწავლო გეგმებიდან იღებდნენ რთულ, მოსწავლეთა ასაკისათვის შეუფერებლ მასალას, გადაღლის ასაშორებლად ამცირებდნენ გაკვეთილების ხანგრძლივობას, ათვისების ხარისხის გასაუმჯობესებლად შემოქმედებითად უდგებოდნენ გაკვეთილების მომზადების პროცესს. მეთოდურ აზრთა ურთიერთგაზიარება კოლექტივს ჩვევად ჰქონდა ჩამოყალიბებული. კარგად იყო გამოყენებული კლასგარეშე ლიტერატურით სარგებლობის საქმე. თვით მოზარდები პედაგოგთა ხელმძღვანელობით განაგებდნენ მოსწავლეთა საკლასო ბიბლიოთეკებს.

ნაშრომში მოყვანილია ამონაწერები წერილებიდან, რომლებიც ადასტურებენ, რომ თვალსაჩინოების პრინციპი სწავლებისა და აღზრდის მნიშვნელოვან პრინციპად იყო მიჩნეული. ოცხელს არ აკმაყოფილებდა არსებული თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები, მიმართავდა სხვადასხვა ისტანციებს ხელი შეეწყოთ ლაბორატორიის გასამდიდრებლად. საგნებზე და მოვლენებზე დაკვირვება კარგად ხორციელდებოდა საბუნებისმეტყველო საგნებში, გეოგრაფიაში, ისტორიაში. სკოლის პედაგოგთა მიერ შექმნლ სახელმძღვანელოებში კი სანიმუშოდ იყო ჰომარჯვებული დაკვირვებისა და დასურათების ხერხი, მოსწავლეებს უგეგმავდნენ ექსკურსიებს, გასეირნებებს, მოვლენებს აკვირდებოდნენ ღია ცის ქვეშ, ადგენდნენ კოლექციებს თვალსაჩინო სწავლების განსახორციელებლად.

უარყოფილი იყო მასალის პასიურად დამახსოვრება, მექანიკური დახსომება, ცოდნის მტკიცედ დაუფლებას ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც იგრძნობა საოქმო ჩანაწერებში, მოსწავლეთა შეფასების მკაცრ მაჩვენებლებში, პედაგოგიური რჩევის მასალებში, საანგარიშო მოხსენებებში, სტატისტიკურ მონაცემებში. „გაწმეორება ცოდნის დედაა" ეს აფორიზმიც კია გამოყენებული პედსაბჭოს ზოგიერთ ოქმში.

საყურადღებოა სკოლის პედაგოგთაგან მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისადმი **ინდივიდუალური მიდგომა.** ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი მოსწავლე, მისი სწავლისა და ქცევის დადებითი და უარყოფითი მომენტები. ძლიერი მოსწავლეები ყოველთვის სათანადოდაა დაფასებული აძლევენ სტიპენდიას, შემდეგ რეკომენდაციას სწავლის გასაგრძელებლად, ახალისებენ ადგილობრივი და საქალაქო პრესის საშუალებით, ცელქებს, ზარმაცებს კიცხავენ თვით სკოლიდან გარიცხვამდეც კი, მაგრამ ცდილობენ მშობლებთან კონტაქტით და არაერთი ნაცადი მეთოდით სწორად წარმართონ აღზრდის პროცესი. მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში მიმართავენ მკაცრ ზომებს. სასჯელის ფორმად მსუბუქი საშუალებებია გამოყენებული. უარყოფილია მოსწავლის ფიზიკური დასჯა, საკითხებისადმი მათი მიდგომა მაძიებლურია და შემოქმედებითი.

ამდენად, პედაგოგიკის ზოგად თანამედროვე პრინციპებს უზადოდ პასუხობდა გიმნაზიის კოლექტივი, რომელიც დაარსების პირველი დღეებიდანვე ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა მომავალ თაობას, საგანმანათლებლო საქმეს კი ყოველთვის მტკიცე მამულიშვილური პოზიციებიდან მართავდა სკოლაში და სკოლის გარეთ. ყველგან მიდგომა იყო შემოქმედებითი, ორიგინალური.

სასწავლო პროგრამებზე მუშაობის ზოგიერთი საკითხისათვის


პროგრამების გაანალიზება საკმაო ცნობას გვაწვდის სწავლების შინაარსზე. ჩვენ სავარაუდოდ ავირჩიეთ ქართული გრამატიკის, ლიტერატურის, ისტორიის და არითმეტიკის პროგრამები. ცალკეული მათგანი შევუფარდეთ თანამედროვე სკოლის შესაბამისი ასაკისათვის შედგენილ პროგრამებს და გამოგვაქვს დასკვნა, რომ მიუხედავად ქართულ სკოლა-გიმნაზიაში სწავლების დამაკმაყოფილებელი დონისა, თანამედროვე პროგრამები და გეგმები დიდმნიშვნელოვნად მაღალ დონეზე დგანან, ვიდრე იმდროინდელი პროგრამები.


თანამედროვე სკოლები ცენტრალიზებული წესით იღებენ პროგრამებს. რომელთაც თან ახლავს საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები. მეთოდკომისიებზე აზრთა გაზიარების შემდეგ პედაგოგები საკითხებს ანაწილებენ საათების მიხედვით. ქართულ სასწავლებელში კი რუსული პროგრამების შესაბამისად ადგენდნენ გეგმებს და მთლიანად პედაგოგის შემოქმედებით უნარზე იყო დაყრდნობილი მისი გაეროვნულება. ამდენად, მნიშვნელოვანი სხვაობაა ძველი და თანამედროვე სკოლების სასწავლო დისციპლინებსა და პროგრამებს შორის. წარსულში ისწავლებოდა განსხვავებული საგნებიც.

ძველი სკოლის დაწყებით კლასებში ცალკე დისციპლინადაა წარმოდგენილი „თვალსაჩინო სწავლება". მისი პროგრამა შეიცავს საკლასო ოთახის აღწერას საერთოდ და დანაწევრებული ფორმით. მაგალითად: კარი, ფანჯარა, **ფეჩი, სტოლი,** საკლასო **საწევრი ფიცარი, ბატის კალამი,** კალმის **საჭრელი დანა,** მელანი **დასაწერელი,** ქაღალდი, წიგნი, შედარებაა **სტოლისა** და დაფისა, ქაღალდისა და მელნისა. პროგრამა იხილავს შინაურ ფრინველებს და ცხოველებს რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანისათვის, ადამიანის სხეულის ნაწილებს, შეგრძნების ორგანოებს (სმენის, ხილვის, ყნოსვის და გემოვნების). ამავე პროგრამით მოზარდები ეცნობიან მცენარეებს, აღწერენ მას. იგივე პროგრამა ითვალისწინებს ბუნების მოვლენების შესწავლას, ექსკურსიებს, დაკვირვებებს და ა.შ.

ქართულ სასწავლებელში მოსწავლეები სწავლობდნენ საღვთო სჯულს. ძველად ცალკე დისციპლინად ისწავლებოდა „სამშობლოს აღწერა“, პროგრამა იწყებოდა ახლობელი ქუჩით, მხარით, მდინარით, ტყით, მთით და საქართველოს ყველა კუთხის აღწერა-შესწავლით. ჩვენს პირობებში დაახლოებით საქართველოს გეოგრაფიის შესწავლის შესაბამისობაში. გეოგრაფია კი ცალკე საგნად იყო წარმოდგენილი.

საინტერესოა ისიც, რომ ძველი სკოლის მე-2 განყოფილებაში შემოდის სასწავლებლად ფრანგული, ლათინური ენები, ისტორია, რუსეთის იმპერიის გეოგრაფია (ისწავლება ზოგადი გეოგრაფიაც) და წმინდანთა ისტორია





ქართული გრამატიკის შესწავლაც სულ სხვა მეთოდებით ხორციელდებოდა. ლიტერატურულ მასალას ერთვოდა გრამატიკული, ზოგჯერ იყენებდნენ არა მარტო ლიტერატურულ მასალას, სხვა საგნებისასაც. მაგალითად, III პროგიმნაზიულ კლასში პედაგოგ სილოვან ხუნდაძეს გამოყენებული აქვს ლიტერატურული მასალაც და ისტორიულიც (1887 წ.) [69].. მოსწავლეებს პედაგოგი აცნობს დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას, „დავითიანს“ და შემდეგ II თავად წარმოგვიდგენს უძველეს ეპოქას, ეგვიპტელებს და არგონავტებს, სკვითების შემოსევას, მაკედონელებს, ძველი საქართველოს გეოგრაფიას, რომაელთა შემოსევას, ფარნავაზ I-ს, ორგამგეობას, მირიან მეფეს და წმინდა ნინოს და III თავად გრამატიკული მასალა აქვს წარმოდგენილი - ეტიმოლოგია სინტაქსი, სიტყვათა წარმოება, ბრუნვები და ა.შ. [70].

არის შემთხვევები, როცა ქართული ენის პროგრამაში გათვალისწინებულია საკითხები ბუნებისმცოდნეობიდან. მაგალითად, მაიმუნი, ორაგულის ცხოვრება, გველი, კალია, ჭიანჭველა, ქვისა და მცენარის განსხვავება, ცხოველების და ადამიანის მსგავსება და განსხვავება, „ლუარააბის სიზმარი“, ქარი, წვიმა და ა.შ. [71]. ზოგჯერ

სუფთა გრამატიკული მასალაა პირველად მოცემული, შემდეგ დამხმარე სავარჯიშოები.

ასე რომ, სწავლების ერთიანი, მყარი მეთოდი ყოველთვის არ ჩანს. ცალკეული პედაგოგი საკუთარი მეთოდით ამუშავებს კლასებს.

თანამედროვე სკოლის შესაბამის კლასებში ქართული ენა (გრამატიკა) ცალკე საგნად ისწავლება და ლიტერატურული მასალა მხოლოდ ცალკეული წესის გამოყენების საილუსტრაციოდაა წარმოდგენილი, შერჩეულია მაღალ დონეზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა ტერმინოლოგიაში.

ე.ი. დღევანდელი სასწავლო პროგრამები სავსებით განსხვავდება სათავადაზნაურო სკოლის პროგრამებისაგან. არც პროგრამის აგებია პრინციპები ემთხვევა ერთმანეთს.

ქუთაისის ქშწკგ საზოგადოება და სკოლა-გიმნაზია

როგორც აღვნიშნეთ, ქართული სკოლა ქუთაისში დაარსდა ქშწკგ საზოგადოების ინიციატივით და მხარდაჭერით. „საზოგადოების" წესდება ითვალისწინებდა დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მოწყობას, ეთნოგრაფიული მასალის თავმოყრას და მოვლა-პატრონობას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებას, მუსიკის, სახვითი და თეატრალური ხელოვნების აღორძინებას.

მიზანდასახულება ეროვნული სულისკვეთების მატარებელი იყო და სწრაფად პოვა მხარდაჭერა ქვეყნის მასშტაბით. იმავე წელს ქუთაისის ინტელიგენციის რჩეული ნაწილი დიდი გულმოდგინებით გაეხმაურა „საზოგადოების" მიზნებსა და ამოცანებს. ყურადსაღებია, როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და ქუთაისის ქართულ სკოლა-გიმნაზიას შორის, რა სარგებლობა მოუტანა ამ ურთიერთობამ ერის სამომავლო საქმეს.

ქუთაისის ქართული სკოლა, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირმშო, ყოველთვის იჩენდა დიდ ყურადღებას საზოგადოების გამგეობის სადირექტივო მითითებათა მიმართ. „საზოგადოების" წინაშე ანგარიშვალდებული ქართული სკოლა ყოველწლიურ ანგარიშებს აგზავნიდა განსასჯელად. ასევე იგზავნებოდა პროგრამები, პედსაბჭოს ოქმები. გამგეობისაგან მიღებული სადირექტივო წინადადებები იხილებოდა სასკოლო რჩევებზე და ხორციელდებოდა ცხოვრებაში.

სკოლის ყველა პედაგოგი „საზოგადოების" დაარსების პირველი დღეებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის საქმიანობაში. ფაქტიურად სკოლა იყო საზოგადოების რეგიონალური ცენტრი. ის უწევდა ხელმძღვანელობას საგანმანათლებლო საქმიანობას იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და გურია-სამეგრელოში. ქუთაისელთა ინიციატივით იხსნებოდა სამკითხველოები შორაპნისა და ლეჩხუმის მაზრაში, გურიისა და სამეგრელოს რაიონებში, ვრცელდებოდა წიგნები, სახელმძღვანელოები. ადგილობრივი განყოფილების

თაოსნობით და ქართული სკოლისა და გიმნაზიის პედაგოგთა აქტიური მონაწილეობით არსდებოდა წიგნის გამომცემლობები, წრეები, ამხანაგობები, მათივე ძალისხმევით გაიმართა სტამბა.

სკოლის პედკოლექტივი მხოლოდ სასკოლო ცხოვრებით არ კმაყოფილდებოდა. მას ეროვნულ-საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული და სარბიელიც ფართო იყო, რადგან ეართულ ენაზე არსებული წიგნები და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი მინიმალურად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობას. დრო განათლებულ და საქმის მცოდნე ეროვნულ კადრებს ელოდა, იყო საშიშროება, ყველაფერი ეროვნული თანდათან მისცემოდა დავიწყებას, ქართულ ოჯახებს ქართული დავიწყებოდათ, ცარიზმი ქმნიდა საამისო წინაპირობებს. ასეთ სიტუაციაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი აქტივი თავს ვალდებულად თვლიდა, ეტვირთა წიგნის შექმნის, გამოცემისა და პროპაგანდის საქმე. 1884 წელს კირილე ლორთქიფანიძემ ქართული სკოლის მზრუნველთა კომიტეტის წევრმა და მოამაგემ წერილით მიმართა „საზოგადოების“ თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს. იგი თხოვდა ილიას, ხელი შეეწყო იმ წრისათვის, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ეგიდით იმუშავებდა. წრის წევრებად ნერილის ავტორი ასახელებდა: ქართული სკოლის ინსპექტორს ალექსი ჭიჭინაძეს, პედაგოგებს: სილოვან ხუნდაძეს, ესტატე მჭედლიძეს და ამავე სკოლის სამზრუნველოს წევრს საკუთარ თავს. მძიმე ცენზურის პირობებში მიზანი დროულად ვერ განხორციელდა. მაშინ მეორე ხერხს მიჰართეს ქუთაისელმა პედაგოგებმა. შექმნეს ქართული მწერლობის მოყვარულთა წრე. წრის შემადგენლობაში შედიოდნენ პედაგოგები: ალექსანდრე გარსევანიშვილი, თომა მთავრიშვილი, სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, პოლიაქტოზ კვიცარიძე და კირილე ლორთქიფანიძე. წრემ შეადგინა და გამოსცა „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“ ხუნდაძის წინასიტყვაობით. ამ ჯგუფმა მოამზადა და გამოსცა ალმანახი „ცდა“. აღნიშნული ჯგუფის აქტივობამ და რესპუბლიკური გამგეობის

მხარდაჭერამ განაპირობა ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის შექმნა. „ამხანაგობას“ წესდების მიხედვით მიზნად უნდა დაესახა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემა და გავრცელება. დაარსდა წიგნის გავრცელების აგენტურა. შეკრიბა ქუთაისელ მანდილოსანთა წრე, რომელიც საქალაქო სეირნობებზე, ალეგრებზე და სხვა ღონისძიებებზე ასობით წიგნს ავრცელებდა, ქალაქის ბაღში ჯიხურიც კი აიგო ქართული წიგნების სარეალიზაციოდ. მისი არსებობის მანძილზე „ამხანაგობამ“ 23 სახელწოდების წიგნი გამოსცა ქართულად და გაავრცელა 27000 ტირაჟით. გამოიცა გიორგი წერეთლის, მამია გურიელის, დუტუ მეგრელის, გრიშა აბაშიძის, ნინო ნაკაშიძის ნაწარმოებები, ითარგმნა და მკითხველს მიეწოდა საზღვარგარეთის ბევრი საბავშვო მწერალი. გამოცემულ იქნა ნ. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“, ბესარიონ ნიჟარაძის „სვანური ზღაპრები“ და სხვ.

საზოგადოების ადგილობრივი აქტივის და სკოლის პედაგოგების ინიციატივით ქუთაისში დაარსდა საკვირაო სკოლა, სადაც ხელოსნები, ნოქრები და სხვა სწავლის მსურველი იყრიდა თავს. სკოლამ საკითხავი წიგნის გამოცემა გადაწყვიტა და გამოსცა კიდევ 3 დასახელების „ყმათათვის საკითხავი წიგნი“, ზღაპრების კრებული, რომელიც მცირემცოდნეთათვის იყო განკუთვნილი.

ნაყოფიერად იმუშავა იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის ხელმძღვანელობით დაარსებულმა „საყმაწვილო წიგნების გამომცემელმა წრემ“, რომელიც თარგმნილი საყმაწვილო წიგნებით ცდილობდა ქართული ბიბლიოთეკის გამდიდრებას, რაც ხელს შეუწყობდა ოჯახებში ქართულად კითხვის დამკვიდრებას. წერდა კიდეც 1904 წლის 28 ნოემბერს პედაგოგი სილოვან ხუნდაძე იაკობ გოგებაშვილს: ორი თვეა დადის ქართველთა ოჯახებში და ემუდარება შექმნან საოჯახო ბიბლიოთეკები, წერილის ავტორი კმაყოფილია, გრძნობს ქართველთა ოჯახების მხარდაჭერას, იმედი აქვს, რომ ქართველი ნაიკითხავს ქართულ წიგნს.

თავის მხრივ კარგ წიგნებს ცემდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება (აქაც ი. ოცხელი, კ.

ლორთქიფანიძე, ს. ხუნდაძე ფიგურირებენ ხელმძღვანელებად). წიგნებს ცემდა და ავრცელებდა პედაგოგ თომა თავრიშვილის მაღაზია. ეს უკანასკნელი სუფთა ეროვნული სულის მატარებელი გამომცემლობა იყო - წიგნებიდან საკმარისია დავასახელოთ: „საქართველოს ისტორია“ (ს. ქვარიანი), „ვეფხფისტყაოსანი“, „ეროვნული შემოქმედება“ (ალ. ჯანელიძე), კრებული „ცხოვრება და მეცნიერება“ და სხვ.

იმ დიდმა ეროვნულმა ძალამ, რომელიც სკოლაში სუფევდა, მოსწავლეთა სამწერლო საგამომცემლო საქმის ამოქმედებაც გამოიწვია. მოზარდებმაც შექმნეს საკუთარი გამომცემლობა. აქ დაიბეჭდა გ. ერისთავის „ძუნწი“, ჰიუგოს „ძმა ძმის მტერი“ (გ. მჟავანაძის თარგმანი), მოპასანის „დამჩვალი“ (ლევან ასათიანის თარგმანი), კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი“ (ს. ლორთქიფანიძის თარგმანი). აშკარად ჩანს გიმნაზიის ეროვნულ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები ქართული წიგნის, ქართული პიტყვის, ქართული ბიბლიოთეკის გამდიდრების მიმართებით.

წიგნის პროპაგანდის საქმეს დიდად შეუწყო ხელი ქუთაისში სტამბის დაარსებამ (1913 წ.). სტამბამ საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოებასთან ერთად მოგებაც მისცა გაშგეობას, რამაც ასახვა ჰპოვა 1914 წლის ანგარიშში. სტამბის დაარსებიდან სულ ერთიოდე წლის მანძილზე გავრცელდა 7200 ცალი წიგნი. განყოფილებამ შეძლო მოეთხოვა რესპუბლიკის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვის ნებართვა. ეს ფაქტი ადგილობრივი სტამბის საქმიანობის სერიოზულობაზე მიუთითებს. სტამბის ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა გიმნაზიის პედაგოგებს ს. ხუნდაძეს და მ. დოლაბერიძეს.

ქუთაისის განყოფილების აქტიურობა კარგად ჩანს საზოგადოების საერთო საქმიანობის ფონზე. თბილისში ცენტრალურ გამგეობას აქ ჰქონდა საკუთრივ სტამბა, ქუთაისის განყოფილებამ შეძლო მისი შესყიდვა და ექსპლოატაცია. ყველა გრძნობდა ქართული გრამატიკული ნორმების დადგენის აუცილებლობას, მაგრამ ისეთი აქტივობა არავის გამოუჩენია ამ საქმეში, როგორც ქუთაისის განყოფილების გამგეობამ. ქუთაისის განყოფილების წევრთა კრებამ

თავისი ინიციატივით 1911 წლის 22 იანვარს დააყენა საკითხი ლინგვისტთა კრების მოწვევის შესახებ. აღნიშნული კრების მოწვევა უნდა შეძლებოდა ქართული მართლწერის ნორმების დადგენის და სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნას.

ინიციატივის ხორცშესხმა რესპუბლიკური მნიშვნელობის საქმე იყო და შესაბამისი ზემდგომი ორგანოს მხარდაჭერის გარეშე არ განხორციელდებოდა. ჩვენთვის საყურადღებოა, რომ დიდ ეროვნულ წამოწყებას ძირითადად ხელმძღვანელობდა გიმნაზიის პედკოლექტივი და „საზოგადოები"-ს ქუთაისის განყოფილების გამგე გიორგი ზდანოვიჩი, მხარში ედგნენ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების გაძგის მოადგილე სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი იოსებ ოცხელი, პედაგოგები: სამსონ ყიფიანი, თომა მთავრიშვილი, სილოვან ხუნდაძე, ისიდორე კვიცარიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, გიმნაზიის ექიმი სვიმონ ხეჩინოვი.

„საზოგადოების" წესდებაში ჩადებული იყო ძველი კულტურის ნაშთების ხელთნაწერების შეგროვება, წარსულის უტყუარ დადებით ტრადიციებზე თაობათა აღზრდა! ქუთაისში იმდენად დიდი გასაქანი მიეცა სიძველეთა შეგროვება-შესწავლის საქმეს, იმდენი ნივთიერი მასალა და ხელთნაწერი იქნა მოპოვებული, რომ დამოკიდებულ ერთეულად გამოყოფაც მოიწადინეს საქმის ერთგულმა თავკაცებმა იოსებ ოცხელის მეთაურობით.

გიმნაზიის მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულება თეატრისადმი, მუსიკისა და მასობრივი ხასიათის ღონისძიებებისადმი როგორც ეროვნული განათლების კერებისადმი, მეტად სერიოზული იყო. ბათ ისინი ცოდნის გაღრმავების საშუალებად ჰქონდათ აღიარებული, ამიტომ აუდიტორიის დიფერენცირებას მსმენელთა ცოდნის შესაბამისობაში ახდენდნენ იმ დონემდე, რომ ცალკეული სპექტაკლის, კონცერტის, პიესის შინაარსის გადმოცემა უძღოდა წინ ღონისძიებას, ხერხდებოდა მისი იდეური მხარის, დადგმის განხორციელების ხერხებისა და მეთოდების ნათელყოფა. ამ საქმესაც გიმნაზიის პედაგოგები ედგნენ სათავეში.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის კვალიფიციური ხელმძღვანელობის შედეგად ქართულ სკოლასა და შემდგომ გიმნაზიაში სასწავლო გეგმები და პროგრამები სრულდებოდა ნორმალურად. იყო აზრთა სხვადასხვაობა კადრების შერჩევისა და გადაადგილების საკითხებზე, ზოგჯერ წუნი ედებოდა ხელმძღვანელობასაც კი (20 წელიწადში 7 ინსპექტორი შეიცვალა), მაგრამ მოთხოვნა მაინც ერთნაირი იყო - სუფთა ეროვნული და მამულიშვილური.

საქველმოქმედო მიზნები, რომლებიც „საზოგადოებას" წესდებით ჰქონდა გათვალისწინებული, სკოლის ფარგლებში უზადოდ სრულდებოდა. ღარიბ მოსწავლეთა საჭიროებისათვის სახსრების გამოყენება ყოველდღიურ ზრუნვის საგნად იყო სკოლაში მიჩნეული.

როცა რუსეთის ცარიზმის ერთგულმა მოხელეებმა ქართველთა და მეგრელთა შორის შუღლი ჩამოაგდეს და მათი ურთიერთობის გაღვივება სცადეს „მოძალადე" ქართველებისაგან მეგრელთა „დაცვის" მიზნით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდი საზრუნავი გაუჩნდა. ასეთ დაძაბულ ვითარებაში საზოგადოების გამგეობას არავინ მისცემდა სამეგრელოში ახალი ქართული სკოლის დაარსების ნებართვას, ამიტომ გადაწყდა ძველ სენაკში დაარსებულიყო ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ფილიალი, რომელსაც სწავლა-განათლების გავრცელებასთან ერთად დაეკისრებოდა ქართველთა ერთიანობის განმტკიცების მისია. ძველი სენაკის სკოლა 1884 წელს დაარსდა. სკოლის ახალი საკუთარი შენობის საზეიმო კურთხევა მოეწყო 1885 წლის 27 ოქტომბერს. ზეიმს დაესწრნენ აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, ნიკოლოზ დადიანი და სხვები. მათ სკოლა ქართული კულტურისა და განათლების ცენტრად აღიარეს სამეგრელოში. ზეიმმა ცარიზმის გამარჯვებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო სახე მიიღო. ამ დღეს წარმოთქვა აკაკი წერეთელმა მისი ცნობილი სიტყვა: „აქ ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის, კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე

ქართველია, აქ გაიგებს მეგრელი, კერძოდ, ის მეგრელია, თავისი საკუთარი ფერის ჰქონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად იგივე ქართველია და თავისი კერძო მეგრულობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას".

როგორც ვხედავთ, სიტყვაში ხაზგასმულია საქართველოს ერთიანობის განმტკიცების ბუნებრივი აუცილებლობა. ისეთივე შთამაგონებელი სიტყვით მიმართა ამავე დღეს შეკრებილთ დიმიტრი ყიფიანმა.

ქუთაისის ქართულმა სკოლამ ძველ სენაკში ფილიალის დაარსებით გარკვეული მსხვერპლი გაიღო. ძველ სენაკში გადაიტანა ძირითადი სკოლის პარალელური კლასები, ერთგვარად შეზღუდა ჩასარიცხ მოსწავლეთა კონტინგენტი, პედაგოგთა ღირსეული წარმომადგენლებიც კი გაიმეტა ძველი სენაკის სკოლაში მისავლინებლად, საკუთარი ბიუჯეტიდან უნაწილებდა სენაკის სკოლას საარსებო სახსრებს. ასე ჩამოყალიბდა სენაკში ქართული ეროვნული განათლებისა და თვითშეგნების აღზრდის მძლავრი კერა და ერთიანი განუყოფელი საქართველოსათვის ბრძოლის შტაბ-ბინა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გასაშლელად ქართული სკოლის პედაგოგები კარგად იყენებდნენ საქალაქო და რეპუბლიკური პრესის ფურცლებს, პერიოდულ გამოცემებს, პირად შემოქმედებით პოტენციალს.

ამგვარმა მიზანმიმართულმა ურთიერთობამ შექმნა პირობები განათლებული ეროვნული კადრების აღსაზრდელად, გიმნაზიის არაერთი კურსდამთავრებული ერთგულად ემსახურა მშობლიური მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგს.

ქუთაისის ძირითადი მიმართულების ერთიანურ-საბანაობანთლებლივი მეშვიდის სქემა

სკოლა-გიმნაზია და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება

რუსეთის ცარისტული პოლიტიკის გავლენით შელახულ ეროვნულ გრძნობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან ემატებოდა ბრძოლის უნარი. რჩეულ მოღვაწეთა გამოსვლებმა აშკარა გახადა, რომ დავიწყებას ეძლეოდა საქართველოს სახელოვანი წარსული, ანწყო კი წალეკვით ეშუქრებოდა ყველაფერს ეროვნულს, ამიტომ იბრუნა პირი ქართველმა არისტოკრატიამ წარსულისაკენ და, რა იხილა წინაპართა სულიერი და მატერიალური კულტურის ამსახველი მდიდარი მასალა, დაინტერესდა, სიამაყის გრძნობა დაეუფლა, შთამომავლობისათვის შარსული დიდების შენარჩუნების სურვილით აენთო.

1900 წელს თბილისში ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე. დასახელებული წრის ბაზაზე 1907 წლის ივნისში დაარსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, შემუშავდა წესდების პროექტი, ჩამოყალიბდა საზოგადოების მიზნები და ამოცანები, იმავე წლის 20 სექტემბერს შედგა დამფუძნებელთა კრება.

„საზოგადოების“ საქმიანობამ ფართო მასშტაბი შეიძინა. რესპუბლიკის თითქმის ყველა მხარე ჩაება ამ ეროვნულ საქმეში. გროვდებოდა ძველი ხელნაწერები, არქეოლოგიური ნაშთები, საყოფაცხოვრებო ნივთები. „საზოგადოებამ“ ადგილებზე წარმომადგენლები გაიჩინა. ქუთაისში „საზოგადოების“ წარმომადგენლობა მიენდო ქართული გიმნაზიის დირექტორს იოსებ ოცხელს: „გაუწყებთ რა ამას, აქვე გაახლებთ „საზოგადოების“ ქუთათურ წევრთა სიას და გთხოვთ, თქვენს ნაცნობთა შორის ჩვენს საზოგადოებას ახალი წევრები მოუპოვოთ“ [7] წერდა ექვთიმე თაყაიშვილი იოსებ ოცხელს. წერილს თან ერთოვდა იმ

დროისათვის „საზოგადოების“ წევრთა სია ქუთაისიდან. მათი აბსოლუტური უმრავლესობა გიმნაზიის პედაგოგი იყო (სამსონ ყიფიანი, სვიმონ ქვარიანი, იოსებ და სვიმონ ოცხელები, სილოვან ხუნდაძე, თომა მთავრიშვილი, დავით მდივანი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, კონსტანტინე ბაქრაძე, სამსონ დათეშიძე, დიმიტრი უზნაძე, ტრიფონ ჯაფარიძე). პედაგოგების ძალისხმევით ქუთაისში თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა მასალამ. ქუთაისის ქართული გიმნაზიის კედლებში დაიბადა აზრი, ქალაქში დაარსებულიყო დამოუკიდებელი საქალაქო საზოგადოება. მოიწვიეს ინტელიგენციის წარმომადგენლები. 1911 წლის 4 დეკემბერს წარმომადგენლობა შეიკრიბა გიმნაზიის შენობაში, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისში „საზოგადოების“ დამოუკიდებელი განყოფილების ჩამოყალიბების შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილი პრინციპული წინააღმდეგი იყო ასეთი ნაბიჯის, რადგან ძალების დაქსაქსვის ეშინოდა, მაგრამ ქუთაისელთა შორეული მიზანი

ქალაქში მუზეუმის დაარსება, ამ ნაბიჯის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ექვთიმე თაყაიშვილი დასაშვებად თვლიდა ქუთაისში მუზეუმს, რომელშიც თავს მოიყრიდა თბილისში არსებული ხელნაწერების, წიგნების, სურათების ასლები. სწორედ ეს არ უნდოდა ქუთაისის ინტელიგენციას და ამიტომ აირჩია მოქმედების სხვა გზა.

გაზეთი „კოლხიდა“ ამ საკითხთან დაკავშირებით 1911 წლის №192-ში წერდა: „პირველ რიგში უნდა გადაწყდეს კოლექციების შეგროვების საქმე, ხოლო თუ სად იქნება იგი დაცული, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა...

...ყველას ერთი საქმე გვაქვს და მას უნდა ვემსახუროთ, პირადად ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თუ ქუთაისში ქართული მუზეუმი, ქართული გაზეთი თუ სხვა ქართული დაწესებულება გაჩნდება, ის ორი სხვადასხვა საქმისათვის სამსახურს არ ნიშნავს“ [73].

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1913-1915 წლების ანგარიში საინტერესო ცნობებს იძლევა მუზეუმის დასაარსებლად გაწეული საქმიანობის შესახებ.

საქალაქო გაზეთებში მოთავსებული პუბლიკაციები ნათელყოფენ

იმ ნაყოფიერ საქმიანობას, რომელსაც ეწეოდა ქართული გიმნაზია, მისი პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები. გიმნაზიის სამშრუნველოს წევრმა, შემდეგ თავმჯდომარემ და მდივანმა, კარგმა ქართველმა და მამულიშვილმა კირილე ლორთქიფანიძემ მისი პირადი ბიბლიოთეკა და არქივი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა. ქუთაისის მუზეუმში დაცულია მისი წერილები „საზოგადოების" ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარის ტრიფონ ჯაფარიძისადმი.

„როცა ქუთაისში ახალი კულტურული დაწესებულება დაარსდა, რომელსაც დიდი საჭიროება ჩვენი საზოგადოების წინაშე, სახელად „ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", ამ საზოგადოებას მე ვუძღვნი ყველა ზემოაღნიშნულ წიგნებსა და ნივთებს, იმედი მაქვს ამ საზოგადოებას ცოტათი მაინც გამოადგება" [74] - წერდა კირილე ლორთქიფანიძე.

1916 წელს აღნიშნული არქივი და მდიდარი ბიბლიოთეკა ქუთაისის „საზოგადოებას" გადაეცა. მისი ფონდი დღემდე ინახავს 1400-ზე მეტ დოკუმენტს და უნიკალურ წიგნებს, კერძო წერილებს ილიასთან, აკაკისთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან, დ. ყიფიანთან, ა. ფურცელაძესთან.

როგორც კირილე ლორთქიფანიძის, ასევე სხვა შემომწირველთა შესახებ სისტემატურად წერდა იმდროინდელი პრესა. კაჟის იარაღებიდან დაწყებული დამთავრებული ოქროსა და ვერცხლის ნივთებით თავს იყრიდა „საზოგადოების" საგანძურში, ძველ ხელთნაწერებს, ნუმიზმატიკურ კოლექციებს, სიგელ-გუჯრებს, მიურატისეულ ნივთებს (მარტვილიდან, სალხინოდან, გორდიდან), ფოტო მასალას ამუშავებდა საზოგადოების აქტივი, იცავდა ისტორიულ ძეგლებს, აწყობდა ექსპედიციებს, ითხოვდა სახსრებს დაზიანებულ ძეგლთა გასამაგრებლად. „საზოგადოება" მართავდა ლექციებს, აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ფოლკლორულ მასალას, მათ შორის სიმღერებს, გალობებს. გიმნაზიის პედაგოგი ტრიფონ ჯაფარიძე იდგა აღნიშნული

საქმიანობის დარაჯად. იგი ფეხდაფეხ დადიოდა სხვადასხვა მიმართულებით, აღრიცხავდა ისტორიულ ძეგლებს, აგროვებდა წარსულის საყურადღებო ნაშთებს, მოსახლეობაში ეწეოდა სამუზეუმო საქმის პროპაგანდას, ხალხთან კონტაქტის დიდი უნარით იყო დაჯილდოებული, ხალხსაც ესმოდა მისი და ასე ამყარდებოდა მისი მეთაურობით ქუთაისის სამუზეუმო საგანძური. ტრ. ჯაფარიძემ დიდი ღვაწლი დადო საეკლესიო განძის შენარჩუნებისა და სამომავლო გამოყენების საქმეს. აღნიშნული მიმართულების სულისკვეთებით ზრდიდა იგი მოსწავლეებს, უშუალო მონაწილეობას აღებინებდა მათ ისტორიული წარსულის შესწავლაში.

დღეს ქუთაისის მუზეუმში დაცული ნივთების რაოდენობა 150 ათას ერთეულს აღემატება. აქ მნახველს შეუძლია იხილოს პალეოლითური და ნეოლითური კულტურის ძეგლები, ქვის ხანის სამიწათმოქმედო, სამონადირეო და შინახელოსნური იარაღები, კოლხური ცულები, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები, ჭედური ხელოვნების ნიმუშები, არქიტექტურული ფრაგმენტები, ხელთნაწერი წიგნები, ხეზე და ქვაზე კვეთის, ოქროსმჭედლობის ნიმუშები. მუზეუმი იცავს კულტურულ-საგანმანათლებლო, საკველმოქმედო და სხვა საუწყებო დაწესებულებათა არქივებს, მწერალთა ავტოგრაფებს.

გიმნაზიის კოლექტივის დიდი წვლილია იმაში ჩადებული, რომ ქუთაისის მუზეუმი დღეს სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო კერაა და საცავი ისტორიის, მატერიალური და კულტურის ძეგლებისა ძველი კოლხეთის, ამჟამინდელი იმერეთის ტერიტორიაზე. მუზეუმის მუშაკები ამზადებენ და ცემენ წიგნებს, ტარდება სამეცნიერო სესიები, მუზეუმს კავშირი აქვს ქუთაისის საზოგადოების ფართო ფენებთან, მის ბაზაზე ღრმავდება ქუთაისში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მუზეუმში საიუბილეოდ დაცული ქართული გიმნაზიის მასალები.

წიგნის საგამომცემლო საქმე ქუთაისში და ქართული სკოლა-გიმნაზია

როცა მკვეთრი სახე მიიღო ეროვნული განათლებისათვის ბრძოლამ, როცა დასაშვები გახდა შრომა სამშობლო ენაზე სწავლების განხორციელების მისაღწევად, უამრავი წინააღმდეგობა აღიმართა ქართველ მოღვაწეთა წინაშე. სრულიად მოუმზადებელი იყო ერი ეროვნული სწავლების შემოღებისათვის: არ იყო სახელმძღვანელოები, არ იყვნენ ეროვნული განათლების მქონე პედაგოგები. ჟურნალმა „განათლებამ" კარგად გამოხატა მისი დამოკიდებულება ამ საქმისადმი.

„მთელს საქართველოში ერთი მასწავლებელიც არ მოიძებნება ისეთი, რომელსაც ეროვნული განათლება მიეღოს და მაშასადამე, ძალუძს მოსალოდნელ ეროვნულ სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლების წარმოება" [75] - წერდა ჟურნალი.

„შკოლა ჭეშმარიტ რუსთა პედაგოგებს ქართველი ერის გადასაგვარებელ იარაღად გადაუქცევიათ, აცდენიან ჭეშმარიტების გზაა და უძირო მორევში სცურავენ. ბუნებრივ ძალას, ბუნების შემოქმედებას ეომებიან" [76] - უთითებდა იგივე ჟურნალი.

ეჭებდა ქართველი საზოგადოება გამოსავალს, თავყრილობებზე, პრესაში გაისმოდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობის შესახებ. იაკობ გოგებაშვილის სასწავლო სახელმძღვანელოები დაწყებითი სწავლებისათვის ქმნიდნენ ნოყიერ ეროვნულ ნიადაგს, მაგრამ მეცნიერებათა საფუძვლების დასაუფლებლად სხვა გზის ძიება იყო საჭირო. აკი თქვა კიდეც იმედიანად კირილე ლორთქიფანიძემ 1880 წელს ქუთაისში გამართულ მასწავლებელთა კრებაზე:

„თუ კი არ გვქონია ჩვენ ქართველებს ეხლამდე სახელმძღვანელო წიგნები, ეს იმიტომ, რომ სწავლა სკოლებში მიდიოდა აქამდე რუსულ ენაზე, მაშასადამე მათი მოთხოვნილება არ ყოფილა. ეხლა კი რადგან დედა-ენაზე იქნება სკოლებში სწავლა, სრული იმედი არის, ყველა საგნების ტერმინები შემუშავდება და სახელმძღვანელოებიც გამოიცემა" [77].

რწმენა ჰქონდათ ქართველ მამულიშვილებს, თუ ეროვნული სკოლა ჩამოყალიბდებოდა, ქართველი პედაგოგები ყველაფერს იღონებდნენ მისი აღორძინებისათვის. ასეც მოხდა, თბილისსა და ქუთაისში დაიწყო მოძრაობა ქართული სახელმძღვანელოების შესაქმნელად, რუსულად არსებული წიგნების გადასათარგმნად, ქართული ტერმინოლოგიის დასამკვიდრებლად და სხვა. თანდათან ითრგუნებოდა აზრი, რომ ლექსიკის სიღარიბის გამო შეუძლებელი იყო ქართულ ენაზე სახელმძღვანელოთა გამოცემა, მშობლიურ ენაზე მეცნიერული აზრის მიტანა ალსაზრდელებამდე.

ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია მაშინვე ჩაება ქართულ ენაზე სახელმძღვანელოთა შექმნის მნიშვნელოვან საქმეში. ჟურნალი „განათლება“ წერდა:

„ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ერთ ჯგუფს დიდი მხნეობა ეტყობა, ეს ჯგუფი, სხვათა შორის სკოლებში სახმარ სახელმძღვანელო წიგნების შედგენასა და ბეჭდვას განაგრძობს, უნდა მოგახსენოთ, ამ მხრივ ქების მეტი არა გვეთქმის რა“ [78].

მართლაც, პედაგოგთა შრომის შედეგად შეიქმნა არა ერთი სახელმძღვანელო ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლეიშვილი, ი. ოცხელი, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე), რუსულ ენაში (გ. ახვლედიანი, ოცხელი),

საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში (ს. ქვარიანი, ვ. ყიფიანი, მ. გველესიანი, დ. კარიჭაშვილი, გრ. ნათაძე, დ. უზნაძე, ს. ყიფიანი),

არითმეტიკაში (ს. ოცხელი, ვ. ყიფიანი, ს. დათეშიძე, ა. შუბლაძე, ლ. ჩიმაკაძე), უცხო ენაში (ალ. თორაძე, გ. სვანიძე, მ. შევარდნაძე, ა. შუბლაძე, მ. ჩინჩალაძე, ჯ. ჯორჯიკია),

ფიზიკაში (ალ. ჯანელიძე, ა. ნიჟარაძე, ა. ოცხელი),

ალგებრა-გეომეტრიაში (ს. ოცხელი, ვ. ყიფიანი, ს. შარაშენიძე),

გეოგრაფიაში (ს. რობაქიძე, შ. სანიკიძე, დ. ქუთათელაძე, გ. ცაგარეიშვილი, ლ. ჩიმაკაძე),

ზოოლოგიაში (დ. ქუთათელაძე),

ბუნებისმეტყველებაში (ს. ქვარიანი, ივ. როსტიაშვილი),

სამართლის მეცნიერებაში (ი. ცინცაძე),

პედაგოგები ადგენდნენ სავარჯიშოებს, ამოცანათა კრებულებს არითმეტიკასა და ალგებრაში (ი. ოცხელი, დ. ლორთქიფანიძე, ა. მგალობლიშვილი, ს. ოცხელი, ნ. სვანიძე, ს. შარაშენიძე), ქრესტომათიებს ქართულ ლიტერატურაში (ი. ოცხელი, ს. ხუნდაძე, ბ. შამფორია, ა. ნიკოლაიშვილი).

ცალკეულ მწერალთა, ისტორიულ პირთა, მეფეთა ცხოვრების და შემოქმედების ამსახველ თხზულებებს (დ. კარიჭაშვილი, ს. ხუნდაძე, ვ. წერეთელი, ვ. ყიფიანი, პ. იოსელიანი, ს. ქვარიანი, ალ. გარსევანიშვილი), წერის დედნებს, მართლწერისა და ხატვის ნიმუშებს (ს. დათეშიძე).

მუსიკალურ ნაწარმოებებს - ნოტების თანდართვით (ნ. შარაბიძე, აკ. შუბლაძე, პ. მირიანაშვილი, ა. კვაჭანტირაძე).

სულ „ქართულ წიგნში" ფიქსირებულია წიგნის ავტორად გიმნაზიის 48 პედაგოგი-ავტორი, მათ მიერ შექმნილი, ნათარგმნი და გამოცემულია 232 წიგნი [79]. ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ ისინი ქართული ალმანახების, კრებულების რედკოლეგიებთან („ჭონგური", „ჩანგი", „ცდა", „სამშობლოსადმი"), თარგმნიდნენ უცხოურ და რუს მწერლებს (ს. ყიფიანი, ს. დათეშიძე, დ. უზნაძე, ა. გარსევანიშვილი), მკითხველს აცნობდნენ მითოლოგიის საუკეთესო ნიმუშებს, აგროვებდნენ ხალხურ სიბრძნეს, ხალხურ მუსიკას და ცემდნენ მათ წიგნებად (ა. მირიანაშვილი, ს. დათეშიძე, ს. ხუნდაძე).

სკოლის პედაგოგთაგან ხშირად იწერებოდა წინასიტყვაობები ამა თუ იმ მწერლის თუ ნაწარმოების მისატანად მკითხველამდე (ს. ხუნდაძე, ალ. თორაძე). მხედველობიდან არ რჩებოდათ მართლწერის (ს. ხუნდაძე), სოფლის მეურნეობის, ეთნოგრაფიის (ტ. ჯაფარიძე), მედიცინის (ვ. წერეთელი) და სხვა საკითხები და ყველაფერი ეს განკუთვნილი იყო არა მარტო ქუთაისის ქართული გიმნაზიისათვის, იგი ვრცელდებოდა რესპუბლიკის მასშტაბით.

პედაგოგთა ავტორობით შექმნილ ბევრ წიგნსა და სახელმძღვანელოზე, ბევრ მეცნიერულ გამოკვლევაზე სერიოზული

პოლემიკა იმართებოდა რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. ზოგიერთ მათგანზე გაორებული აზრი იყო გავრცელებული. პედაგოგების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოს „გუთანის“ შესახებ ჟურნალ „განათლებაში“ ილ. ალხაზიშვილი წერდა: „მთავარი ღირსება აქ ის არის, რომ ენის შედგენილობა, მისი კონსტრუქცია წმინდა ქართულია, ქართლურია - არც რუსიციზმი და არც ბარბარიზმი, არც თუ სხვა რამე ჯანდაბაა“ [80], მაგრამ ის მაინც უწუნებდა ავტორებს აქა-იქ პროვინციულ გამოთქმებს და ზოგიერთი მომენტის დაუსურათებლობას.

ლადო ბზვანელის აზრით, კრებული მხოლოდ ოჯახში საკითხავ წიგნად თუ გამოდგება, ია ნასიძე კი კატეგორიულად მოითხოვდა, კრებულს „აყრილი ექნეს უფლება როგორც სკოლაში ისე ოჯახშიაც, მხოლოდ შეუძლიან მასწავლებლებმა იქონიონ, არა სახელმძღვანელოდ, არამედ ზოგიერთი საყურადღებო ცნობების, თუ ნაწარმოებთა ამოსაღებად, რომელნიც აქა-იქ მოიპოვებიან მასში, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნებიც“ [81].

როგორი მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო კრიტიკა, „გუთანმა“ დიდი ღირებულების ფუნქცია შეასრულა, როგორც ორიგინალურმა ქართულმა სახელმძღვანელომ. მაშინვე აისახა ეს აზრი გამოცემებში, 1911 წელს მე-11 შესწორებულ გამოცემას წამძღვარებული ჰქონდა ასეთი განმარტება: „ჯეროვანი მთავრობის მიერ ეს წიგნი გამოცემულია სახელმძღვანელოდ ყველა შკოლათათვის, სადაც ქართულ ენას ასწავლიან და ქუთაისის ეპარქიის სასულიერო შკოლათათვის“. მომდევნო თაობათა შეხედულება ამ ნაშრომის ირგვლივ დროით არის შემოწმებული და რეალურ სურათს იძლევა. დოცენტი ტ. ყურაშვილი აანალიზებს რა „გუთანს“, აღნიშნავს, რომ ის 4 საყურადღებო განყოფილებისაგან შემდგარი კრებულია. თავები „კაცთა შორის“, „ცხოველთა შორის“, „მცენარეთა შორის“, „4 სტიქიის საიდუმლო“ ნათელ წარმოდგენას აძლევს მოზარდს სამყაროს შესახებ. კრებულში მოთავსებულია არაკები, ლექსები, აღწერილია მცენარეთა და ცხოველთა საფარი, სახელმძღვანელო საინტერესოდ, ნათელი მაგალითებით ასწავლის მოზარდებს

ურთიერთობას ოჯახში, სკოლასა და მის გარეთ, ადამიანის ფუნქციას სამშობლოში, დამოკიდებულებას ადამიანსა და ბუნებას შორის. მრავალფეროვანი მასალაა მოცემული მშობლიური ენის შესასწავლად. იგი მხატვრულად და ემოციურადაა შერწყმული ურთიერთშორის. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მასალა, გათვალისწინებულია ბავშვის თანდათანობითი, თანმიმდევრული და სისტემატური განვითარების პრინციპი, მისი მეტყველების ეტაპები, მასალის განსამტკიცებლად თვალასჩინოების გამოყენების როლი და ა.შ. ამავე ავტორის აზრით კრებულში „ახსნითი კითხვის პრინციპია გამოყენებული“. როგორც ვხედავთ, სახელმძღვანელო ითვალისწინებს სწავლა-აღზრდის პრინციპებს, აკმაყოფილებს მოთხოვნას [82].

ქართული სკოლის პედაგოგები ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდნენ. სამსონ ყიფიანმა თარგმნა შექსპირის: „ოტელო“, „ჰამლეტი“, „მეფე ციმბელინი“, ნ. ღოღობერიძემ - მარი ბროსეს „საქართველოს ისტორია“, ს. ხუნდაძემ სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“, დ. უზნაძემ „ისლამი და არაბთა სახელმწიფო“, „მაჰმადი და მისი მოღვაწეობა“, თ. მთავრიშვილმა - „პესტალოცის ცხოვრება“, ს. რობაქიძემ - მაქსიმ გორკის მოთხრობები. ამით ისინი აახლოებდნენ ქართველ მკითხველს უცხოელ ავტორებთან, აცნობდნენ მათ შემოქმედებას.

გიმნაზიის პედაგოგები ცდილობდნენ გამოეცათ სახელმძღვანელოები სხვა ენებზეც. მაგ. რუსულ ენაზე გამოვიდა ი. ოცხელის სახელმძღვანელო „ნოვოე სლოვო“, მ. ჩინჩალაძის „მოკლე ლათინური გრამატიკა“, გ. სვანიძის და მ. შევარდნაძის „ფრანგული და გერმანული ენების სახელმძღვანელო“. ვერ ვიტყვით, რომ ისინი უნაკლონი იყვნენ, მაგრამ იმ პერიოდისთვის მათი გამოცემა პროგრესული მოვლენა იყო. გაორებული აზრიც ამიტომ ფიგურირებდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მაგალითად, ი. ოცხელის „ნოვოე სლოვოს“ მაღალი შეფასება მისცა გაზეთებმა „სამშობლომ“ და „საქართველომ“, ჟურნალმა „განათლებამ“ კი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იგი. გაზეთ „სამშობლოში“ და „საქართველოში“ ოცხელის

ქება-დიდებაა, თითქოს ამერიკა აღმოეჩინოს წერს ჟურნალ „განათლებაში“ ლუარსაბ ბოცვაძე - არცერთი მოთხრობა არც იდეით, არც სიტყვების განმეორებით ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, თითო მათგანი სულ სხვადასხვა კავშირის განცალკავებულს მასალას წარმოადგენს და ყველასათვის ცხადია, თუ ასეთი ნაფლეთ-ნაფლეთი, უკავშირო მასალები რა სულიერ საზრდოს უნდა შეადგენდეს ბავშვისათვის ან რამდენად მკვიდრი იქნება ეს მასალა მოწაფის მეხსიერებაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი აშენებულია ჯერ კიდევ სუსტად შეთვისებულ, ხელდახელ წაკითხულ მასალაზე და არა უკვე ნაგრძნობსა და მეხსიერებაში დამკვიდრებულზე“ [83].

მიუხედავად ასეთი დაუნდობელი გაკრიტიკებისა, „ნოვოე სლოვო“ ანალოგიურ სახელმძღვანელოთა მომავალ ავტორებს წინ უძღოდა როგორც კარგისა და ცუდის მკვეთრად გარჩევის საშუალება. სახელმძღვანელოთა დახვეწა კი დღემდე გრძელდება.

ქართული გიმნაზიის კოლექტივი დაარსების პირველი დღეებიდანვე ეროვნული განათლების გავრცელების პოზიციიდან უცქერდა მოვლენებს. პედაგოგთა უმრავლესობის ღრმა ცოდნა და ქვეყნის წინაშე საკუთარი მოვალეობის შეგნება არა ერთ მნიშვნელოვან სახალხო საქმეს უყრიდა საფუძველს, რითაც სასწავლებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კერად იყო ქუთაისში გადაქცეული. ქართული სკოლის კედლებში დაიბადა აზრი ქართული მწერლობის მოყვარულთა წრის ჩამოყალიბების შესახებ. წრეს სათავეში ჩაუდგა პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი. აღნიშნული წრის პირმშო იყო ალმანახი „ცდა“, რომელიც სამ ტომად გამოიცა 1889-91 წლებში. ალმანახის აქტიური ავტორები იყვნენ ქართული სკოლის პედაგოგები: ალ. გარსევანიშვილი, თ. მთავრიშვილი, სილ. ხუნდაძე, ს. ყიფიანი, ა. კვიცარიძე. ამავე ჯგუფმა გამოსცა 1889 წელს ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“, პედაგოგ სილოვან ხუნდაძის წინასიტყვაობით „ქართული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ“.

წრის წევრების აქტივობით დაჩქარდა წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის შექმნა. 80-იან წლებში ასეთი ამხანაგობის შექმნას

მოითხოვდა კირილე ლორთქიფანიძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაბმარებით [84], მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაიარა, ამჯერად პედაგოგთა ჯგუფმა მიაღწია ოფიციალურ ნებართვას ქუთაისში დაარაჯებულიყო „ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა“. „ამხანაგობის“ წესდება მიუთითებს, რომ მის ძირითად მიზანს შეადგენს ქართველი მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემა, ამით ქართული მწერლობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობა ქართველი ხალხია სასარგებლოდ. „ამხანაგობა“ 200-ზე მეტ წევრს აერთიანებდა. მის აქტივში ირიცხებოდნენ პედაგოგები: ს. ხუნდაძე, ალ. გარსევანიშვილი, ს. ოცხელი, ს. რობაქიძე, პ. კვიცარიძე, ყ. დათეშიძე, ს. ყიფიანი, ი. ნიკოლაიშვილი, დ. ოყრეშიძე. გამგეობის წევრებიც ძირითადად ქართული სკოლის პედაგოგები იყვნენ. 1899-1914 წლებში ამხანაგობამ 20 სახელწოდების წიგნი გამოსცა, მათ შორის აღსანიშნავია გიორგი წერეთლის თხზულებები სამ ტომად, მამია გურიელის (ფაზელის) თხზულებათა ერთტომეული, ს. ბარათოვის (ბარათაშვილის) „საქართველოს ისტორია“ (თარგმნა პედაგოგმა სილოვან ხუნდაძემ. წიგნს დიდი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა), ბესარიონ ნიჟარაძის „სვანური ზღაპრები“, დუტუ შეგრელის (ხოშტარიას) „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, თ. ხუსკივაძის „ლევან ბატონიშვილი“ და სხვა.

ქუთაისში დაარსებულ საკვირაო სკოლას, რომლის მასწავლებელთა უმრავლესობა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიიდან იყო, საკუთარი გამომცემლობა ჰქონდა. სკოლაში თავს იყრიდნენ მცირეჰცოდნე ხელოსნები, ნოქრები და სხვა სწავლას მოწყურებული მოქალაქენი, ამიტომ კურსებთან არსებულ გამომცემლებს მცირეჰცოდნეთათვის საჭირო წიგნების გამოცემა ჰქონდათ განზრახული. მათ გამოსცეს ვ. ჟუკოვსკის „კაპიტანი ბოპპი“, „მფარველი ანგელოზი“, „მეფე მალიასი და მისი მწყემსი“.

გიმნაზიის პედაგოგის სიმონ ქვარიანის ინიციატივით ჩამოყალიბდა გამომცემლობა „ზვარი“, ამავე სახელწოდების ამხანაგობის ბაზაზე. მისი წიგნი „ნამყენი ვაზით ვენახის გაშენება“ ამ გამომცემლობის მეშვეობით მიიღო მკითხველმა.

ქართული სკოლის პედაგოგების - იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის მიერ 1903 წელს დაარსებული „საყმაწვილო წიგნების გამომცემელი წრე" თარგმნიდა საბავშვო წიგნებს. მთარგმნელებით მუშაობას სხვებთან ერთად ეწეოდნენ კირილე ლორთქიფანიძე, თომა მთავრიშვილი, ლაზარე ხმალაძე.

1905 წელს წრემ გამოსცა საყმაწვილო წიგნების კატალოგი, რომლის მიხედვით შეიძლებოდა საოჯახო ბიბლიოთეკის შედგენა. კატალოგს წამძღვანებული ჰქონდა შესავალი წერილი „ქართველ მშობელთა საყურადღებოდ", სადაც ხაზგასმული იყო ოჯახის როლზე ქართული ენის შესწავლის საქმეში. წრემ მნიშვნელოვანი ხარკი გაიღო ქართული საბავშვო ლიტერატურის განსავითარებლად.

1908 წელს პედაგოგებმა იოსებ და სიმონ ოცხელებმა პედაგოგ თომა მთავრიშვილთან ერთად დააარსეს ამხანაგობა-გამომცემლობა, რომელმაც გამოცემასთან ერთად წიგნის გავრცელებაც იკისრა.

1909 წელს ქუთაისში „ქშნკგ" საზოგადოების განყოფილების შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი სახელწოდების გამომცემლობაც შეიქმნა. იქ გამომცემლობის თავკაცთან გ. ზდანოვიჩთან ერთად მოღვაწეობდნენ გიმნაზიის პედაგოგები: იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, კირილე ლორთქიფანიძე. გამომცემლობამ გამოსცა ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები, სილოვან ხუნდაძის „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები" ქართველი მწერლების შესახებ.

გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა და მისმა ძმებმა დააარსეს „წიგნის მაღაზია". მაღაზიას წიგნის გავრცელებასთან ერთად წიგნის გამოცემაც ჰქონდა დაკისრებული. გამომცემლობამ დააარსა წიგნების სპეციალური სერია „საისტორიო ბიბლიოთეკის" სახელწოდებით. სერიას დიმიტრი უზნაძე ხელმძღვანელობდა. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია" ოცხელების გამომცემლობამ სამჯერ გამოსცა. ამავე გამომცემლობაში დიდი ყურადღებით იყო მოსილი საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საკითხები. მათვე გამოსცეს „პირველი დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე" სახალხო სკოლებისათვის.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგთა დიდი ნაწილი მოღვაწეობდა გამომცემლობა „განათლების“ (1917 წ.) და „შკოლის“ (1918 წ.) მუშაობაში. ამ გამომცემლობებმა გამოსცეს სკოლის პედაგოგების სიმონ ოცხელის „მათემატიკა“ დ. დონდუას თანაავტორობით, ს. რობაქიძის „გეოგრაფია“, დ. უზნაძის „მსოფლიო ისტორია“ და სხვა სახელმძღვანელოები. დასახელებულ გამომცემლობებს შემდეგ გამოეყო მასწავლებელთა კოოპერატიული ამხანაგობა „მერანი“ (1918-20), რომელმაც რამდენიმე სახის სახელმძღვანელოს გამოცემა იკისრა.

როცა ქართული გიმნაზიის პედაგოგთა მიერ დაარსებული გამომცემლობების ნაყოფიერ საქმიანობაზე ვსაუბრობთ, თითქოს არაფერია საკვირველი. გიმნაზია ეროვნული განათლების კერა იყო და პედაგოგთა მთელი შემადგენლობა საამისო იდეებს ემსახურებოდა, მათ მიერ დაარსებული გამომცემლობებიც მრავალმხრივ განათლებული ეროვნული კადრების აღზრდის ამოცანისთვის იყო გამოყენებული, ამიტომ თანამედროვე მკითხველი რეალურად ხედავს მათი შრომის შედეგებს.

საკვირველი ისაა, რომ გიმნაზიის მოსწავლეებმაც მოახერხეს გამომცემლობის დაარსება. ის დიდი ძალისხმევა, რომელსაც გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი ეწეოდა მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სიყვარულის დასანერგად, ერთგვარად აირეკლა მოსწავლეთა ამ გამომცემლობის მიშაობაში. აქ გამოიცა: გ. ერისთავის „ძუნწი“, კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი“, გი დე მოპასანის „დამხჩვალი“, ვ. ჰიუგოს „ძმა ძმის მტერი“, ზღაპრები და სხვა, სულ 30-მდე ორიგინალური თუ ნათარგმნი წიგნი. მთარგმნელობით საქმიანობაში პედაგოგებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ მოსწავლეები.

როგორც აღვნიშნეთ, გიმნაზიას საკუთარი გამომცემლობები ჰქონდა, მაგრამ მისი პედაგოგები თანამშრომლობდნენ სხვა გამომცემლობებთანაც. მაგ: 1903 წელს ი. ხეთერელის წიგნის მაღაზიამ გამოსცა პედაგოგ დომენტი თომაშვილის „საყმაწვილო ლექსები“ - კრებული. ჟურნალ „აკაკის კრებულის“ გამომცემლობამ პედაგოგ

სიმონ ქვარიანს გამოუცა მოთხრობა „ანჟელინა“, ვაჟილ ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიის გამომცემლობამ გამოსცა პედაგოგ სილოვან ხუნდაძის ლექსები - „სიმები“, „ჩემი აზრი და ფიქრები“, „ქართული გრამატიკა“.

გამომცემლობა „ნარგიზის“ გამოცემული ერთადერთი წიგნია ფიქსირებული და ისიც ქართული გიმნაზიის პედაგოგის ჯაჯუ ჯორჯიკიას შემოქმედებას ეძღვნება. ასევე სახალხო უნივერსიტეტის გამომცემლობის შემთხვევაში ფიქსირებულია მხოლოდ პედაგოგ ალექსანდრე გარსევანიშვილის წიგნი „ტარას შევჩენკო“. კერძო პირების, ჭილაძეების გამომცემლობის მეშვეობით გამოიცა სილოვან ხუნდაძის „ქართული ზმნები“.

არსებულ გამომცემლობათა შესაძლებლობებს კარგად იყენებდნენ პედაგოგები არა მარტო სახელმძღვანელოების, არამედ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად. მკითხველიც ინტერესით კითხულობდა დავით კარიჭაშვილის მოთხრობებს, სილოვან ხუნდაძის პოემებს, ლექსებს, მოთხრობებს, დომენტი ოყრეშიძის ლექსებს და საყმაწვილო ნაწარმოებებს, ჯაჯუ ჯორჯიკიას, სიმონ ქვარიანის პროზაულ ქმნილებებს, სამსონ ყიფიანის, იასონ ნიკოლეიშვილის ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს. საინტერესო რეზონანსი ჰქონდა სკოლის პედაგოგის, ცნობილი ლოტბარის ნიკ. შარაბიძის მიერ შედგენილ „ქართულ ეროვნულ სამხმოვანს სიმღერათა კრებულს“ ნოტებითა და განმარტებებით. გიმნაზიის პედაგოგთა ძალებით სხვადასხვა დროს იქმნებოდა მეცნიერული შრომები. ამ მხრივ საინტერესო მემკვიდრეობა დატოვეს გიმნაზიის პედაგოგებმა: გ. ახვლედიანმა, დ. უზნაძემ, ვ. ბერიძემ, ს. ხუნდაძემ, ალ. ჯანელიძემ, მ. საღარაძემ, ბ. ნიჟარაძემ, პ. იოსელიანმა, ს. ქვარიანმა, ნ. შარაბიძემ.

გიმნაზიის პედკოლექტივი მთელი არსებით იყო ჩაბმული ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შეკუშავების საქმეში. გიმნაზიის პედაგოგ სიმონ ეზიკაშვილის ქალიშვილი, ლიანა ეზიკაშვილი-უგრეხელიძისა კარგად გადმოსცემდა, რა ცხარე კამათი გაიმართებოდა ხოლმე სახელმძღვანელოების შექმნითა და ქართული

ტერმინოლოგიის დაძგენით გატაცებული პედაგოგების თავყრილობებზე მათ ბინაში, როგორი შემართებით ეძიებდნენ ისინი შესატყვის ფორმას ამა თუ იმ აზრის გამოსახატად, როგორ გრძნობდნენ მთელი არსებით, რომ სამსახურს უწევდნენ ქართული ენის შემდგომ განვითარებას, მეცნიერული აზრის მშობლიურ ენაზე გამოხატვას. ამ დროს შეიქმნა საქართველოში მათემატიკის, ბიოლოგიის, ტექნიკური, იურიდიული, კომერციული, სამედიცინო ტერმინოლოგიის ლექსიკონები. იყო ქართული მეცნიერული სიტყვის დეფიციტი და გიმნაზიის პედკოლექტივი თავს ვალდებულად თვლიდა წვლილი შეეტანა ამ საშვილიშვილო ეროვნულ საქმეშიც.

ქუთაისის ძველთული მიწაზეის საბამთავლო მუზეუმის სქემა

ქართული გიმნაზია და სახალხო უნივერსიტეტი

ძნელი იყო ცარიზმის ბატონობისას, რევოლუციური გამოსვლებით შეშფოთებული მთავრობის თვალწინ ეცადა ვინმეს ეროვნული კერის გაღვივება, მაგრამ ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა იკისრა სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზება და 1909 წლის 29 ნოემბერა დაარსდა ქუთაისში კიდევ ერთი მძლავრი საგანმანთლებლო ობიექტი. 1910 წლის 31 იანვარს ქალაქის თეატრში გაიმართა პირველი ლექციების კითხვა. დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე" წერს, რომ ეროვნული გრძნობის გააქტიურების საშუალებად მოევლინა უნივერსიტეტი ქუთაისს და ხაზგასმით მიუთითებს პედაგოგ ალ. გარსევანიშვილის ღვაწლზე. „მან (ა. გარსევანიშვილმა. მ.ა.) თავდადებით განიზრახა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება... მე დღესაც მიკვირს, როგორ გამოსტყუა გარსევანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა, როგორ მოიპოვა საშუალება ფართო მასასთან მისასვლელად" [85].

ქართული ორიენტაციის სახალხო უნივერსიტეტის ფუნქციონირებას უამრავი წინააღმდეგობა ეღობებოდა. უპირველესად ძნელი იყო ლექტორთა კონტიგენტის შერჩევა, გარუსების გზაზე მდგარ მამულიშვილთა შორის ძნელად მოიპოვებოდნენ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ქართულ ენაზე შეძლებდნენ ლექცია-მოხსენებების საჯაროდ წაკითხვას. ამ შემთხვევაში იმძლავრა ქართული გიმნაზიის კოლექტივმა. ალექსანდრე გარსევანიშვილს გვერდით დაუდგა ქართველ პედაგოგთა რჩეული ჯგუფი, სამშობლოს სიყვარულითა და ენთუზიაზმით ანთებული ადამიანების მთელი წყება. „ქართული გიმნაზია თავის კამგიდან, დაუვიწყარი იოსებ ოცხელიდან უკანასკნელ მასწავლებლამდე შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსების, ერთგვარი იდეით გატაცებულით, რომელნი განსხვავებული გატაცებით მუშაობდნენ მომავალი თაობის

აღსაზრდელად“ [86]. ეს ენთუზიასტები მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობით ვერ კმაყოფილდებოდნენ, ყოველდღიურ ძიებაში იყვნენ, რომ საზოგადოებრივი აზრისათვის შთაებერათ ეროვნული სული, ამიტომ დაუკავშირდა თითქმის მთელი კოლექტივი საუნივერსიტეტო საქმიანობას და გაიკაფა ფართო მასებამდე მისასვლელი გზა. ამას მოყვა ქალაქის ინტელიგენციის სხვა სფეროში დასაქმებულთა გააქტიურებაც. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეულ ლექტორებს უჭირდათ ქართულ ენაზე მეცნიერებათა ამა თუ იმ სფეროს შესახებ საუბარი, თავს ძალას ატანდნენ.

„საზოგადოდ უძნელდებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა, - სხვადასხვა საგნების კითხვა, ხომ უარესი ააძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებად მოსაწვევ პირებს, აღი აღანთო მათში გაჩაღებული ცეცხლის და... შესაძლო გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი“ [87].

უნივერსიტეტში ლექციები იმართებოდა ყოველ კვირას, შუა დღით. დავით კლდიაშვილის აღწერით უნივერსიტეტის გახსნის დღე ქუთაისში სახალხო ზეიმად იქცა. თეატრი ვერ იტევდა თურმე მოზღვავებულ ხალხს. შეკრებილი საზოგადოება ერთმანეთს ულოცავდა ახალი საქმის დასაწყისს. უნივერსიტეტის დაარსება მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას ცნობილმა ვექილმა, უნივერსიტეტის გამგეობის მაშინდელმა თავჯდომარემ მოსე ქიქოძემ, უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორმა პედაგოგმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა და სხვებმა.

უნივერსიტეტის მსმენელებმა პირველი ლექციები თეატრში მოისმინეს, რეზიდენციად კინო „რადიუმის“ შენობა ჰქონდათ. შემდგომ წლებში თეატრში გადაინაცვლეს. კინოსა და თეატრის ადმინისტრაცია უფასოდ უთმობდა დარბაზს უნივერსიტეტს მეცადინეობათა ჩასატარებლად. მოსე ქიქოძის შემდეგ უნივერსიტეტის გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე იყო გიმნაზიის პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი, მოადგილედ მწერალი დავით კლდიაშვილი იქნა არჩეული. ა. გარსევანიშვილი უნივერსიტეტში

მის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა. მოგონებაში იგი წერს: „ჩემი საზოგადოებრივი მუშაობის უკეთეს ხანად მე ვთვლი იმ პერიოდს, როცა დავიწყე მუშაობა ახლად დაარსებულ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში“ [88].

უნივერსიტეტში ლექციები იკითხებოდა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის, საქართველოს, რუსეთის და მსოფლიო ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, კანონმდებლობის, პედაგოგიკის საკითხებზე, იმართებოდა დილა-საღამოები, დისპუტები, ლიტერატურული გასაჯართლებები, ზოგიერთი ლექცია და მოხსენება იბეჭდებოდა პრესაში, იცემოდა როგორც წიგნი.

უნივერსიტეტის გამგეობამ, მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო ლექცია-მოხსენებები, გადაწყვიტა ერთ მეცადინეობაზე მხოლოდ 2 მოხსენებით წარმდგარიყვნენ მსმენელთა წინაშე, მოხსენებებს შორის და დასასრულს ქართული გიმნაზიის გუნდს ნიკო შარაბიძის ლოტბარობით და იმავე გიმნაზიის სიმებიან ორკესტრს არტემ კვაჭანტირაძის ხელმძღვანელობით უნდა შეესრულებინა მუსიკალური ნაწარმოებები. ზოგჯერ პოეტებიც კითხულობდნენ საკუთარ ქმნილებებს.

როგორც აღვნიშნეთ, სახალხო უნივერსიტეტის მამოძრავებელი ძალა ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი იყო. ლექციებს და მოხსენებებს კითხულობდნენ ღრმად განსწავლული პედაგოგები: დიმ. უზნაძე, ს. როობაქიძე, ს. ხუნდაძე, ალ. ჯანელიძე, ს. დათეშიძე, ლ. ჩიმაკაძე, ვ. წერეთელი, ს. ქვარიანი, შემდგომ პერიოდში აკ. ფალავა, ალ. წერეთელი, გ. ჭუბაბრია. მუშაობაში მონაწილეობდნენ და ფულადი სახსრებითაც ეხმარებოდნენ უნივერსიტეტს ქართული გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი, მოადგილე სილოვან ხუნდაძე, მასწავლებლები პეტრე და სიმონ ყიფიანები, თომა მთავრიშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, მწერლები: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, შალვა დადიანი და უალკოჰოლო სასმელების ოსტატი მიტროფანე ლალიძე.

როგორც ანგარიშებიდან ჩანს, უნივერსიტეტი საჯარო ლექციებს ატარებდა მსმენელთათვის საინტერესო საკითხებზე. მხოლოდ 1910 წელს, ე.ი. დაარსებიდან 1 წლის განმავლობაში 18 ლექტორისაგან ნაკითხულ იქნა 56 ლექცია, საშუალოდ თითოეულ მათგანს დაესწრო 474 მსმენელი" [89].

1910 წელს საზოგადო კრებამ დაადგინა უნივერსიტეტთან კურსების დაარსება. კურსების პროგრამა დაამტკიცა გუბერნატორმა და ნება დართო ესწავლებინათ არითმეტიკა, ქართული და რუსული ენა, ბუნებისმეტყველება (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა), რუსული ან ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა, საქართველოს, რუსეთის და მსოფლიოს ისტორია, გეოგრაფია, კანონმდებლობა და გალობა. მეცადინეობა მიმდინარეობდა კვირაში სამჯერ, 8-დან 11 საათამდე. გაკვეთილი გრძელდებოდა 50 წუთს - დასვენებისათვის 10 წუთი იყო დათმობილი. კონტინგენტი ჯგუფებად იყო დაყოფილი მსმენელთა ცოდნის და მომზადების გათვალისწინებით. სასწავლებელი 3 განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში ირიცხებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, მათ ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს ასწავლიდნენ, II განყოფილებაში ქართულ, რუსულ ენებს, გეოგრაფიას და ანგარიშს ითვისებდნენ, III განყოფილება კომპლექტდებოდა შედარებით მცოდნე კონტიგენტისაგან, აქ ღრმად ისწავლებოდა ქართული ლიტერატურა, დანარჩენი საგნების სწავლებისათვის ლექციური სისტემა იყო გამოყენებული.

კურსების ბევრმა მსმენელმა მიიღო სიმწიფის ატესტატი. ამით შეექმნა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შესაძლებლობა. ყურადსაღებია, რომ კურსებზე პედაგოგთა უმრავლესობა მუშაობდა უსასყიდლოდ, ხელფასის გარეშე. ქუთაისის მუზეუმში დაცულია გამგეობის სხდომის ოქმი, სადაც ფიქსირებულია, რომ უნივერსიტეტის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის „მადლობა გამოეცხადოს სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგეს ი. ოცხელს, რომლის ნება დართვით სიმებიანი ორკესტრი და მგალობელთა გუნდი ჩისდამი

რწმუნებული სასწავლებლისა კონცერტებზე მონაწილეობას იღებდნენ სახალხო უნივერსიტეტში. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსი არიან ბ.ბ. არტ. კვაჭანტირაძე და ნ. შარაბიძე. ესენი მუდამ თანაგრძნობით ეპყრობიან ჩვენ კულტურულ დაწესებულებას და როცა საჭიროც იყო, მონაწილეობას ღებულობდნენ კონცერტების მოწყობაში“ [90].

უნივერსიტეტში სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ესთეტიკური აღზრდის ამოცანებთან, დიდად უწყობდა ხელს პირველი მეორეს.

უნივერსიტეტი მისი არსებობის მანძილზე ცდილობდა გაეზარდა მოქმედების მასშტაბი, გაევრცელებია საკუთარი გამოცდილება. ადგილობრივი ორგანიზაციების მონვევით მრავალი ლექცია იქნა წაკითხული ფოთში, სამტრედიაში, ახალ და ძველ სენაკში, საჩხერეში, ზუგდიდში, ყვირილაში და სხვ. [91].

უნივერსიტეტმა დაიყენა საკითხი სოფლებში: სვირში, ობჩაში, აცანაში ბიბლიოთეკების გახსნის შესახებ, მასწავლებელთათვის ზაფხულში კურსების მოწყობის შესახებ. ქუთაისის მუზეუმში შემონახულია უნივერსიტეტის მისამართით სოხუმიდან გამოგზავნილი წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ ქუთაისელთა დახმარებას საჭიროებდა სოხუმის უნივერსიტეტი. წერილის პასუხს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ქუთაისის უნივერსიტეტი დაეხმარებოდა სოხუმელ კოლეგებს.

უნივერსიტეტი ეხმარებოდა ქუთაისში ჩამოყალიბებულ სცენის მოყვარეთა წრეს, მსახიობებთან ჰქონდა ახლო, საქმიანი ურთიერთობა, თავის ხბრივ ისინიც გვერდით უდგნენ უნივერსიტეტის გამგეობას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ნამდვილ სახალხო თეატრს აღნიშნავს გიორგი თავზიშვილი თხზულებებში. უნივერსიტეტის გამგეობამ შეიმუშავა გეგმა, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა წარმოდგენების დადგმისას. სახალხო თეატრის დანიშნულება, გამგეობის აზრით იყო სასცენო ხელოვნების ფართოდ გავრცელება მშრომელთა მასაში ქალაქად და სოფლად.

გეგმის მიხედვით დრამატიულ კოლექტივს სისტემატურად უნდა

მოეწყო იაფფასიანი წარმოდგენები და დაედგა დროის შესაფერი მიმართულების პროგრესული და ხალხისათის გასაგები პიესები. პროფესიონალურ მსახიობებთან ერთად ჯგუფში შედიოდნენ სალამოს კურსების მუშა-მსმენელები. პიესის წარმოდგენის წინ ერთ-ერთ ლექტორს უნდა აეხსნა დამსწრე საზოგადოებისათვის როგორც დრამატიული ნაწარმოების მოკლე შინაარსი, ისე მისი მთავარი იდეა [92].

ჩანს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ძლიერ აინტერესებდა მისი შრომის შედეგები, მიზანდასახულობის განხორციელების მდგომარეობა. ალ. გარსევანიშვილის ფონდი ქუთაისის მუზეუმში ინახავს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა სოციოლოგიური გამოკითხვისათვის შედგენილ კითხვარს. გამოკითხვის შედეგებზე მუზეუმში არსებული მასალა ვერ იძლევა პასუხს, მაგრამ კითხვარი გულმოდგინედ და საქმის ცოდნითაა შედგენილი და აშკარად ჩანს, მის ავტორს საგანმანათლებლო მუშაობის ახლებურად გაშლის სურვილი ამოძრავებდა. მოგვყავს შეუცვლელად ერთ-ერთი კითხვარი.

„კითხვარი" სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა გამოსაკითხად 1912 წ. (ე.ი. უნივერსიტეტის დაარსებიდან მესამე წელსაა შედგენილი).

1. რა მიზნით დადიოდი ლექციებზე სახალხო უნივერსიტეტში?

2. იშვიათად დაიარებოდი თუ ხშირად?

3. ხარ კმაყოფილი საერთოდ ამ ლექციებზე სიარულით თუ არა?

4. იქნებ გახსოვთ ერთი ლექცია, რომლის შინაარსი გაუგებარი დარჩა თქვენთვის?

5. დადიოდი თუ არა სადღესასწაულო დილებზე და რა შთაბეჭდილებით ბრუნდებოდი სახლში?

6. მოგიტანა თუ არა სარგებლობა შენ, ან შენ ნაცნობ მსმენელებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა?" [93].

როგორც ზემოთ მოყვანილი შეხედულებები, ასევე წარმოდგენილი კითხვარი ადასტურებს უნივერსიტეტის მასშტაბურობაა, საქმის საბოლოო შედეგებით დაინტერესებას, მომავლის ამოცანათა დასახვის დიდ სურვილს.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა ღრმა ეროვნულ პრინციპებზე იყო დაყრდნობილი, ვიწრო ეროვნული განათლებით არ კმაყოფილდებოდა, მსმენელთა ყოველმხრივი განვითარება ჰქონდა მიზნად, მისი სამუშაო პროგრამა ითვალისწინებდა მოძმე ერების ისტორიისა და ლიტერატურის გაცნობას, ამაზე მეტყველებს სახალხო უნივერსიტეტის მიერ ჟამართული დილები და საღამოები და თემატიკა: დიდი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი, უკრაინის დიდი პოეტი შევჩენკო (წიგნადაც გამოსცა უნივერსიტეტმა შევჩენკოს შესახებ გარსევანიშვილის მოხსენება), დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, ქართული კულტურის უდიდესი მოამაგე, ილია ჭავჭავაძე, ქართული პოეზიის მშვენება აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, ლევ ტოლსტოი, პოეტი ნეკრასოვი და სხვ.

სახალხო უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა, ე.ი. ქართული გიმნაზიის მთელი კოლექტივის უანგარო შრომის შედეგებს გვერდი ვერ აუარა მაშინდელმა მთავრობამ და იმპერიის მასშტაბით მუშაობის შეფასებისას მეორე ადგილი მიანიჭა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს (პირველი ადგილი ერგო სამარის სახალხო უნივერსიტეტს).

როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის შემდეგ უნივერსიტეტის მუშაობის მეთოდები მოძველდა, ამიტომ 1919 წელს შეიქმნა აუცილებელი მისი რეორგანიზაცია. ქუთაისის მუზეუმში აღმოჩნდა უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარის ალ. გარსევანიშვილის მიერ შემუშავებული რეორგანიზაციის პროექტი, რომელშიც მასშტაბურადაა წარმოდგენილი უნივერსიტეტის სამომავლო მიზნები და ამოცანები.

„აქამდე სახალხო უნივერსიტეტს უფრო ფართო მასის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული. გონივრული გართობა, დრო-გამოშვებით გონიერი სიტყვის გაგონება იმ მძიმე ფიზიკური მუშაობის ატმოსფეროში, რომელშიც მუშა იმყოფებოდა... აუცილებლად საჭირო ცოდნის მიცემა არ შეადგენდა მიზანს სახალხო უნივერსიტეტისას“ [94].

სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის გეგმაში ვკითხულობთ: „სახალხო უნივერსიტეტი უნდა იყოს აუცილებელი საფეხური უნივერსიტეტში შესასვლელად იმათთვის, ვისაც საშუალო სკოლა არ გაუთავებია“ [95]. პროექტის მიხედვით რესპუბლიკის მასშტაბით უნდა დაგზავნოდა წერილები წარმოება-დაწესებულებებს პერსპექტიული მუშაკები გამოეგზავნათ ქუთაისის უნივერსიტეტში ჩასარიცხად ხელფასის შენარჩუნებით. ასეთი მუშაკები კი 2 საათით ადრე გაეთავისუფლებიათ სამუშაოდან უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად. უნივერსიტეტის მსმენელებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის უნივერსიტეტთან ახლოს სასადილო უნდა გახსნილიყო, უნივერსიტეტის მსმენელებს კარგი სამკითხველო უნდა ჰქონოდათ და ა. შ.

რეორგანიზაციის გეგმის მიხედვით უნივერსიტეტს სამი განყოფილება ექნებოდა:

1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა
2. საბუნებისმეტყველო
3. ფიზიკა-მათემატიკური

ამას გარდა სახალხო უნივერსიტეტში სპეციალურად უნდა მოწყობილიყო ქართული ენის შემსწავლელი კურსები არაქართველთათვის. შორს იყო გამიზნული პროექტის ავტორის ამოცანა, მაგრამ ჩანს, ქვეყნად საგანმანათლებლო სისტემის სხვა მოთხოვნებმა სახალხო უნივერსიტეტისეული საგანმანათლებლო კერა იმ პერიოდისათვის საჭიროდ არ ჩათვალა.

ალმანახი „ცდა“ და სკოლის პედკოლექტივი

1870-80-იანი წლები... ნაროდნიკული მოძრაობის აღმავლობა... ტერორისტული აქტები... მუშათა და გლეხთა გაფიცვები რუსეთსა და მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში... მთავრობის საპასუხო რეაქცია... სატიკი ანგარიშსწორება... რეაქცია იჭრება განათლების სფეროში. უპირველესად იგი ეხება სტუდენტობას, შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდებს. იკრძალება გიმნაზიებში დაბალი წრის წარმომადგენლთა მიღება, დიდდება სწავლის გადასახადი, ძლიერია კონტროლი, ბასრი ცენზურა. მასიურად იხურება პერიოდული გამოცემები. კავკასიის სკოლათა მზრუნველი კ. იანოვსკი კრძალავს მშობლიურ ენაზე სწავლებას, მოსწავლეთაგან ბიბლიოთეკებით სარგებლობას, თვითგანვითარების წრეების შექმნას, საჯარო ლექციებს, ზეიმებს, შეკრებებს, ყველა ზომაა მიღებული მოზარდთა სწავლა-განათლება წარიმართოს ცარიზმისათვის სასურველი მიმართულებით. ჩნდება აზრი მცირე ერების აუცილებელი ასიმილაციის შესახებ. ამას უწინასწარმეტყველებს ქართველებს ზოგიერთი ქართველი მოღვაწეც. აი, ასეთ პირობებში ქუთაისის ბანკის ინიციატივით და ქარველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხარდაჭერით ქუთაისში არსდება (1880 წელს) ქართული სათავადაზნაურო სკოლა, რომლის ძირითად მიზანს დაწყებითი განათლების ქართულად მოწყობა შეადგენს. სკოლაში თავს იყრიან ეროვნული სულისკვეთებით ანთებული ადამიანები, რომლებიც მიზნად ისახავენ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიაწოდონ არა მარტო მოზარდ თაობას, არამედ მთელი ქალაქის მოსახლეობას, ამაზე მეტყველებს უსასყიდლოდ შესრულებულ საგანმანათლებლო სამუშაოთა მთელი წყება, რომელსაც სკოლის პედაგოგიური კოლექტივი უძღვებოდა ქალაქში, სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია გიმნაზიის პედაგოგის ალექსანდრე გარსევანიშვილის ინიციატივით დაარსებული ალმანახი „ცდა“, რომელიც 1889-90 წლებში გამოდიოდა ქუთაისში.

ქართველ ის მწერლობის მოყვარეთა კრებული.

„ცდა"

(ქრებული).

I.

შინაარსი:

1. მეფე ერეკლე II როგორც სარდალი. (ისტორიული მონოგრაფია) აღ. გრიშაშვილი. 1-[illegible]
2. ხვანები მარად. თ[illegible]. სვანი. ყ[illegible]-[illegible]
3. ქორწინება (სოციოლოგიური მიხილვა) ფ. კ-შვილი.
4. ლი—ძმა. მოთხ. მორჩილაძისა (ფრანგულიდგან) პ.—ანი.
5. პჭიტალიის ცხოვრება. (თარგმანი). ი. მაყაშვილი.
6. ქართული ილუსტრირებული მიხილვა.. პილუტა ფ-ძე.

გამოკვეთილი აღ. გრიშაშვილის მიერ.

ტფილისი.
ორდენ პატივ. ქალთა სასწავლებლის ტიპ.
1900

ცდა

(ქრებული)

II.

შინაარსი:

1. ქართველის იდეალი (ისტორ.) მ. ფალავანდიშვილისა. 1
2. პირველი ნაბიჯი, რომანი გ. ჩიქოვანისა 29
3. „ „ დღენი . . . . . ალიხანოვისა 178
4. „ „ დღენი . . . . . მ. დადიანისა. 179
5. შეზიარებელი (ცხოვრება სოციალ დემოკრატიულ პარტიისა. 181
6. ქალების ჩამოსვლა ინდოეთში და მეფის ასულის გაყიდვა ს. ცაიშვილის მ-ნ. . 191
7. სვანურიდან (ლეგენდა) გ. ჩიქოვანის მიერ. 192
8. მეფე ცომელური (ისტორ.) ს. ფირანაშვილისა. 194

ტფილისი.
სტამბა ი. ა. ალექსანდროვისა.
1900

ქართველის მწერლობის მოყვარეთა კრებული.

ცდა

(კრებული)

III.

ქუთაისი
სტამბა ფ. ე. კამენსკისა.
1901

ალმანახის გამოშვების მთელი სიმძიმე ქართული სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა იტვირთა. მისი ავტორები იყვნენ პედაგოგები: ს. ხუნდაძე, ს. ყიფიანი, ბ. ნიჟარაძე, თ. მთავრიშვილი, ს. დათეშიძე, პ. კვიცარიძე, ბ. კვიცარიძე, დ. კარიჭაშვილი, ბ. ვოლსკი და სხვები. კრებულის მამულიშვილურმა ნაბიჯმა მოსაწონი რეზონანსი გამოსცა, ამიტომ პედაგოგების გარდა ალმანახის საქმიანობაში მონაწილეობდნენ მამია გურიელი, გიორგი წერეთელი, ეფრო კლდიაშვილი. საყურადღებოა ისიც, რომ გიორგი წერეთელმა მისი „პირველი ნაბიჯი" პირველად „ცდაში" გამოაქვეყნა.

კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს გმირული წარსულის ამსახველ მასალას, რომელიც ერთგვარ სიამაყის გრძნობას აღვივებს და აწმყოს პრობლემებზე იძლევა დაფიქრების საშუალებას. ამ მხრივ ყურადსაღებია პედაგოგ ალ. გარსევანიშვილის ისტორიული მონოგრაფია „ერეკლე მეორე სარდალი" [96]. ნარკვევს საინტერესოს ხდის ამომწურავი პასუხი კითხვებზე: სად შეისწავლა პატარა კახმა სამხედრო ხელოვნება, როგორ განვითარდა მისი რაინდული ნიჭი, როდის, ევროპისა და აზიის რომელ ქვეყნებში სცადა აღიარებამდე მიაღწია შესაძლებლობების გამოვლენა. ნარკვევში დასურათხატებულია ერეკლეს არა ერთი ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, თავგანწირვა მამულისა და სჯულის დასაცავად, მეფე მებრძოლისათვის დამახასიათებელი თვისებები: გამბედაობა, შეუპოვრობა, გულწრფელობა, საკუთარი სიცოცხლის დაუზოგავობა, სხვისი ღირსების თაყვანისცემა, ნარკვევი ნათელს ფენა ერეკლე მეფის რაინდულ საიდუმლოებას, რომელიც ბრძოლის ველზე, მძიმე წუთებში ათასობით მებრძოლს აღანთებდა მამულისა და სჯულის დასაცავად.

კრებულის 1891 წლის №3-ში გამოქვეყნებულია დავით კარიჭაშვილის ისტორიული წერილი „როსტომ მეფე" [97].

ავტორი თანმიმდევრულად, მწყობრად და დოკუმენტებზე დაყრდნობით მოგვითხრობს, რა მძიმე მდგომარეობას ქმნიდა საქართველოში შიდა აშლილობა, ურთიერთუნდობლობა და მტრობა. როსტომს წერილის ავტორი ახასიათებს როგორც ციხეების,

საყდრების, ხიდების, ახალქალაქის აღმშენებელს, სიონის და სვეტიცხოველის ტაძრების, ალავერდისა და ურბნისის საყდრების შემკეთებელს, მიუხედავად გამაჰმადიანებისა ქრისტიანული ეკლესიების მფარველს, სპარსული კულტურისა და განათლების გამავრცელებელს საქართველოში (მის დროსაა ნათარგმნი ხოსრო თურმანიძის მიერ „შაჰნამე“, ფარსადან გორგიჯანიძისაგან მაჰმადიანების საღვთო წიგნი „ყურანი“).

ნაშრომი იმ პერიოდისათვის (აქვს სადღეისო ღერადობა) მეტად დამაფიქრებელ საკითხებს აყენებს მკითხველის წინაშე. ნათლად გადმოსცემს საქართველოს გაერთიანების, ურთიერთგაგების და კუთხურობის დაგმობის იდეას, დროებითი კომპრომისის აუცილებლობას, მხარს უჭერს ქვეყნის მმართველის გულმოწყალებას, ადამიანურობას, დათმობისა და მოთმენის უნარს, ამით ცდილობს ჩაუნერგოს თანამედროვეთ ის თვისებები, რომელიც ნინაპრებს გააჩნდათ და რომელმაც გადაარჩინა ქართველობა გადაგვარებას.

გ. წერეთლის მიერ სვანურიდან გადმოკეთებული „სიმღერა“ [98] დიდი თამარის ერთ-ერთი იმედიანი ღაშქრობის სურათს წარმოგვიდგენს ლურჯ ცხენზე ამხედრებული თამარის შუქი მოადგა სერს, მორთულ-მოკაზმულია მეფე ქალი თვალმარგალიტით, ამავე დროს ტანზე მეომრულად აცვია ოქროს აბჯარი, ფეხზე კი - რკინის პაჭიჭები. ცხენიც თვალმარგალიტით მოურთავს მეფეს, ჟღარუნობენ ოქროს ეჟვნები, თამარის მხედრიონა ჯარად მოსდევენ ცხენოსნები. ამაღლებული განწყობა ისადგურებს მკითხველის არსებაში. ლექსის ყველა ტაეპი მთავრდება მისამღერით „ვაშა, ჰო, ერსა“, „ვაშა, ჰო, ერსა“, რაც სამშობლოს დასაცავად ასამხედრებელ მოწოდებად აღიქმება წარსული დიდების ერთი ამ ფურცლის გადაშლითა და წარმოდგენით.

რეაქციის მძვინვარების პირობებში, მეფის რუსეთის მკაცრი ცენზურის ბატონობისას, როცა თვით ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს უჭხრეკდნენ შედევრებს, კრებულმა „ცდამ“ გაბედა და გამოაქვეყნა პედაგოგ სილოვან ხუნდაძის უსათაურო ლექსი [99] „პოეტის გოდება“, გოდება პოეტისა, რომელიც მის

სათაყვანო ერის შვილებს ხედავს ჩაგრულს, დამონებულს და გადაგვარებულს. ჩივილი წარსულშია გადატანილი, თითქოს იგი ერეკლე მეფის დროს ეხება, მაგრამ იმდენად ნათლადაა მოცემული რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული ქართველის სახე, რომ საეჭვოა, ლექსის გამოქვეყნებისთანავე არ ეგრძნო მკითხველს მისი ადრესატები.

პოეტი ხედავს, როგორ დაივიწყა ქართველმა გმირული წარსული, სულით დაეცა და გულით დაძაბუნდა, დადუმდა, წაერთვა წინააღმდეგობის ძალა. ძლივს გამოჩნდა ერთი ხანდაზმული გმირი, რომელმაც ხმა აიმაღლა მტრის წინააღმდეგ. მცხოვან გმირს არავინ ამოუდგა გვერდით. ჩვენი აზრით, მცხოვან მამულიშვილში დიმიტრი ყიფიანია ნაგულისხმევი, რომელიც 1887 წლის 24 ოქტომბერს გამოასალმა სიცოცხლეს მსახვრალმა ხელმა. ლექსის დაწერის თარიღად კვალის დაფარვის მიზნით 1886 წლის დეკემბერია მითითებული (მ.ა.).

„თუ მკერდ ქვეშ გული გიცემდათ,
რად არ დაჰკარით ნალარა,
რომ შეაფურთხეს მოხუცსა,
და შეუგინეს ჭალარა“. [100]

თვით პოეტი ვერ შერიგებია მონურ მორჩილებას. გრძნობს, დაკარგულია აქტიური მოქმედების უნარი, მიძინებულია ერი, ამის გამო იზრდება მასზე ზემოქმედების ძალა. აშინებს ასეთი ძილი პოეტს, სულის შემხუთველია იგი და მომაკვდინებელი, რადგან არ იძებნება წამალი. ქართველი კი განაგრძობს ძილს, ურჩევნის, უზრუნველი ძილის ბურანში მოკლას დრო, კუჭის ავსებით დაკმაყოფილდეს; გაძლომას არჩევს იგი სამშობლოს სამსახურს, თავის გადარჩენის მიზნით მაბეზღარა, ჯაშუში და ულმობელი ჯალათი გამხდარა, შეუძლია ძმა მოკლას, მტერს ქედი მოუხაროს, იმდენად აქვს შელახული თავმოყვარეობა, რომ შეურაცხყოფას არ რეაგირებს, გაყიდა სინდისი და სახელი, ტყუილა ატარებს მამაპაპათა ნაქებ ხმალსა და ხანჯალს. ამის ატანა არ შეუძლია პოეტს და მოუწოდებს ერის შვილებს იმოქმედონ, გააქტიურდნენ, თორემ ასეთ ყოფას სჯობს სიკვდილი და გაქარწყლება.

„ცდის“ აქტიური ავტორი პედაგოგი სილოჯან ხუნდაძე მისი პედაგოგიური, საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობით კარგად იხდიდა მამულიშვილურ ვალს ქართველი ხალხის წინაშე, ამავე დროს, გაბედული ლირიკული ნაწარმოებებით ეროვნული სული შეჰქონდა, იმედს უღვივებდა მკითხველს. კრებულის №2-ში გამოქვეყნებული მისი ლექსი [101] ღრმა ეროვნული ტკივილებით დამძიმებული ხალხის ჩივილია, მაგრამ პოეტს იმედი არ აქვს დაკარგული - „არ წაიშლება აღბეჭდილი ღვთისგან სახელი“ [102]. გამყიდველს და უმოქმედო მამულიშვილებს ვეჩვენება ელით, გარიყავს მათ მამული, მაგრამ საბოლოო განწირვის მომხრე მაინც არაა ქრისტიანი პოეტი და ლექსიც ამიტომ მთავრდება ასე:

„ქვეყნის ორგულნო! მომავალი თქვენს ხელთ არ არის.
შორს ჩვენგან! ანკი ამას შემდეგ რა გვაქვს საერთო?!
თავის ხელითვე გაითხარეს იმათ სამარი...
არა იციან, რას შვრებიან: შეუნდე ღმერთო“. [103]

მიუხედავად იმისა, რომ კრებული შუაგულ იმერეთში, ქუთაისში გამოდიოდა, ქართული საზოგადოებრივი აზრი ირეკლებოდა მასში შეუმცდარად, კრებულის ავტორები ხედავდნენ, რომ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გადაარჩენდა ერს, მის მთლიანობას.

არც ხალხური სიბრძნის მიმართ იყო ალმანახი გულგრილი. თითქმის ყველა ნომერშია წარმოდგენილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები. საყურადღებოა და თანამედროვე ჟღერადობის პედაგოგ ს. დათეშიძის მიერ ჩაწერილი ლექსი „ჟღელეს ჩამოდგა ოსი და მდვალი“ [104].

რაჭის საზღვარზე ოსურ სოფელს, ჟღელეს მოადგა ოსი და მდვალი, ომი გაჩაღდა, გამთენიის ხანს შეიქმნა ხმლის ქნევა და შუბის ძგერება, სისხლში აცურდა ორპირი ხმლები. მტერმა მომხდურმა ზურგი აქცია ქართველ მებრძოლებს, მაგრამ მაა ცოცხალს არ უშვებენ, ის ვერ მიუტანს ცოლს ლაშქრის ამბავს და ნადავლს. ქართველთა ლაშქრის მეომრები კი თავდამსხმელებზე გამარჯვებულები შინ მშვიდობით ბრუნდებიან.

დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) მოთხრობა „დედა და შვილი“ [105] უსამართლობისა და განუკითხაობისაგან მსხვერპლად მიტანილი ღარიბი ახალგაზრდის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას ეხება.

ბოროტებამ არ უნდა იზეიმოს! ესაა კრებულის ავტორთა დევიზი. ამავე პრინციპის ნატარებელია სილოვანის მოთხრობა „მეზობლები“, რომელშიც დამაჯერებლადაა გადმოცემული ბოროტებისა და სიკეთის ჭიდილი. ავტორის აზრით, კეთილი უძლეველია, ამიტომ ცეცხლის ალს ეძლევა ბოროტება და ნადგურდება მთლიანად. მოთხრობის ფინალი ბადებს იმედს, რომ ბოროტებას, სიხარბეს, ეგოიზმს, ღალატს ხანგრძლივი არსებობა არ უწერია. ამის იმედი უნდა იქონიოს ერმა.

მ. ფაზელის (მამია გურიელი) უსათაურო ლექსი [106] სატრფოსთან გაბაასების სტილშია დაწერილი. მომავლის იმედით აღვსილი სატრფო იმედგაცრუებულ „ბედით შავ“ პოეტს ანუგეშებს: შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს იგი მიზანს, მაგრამ ნუ იდარდებს, ერი არ დაივიწყებს, გააღმერთებს მას, ამით უკვდავყოფს მის სახელს.

კრებულში საინტერესო მასალაა ქართული „ალექსანდრიანის“ შესახებ. ისტორიულ ასპექტშია განხილული ნაწარმოების ქართული ვარიანტების შექმნის საფუძვლები, იგი შედარებულია ევროპულ და აზიურ ვარიანტებთან. წარმოდგენილია ქართველი ავტორის ვინაობა, მითითებულია შემონახულ ხელნაწერთა ადგილსამყოფელი. წერილი შთამაგონებლად გვაუწყებს, რად ჭირდება ერს წარსულის მაგალითები. „თვითეულ ერს იზიდავს მხოლოდ სხვილმანი რამ ანმყო ვითარება და იმას წამოაყენებს წინ, რაც არ მოწონს, ტოვებს უყურადღებოთ. ერის ფანტაზიას გადააქვს თავისგან გაჰოხატული სურათები შორეულ წარსულზე, რათა აღიმაღლოს აწმყოს იდეალი“ [107].

როგორც აღინიშნა, კრებულის ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის (1905 წლიდან გიმნაზიის) პედაგოგი იყო. მათი სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოწოდება ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების

საკითხებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამიტომ ბუნებრივია, კრებულის დაინტერესება პედაგოგიკით, პედაგოგებითა და სასკოლო ცხოვრებით.

სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგის თომა მთავრიშვილის მიერ თარგმნილი „პესტალოცის ცხოვრება“ [108] ნათლად უჩვენებს იმ ნარ-ეკლიან გზას, რომელიც საქვეყნოდ აღიარებულმა პესტალოცმა განვლო, იმ ჰუმანურ თვისებებს და ძიების ნებისყოფას, რომელიც მისთვის იყო დამახასიათებელი.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სახალხო განათლების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა წერილი „სკოლა და ცხოვრება“ [109]. ავტორს (ნარი) აღწერილი აქვს, როგორი სიხარული და რა დონის ტკივილი მოჰყვა სოფლად სკოლის გახსნას. ნოცემულ შემთხვევაში სამმა სოფელმა 1 სკოლა დააარსა. სკოლის შესანახ ფულს სოფლის მოსახლეობა იხდის (50-60 კაპიკი კომლზე), სკოლაში ჩარიცხვის 300 მსურველია, სკოლა კი 60 ბავშვზეა გაანგარიშებული, ისიც - მხოლოდ ვაჟებზე. გოგონები თავიდანვე განწირულნი არიან, ვერ მიიღებენ განათლებას. კენჭისყრით ხდება მოსწავლეთა შერჩევა. სკოლაში ჩარიცხვის 5 მსურველიდან მხოლოდ ერთის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, 4 დანარჩენი იმედგაცრუებული, მძიმე განცდებით გათანგული უბრუნდება საკუთარ კერას, ჰაგრამ გაივლის დრო და თანდათან აშკარა ხდება, რა მოაქვს სკოლას, მუნჯურ მეთოდს, მედავითნეობას. განითესებიან მოსწავლეები, რაც სწავლების დაბალი და უკუღმართი დონითაა ავტორისაგან ახსნილი. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვები ვერ ახერხებენ ხელნაწერის ამოკითხვას, აზრის ქაღალდზე გადატანას. სკოლათა გაუმართლებელი დაპროგრამება, სწავლების მიუღებელი მეთოდები, მასწავლებელთა მოუმზადებლობა ტანჯავს მოზარდსაც და მის მშობელსაც. მშობელთა უმრავლესობა ამჯობინებს კერძო პირს (მღვდელი, მედუქნე) მიაბაროს აღსაზრდელად შვილი.

წერილის ავტორი ასკვნის: „შესაძლოა ჭკვიანმაც დაგინუნოს სუფრა, კუჭიც რომ შიმშილით უხმებოდეს, თუ რომ თქვენ ჩახოხბილ-ჩასაცივებულ ქათამ-ინდაურის მაგივრად მოხრაკულ ბაყაყს და

მჟავიან ლოკოკინებს მიართმევთ, რომელთაც ჩვენი ხალხი, რაც უნდა შიოდეს, არ გეახლება". ადვილი ასახსნელია ციტატის დედააზრი. ქართველისათვის შეუსაბამო იყო იმ დროის სასკოლო პროგრამები, ასევე შეუსაბამო - სწავლების მეთოდები.

კრებული აშუქებს სოციალურ საკითხებს, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთ განმაპირობებელ ფაქტორებს, ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის აუცილებლობის მოთხოვნით. ქალთა ემანსიპაცია არ უხნის ქალს დედობის მძიმე და სასურველ ხვედრს. ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ს. ხუნდაძის ლექსი „ქალი". ქალი ბურჯია, მას შეუცვლელი ადგილი უჭირავს ოჯახურ ცხოვრებაში. მისი საქმიანობით სიტკბოს, სიმშვიდეს, სათნოებას ამკვიდრებს ირგვლივ. ქალი საქმეში შველის მეუღლეს, ქალის წყალობითაა ოჯახი ჰტკიცე და კაჟივით მაგარი, მაგრამ მისი უპირველესი ამოცანაა შვილების ღირსეულად აღზრდაა, რაც ქვეყნის მომავალთანაა ლექსში გაიგივებული. „შვილების აღზრდით აწმყოს ახარებს, მყოფადს აშენებს" [110].

კრებული უხვად აწვდის მკითხველს თარგმანებს. ისინი ადასტურებენ პედაგოგ ავტორთა ღრმა და მრავალმხრივ განათლებას, ენების ცოდნას, ზნეობრივი პრინციპების თაყვანისცემას. მასში გამოქვეყნებულია მირამონის „და-ძმის" პ. კვიცარიძესეული თარგმანი, ჰომეროსის „ილიადას" ფაზელისეული თარგმანი, ე. შპილმანის „დონ-პედრო კასტილიელის" ეფრო კლდიაშვილის თარგმანი, შექსპირის „მეფე ციმბელინის" სამსონ ყიფიანისეული თარგმანი და სხვ.

კრებულში ეპოქის სუნთქვაა არეკლილი, იგი პედაგოგთა სულის ამონაკვესად ევლინება მკითხველს. ეს სული სათუთი იყო და შეუპოვარი, იმედის მომცემი და სახიფათო, ყოველი დროისთვის მისაბაძი და სამაგალითო, რადგან მამულიშვილური მოვალეობის ღრმა შეგნება იყო ჩადებული ყველა სტრიქონში, ყველა სტროფში. ამიტომ ალმანახი „ცდა" დღესაც დიდი ინტერესით იკითხება, თუმც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა უკვე ქცეული.

სკოლა ეროვნული თეატრისა და მუსიკალური განათლების სათავეებთან

ჟურნალი „თეატრი“ 1885 წლის მეექვსე ნომერში წერდა:

„მეტად სასიამოვნო და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული დრამატული დასის დაარსება ქუთაისში... თეატრის გამგებელი და რეჟისორი არის კ. მესხი. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მესხი რიგიანად წაიყვანს საქმეს“ [111].

საქმე მართლაც კარგად მიდიოდა ენთუზიასტთა და პროფესიონალთა ერთობლივი შრომით. თეატრის 14-15 კაციან კოლექტივში დიდია პედაგოგთა ხვედრითი წილი. სცენაზე იდგნება დ. ერისთავის „სამშობლო“, აკაკის „პატარა კახი“ და „თამარ ცბიერი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, დ. მესხის „ანუკა ბატონიშვილი“, კოტე მესხის „ბაგრატ მეოთხე“ და სხვ. სცენაზე ეროვნული გულის ძგერაა, მაგრამ ხარაზოვების მიერ 1880 წელს აგებული შენობა ვერ იძლევა საქმიანობის გაშლის საშუალებას, კეთილმოუწყობელია და თეატრისათვის შეუსაბამო, ამავე დროს გადასახადია დიდი, რაც მძიმე ტვირთად აწვება ახლადფეხადგმულ დასს.

1888 წელს იმპერატორი ალექსანდრე მესამე ეწვია ქუთაისს. იმპერატორის მისაღებად, ქალაქის ბაღში ააგეს სპეციალური ხის შენობა, რომელიც შემდეგ უმოქმედოდ იყო. კოტე მესხმა იჯარით აიღო აღნიშნული ნაგებობა, გადააკეთებინა და დასს შეუქმნა მუშაობის უკეთესი პირობები.

თეატრის ახალი შენობის გახსნას კ. მესხმა ეროვნული ზეიმის ხასიათი მისცა. მონაწილეობდნენ ქართული სკოლის პედაგოგები. სეზონი აკაკის „თამარ ცბიერით“ გაიხსნა. 1891 წელს შენობა სანძარმა გაანადგურა. კვლავ მოდუნდა ქუთაისში თეატრალური ცხოვრება.

1896 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა დრამატული საზოგადოების ფილიალი, რამაც შექმნა ფილიალის ირგვლივ თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ ინტელიგენტთა შემოკრების პირობები. ამ ჯგუფმა აირჩია სათეატრო კომიტეტი. კომიტეტის აქტიური წევრი იყო ქართული სკოლის პედაგოგი სილოვან ხუნდაძე.

„ამ სტრიქონების ავტორს - წერს პროფესორი ტრ. ხუნდაძე - მაშინ სკოლის I, III კლასის მოსწავლეს, ბევრჯერ უნახავს თავისი მასწავლებლები: ს. როობაქიძე, ი. ნიკოლაიშვილი, ბ. მამფორია და სხვანი სცენაზე ამა თუ იმ პიესაში მოქმედ პირებად“ [112], ზოგიერთი პედაგოგი წერდა პიესებს, თარგმნიდა უცხოურ და რუსულ ნაწარმოებებს, სუფლიორობდა, ეხმარებოდა მსახიობებს ნაწარმოების გაგებაში, მსახიობობდა კიდეც, როგორც აღნიშნავდნენ თანამედროვენი.

სკოლის პედაგოგი, შემდგომში, 1884 წლიდან ძველი სენაკის სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი თავის მოგონებებში წერს:

„აკ. წერეთელმა მიმიწვია თავისი რეჟისორობის დროს მსახიობად ახლადფეხადგმულ სცენაზე, სადაც ვასრულებდი ძველი თავადიშვილების როლებს და ვკითხულობდი საკუთარ ლექსებს“.

პედაგოგები არ კმაყოფილდებოდნენ თეატრისადმი ყურადღებით. ისინი მთელი შესაძლებლობით უნერგავდნენ მოსწავლეებს სიყვარულს თეატრალური ხელოვნებისადმი. არასოდეს უშლიდნენ სპექტაკლებზე დასწრებას, ზოგჯერ ჯილდოდ აძლევდნენ მოზარდებს სპექტაკლზე უფასოდ დასწრების ნებართვას. რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა იყო სხვა სასწავლებლებში. მაგალითად, ქუთაისის რეალური სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე გერონტი ქიქოძე იგონებს:

„სიამოვნება მოწამლული გვქონდა, ვინაიდან ცალი თვალი მუდამ კიბისაკენ უნდა გვჭეროდა და თუ იქ ჩვენი ულმობელი ზედამხედველი გამოჩნდებოდა, სადმე უნდა მივმალულიყავით“ [113]. ქართული სკოლის (შემდეგ გიმნაზიის) მოსწავლეები არა მარტო ესწრებოდნენ სპექტაკლებს, მონაწილეობდნენ კიდეც როგორც მსახიობები, მუსიკოსები, დამხმარე მუშები, იზიარებდნენ თეატრის მსახიობთა ჭირ-ვარამს. 1903 წელს თეატრის ახალგაზრდა რეჟისორსა და მსახიობს ლადო მესხიშვილს უსიამოვნო საუბარი ჰქონდა პოლიციის ერთ-ერთ მოხელესთან. იგი ხელით შეეხო მოხელეს, რომელმაც უჩივლა მსახიობს. შედგა სასამართლო. სასამართლოს შენობა აივსო ხალხით. მათ შორის ბევრი იყო ქართული სკოლის

მოსწავლე - იგონებს მსახიობი იუზა ზარდალიშვილი. მთავრობის მოხელეებმა შეატყვეს ხალხის მღელვარება და ლადო მესხიშვილის სამდღიანი საოჯახო პატიმრობით დაკმაყოფილდნენ. მოსწავლეთა მხარდაჭერის წილი დიდი იყო დასახელებული ინციდენტის ასეთი შედეგით დამთავრებაში.

მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა, მძიმე პირობების გამო დასი დაიშალა. ქუთაისში 1909 წელს დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი პედაგოგ ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. ა. გარსევანიშვილმა უნივერსიტეტის ირგვლივ თავი მოუყარა თეატრით დაინტერესებულ ადამიანებს და დააარსა თეატრალური წრე.

„ქუთაისის თეატრის მსახიობებმა თავი შეაფარეს სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში. იქ ისინი სცენის მოყვარეებთან ერთად მონაწილეობდნენ სპექტაკლებში“ - წერს ქუთაისის ისტორიის მკვლევარი გ. მჭედლიძე [114].

„1913-14 წელს დრამატული საზოგადოების გამგეობამ ვერ შეძლო სეზონის წარმოება და ქუთაისი უნდა დარჩენილიყო უთეატროდ, მაგრამ შედგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც მფარველობას უწევდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა და ეს წრე მთელი სეზონის განმავლობაში მართავდა წარმოდგენებს... დრამატულმა საზოგადოებამ ხელის შეწყობია მიზნით წრეს სრულიად მუქთად დაუთმო შენობა, დეკორაციები, გარდერობი და სხვა. წრის წევრებიც მუქთად მუშაობდნენ და ყოველ კვირაში სისტემატურად მართავდნენ წარმოდგენებს... სპექტაკლები გამიზნული იყო მაყურებელთა ფართო მასებისათვის. ფასები ძლიერ დაკლებული იყო (1 შაურიდან 1 მანეთამდე) და თეატრიც სავსე იყო ყოველთვის მაყურებლით“ [115].

ქუთაისის მუზეუმში უამრავი მასალაა, რომელიც ადასტურებს, რომ ქართული სკოლის გიმნაზიის პედაგოგთა დიდი ნაწილი თეატრისადმი მხოლოდ ინტერესს კი არ იჩენდა, უშუალოდ ცხოვრობდა მსახიობთა, სცენის მოყვარეთა, დრამატურგთა ცხოვრებით. პედაგოგი ალ. გარსევანიშვილი წერდა პიესებს, კითხულობდა ლექციებს

ქართული თეატრისა და მუსიკის ისტორიიდან, მსმენელებს აცნობდა საზღვარგარეთის მიღწევებს, მუშაობდა თითოეულ მსახიობთან და მაყურებელთანაც. როგორც წესი, სპექტაკლის დაწყების წინ მაყურებლებს აცნობდა პიესის დედააზრს, პიესაში ასახულ ეპოქას, გმირთა ხასიათებს.

სილოვან ხუნდაძე წერდა პიესებს, იყო თეატრის საბჭოს წევრი, დახმარებას უწევდა თეატრის კოლექტივს რეპერტუარის შერჩევაში, მართავდა ვოკალურ საღამოებს, ლიტერატურულ გასამართლებებს.

ალ. ჭიჭინაძე თარგმნიდა პიესებს, წერდა ორიგინალურ დრამებს. მეგობრობდა და თანამშრომლობდა მსახიობებთან. პედაგოგი და მწერალი ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) წერდა მოთხრობებს, პიესებს. 1920-21 წლებში წარმატებით იდგმებოდა მისი პიესა „21 ჯვრით“. პედაგოგი სამსონ ყიფიანი წერდა პიესებს და ასრულებდა წამყვან როლებს, ასევე მსახიობობდნენ პედაგოგები: ი. ნიკოლაიშვილი, ს. რობაქიძე, ბ. მამფორია, ჯ. ჯორჯიკია, ალ. მგალობლიშვილი. პედაგოგი აკ. ფალავა თეატრალური საზოგადოების გამგეობის წევრი იყო, შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს, რეჟისორობდა, პრესას ანოდებდა რეცენზიებს. სწორედ, აკაკი ფალავამ ჩამოიტანა ქუთაისში სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრალური მოსაზრებანი (მოსკოვის სამხატვრო თეატრში ჰქონდა მიღებული განათლება).

ქუთაისის მუზეუმის ალ. გარსევანიშვილისეულ ფონდში მრავალრიცხოვანი დოკუმენტი ინახება, რომელიც ადასტურებს სკოლის ახლო ურთიერთობას თეატრალურ ცხოვრებასთან. შემონაკრებულია ლექციების, მოხსენებების ხელთნაწერები, უწყისები, ასახულია გასამრჯელო, რომელსაც უხდიდა უნივერსიტეტი თეატრალური წრის წევრებს. ასეთი უწყისებია შედგენილი პიესების: „გამოყიდვა“, „ლიანა“, „ირინეს ბედნიერება“, „უბრალოდ დასჯილნი“, „შრომის ლუკმა“ და სხვა მრავალი დადგმის მონაწილეებზე.

დოკუმენტებში აღრიცხულია ყველა წვრილმანი ხარჯი აფიშის დაბეჭდვიდან განათების მიწოდების ჩათვლით.

თეატრალური ცხოვრებისადმი გიმნაზიის პედაგოგთა დაინტერესებას კარგად გამოხატავს ქუთაისის მუზეუმში შემონახული კერძო წერილები.

1905 წელს ივანე გომართელი, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, წერს გიმნაზიის პედაგოგს, თეატრის მოჭირნახულე ალექსანდრე გარსევანიშვილს:

„ძმაო ალექსანდრე!

ცოტა ხნით სოფელში მივდივარ, რომ დავისვენო, თორემ თავი მომბეზრდა. გიგზავნი ანგარიშს, ვის რა აქვს ჩადენილი. მესხიშვილმა მიიღო ჩემსგან 220 რუპ. ამისთვის გოკიელოვნა მომცა 10 მან. შენ - 22 მან. ლექვინაძემ - 10 მან. სულ 45 მან. დანარჩენი ე.ი. 220 მან. - 45 მან. - 175 მან. მივეცი მე. ჩემი საწევრო ფულია 150 მან. და ამგვარად, მე მეტი მაქვს დახარჯული 25 მან. გამყრელიძეს გავუგზავნე 40 მან. შენ წაიღე 4 მან. აბლაშას მივეცი 5 მან. სულ 75 მან. ზარდალიშვილს 40 მანეთზე მეტს ნუ მისცემ. თუ ჩემს ჩამოსვლამდე მიეცი რამე, 20-20 მანეთი მე უნდა დავიტოვო ყოველ თვე, რომ მაგის ვალი გავისტუმრო, მე ვარ თავმდები. შენი ი. გომართელი“ [116].

დოკუმენტები აშკარად უჩვენებენ პედაგოგთა უშუალო მონაწილეობას მსახიობთა პირობების გაუმჯობესების საკითხებში. იუზა ზარდალიშვილის საინტერესო წერილია მუზეუმში შემოწახული ლადო მესხიშვილთან მინაწერი. ჩანს, ლადო მესხიშვილმა ზომების მისაღებად პედაგოგ გარსევანიშვილს გაუგზავნა.

„ბატონო ვლადიმერ სარდიონის ძევ, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე მონაწილეობას ვერ მივიღებ, ვიდრე კომიტეტი ჩემს ხვედრ ჯამაგირს არ მომცემს. უარს არც ეხლა ვიტყოდი, რომ სხვა რამ სახსარი მქონდეს, მოვალეები მახრჩობენ, ასე წარმოიდგინეთ, რომ დღეს პურის ფულიც კი არა მაქვს, დღემდე ვითმინე და დღეს კი აღარ შემიძლია. ვთხოვ კომიტეტს, ჩემი ხვედრი ფული მომცეს“.

იუზა ზარდალიშვილი [117].

1905 წლის 19 დეკემბერი.

მსახიობებთან სულიერი და შემოქმედებითი კავშირ-ურთიერთობის დასტურად მოვიყვანთ ამონაწერებს გიმნაზიის პედაგოგის ალ. გარსევანიშვილის მისასალმებელი სიტყვებიდან (ხელთნაწერებია შემორჩენილი).

ლადო მესხიშვილის საიუბილეო საღამოზე პედაგოგს უთქვამს:

„სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მთელი თავის საზოგადოების სახელით გიძღვნის სალამს შენ, სასიქადულო მსახიობო და გისურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლეს, რათა მომავალშიაც დაგვატკბო შენი ტრაგიკული ერის შვილები ნიჭიერი და მომხიბლავი თამაშით...

...შენ გააცოცხლე ქართული თეატრი, შთაბერე მას ახალი სული, გააცანი ქართველობას კლასიკური რეპერტუარი. ღვაწლი შენი ქართულ ისტორიაში დაუვიწყარია“ [118].

სასცენო მოღვაწეობის 25 წლის აღნიშვნისას პედაგოგ ალ. გარსევანიშვილს ასე მიუმართავს ნუცა ჩხეიძისათვის:

„პიუხედავად დაბრკოლებისა შენ გაბედულად მოჰკიდე ხელი ამ ეკალნარით მოსილ ასპარეზს და აღტაცებით, იშვიათი მხნეობით ახლაც განაგრძობ მოღვაწეობას ეროვნული თეატრის საკეთილდღეოდ... არ ზოგავდი შრომას, ენერგიას, ამხანაგებს უნერგავდი ხალისს... შენ ხარ ჭეშმარიტი ქურუმი რომლის სახელს მუდამ დიდის აღტაცებით იხსენებს ყველა შეგნებული ქართველი“ [119].

ვასო აბაშიძის მოღვაწეობის 50 წლისთავზე წარმოთქმულ ღრმა ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილ სიტყვაში ვკითხულობთ:

„დღეანდელი იუბილე არის ამავე დროს ჩვენი კულტურული დღესასწაულიც, ვინაიდან იგი მაჩვენებელია ქართველთა გონებრივი წინსვლისა და განვითარებისა. ჩვენი ინტელიგენცია მუდამ აფასებდა შენ ღვაწლს, შენ სიყვარულს ქართული თეატრისადმი, შენ უსაზღვრო კომიკურ ნიჭს...

ძნელი იყო შენი პირველი ნაბიჯები იმ სფეროში, სადაც თეატრალურ ხელოვნებას ახალი საძირკველი ეყრებოდა. დიდი ბრძოლა დაგჭირდა და რწმენით გატაცებული გამოხვედი გამარჯვებული...

დღეს საქართველოს ხალხმა გაიგო დანამდვილებით, რომ თეატრი, როგორც კულტურული და განმანათლებელი დაწესებულება, არის აუცილებელი მოთხოვნილება ყოველი განათლებული საზოგადოებისა.

ხალხი ცდილობს, რაც კი ძალღონე შესწევს, თავისი თეატრი მაღალ დონეზე დააყენოს“ [120].

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტმა საშუალება მისცა ქართული გიმნაზიის პედაგოგებს და ქუთაისის საზოგადოებრიობას თეატრი მჭიდროდ დაეკავშირებია სკოლასთან, ქალაქის მოსახლეობისათვის გაეცნო თეატრალური ხელოვნება, რადგან თეატრი კარგად ახერხებდა მათ დაფიქრებას ეროვნულ პრობლემებზე.

გიმნაზია ამით არ დაკმაყოფილდა. ეროვნული მუსიკის პოპულირებას მოჰკიდა ხელი, მუსიკალური განათლების შეტანა გადაწყვიტა სკოლასა და ქალაქის მოსახლეობაში. სკოლაში შექმნილი იყო მომღერალთა გუნდი, სიმებიანი ორკესტრი. ქუთაისის მუზეუმში ინახება დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლაში იწყებენ კამერული მუსიკის შესწავლას, მაგრამ არ აქვთ ინსტრუმენტები, რომელიც მსურველთა შემოწირულობით უნდა იქნას შეძენილი. დოკუმენტი ადასტურებს, რომ თითოეულ ქველმოქმედს 1-დან 5 მანეთამდე აქვს გადახდილი. სიაში არიან სკოლის პედაგოგები მ. ჩინჩალაძე, თ. მთავრიშვილი, ს. დათეშიძე, გ. ცაგარეიშვილი, სპ. ჯორჯიკია, ექიმები: დ. ნაზარიშვილი, ს. ხიჩინოვი, ქალაქის აქტივი ან. კლდიაშვილი, სამ. კანდელაკი, დ. მდივანი [121].

პედაგოგთა ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მუსიკოსთა წრე (ხელნაწერი პედაგოგ ალექსანდრე გარსევანიშვილისა). წესდების მიხედვით წრის წევრებად მიიღებიან მუსიკოსები, რომლებიც უკრავენ რომელიმე საკრავზე. წრეს ჰყავს 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარე წრის თავმჯდომარეა. წრეს ჰყავს სამხატვრო საბჭო 5 კაცის შემადგენლობით. საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს. სამხატვრო საბჭო უძღვება წრის მხატვრულ მხარეს, ადგენს კონცერტების პროგრამებს.

წრის ფინანსები შედგება საწევრო გადასახადისა და კონცერტებისაგან მიღებული შემოსავლით. საწევრო გადასახადია თვეში 10 მანეთი. წრის სხდომები იმართება თვეში სამჯერ. იმართება სასულიერო კონცერტები. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხატვრო

საბჭო იწვევს მგოსნებს და სხვა საჭირო პირებს. წესდებას ხელს ანერენ წრის დამფუძნებელი წევრები: გ. ბადრიძე, გრ. ნასარიძე, თ. ჭუმბურიძე, ალ. თორაძე, ევ. მიქელაძე, ტრ. ჯაფარიძე, გრ. კვიცარიძე, დ.მ. ჩაეიძე, ევს. ლოსაბერიძე, ნ. მისაბიშვილი, ვლ. წერეთელი, ი. გაბიღლაია [122].

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ამ ფაქტის შესახებ წერდა, რომ ქუთაისს მიემატა ერთი კულტურული საზოგადოება, რომელიც ემსახურება სამშობლო ხელოვნების აყვავებას. მართლაც, ამ საზოგადეობამ ქუთაისში შეადგინა ეროვნული მომღერალთა გუნდი, კრებდა ხალხურ სიმღერებს, ატარებდა ქალაქსა და პროვინციებში საგანმანათლებლო ხასიათის კონცერტებს. აღნიშნული საზოგადოების ინიციატივით და მელიტონ ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქუთაისში სამუსიკო სასწავლებელი.

სკოლას ჰყავდა ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, დრამატიული წრე. ცალკეულ მათგანს ჰქონდა დაკისრებული არა მარტო გართობის ფუნქცია, ის აღზრდის, განათლების და ეროვნული სულისკვეთების გაღრმავების საშუალებებად იყო გამოყენებული.

ქართული სკოლის დაარსების პირველი დღეებიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა საგუნდო სიმღერების შესწავლას. გიმნაზიაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ლოტბარები ნ. შარაშიძე და ა. კვაჭანტირაძე. ისინი ცნობილნი არიან როგორც კომპოზიტორები, სახელმძღვანელოთა ავტორები. არტემ კვაჭანტირაძემ შექმნა მუსიკა „სევდა საქართველოსი“. იგი ილიას გარდაცვალების საპასუხო, საპროტესტო მუსიკა იყო და ამიტომ გავრცელდა საქართველოს მასშტაბით. გიმნაზიის ლოტბარმა ნიკოლოზ შარაბიძემ გამოსცა „ეროვნულ სამხმოვან სიმღერათა კრებული“ ნოტებით და განმარტებით, კრებულმა დიდი როლი შეასრულა ქართული სიმღერის გააზრების და პოპულარიზაციის საქმეში.

საბიბლიოთეკო საქმიანობა და გიმნაზია

მხოლოდ გამოცემათა თავკაცობა საკმარისი არ იყო წიგნის გასავრცელებლად. ყველას როდი მიუწვდებოდა ხელი წიგნზე, ყველას როდი ჰქონდა შესაძლებლობა შეეძინა იგი და შეექმნა საკუთარი წიგნის არსენალი. ეს ვითარება გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა მოსახლეობის მიახლებას წიგნამდე. გიმნაზიის კოლექტივი გრძნობდა ამ ვითარებას და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად საბიბლიოთეკო ქსელის ზრდა-განვითარებას მიჰყო ხელი.

საბიბლიოთეკო საქმიანობას ქუთაისში ქართული სკოლის დაარსებიდან 7 წლით ადრე ჩაუყარა საფუძველი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ანტონ ლორთქიფანიძემ, მის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისში პროფესიული თეატრალური დასის, გაზეთ „შრომის", ქალთა ჟურნალის „ქართული ბიბლიოთეკის" დაარსებაში აქტიური მონაწილეობა, ქართულ სკოლაში მოღვაწეობა და სხვა ბევრი ეროვნული საქმის თავკაცობა. ანტონ ლორთქიფანიძე 1873 წლის დამდეგს კირილე ლორთქიფანიძეს წერდა:

„შენ გაგებული გაქვს, რომ ჩვენ ბიბლიოთეკის მოფოხებას ვაპირებთ, ეს საქმე, როგორც არის, ამ დღეებში მიუახლოვდა აღსრულებას, მაგრამ სახლის შოვნაზე დადგა საქმე, ნიკოლაძეს უთხარი, რომ თუ მაგან ის სახლი არ გვათხოვა, რომელიც ხიდის ყურშიდ დგას, ისე ბიბლიოთეკის გაკეთება გაგვიჭირდება-თქვა, მისთვის არსენამ რომ სახლი შემოგვპირდა, ორას მანეთ ნაკლებ არ გვაძლევს..." [123].

უჭირდა ბიბლიოთეკისთვის წიგნების, ბინის, სხვა საჭირო მასალის შოვნა ანტონ ლორთქიფანიძეს. მთავრობა ეჭვის თვალით უცქერდა საზოგადო მოღვაწეს, ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეს, მაგრამ ხალხის ეროვნული გამოფხიზლების წყურვილი იმდენად ძლიერი იყო მის არსებაში, რომ ძლევდა შიშს და მოკრძალებას. 4 ათასი წიგნის შეგროვების შემდეგ იმავე ადრესატს ბიბლიოთეკის დამაარსებელი წერდა:

„ამ ბიბლიოთეკას ვხსნი ჩემს სახელზედ. არას კაცისგან არაფერს შენწეობას არ ვთხოულობ, რადგანაც ვიცი, რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირად სჭამს მგლები... სანამ ბიბლიოთეკა იცოცხლებს, წიგნებს ვერ წამართმევენ და თუ ბიბლიოთეკა მოიშალა, მაშინ მე ვალდებული ვარ მათი წიგნები დავუბრუნო“. შეგროვილ წიგნებს შორის ბევრი ნათხოვარი იყო. ბიბლიოთეკის დაარსება საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად ეროვნული სულის აღზევებას ისახავდა მიზნად.

ანტონ ლორთქიფანიძეს კარგახანს მოუწია ქართულ სკოლაში მოღვაწეობამ, მათი საზოგადოებრივი საქმიანობის გამო ის და მისი მეუღლე ეჭვიტანილნი იყვნენ და მთავრობა მათ მუშაობას სკოლაში მიზანშეუწონლად თვლიდა. მიუხედავად ამისა, ისინი მიზანმიმართულად იღწვოდნენ. საბიბლიოთეკო საქმის ასეთი ენთუზიასტები ქართული სკოლის დაარსებისთანავე სამზრუნველოს წევრები გახდნენ. ბუნებრივია, ისინი სასკოლო ბიბლიოთეკის შექმნის მსურველთა შორის აქტიურ პოზიციას იჭერდნენ.

სკოლის მთელს კოლექტივს საერთო მიზანი მოზარდთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის სურვილი აერთიანებდა და ამ მიზნისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალებად თვლიდა ქართულ წიგნს. ქართველს ქართულად უნდა ეკითხა, მშობლიური მიწის, მშობლიური ენის სიყვარულით უნდა ეცხოვრა. მხოლოდ ეს გადაარჩენდა ქვეყანას ასიმილაციისაგან, ამით დარჩებოდა განუხორციელებელი ცარიზმის მიზანი ქართველთა, როგორც განაპირა ქვეყნის მკვიდრთა გადაგვარებისა და შერწყმის შესახებ რუსულ ყოფასთან. აქეთ ეწეოდა ქართველებს იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკა და ამ პოლიტიკის მონად ქცეული ჩინ-მედღეებითა და მდგომარეობით კმაყოფილი ქართული ოჯახები, სადაც თანდათან იკიდებდა ფეხს არა ეროვნული, არამედ რუსული სწავლა-აღზრდის პრინციპები. ამიტომ იყო საჭირო ქართული სკოლის, ქართული წიგნის და ქართველი კაცის ეროვნული სიამაყის ამოქმედება. ქუთაისის ქართული სკოლის ეროვნულ-საგანმანათლებლო ფერხულში ჩაბმული კოლექტივი არ ზოგავდა

ძალას, რათა წიგნით უზრუნველეყო მოზარდი ქართველი მკითხველი. ყველა გრძნობდა ქართულად წერა-კითხვის განვითარებას, ქართული წიგნის სიყვარულს ქართულად აზროვნების უნარი მოყვებოდა და ამ გზით გაიკაფავდა გზას ეროვნული, მამულიშვილური მიდგომა ყველაფრისა და ყველას მიმართ. აი, რას წერდა პედაგოგი სილოვან ხუნდაძე იაკობ გოგებაშვილს:

„საყმაწვილო წიგნი ცოტაა ჩვენს მწერლობაში და არ ყოფნის საკითხავად კითხვის მოყვარულთ, ამიტომ გვინდა შევკრიბოთ თითო აბაზი საზოგადოებაში ფული, რომ სასყიდველი მივცეთ რიგიან მთარგმნელებს“ [124].

ითარგმნა ბევრი საზღვარგარეთელი საბავშვო მწერალი, გაძლიერდა ქართული საბავშვო ლიტერატურისადმი ყურადღება. ამ დიდ საქმეს ხელი შეუწყო სკოლის პედაგოგთა (ს. ხუნდაძე, ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი) მიერ ჩამოყალიბებულმა „საყმაწვილო წიგნების გამომცემელმა წრემ“ (1903). წრის ინიციატივით გამოიცა „საყმაწვილო წიგნების კატალოგი“. იგი ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით იყო დალაგებული. კატალოგის მიხედვით შეიძლებოდა სკოლის და საოჯახო ბიბლიოთეკის შედგენა. მასში შეტანილი იყო იმ დროისათვის არსებული საუკეთესო საყმაწვილო წიგნები, მაგრამ წიგნის პროპაგანდა ვერ იყო საკმარისი, ამიტომ გადაწყვიტეს პედაგოგებმა თვით ჩადგომოდნენ სათავეში ამ დიდ საქმეს. სილოვან ხუნდაძე წერდა იაკობ გოგებაშვილს:

„დავდივარ ოჯახებში და მშობლებს ვემუდარები საოჯახო ბიბლიოთეკა შეადგინონ და შვილებს რიგიანი ქართული წიგნები აკითხონ. ჯერჯერობით ჩვენს გამოცემულ საყმაწვილო წიგნებს ვავრცელებთ ოჯახებში და ამასთან ვავალებთ, რომ მომავალში სხვა საყმაწვილო წიგნებიც შეიძინონ და ამ სახით ბიბლიოთეკა შეადგინონ... მაშინვე ამ წიგნების კატალოგს დავბეჭდავთ და ოჯახებში დავარიგებთ, რომ მშობლებს შეეძლოთ ბიბლიოთეკის შესაძენად მით ხელმძღვანელობა. ჯერჯერობით უარი არავის უთქვამს, პირიქით, ბევრი სიხარულით მიეგება ამ საქმეს და აღგვითქვეს თხოვნის შესრულება. მე მგონი, ამგვარი წრის დაარსება

და ასე კარდაკარ სიარული განსაკუთრებით თბილისშია საჭირო" [125].

როგორც ვხედავთ, ს. ხუნდაძეს უნდოდა, ისე როგორც მის მიერ წამოწყებულ სხვა ეროვნულ საქმეს, საოჯახო ბიბლიოთეკების დაარსების საქმესაც ჰქონდა რესპუბლიკური რეზონანსი და საოჯახო ქართული ბიბლიოთეკების შექმნისათვის ზრუნვის გაძლიერებას კარნახობდა იაკობ გოგებაშვილს.

ქუთაისში ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა უპირველესად და შემდეგ სხვა გამომცემლობებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ გაევრცელებინათ წიგნი, მიეზიდათ მკითხველი, ამ მიზნით აგენტებიც ჰყავდათ არჩეული, აგენტებს ავალებდნენ წიგნის პროპაგანდას, მათ თავმოყრას და მასებისათვის მიწოდებას.

თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია და ამხანაგობა ასეთი სახის განცხადებებს აქვეყნებდა პრესაში: „...თუ ვინმე წიგნის გამოწერას მოითხოვს, მაღაზია ყოველნაირ ხარჯს თავის თავზე იღებს და შეკვეთილ წიგნს იწერს, კისრულობს შკოლებისათვის ბიბლიოთეკების შედგენას... სოფლის შკოლებს აღმოუჩენს დახმარებას, რომ წიგნები რაც შეიძლება იაფად შეიძინონ" [121]. სკოლის პედაგოგებმა მათი ინიციატივით დაარსებული გამომცემლობების მეშვეობით საფუძველი ჩაუყარეს ქართული წიგნების სერიების გამოცემას. მაგ: ოცხელის წიგნის მაღაზიამ პედაგოგ დიმიტი უზნაძის ხელმძღვანელობით გამოსცა „საისტორიო ბიბლიოთეკა". 1913-16 წლებში 3-ჯერ გამოცეს ს. ქვარიანის „საქართველოს მოკლე ისტორია", სერიებად გამოდიოდა ს. ხუნდაძის ავტორობით ქართველ მწერალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი თხზულებები, დასურათებული ქართული ნაწარმოებები. ქართული სკოლის რჩევის ოქმები კარგად ასახავს პედაგოგთა კოლექტივის ზრუნვას სასკოლო საბიბლიოთეკო მუშაობის გასაშლელად. 1897 წლის 17 ნოემბერს ალ. გარსევანიშვილმა (სკოლის ინსპექტორმა) დასვა საკითხი სასკოლო ბიბლიოთეკის შევსების შესახებ. სკოლამ შექმნა კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა საჭირო წიგნების სია. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ პედაგოგები: ალ. გარსევანიშვილი,

მ. საღარაძე, თ. მთავრიშვილი, გ. ცაგარეიშვილი, ს. ხუნდაძე [127].

პედრჩევამ 1902 წლის 9 სექტემბერს (ოქმი №4) სპეციალურად მოისმინა პედაგოგ ალ. გარსევანიშვილის ინფორმაცია კლასგარეშე კითხვის განვითარების საკითხებზე. მომხსენებელმა აღნიშნა: „უფროს კლასებს თვით ვაკითხოთ, უმცროსებს მასწავლებლებმა უკითხონო". კლასების მიხედვით მოახდინეს პედაგოგების მიმაგრება. იმავე პედრჩევამ კომისია შექმნა სკოლის ბიბლიოთეკისათვის შესაძენი ქართული წიგნების ჩამონათვალის შესაქმნელად. პედაგოგები თ. მთავრიშვილი, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი არ კმაყოფილდებოდნენ აგენტების მუშაობით, თვით დადიოდნენ ოჯახებში, სოფლებში, აარსებდნენ პატარა ბიბლიოთეკებს, ზოგჯერ წიგნებს უსასყიდლოდ გადასცემდნენ ხოლმე. ამის მაგალითს იძლეოდა იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამოაზრე ქუთაისელი სწავლულებიც კვალში ედგნენ დიდ განმანათლებელს. სკოლა თავის მხრივ საქველმოქმედოდ გასცემდა სახელმძღვანელო წიგნებს, მაგრამ შემოწირულობასაც იღებდა სასკოლო ბიბლიოთეკის. შესავსებად.

1909 წლის 18 იანვარს პედაგოგიური რჩევის მსჯელობის საგნადაა ქცეული ვინმე კნეინა მიქელაძის მოქმედება, რომელმაც მისი შვილის სოსო მიქელაძის ნაქონი წიგნები (15 თუმნად ღირებული) უსახსოვრა სკოლას. რჩევამ მადლობა გამოუცხადა მიქელაძის ქვრივს. 5 თებერვალს კი გარდაცვლილი შვილის მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა და წიგნებს სკოლის ბიბლიოთეკაში მიუჩინა ბინა [128].

პედაგოგი ჯავჯუ ჯორჯიკია, წიგნების დეფიციტის გამო, გაზეთ „ივერიაში" 1903 წლის 3 აპრილს წერდა: „ზუგდიდში, ამ ოდიშის დედაქალაქში ერთი რიგიანი წიგნსაცავი-სამკითხველოც კი არ მოგვეძებნება. ყველასათვის ჭეშმარიტი უნდა იყოს, რომ ამგვარ დაწესებულებათა უქონლობა საუკეთესო მაჩვენებელია საზოგადოების გონებრივი სიჩლუნგისა და დაქვეითებისა. ვგრონებ, არამც თუ დაბა-სოფლებისათვის, კერძო პირებისთვისაც კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს... სრულიად უსაბუთო თავის მართლება იქნებოდა, რომ უსახსრობა დაასახელოს ვინმემ ამის მიზეზად" [129].

ავტორი მოუწოდებდა მოსახლეობას, მთავრობას, ყველა საშუალება გამოიყენონ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სკოლა სისტემატურად იწერდა ჟურნალ-გაზეთებს. პედრჩევის 1897 წლის 22 დეკემბრის ოქმში ფიქსირებულია, რომ სკოლამ ბიბლიოთეკისათვის გამოიწერა ქართული პერიოდული გამოცემები: „ივერია“, „მოამბე“, „კვალი“, „ჯეჯილი“ და რუსული ჟურნალ-გაზეთები: „რუსსკაია შკოლა“, „ნედელია“, „ნოვოე ობოზრენიე“ [130].

საყურადღებო მიმოწერას აწარმოებდა სკოლა ორგანიზაციებთან სხვადასხვა ქალაქებში, საჭირო წიგნების მისაღებად სასკოლო ბიბლიოთეკისათვის [131].



საქალაქო ბიბლიოთეკათა მზრუნველი, სიმონ ქვარიანი

გამოწერილი წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით, შემოწირულობებით (ავტორისაგან, მოსახლეობისაგან), გამომცემლობათა გააქტიურებით მდიდრდებოდა სკოლის ბიბლიოთეკა. როცა წიგნების საჭირო რაოდენობა დაგროვდა, სკოლის პედკოლექტივმა გადაწყვიტა გაემიჯნა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, ცალ-ცალკე დაეჯგუფა პედაგოგთათვის და ყმაწვილთათვის საკითხავი წიგნები, მცირე მოცულობის წიგნების ბაზაზე თითოეული კლასისთვის შექმნა საკლასო ბიბლიოთეკები და მას სათავეში ჩაუყენა რჩეული მოსწავლეები, პედაგოგთათვის საკითხავი და მეთოდური სახელმძღვანელოები ძირითადი ბიბლიოთეკის განკარგულებაში დატოვა. აღნიშნული ბიბლიოთეკით სარგებლობდა ქალაქის ინტელიგენციაც. ბიბლიოთეკის ინიციატივით იმართებოდა მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვები, მოქმედ გმირთა გასამართლებები, მხატვრული კითხვის საღამოები, ეწყობოდა ინსცენირებები. ყველაფერს ამას საქალაქო რეზონანსი ჰქონდა.

1904 წლისათვის ქალაქის 2 საქალაქო ბიბლიოთეკაში 5550 რუსული და 325 (!) ქართული წიგნი იყო, ბინაზე წიგნით ისარგებლა 28 (!) მკითხველმა. ბიბლიოთეკას მზრუნველი დაუნიშნა ქალაქის ხელმძღვანელობამ. მზრუნველის მოვალეობა გამწაზიის პედაგოგმა სიმონ ქვარიანმა იკისრა [132], ამით სკოლის კოლექტივი საქალაქო საბიბლიოთეკო ქსელის მართვის სამსახურშიც ჩადგა.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგები და პრესა

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგები ქართული ეროვნული განათლებისა და კულტურის აღორძინება-გავრცელების სათავეში იდგნენ. თვლიდნენ, რომ ხალხის კუთვნილებად უნდა ქცეულიყო ერის მონაპოვარი, მათ განვითარებასა და სრულქმნას უნდა მოხმარებოდა ყველა წარმატება, ყველა მიღწევა. ამიტომ იყვნენ ერის აკვკარგის პროპაგანდისტები, არ კმაყოფილდებოდნენ ამით და უხვად აწვდიდნენ მოსახლეობას რუსულ და უცხოურ ლიტერატურას, ჰართავდნენ პოლემიკას, ჩართული იყვნენ დისპუტებში. გაზეთ „დროებასა" და „ივერიაში" თანამშრომლობდნენ ქართული სკოლის პირველი ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე და ძველი სენაკის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი, პედაგოგები: თომა მთავრიშვილი, ვასილ წერეთელი, რომანოზ ძამსაშვილ-ცამციევი, ჯავჯუ ჯორჯიკია, სიმონ ქვარიანი, სილოვან ხუნდაძე, ბესარიონ ნიჟარაძე, ტრიფონ ჯაფარიძე და სხვები. არ დარჩენილა რესპუბლიკის მასშტაბით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქართველთა სწავლა-აღზრდის და განათლების საკითხებს ეხებოდა, რომ გაზეთმაურება არ მოჰყოლოდა სკოლის კოლექტივისაგან.

პედაგოგი ვასილ წერეთელი გაზეთ „კოლხიდის" ფურცლებზე გაბედულად გამოდიოდა მშობლიური ენის სწავლების საკითხებზე. ის ითხოვდა დედაენის შესწავლას და შემდგომ, მის საფუძველზე სხვა ენებისას, მიუთითებდა სწავლების შინაარსის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, ოფიციალურ სწავლულთა მომრავლებასა და ნამდვილ მცოდნეთა დეფიციტზე. „კოლხიდაში" ეწეოდა სწავლების პროგრესული მეთოდების პროპაგანდას გიმნაზიის კურსდამთავრებული, შემდეგში პედაგოგი და საქვეყნოდ აღიარებული ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე. მისი სტატიები მკითხველს ათვითცნობიერებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში პედაგოგიური მეცნიერების განვითარების არსში, მოითხოვდნენ შეგირდისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, მათი ფსიქო-ფიზიკური განვითარებისათვის თვალყურის დევნებას, ანვითარებდნენ

აზრს, რომ სწავლა-აღზრდის საქმე მხოლოდ პედაგოგიკის კვლევის საგანი არ იყო, ის უნდა იკვლიოს ექსპერიმენტულმა ფსიქოლოგიამ და მედიცინამაც, როგორც მონათესავე მეცნიერებებმა, მოზარდის ასაკობრივ თავისებურებათა შესასწავლად ითხოვდა ლაბორატორიების შექმნას, ექსპერიმენტებს.

ბესარიონ ნიჟარაძე ხშირად აქვეყნებდა ნარკვევებს რესპუბლიკურ და საქალაქო პრესაში სწავლა-განათლებისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე, საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ პედაგოგებს გრიგოლ ვოლსკის, სერგო რობაქიძეს, ვასილ ყიფიანს, პეტრე მირიანაშვილს, ალექსანდრე გარსევანიშვილს, იასონ ნიკოლაიშვილს, ტრიფონ ჯაფარიძეს.

მრავალმხრივი იყო პედაგოგ სამსონ ყიფიანის გამოსვლები პრესის ფურცლებზე. ის პროპაგანდას უწევდა ქართულ ენას, კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ებრძოდა კუთხურობას.

მკითხველთა საერთო ყურადღება დაიმსახურა გაზეთ „კოლხიდაში“ სილოვან ხუნდაძის გამოსვლებმა იაკობ გოგებაშვილის მოსაზრების საწინააღმდეგოდ. კამათის თემა მიეძღვნა დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლების მიზნით გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოსა“ თუ ახლადგამოსული კორხანიდის ქრესტომათიის გამოყენების საკითხს I და II კლასებში (სახელმძღვანელოდ იგი მიიღო გიმნაზიის რჩევამ 1905 წლის 10 სექტემბერს) [133] იმდენად ღრმად იყო განხილული სახელმძღვანელო, რომ გაზეთ „კოლხიდას“ ფურცლებზე იაკობ გოგებაშვილი, ეს უზადო, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი, იძულებული გახდა თავი ემართლებია მკითხველის წინაშე (რამდენად სწორი იყო ს. ხუნდაძის პოზიცია, ეს ცალკე კვლევის საგანია და საკითხი მრავალმხრივ შესწავლას საჭიროებს). ეს ფაქტიც საკმარისია ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგთა ძალაში დასარწმუნებლად.

პრესაში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პედაგოგი თ. მთავრიშვილი. გაზეთ „ივერიაში“ გაბედულად წერდა იგი სამშობლო ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ, აკრიტიკებდა ლევიცკის მუნჯურ მეთოდს [134], ადასტურებდა ქუთაისის ქართული სკოლის გიმნაზიად გადაკეთების აუცილებლობას.

უამრავი წერილი აქვს გამოქვეყნებული პრესაში პედაგოგ სიმონ ქვარიანს საერთოდ განათლების და კერძოდ ქალთა განათლების საკითხებზე, საქართველოს ისტორიულ წარსულზე, სასოფლო-სამეურნეო თემაზე.

პედაგოგი სერგო რობაქიძე ხშირად წერდა საკვირაო სკოლებზე, სასკოლო სახელმძღვანელოებზე.

პრესის ფურცლებზე პედაგოგები გამოდიოდნენ საკუთარი ნაწარმოებებითაც, თავიანთი ეროვნულობით ხიბლავდნენ მკითხველს. ამ მხრივ ყურადსაღებია სილოვან ხუნდაძის ლექსები, პიესები, დომენტი თომაშვილის საბავშვო ნაწარმოებები და ლირიკული ლექსები, იასონ ნიკოლეიშვილის მოთხრობები, სერგო რობაქიძის თარგმანები, ალ. გარსევანიშვილის ისტორიული ნარკვევები.

სკოლის პედაგოგები არა მარტო წერდნენ სტატიებს გაზეთებისათვის, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სარედაქციო საქმიანობაში. ადგილობრივ პრესის მუშაკებისადმი დახმარებად უნდა ჩაითვალოს სილოვან ხუნდაძის წიგნაკი მართლწერის საკითხებზე (რომელმაც დიდი დავა გამოიწვია მასა და გრიგოლ ყიფშიძეს შორის), მაგრამ თვით ს. ხუნდაძე წიგნაკის მისიას გაზეთ „კოლხიდის" თანამშრომლებისადმი დახმარებად თვლიდა და მის წინააღმდეგ გამოსვლებს ყურად არ იღებდა.

„რედაქციის მიზანი იყო - „კოლხიდის" თანამშრომელთ დაეცვათ ხოლმე ამ გაზეთისათვის დანიშნულ წერილებში ხსენებული მართლწერა, რომ რედაქციას ნაკლები შრომა დასჭირვებოდა წერილების გასწორებისათვის. რედაქცია თავის თანამშრომლებს ამით ეუბნებოდა: ჩვენ ამგვარი მართლწერა შემოვიღეთ და თუ წერილი გამოგვიგზავნოთ, ამის მიხედვით დასწერეთ, რადგან მოგწონთ თქვენ იგი თუ არა, სულერთია თქვენი წერილი ჩვენ მაინც ასე უნდა შევასწოროთ და ბარემ ჩვენი მართლწერით წერეთ და სწორების დროს ნუ გვაკარგვინებთო" [135].

ს. ხუნდაძე კატეგორიულად ეწინააღმდეგება გრიგოლ ყიფშიძის აზრს იმის შესახებ, რომ აუცილებელია, ქართლური მართლწერა გაბატონდეს საქართველოში.

„არა ბ. გრიგოლ: სალიტერატურო ენისათვის მარტოდ-მარტო არც ქართლის ენა გამოდგება, არც კახეთის, არც იმერეთისა და არც სხვა კუთხისა. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი ხალხი, მთელი ერი და არა რომელიმე ერთი კუთხე, რადგან ზოგიერთი ტერმინი ან ფორმა ერთი კუთხისაა აზრიანი და კეთილხმოვანი, ზოგი კი - მეორე კუთხისა“ [136].

ტრიფონ ჯაფარიძე სტატიებს აქვეყნებდა გაზეთებში: „კოლხიდა“, „სამშობლო“, „ჩვენი ქვეყანა“, „იმერეთი“. ისინი ეხებოდნენ ხალხური შემოქმედების, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებს. ტ. ჯაფარიძე წერდა საკითხების ღრმა ცოდნით. ხშირად იყო გაზეთების სარედაქციო კოლეგიათა წევრი.

ქართული სკოლის პედაგოგები ამშვენებდნენ ალმანახების, კრებულების ლიტერატურულ მხარეს. ძნელად თუ შევხვდებოდით პერიოდულ გამოცემებს სილოვან ხუნდაძის, ალექსანდრე გარსევანიშვილის, დომენტი თომაშვილის, თომა მთავრიშვილის, ვასილ ყიფიანის, ჯაკუ ჯორჯიკიას და სხვათა ქმნილებების გარეშე. ყველა მათგანი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოებია, ზოგი მოქმედების შორეულ წარსულში გადატანით ახერხებს დღევანდელი სათქმელის სააშკარაოზე გამოტანას. პრესისადმი პატივისცემის, მისი დანიშნულების სწორად შეცნობის კარგი მაგალითია ქართული გიმნაზიის მასწავლებელთაგან წარმოდგენილი მოსაზრებანი პრესის ფურცლებზე.

ქართული პრესის ფურცლებზე წერდნენ ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეობის ასაკში შემდგომში ცნობილი მწერლები და მოღვაწეები: კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, ლევან ასათიანი, ბესარიონ ჟღენტი.

საინტერესო სურათს იძლევა გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი პერიოდული გამოცემები. მაგ.: „განთიადი“ (1904 წელი), „ვაი-ური“ (1912-13 წ.წ.), „მოწაფის დღიური“ (1913 წ.), „ეშმაკთა უბანი“ (1913-14 წ.წ.) და სხვ. [137].

მოზარდები ჟურნალ-გაზეთებში ფსევდონიმებით გამოდიოდნენ, გაბედულად წერდნენ სამშობლოს უკუღმართ ბედზე, თაყვანს ცემდნენ წინაპართა ნათელ ხსოვნას და, რაც მთავარია, იზრდებოდნენ, ყალიბდებოდნენ სამშობლოს ერთგულ მოღვაწეებად.

გიმნაზიის პედაგოგები სამეცნიერო-კვლევით სარბიელზე

აკოლა-გიმნაზიის განათლებულ, ნიჭიერ და ქართული ეროვნული პოზიციებიდან მოქმედ კოლექტივს კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობითაც აქვს საკუთარი წვლილი შეტანილი ეროვნული კადრების აღზრდის მთელს პროცესში. კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ისინი ქართული ენისა და ლიტერატურის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, საქართველოს ისტორიის, საბუნებისმეტყველო, პედაგოგიური და სოფლის მეურნეობის, სამედიცინო, თეატრალური და სასცენო ხელოვნების საკითხებზე. მათ მიერ ჩატარებულ კვლევით მუშაობას კარგად ასახავს გამოქვეყნებული წიგნები, სტატიები, სახელმძღვანელოები /იხ. სქემა /№3 და ამონაწერი „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიული გამოცემის №1 წიგნიდან დანართი/.



იოსებ ოცხელის მიერ აშენებული სტამბის შენობა

ქუთაისის ძველთული მემანუფაქტურა-ქარხნული საწარმოო სამეურნეო

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგთა მიერ შექმნილი და გამოცემული წიგნები

№	გვარი და სახელი	№ქნ	წიგნის დასახელება	გამომცემელი მაღაზია	წელი
1	აბესაძე ივლიანე (თანაავტორები ს. ყიფიანი, ი. კობახიძე)	5016	ახალი აღთქმის საღვთო ისტორია	ოცხელის წიგნის მაღ. გამ.	1917
		5017	„-“	„-“	1917
		5177	„-“	„განათლების“ ამხ. გამ.	1917
2	ახვლედიანი გიორგი	5183	ენათმეცნიერების შეს. 1 ნაწ.	უნივერს. კავშ. გამგეობა	1918
		5184	„-“ მე-2 ნაწ.	„-“	1918
		5324	რუსული ენის გრამ. 1-2 ნაწ.	„-“	1918
3	ბერიძე ვუკოლი	4068	სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა	პეტერბურგის მეც. აკადემია	1912
4	გველესიანი ი. (თანაავტორი დ უზნაძე)	5272	ახალი ისტორია	ქუთაისის განათ. ამხ. გამ.	1918
		5536	ახალი ისტორია XV-XVII ს.ს.	თბ წკგს გამომც.	1920
5	გარსევანიშვილი აღექსანდრე	1257	„ცდა“ კრებული	წულუკიძის სტ. 1989-91	1989-91
		4072	უკრაინის მგოს. ტარას	ქუთ. სახ. უნივ. 1912	1912

			შევჩენკო		
		4725	გმირი ქალი მათე ყაჩ. წოდ.	სახალხო ბიბლ.	
6	გერსამია ალექსანდრე	4078	ლოცვანი პირველ. დაწყ. შკოლებისათვის	მთავრიშვილი და ამხ წიგნ. მაღ.	1912
7	დათეშიძე სამსონი	1289	ქართული წერის დედან. და ხატვ. ნიმუშ.	თბილ. დეპოსროვის სტ.	1850
		1323	ჟღელეს ჩამოდგა ოსი და მდვალი	ალვანახი „ცდა“	1890
		3341	სახატავი ნიმუშები და წერის დედანი	თბ. მე-2 გამომც.	1905
		3894	„-“	თბ. მე-3 გამომც.	1911
		4743	„-“	„-“	1915
		5343	არით. ამოც. კრებ. მე-2 კლ.	თბ. ქართველთა აჰხ. სტ.	1919
		5554	„-“ 1 კლ.	„-“	1920
8	თორაძე ალექსანდრე	5361	ბესიკის ცხ. და შემოქ.	ქუთ. გამ. „მერანი“	1919
		5362	ფრანგ. ენ. სახ. 3-4 კლ.	„-“	1919
		5491	„-“ მე-2 შესწ.	„-“	1919
9	იოსელიანი პლატონი	169	ანბანი ქართ. სასარგ.	არზანოვთა სტ.	1838
		174	კალენდარი	„-“	1840
		175	პირველ დაწ. კანონი	„-“	1840

			ქართ. გრამატიკისა		
		179	კალენდარი 1841 წ.	„-“	1840
		203	პირველ დაწყ. ანბანი მე-6 გამოც.	კავკასიის ნამესტ. კანც. სტ.	1849
		214	პირველ დაწყ. კანონი ქართ. გრამ.	გულიანცის წიგნ. სამბეჭდ.	1851
		235	ანბანი ქართულ. ახალ მოსწ. მე-7	კავკ. ნამესტ. კანც. სტ.	1853
		245	„-“ მე-8-მე-9	„-“	1855
		263	„-“	კავკ. უპირატ. გამგ. სტ.	1859
		287	პირველ დან. კანონი ქართ. გრამატ.	„-“	1813
		191	ანბანი ქართ. ახალმოსწ. მე-11	„-“	1863
		344	ცხოვრება მეფის გიორგი მე-13-ს	თბილისი	1867
	წინასიტყვაობები 208, 213, 224, 226	1778	„-“	თბ. ჭიჭინაძის გამომც.	1895
		5063	ტრაქტატი ანუ პირობა რუსეთის იმპერიისა საქართ.	თბ. შალვა იმედაშვილის გამომც.	1917

			შეერთებაზე		
10	კარიჭაშვილი დავითი	1017	საქებართა ქებანი	თბ. ჩარკვიანის სტ.	1886
		1081	„სამი მსხვერპლი". მოთხრობა	თბ. კრამარენკოს ტიპოგრაფია	1887
		1483	თამარ მეფე (1184-1213)	თბ. შარაძის სტ	1892
		1671	როსტომ მეფე	თბ. ზ. ჭიჭინაძის გამომც.	1894
		1672	სვიმონ მეფე	„-"	1894
		2555	საქართ. მე-12 საუკ.	თბ. ქართ. წიგ. გამომც. სტ.	1902
		2686	წიგნის ისტორია	თბ. წგკს-ს გამომ.	1903
		3012	წკგს-ის საზ. წიგნ. საც.	თბ დეკანოს ერისთალოვის სტ.	1904
		3361	საქართ. მოკლე ისტორია	თბ. სტ. „ძმობა"	1907
		3754	წამება ცხრა ძმათა კოლაელთა	თბ ლოსაბერიძის სტ.	1910
		3920	კატალოგი წკგს-ს წიგნსაცავის	თბ. წკგს-ს გამომც.	1911
		4355	„ვეფხისტყაოსნის" შედგენილობა	თბ. „განათლება"	1913
		4555	ხუცური ანბანი	თბ. ლოსაბერიძის სტ.	1914
11	ლორთქიფანიძე დ.	5381	ქართული ენის წერილობითი	ქუთ. გამ. „განათლება"	1919

	(თანაავტ. კობახიძე ი.)		სავარჯიშო		
12	ლორთქიფანიძე ი. (თანაავტ. ეგნატაშვილი)	5584	თავისუფალი ვარჯიშის მოკლე თანწყობა	თბ. „შევარდენის“ გამომც.	1920
13	ლორთქიფანიძე კირილე	1884	„ჩონგური“ - კრებული	პეტერბურგის სამეც. აკად.	1913
		4948	ხელთა ანუ სააღდგომო ქორონიკონი	მთავრიშვილის და ამხ.გამომც.	1916
14	მირიანაშვილი პეტრე	2436	ჰომიროსის თქმულება	თბ. თავართ. სტ.	1901
		2691	„-“	„-“	1903
		4372	ამირანის ლექსი შეკრ. და დაწყობ. პ. მირიანაშვილის მიერ	თბ. ლოსაბერიძის სტ.	1913
		4573	გახსოვდეს წერა ლაპარაკის დროს. ქართ. გრამატიკის წესები	„-“	1914
		4574	ორი საერთო თქმულება აბესალომის და ეთერის ლექსი	„-“	1914
		4783	„ვეფხისტყაოსანი“ 5 სურათად	„-“	1915
		4784	ძველი და ახალი ქართ.	„-“	1915

			შაირობა		
		4785	პრაქტიკული კურსი ქართულ ენაში (რუსულად)	„-“	1915
		5243	აბესალომ და ეთერი. ხალხური თქმულება (ოპერა 5 მოქმედებად)	თბ. ქართ. კლუბ. გამ.	1918
		5814	„მრავალჟამიერ“. მუსიკა ფალიაშვილის, სიტყვები მირიანაშვილის	ქართ. ფილარ. გამ.	
15	მამფორია ბ. (თანაავტ. ი. ოცხელი, ი. ნიკოლაიშვილი)	5254	ქართული ქრესტომატია	ქუთ. „განათლება“ ამხ. გამ.	1918
16	მთავრიშვილი თ. (თანავტ. ი. ოცხელი, ს. ყიფიანი)	3543	„გუთანი“ ოჯახსა და შკ. საკითხავი წიგნი	მთავრიშვილის ბაღაზ. წიგნ. გამ.	1908
		3949	„-“ (ჯეროვან მთავრობის მიერ ეს წიგნი ცნობილია სახელმძღვანელოთ ყველა შკოლათათვის, სადაც ქართულ ენას ასწავლიან და	„-“	1911

			ქუთაისის ეპარქიის სასულიერო შკოლათათვის)		
		4801	ქართული ანბანი (თანააავტ. ი. ოცხელი, ს. ყიფიანი)	ქუთ. წკგს-ს სტ.	1917
		5090	„გუთანი“ მე-3-მე-4 წლ. კურსი (ი. ოცხელი, ს. ყიფიანი)	„-“	1917
		5091	ქართული ანბანი (ი. ოცხელი, ს. ყიფიანი) გამოცემა მე-2	ქუთ. „განათლება“ ამხ. გამო.	1917
		5092	ქართული ანბანი (ი. ოცხელი, ს. ყიფიანი) გამოც. მე-3	„-“	1917
		5650	„გუთანი“ 3-4 წ. კურსი (ი. ოცხელი, ს. ყიფიანი) მე-1 გამოც.	„-“	1920
		5651	ქართული ანბანი (ი. ოცხელი, ს. ყიფიანი)	„-“	1920
17	მგალობლიშვილი ა.	5240	არითმეტიკულ ამოცანათა კრებული მე-3 კლ.	„-“	1918

18	ნიკოლაიშვილი იასონი	4166	ქართული მოკლე გრამატიკა	ქუთ. კ. გაბუნიას გამ.	1912
		4386	„-“ მე-2 გამოც.	ოცხელისა და წიგნის მაღ. გამ.	1913
		5087	„-“ მე-3 გამოც.	ქუთ. „განათლების“ გამ.	1917
			ქართული ქრესტომატია მე-2 კლ. (თაანვტ. ი. ოცხელი, ბ. მამფორია)	ქუთ. „განათლების“ აქხ. გამ.	
		5395	ქართული მოკლე გრამატიკა მე-4 გამოც.	თბ. არაბიძის და ამხ. წიგ. მაღ.	1919
19	ნათაძე გრ.	5394	ინგლისის მოკლე ისტორია	ქუთ. წკგს-ს გამომც.	1919
		5640	პირველყოფილი კულტურა 1 კლ.	ნორჩი საქ. გამ.	1920
20	ნიჟარაძე ა. (ს. ოცხელის თანაავტო.)	5655	დაწყ. ფიზიკა უმაღ. დაწყ. სასწ. გამოც. მე-3	ქუთ. განათ. გამ.	1920
		5656	„-“ მე-4 კლ. კურსი	„-“	1920
21	ოცხელი იოსები	3543	„გუთანი“	მთავრიშვილის აქხ. წიგნის მაღ.	1908
		3949	„-“	„-“	1911
		4801	„ქართული ანბანი“	ქუთ. წკგს-ს სტ.	1915
		5090	„გუთანი“	„-“	1917

		5091	„ქართული ანბანი“ გამ. მე-2	„-“	1917
		5092	„ქართული ანბანი“ გამ. მე-3	„-“	1917
		5253	ქრესტომატია	ქუთ. „განათლების“ გამომ.	1918
		5254	ქართული ქრესტომატია	„-“	1918
		5401	ქრესტომატია 1 კლ.	„-“	1919
		5650	„გუთანი“	„-“	1920
		5651	ქართული ანბანი მე-6 გამოც.	„-“	1920
22	ოცხელი სიმონი	5093	ელემენტარული ალგებრა	ქუთ. „განათლების“ გამ.	1917
		5094	ელემენტარული გეომეტრია	„-“	1917
		5402	არითმეტიკის ამოცანათა მაგ. კრებული პირველ. დაწყ. სკ.	„-“	1919
		5403	ელემენტარული ალგებრა საშ. სკ.	„-“	1919
		5404	ელემენტარული გეომეტრია საშ. სკ.	„-“	1919
		54-5	ელემენტარული გემეტრია საშ. სასწ.	„-“	1919
		5652	არითმეტიკის	„-“	1920

			ამოცანათა და მაგ. კრებული I დაწყ. სკ.		
		5653	ელემენტ. ალგებრა საშ. სკ. მე-4 გამოც.	„-“	1920
		5654	ელემენტ. ალგებრა შიგნ. მე-2	„-“	1920
		5655	დაწყ. ფიზიკა უმაღ. დაწყ. სასწ.	„-“	1920
		5656	დაწყ. ფიზიკა უმაღ. დაწყ. სასწ.	„-“	1920
23	ოყრეშიძე დომენტი (თომაშვილი)	2681	საყმანვილო ლექსები	ხ.თერელის წიგნ. მაღ. გამ.	1903
		2682	საყმაწვილო მოთხრობები	„-“	1903
		3474	ლექსი - „აკაკის საიუბ. კრ.“	კ.კნაძის სტ.	1908
		3848	კრებ. „ალიონი“, „მალულობია“	თ.პ. მეტეხის გამ.	1911
24	რობაქიძე სერგო		სამშობლოს აღწერა. საქ. გეოგრაფია. „სახელმძღვანელო“	ქუთ. მღვავრიშვილის მაღ. ამხ. გამ.	1912
		4593	სამშობლოს აღწერა. მე-2 გამოც.	ქუთ. ხელაძის სტ.	1914
		5112	სამშობლოს აღწერა. მე-3 გამოც.	სახალხო მასწ. კავშირი	1917
		5257	სამშობლოს	ქუთ. „შკოლა“	1918

			აღწერა. მე-4 გამოც.		
25	სალარაძე მიხეილი	1915	უმთავრესი კითხვები სალიტ. კრიტ.	ქუთ. კილაძის და ხელაძის სტ.	1896
		2037	ჩვენი ახალი თაობა	„-“	1897
26	სურგულაძე პეტრე	3055	დაწყებითი განათლება	ქართველთა ამხ. სტ.	1905
		3056	ეროვნული ენა	„ცისკარის“ გამ.	1905
27	სვანიძე გ. შევარდნაძესთან ერთად	5423	გერმ. ენის სახელმძღვანელო, წელი მე-2	ქუთ. „მერანის“ გამ.	1919
28	სვანიძე ნ. შარა შენიძესთან ერთად	5238	ალგებრულ ამოცანათა კრებული 3-4 კლასი	ქუთ. „განათლების“ გამ.	1918
29	სანიკიძე შ.ო. (ქუთათელაძე, ცაგარეიშვილი	5152	გეოგრაფია, ნაწ. 1	ქუთ. „განათლების“ გამ.	1917
		5296	„-“ გამოც. მე-2	„-“	1918
		5730	„-“ გამოც. მე-3	„-“	1920
30	უზნაძე დიმიტრი	4199	ექსპერიმენტ. პედაგოგ. შესავალი	ქუთ. გამომ. „ძმობა“	1912
		4200	ძველი ისტორია (ძველი აღმოს. და საბერძნეთი)	თბ. არაბიძის ამხ. გამ.	1912
		4983	მსოფლიო ისტორია	ქუთ. მთავრიშვილი	1917

				და წიგნ. მაღ'ზ. გამ.	
		5135	მსოფლიო ისტორია. მე-2 გამ.	„-“	1917
		5271	ძველი საბერძნეთი. ნაწ. მე-2	ქუთ. „განათლების“ აქ'ზ. გამ.	1918
		5272	ახალი ისტორია საშ. სასწ. (გველესიანის თანაავტ.)	„-“	1918
		5429	ისტორია პირველყოფილი კულტურის	თ.ბ. „სახ. საქმის“ სტ.	1919
		5430	ლეიბნიცი ფსიქოლოგიაში	სამხ. სამინისტროს სტ.	1919
		5431	რომი, მსოფ. ისტო. მე-3 ნაწ.	ქუთ. „მერანის“ გამ.	1919
		5432	ძველი ისტორია, ძველი აღმ., საბერძნეთი	თ.ბ. არაბიძის და ამხ. წიგნ. გამ.	1919
		5433	ახალი ისტორია საშ. სასწ. მე-18-19 ს.	თ.ბ. „სახ. საქმის“ გამოც.	1919
		5536	ახალი ისტორია მე-15-17 ს.	შკგს-ს ამხ. „შრომა“	1920
		5696	ფსიქოლოგია ლეიბნიცის ადგილი	უნივერსიტეტის მოამბე	1920
		5700	პროფ. ანრი	უნივერსიტეტის	1920

			ბურგსორი	გამომ	
		5701	ძველი ისტორია ნან. 2. რიომი	თბ წკგსის გამ.	1920
31	ქუთათელაძე დ	5282	ზოოლოგია. სასწ. სახელმძღვანელო	ქუთ. „განათლების" გამ.	1918
		5441	ადამიანები და ცხოველები. მოკლე სახელმ.	ქუთ. „მერანი"	1919
		5442	ზოოლოგია. სასწ. სახელმძღვანელო	„-"	1919
32	ქუთათელაძე დ. ნ. (ცაგარეიშვილი გ, სანიკიძე შ.ღ.)	5152	გეოგრაფია. სასწ. სახ	ქუთ. გაზ. „განათლება"	1919
		5296	„-"	„-"	1919
		5730	„-"	„-"	1919
33	ქკარიანი სიმონი	1934	ცაცინა. მოთხრ.	ძმები თავარძ. მაღ. ახალი სერაკი	1896
		2053	ახალი საუკეთესო წესი ჭიანჭველების გაშენების	თბ. ხელაძის სტ.	1897
		2054	რაგვარი წიგნი გვჭირდება ქართველებს	ქუთ. „მეურნის" რედაქცია	1897
		2365	ამერიკული ვაზით ვენახ გაშენ	ქუთ. ლაბაშიძის სტ.	1900
		2366	ანჟელინა	ქუთ „კრებულის" რედაქცია	1900
		2470	ევროპის შეაბრეშუმეობა	ბათუმი. ძმები თავარ. გამ.	1901

		2472	სუმბული (ლექსი)	ყვირილა „კლეხის“ გამ.	1901
		2607	სამი გმირი (გ. ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე და გრანელი)	საგუბერნიო ს.ტ.	1902
		2748	ვიზიტი	კურცხალიაა გამ.	1903
		3800	საქართველოს ისტორია	კილაძის სტ.	1910
		3987	საქართველოს ისტორია	ქუთ. მთავრიშვ. მაღ. გამ.	1911
		3988	ქართველი ერის ტრაგ. მე-17 ს.	ქუთ. დათეშიძის გამ.	1912
		4420	საქართველოს ისტორია	ქუთ. ოცხელის წიგნ. მაღ.	1913
		4641	შოთა რუსთაველი და მისი პოემა	ქუთ. გერსამია გამ.	1914
		4839	საქ. ისტორია	ქუთ. ოცხელის წიგნ. მაღ.	1915
		4988	საქ. ისტორია	„-“	1916
		5279	საქ. ისტორია	ქუთ. გამ. „შკოლა“	1918
		5280	ქართველი ერის ისტორია მე-18-19 ს.	„-“	1918
		5705	საქ. ისტორია	„-“	1920
34	ღოღობერიძე ნიკოლოზი	2311	მარი ბროსეს საქ. ისტორია (თარგმანი)		
35	ყიფიანი ვასილი	4665	„სამცხე-	ქუთ. ოცხელის	1914

			საათაბაგო" (კრებული)	გამ.	
		5283	დაწყებითი ალგებრა	ქუთ. მთავრი შვილის ამხ. მაღ.	1918
		1619	დაწყებითი ალგებრა	თბ. ქართველთა ამხ. სტ.	1893
		5826	სამეგრ. მთავარი ლევან დადიანი. დრამა	გაზ. „დროების" და მესხის გამ.	
36	შარაბიძე ნიკოლოზი	5284	ქართული ეროვნულ სამხმოვან სიმღერათა კრებული	ქუთ. „განათლების" გამ.	1918
37	შარაძენიძე	5287	სწორხაზოვანი გეომეტრია	ქუთ. „განათლების" გამ.	1918
		5288	ალგებრის ამოცანათა კრებული	ქუთ. „განათლების" გამ.	1918
38	შუბლაძე აკაკი (ჩიჩაკაძის თანააქტ.)"	4998	არითმეტიკის ამოცანათა რიცხვ. საავარჯ. კრებული	ქუთ. ოცხელის წიგნის მაღაზია	1916
		4006	სხვადასხვა სიმღერები	თბ. შაღბარათოვის გამ.	1911
		4221	„-"	„-"	1912
		4432	მოხუცის დარიგება და სხვა ლექსები	ფოთი. შაღბარათოვის გამ.	1913

39	შუბლაძე ანდრია (ჩიმაკაძის თანააგტ.)	3187	„სახმო წესით“ კითხვის სწავლება	ქუთ. გამ. „კოლხიდა“	1909
		5149	არითმეტიკის ამოცანათა რიცხვთა სავარჯ. კრებული. ნაწ. 1	ქუთ. მასწ. კავშირის გამ.	1917
		5150	„-“	„-“	1917
		5448	„-“	ქუთ. გამ. „მერანი“	1919
		5721	„სახმო წესით“ კითხვის სწავლება	„-“	1920
		5725	არითმეტიკის ამოცანათა რიცხვთა სავარჯ. კრებული. ნაწ. 2	„-“	1920
		5423	გერმანულის სახელმძღვანელო. მე-2 წელი	ქუთ. გამ. „მერანი“	1913
40	ჩინჩალაძე მ.		მოკლე ლათინური გრამატიკა	ქუთ. გამ. „განათლება“	1918
41	ჩიმაკიძე ლონგინოზი	4998	არით. ამოც. კრებული	ქუთ. ოცხელის წიგნ. მაღ. გამ.	1916
		5149	არით. ამოც. რიცხ. სავარჯ.	მასწ. კავშირის გამ.	1917
		5150	„-“	„-“	1917
		5291	„-“	ქუთ. გამ. „შკოლა“	1918
		5448	„-“	ქუთ. გამ. „მერანი“	1919
		5725	„-“	„-“	1920

442	ცაცარეიშვილი გ.	5295	გეოგრაფია. ნაწ. 1	ქუთ. „განათლების“ გამ.	1918
		5296	„-“ ნაწ. 2	„-“	1918
		5729	„-“ ნაწ. 3	„-“	1920
		5730	„-“ ნაწ. 1	„-“	1920
		5348	თეორია სიტყვიერებისა	„-“	1919
443	ცაბციევ-ძამააშვილი რ.	814	საქ. შემოკლებული ისტორია	თბ. ხელაძის სტ.	1882
444	ცინცაძე ი.	5297	სამართლის მეცნიერება (სახელ. გიმნაზიისათვის)	ქუთ. „განათლების“ გამ.	1918
		3474	„სამშობლოსადმი“ აკაკის საიუბ. კრებული		
445	წერეთელი ვასილი. ექიმი	2805	ბარათაშვილის ლექსები	ბათუმი. სპ. ჭელიძის გამ.	1904
		3079	ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა	ი. ფოფხაძის გამ.	1905
		5003	ქართული სამეცნიერო საფილოსოფიო ენა იოანე პეტრინის მიხედვით	მთავრიშვილის მაღ. გამ.	1916
		5153	ავტონომია და ფედერაცია 1783 ტრაქტატი	ქუთ. სტ. „ძმობა“	1917
446	წერეთელი სიმონი	4444	გამბედავი ამხანაგი. უდანაშაულოდ	„-“	1913

			დასჯილი რომაელი		
		4445	გასათხოვარი ქალის ფიქრები	„-"	1913
47	ჭუბაბრია გ.	4764			
48	ხუნდაძე სილოვანი	11-8	ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია ქართული ენის მასწ. საყურადღებოდ		1887
		1741	საქ. ისტორია ბარათაშვილის თარგმანი ხუნდაძის წინასიტყვაობით	ქუთ. ამხ. გამ.	1895
		5107	რამიშვილი - ეროვნული თვითმყოფადობა (წინასიტყვაობა)	„-"	1917
		1323	„ცდა" - მეზობლები	ლიტ. მოყვარ. წრე	1890
		1418	ხალხური ლექსი (გურული)	„-"	1891
		1422	ქართული ზმნები	ქუთ. ძმები ჭილაძეების გამ.	1891
		1431	„ჩანგი" ლექსი	ოზურგეთის თავარ. წიგნ. მაღ.	1892
		1509	ლექსები	გამრეკელის სტ.	1892

	1679	ლექსები „სიმები“	ქუთ. ბეჟანიშვილის გამ.	1894
	1918	პოემა „გემის დაღუპვა“	ქუთ. კილაძის სტ.	1896
	2255	მეზობლები, ფოთოლას სიზმარი	ბათ. თავარ. გამ.	1899
	2460	ჩემი ფიქრები და აზრი	ქუთ. ჭილაძის გამ.	1901
	2495	სალიტერატურო ქართული (გამოკვლევა)	კილაძის და ხელაძის სტ.	1901
	2599	ჩემი აზრი და ფიქრები. მე-2 წიგნი	ქუთ. ბეჟანიშვილის გამ.	1902
	2945	ქართული გრამატიკა	„-“	1904
	3001	წერილების კრებული „ეროვნული თვითმართველობა“, ავტონომია და ეროვნება	„-“	1905
	3413	ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ	ქუთ. ჭილაძის ამხ. სტ.	1907
ხუნდაძე სილოვანი	3460	მკვლელები და მცველები (ილია)	ქუთ. ამხ. ფედერაციის გამ.	1907
	3461	ქართული გრამატიკა	ქუთ. ბეჟანიშვილის გამ.	1907

		3669	ჩემი აზრი და ფიქრები	ქუთ. კილაძის სტ.	1909
		4244	ქართული გრამატიკა პირველი დაწყ. შკოლებისა	ქუთ. მთავრიშვილის ამხ. გამ.	1912
		4469	ქართული გრამატიკა მე-2 გამ.	ქუთ. ფერაძის და კარუხანოვას სტ.	1913
		4470	ქართული მართლწერა	სტ. „ძმობა“	1913
		4619	თხზულებანი. ლექსები	ქუთ. წკგს სტ.	1914
		4872	ქართული გრამატიკა. მე-4 გამ.	„-“	1915
		5169	ქართული გრამატიკა	ქუთ. „განათლების“ გამ.	1913
		4686	ნიკოლოზ ბარათაშვილი	ქუთ. წკგს სტ.	1914
		5170	ქართული გრამატიკა. მე-5 გამ.	„-“	1917
		5171	გრ. ორბელიანი	ქუთ „განათლების“ ამხ. გამ.	1917
		5304	აკაკი წერეთლის ცხოვრება	„-“	1916
		5305	ვახტანგ ორბელიანი	„-“	1918

		5306	რაფიელ ერისთავი	„-“	1918
		5484	თავისუფალი სოციალისტები	ბეჟანიშვილის წიგნის მაღ.	1919
		5485	ილია ჭავჭავაძე	ქუთ. გამ. „მერანი“	1919
		5693	ქართული გრამატიკა პირველადი სკოლებისათვის	„-“	1920
		5769	„-“ მე-5 გამ.	„-“	1920
		577-	„-“ მე-7 გამ.	„-“	1920
		5771	რაფიელ ერისთავი. მე-2 გამ.	„-“	1920
49	ჯორჯიკია ჯავუ (ალ. თორაძის თანაავტ.)	4099	„ქალი, რომელსაც თავისი სახე არ უნდა ენახა“	სიტყვაკაზმული მწერლობის გამ.	1912
		4696	კრიტიკული ესკიზი	გამ. „ნარგიზი“	1914
		5490	ფრანგული სახელმძღვანელო	ქუთ. გამ. „მერანი“	1919
		5491	„-“ მე-2 გამ.	„-“	1913
50	ჯანელიძე ალექ.	4475	ეროვნული შემოქმედება. სახალხო ლექციები	ქუთ. ძმები ოცხელების წიგნ. მაღ.	1914
		5489	დაწყებითი ფიზიკა. წელი პირველი	ქუთ. გამ. „მერანი“	1919

სკოლა-გიმნაზიის პედაგოგები

სკოლის პედაგოგები სასურველ შედეგს აღწევდნენ იმით, რომ მხოლოდ ცალკეული დისციპლინის მასწავლებლად არ ევლინებოდნენ აღსაზრდელებს, სჯეროდათ ახალგაზრდის სულის, მის მრწამსს, ეროვნულ იდეალებს აყალიბებდა ლიტერატურა, ხელოვნება, თეატრი და იყენებდნენ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. პედაგოგთა შორის იყვნენ მწერლები, მუსიკოსები, მსახიობები, წრგნების გამომცემლები, სახელმძღვანელოთა ავტორები, მეცნიერ-მკვლევარები, მთარგმნელები. ამიტომაც რეაქციის მძიმე წლებში, როცა ბევრ სასწავლებელში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ტერორი, დასჯა, თვითმკვლელობა და სხვა უმსგავსოება, ქუთაისის სკოლაში სიმშვიდე და ურთიერთპატივისცემა სუფევდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის.

ალექსი ჭიჭინაძე

ალექსი ჭიჭინაძეს მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ, ახალგაზრდა ქვრივმა დარეჯან მხეიძემ 5 წელს იგლოვა მეუღლე, 5 წლის შემდეგ ცოლად გაჰყვა ქუთაისის მახლობლად სოფელ ბაკისუბანში მცხოვრებ გვარად ვინმე მდივანს. პატარა ალექსი ქუთაისის მაზრის სოფელ ჭოლევში იზრდებოდა მამის მშობლებთან. ისინი მზრუნველობას არ აკლებდნენ შვილიშვილს. ბებია წერა-კითხვას ასწავლიდა, ბაბუა შრომისა და კაიკაცობის მაგალითებით სათნოებას და სწავლის წყურვილს უნერგავდა. მამის ოჯახი არც დედასთან ურთიერთობას უშლიდა პატარა ალექსის და მშობელი დედის სითბოსაც გძნობდა იგი. მზრუნველ გარემოში შრომობდა, სოფლის ტოლ-ბიჭებთან ერთობოდა ტრადიციული თამაშობებით - თევზაობით, ბურთაობით და სხვა.

ცხრა წლის ალექსი თავისუფლად ფლობდა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას. ბაბუა სიმონმა და ბიძამ იოსებ ჭიჭინაძემ იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. ჩაირიცხა მოსამზადებელი

კლასის უმცროს განყოფილებაში. პატარა ალექსი ოჯახმა გიმნაზიისაგან მოშორებით, ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფელ მშვანეყვავილაში დააბინავა. მიუხედავად სიშორისა, ის სკოლაში არასოდეს იგვიანებდა, ხშირად საჭმელს თვითონვე იმზადებდა და ენერგიულად სწავლობდა. შაბათობით ჭოლევში მიდიოდა ბებია-ბაბუასთან და მალე მწვანეყვავილას უბრუნდებოდა საგზლით დატვირთული. სწავლობდა გულმოდგინედ, მაგრამ რუსეთის ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა, ქართული ენისადმი მწყრალი დამოკიდებულება, ეროვნული აზროვნების ჩახშობის მცდელობა დიდ დაბრკოლებას უქმნიდა სწავლამოწყურებულ მოზარდს. ალექსი ჭიჭინაძის იოგრაფი გიგიბერია გადმოგვცემს [133]:

„მასწავლებლები არარას ზრუნავდნენ იმის შესახებ, რომ მათი ნასწავლები ბავშვებისათვის გასაგები ყოფილიყო... არავითარი სიბრალული მოსწავლეებისადმი მათ არა ჰქონდათ... სამაგიეროდ იყო გამეფებული სისასტიკე და უდივრობა... საბავშვო წიგნთსაცავი ან რაიმე ასეთი დაწესებულება, რომელიც ბავშვებისათვის გონებრივს საზრდოს შეადგენდა, მაშინდელს გიმნაზიაში არ მოიპოვებოდა".

პედაგოგთა სისასტიკე, სწავლების გაუმართლებელი მეთოდები, ქართული ენისა და ჩვეულებრადიციებისაგან მოწყვეტა კარგს ვერაფერს უქადდა მომავალ ეროვნულ კადრებს, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილები ძალას არ იშურებდნენ ეროვნული სულისკვეთების შესანარჩუნებლად და ალექსი ჭიჭინაძესაც მოუწია ასეთ მამულიშვილებთან ურთიერთობა. ბიოგრაფი ასეთთა შორის გამოარჩევს ქართველ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გიორგი წერეთელს და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეს გერასიმე კალანდარიშვილს. ადამიანურ მოპყრობას გადაჩვეულმა მოსწავლეებმა გიორგი წერეთლისაგან გაიგეს, როგორი უნდა ყოფილიყო ამხანაგობა და მეგობრობა, ურთიერთდახმარება და ძმური სიყვარული. გერასიმე კალანდარიშვილი კი ქართული სკოლებისათვის პირველი რუსული სახელმძღვანელოს ავტორი და დედაენის დიდი თაყვანისმცემელი, მოსწავლეებისაგან ცოდნის შეძენას მხოლოდ

მშობლიური ენის საშუალებით ითხოვდა, რაც მათ ბუნებრივ განვითარებას შეუწყობდა ხელს. ალექსი ჭიჭინაძე და მისი თანაგიმნაზიელები ილტვოდნენ გერასიმე კალანდარიშვილთან ურთიერთობის მისაღწევად. კალანდარიშვილმა იკისრა მათი ხელმძღვანელობა, თუმც ფარულად, რადგან გიმნაზიის სწავლა-აღზრდის პროცესში ჩარევად ჩაუთვლიდა მთავრობა ამ ახალგაზრდებთან კავშირს და შეიძლება, უსიამოვნება მოჰყოლოდა მის ამ მამულიშვილურ საქციელს, ამიტომ მასთან დაახლოებულ გიმნაზიელებს დასამოძღვრად იწვევდა მხოლოდ სასულიერო სასწავლებელში გამართულ დილა-საღამოებზე. ალექსი ჭიჭინაძისა და მისი მეგობრების მეხსიერებამ ბევრი საინტერესო მოგონება შემოინახა გერასიმე კალანდარიშვილის მიერ ორგანიზებული საინტერესო ღონისძიებებიდან.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1870 წელს, ალექსი ჭიჭინაძე მოსკოვში გაემგზავრა. ფილოლოგობაზე მეოცნებე ახალგაზრდა ბერძნული ენის უცოდინარობის გამო ფილოლოგიურის ნაცვლად იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხეს. ალექსი ჭიჭინაძე სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ეზიარა სამოციანელთა მოძღვრებას და გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე გაეხსნა კერძო გიმნაზია, სადაც მშობლიური ენა სწავლების საფუძველთა საფუძველი იქნებოდა. მართლაც, დაბრუნდა თუ არა ახალგაზრდა იურისტი ქუთაისში, დააყენა საკითხი დაწყებითი ქართული სკოლის დაარსების შესახებ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭომ და მზრუნველმა ნეველოვმა ეჭვის თვალით შეხედეს ალექსი ჭიჭინაძის ინიციატივას. მის განზრახვაში ფარული საეჭვო სწრაფვა დაინახეს და ლამის ჩაუშალეს ქართული სკოლის დაარსების აქმე, მაგრამ თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა ბესარიონ ღოღობერიძემ დაარწმუნა საბჭოს წევრები, რომ ჭიჭინაძის განზრახვას მხოლოდ საქმის კეთების პატიოსანი და მამულიშვილური მიზანი - ხალხის სამსახური ჰქონდა საფუძვლად ჩადებული. ალექსი ჭიჭინაძემ მიიღო რა სკოლის დაარსების ნებართვა, 1875 წელს ქუთაისში მესხეთის ქუჩაზე (ამჟამინდელი ნინოშვილის ქუჩა) გახსნა ქართული დაწყებითი სასწავლებელი.

1879 წელს კავკასიის სკოლათა მზრუნველის ნეველროვის შემცვლელი იანოვსკი ეწვია სკოლას. მოეწონა მოსწავლეთა ცოდნის დონე, დირექტორი შეაქო, მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი შრომისათვის. როცა გაიგო, რომ სკოლის ხელმძღვანელი იურისტი იყო და მასწავლებლობა ამჯობინა იურისტის სავარძელს, გაოცებულმა იკითხა, როგორ გაცვალა ახალგაზრდა სპეციალისტმა იურისტის შემოსავლიანი ადგილი კერძო სკოლის პედაგოგის ადგილზე, ალექსი ჭიჭინაძემ გაბედულად უპასუხა: „ეს მართალია, მაგრამ მასწავლებლობა უფრო პატიოსანი და ნაყოფიერიაო". მართლაც, ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა იგი სკოლაში. 4 წელი იმუშავა ახალგაზრდა ალექსი ჭიჭინაძემ პედაგოგად და ხელმძღვანელად მის მიერ დაარსებულ კერძო სკოლაში. სკოლამ რამდენიმეჯერ შეიცვალა ბინა, ბოლოს ივანოვის (ახლანდელი თბილისის) ქუჩაზე დაბინავდა ქორქაშვილების სახლში. ბინა სრული და კარგი იყო. დიდი ოდა, 8-9 თვალი ნათელი ოთახი, დიდებული ეზო, ბურთის სათამაშო და სავარჯიშო მოედნები, კაკლისა და სურნელოვანი ცაცხვის ხეებით დაჩრდილული გარემო, რომელსაც ხილის ბაღები ჰქონდა შემორტყმული, სწავლის ხალისს უორკეცებდა პატარებს. მთავრობის მიერ დაარსებული ბევრი სკოლის მოაწაფეებს ვერ ჰქონდათ ისეთი პირობები, როგორიც ჭიჭინაძისეული სკოლის მოსწავლეებს. სკოლა უზრუნველყოფილი იყო სასწავლო ინვენტარით, ავეჯით, სპორტული მოედნებით და საწვრთნელი იარაღებით.

„ვერც ერთი მთავრობის სასწავლებელი ქუთაისში ვერ დაიკვეხნიდა მასთან ვერც სკოლის მებელით, ვერც გიმნასტიკური სავარჯიშოებით... გაკვეთილის შემდეგ გავარდებოდა ბურთი, მხოლოდ დიდი დასვენებისას კი არა... ალექსის ძლიერ უყვარდა ყმაწვილებში გარევა და თამაში: „ჩვენებური ბურთაობა იპყრობს ყოველგვარ გიმნასტიურ ვარჯიშობას და საუკეთესოდ ავითარებს ადამიანის სხეულსო - იტყოდა ხოლმე... დიდი დასვენების დროს, რომელიც გრძელდებოდა ნახევარი საათი, დაიწყებოდა გიმნასტიური ვარჯიშობა: თუ რიგში დგომა, თუ ტრაპეციაზე, ასაყოლ ბაწრებზე, ჩარდზე და პარალელურ ძელებზე თამაში" [139].

მიუხედავად ხელმძღვანელის გულმოდგინებისა, სკოლას თანდათან შემოელია სახსრები.

მოსწავლეთა კონტიგენტი მეტად ღარიბი იყო. მშობლები სწავლის გადასახადს ვერ უხდიდნენ შვილებს.

ამ პერიოდს დაემთხვა (1879 წ.) თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის გათავისუფლება (მოო შიუკაშვილის). არჩევანი ორ კანდიდატურას შორის უნდა მომხდარიყო, ან საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ივანე მაჩაბელი უნდა დაენიშნათ სკოლის დირექტორად, ან უკვე აღიარებული პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე. ილია ჭავჭავაძის აქტიური ჩარევით ივანე მაჩაბლის კანდიდატურამ გაიმარჯვა. მალე გამომჟღავნდა, რომ შეცდომა იქნა დაშვებული. ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი წერს თავის მოგონებებში ივანე მაჩაბელზე:

„დაბრუნდა თუ არა უცხო ქვეყნებიდან ის, მაშინვე სათავადაზნაურო სკოლის უფროსად გაამწესეს, მისი მეტოქე იყო ბატ. ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც მე განწყობილება არ მქონდა, მაგრამ მაინც სიმართლემ ამაღელვა და დავიწყე ამრჩევლების ძვირი და ყვედრება საჯაროდ. სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი ამ საქმეში? მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება, ეგ ახლა მოშორდა სასწავლებლის კარებს, პედაგოგი არ არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორც გაართმევს თავს-მეთქი, მაშინ როდესაც ალექსი ჭიჭინაძე გამოცდილია მაგ საგანში და თავის საკუთარი სკოლაც ჰქონდა-მეთქი“ [140].

აკაკის ალღომ არ უმტყუნა. ივანე მაჩაბელი ვერ გაუძღვა სასწავლებელს. ალექსი ჭიჭინაძე 1880 წელს ქ. ქუთაისის ახლად დაარსებულ სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად მიიწვიეს. მის მიერ დაარსებული დაწყებითი სკოლა დახურა ა. ჭიჭინაძემ და ახლად შექმნილ სკოლაში გადაინაცვლა. თან წაიყვანა მოსწავლეთა ერთი ჯგუფი, დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ახალ ვითარებაში მოღვაწეობას. ის გრძნობდა, რომ უდიდეს ეროვნულ საქმეს ედგა სათავეში და თავის მამულიშვილურ გეგმებს იქ უკეთ განახორციელებდა.

შვიდი წელი დაჰყო მან ამ სააზნაურო სკოლის ინსპექტორად. სკოლა გაიხსნა პირველი ორი განყოფილებით. ალექსი ჭიჭინაძემ 4 პროგიმნაზიულ კლასამდე ზარდა სასწავლებელი. ბევრი დამწყები პედაგოგის დაოსტატებით, ფართო სასწავლო და მეთოდური მუშაობით, გულსხმიერებითა და სიკეთით გაითქვა სახელი.

მძიმე იყო იმ პერიოდში სასწავლო-აღმზრდელობითი დანესებულების ხელმძღვანელობა. ქუთაისში ძნელად თუ აღმოაჩენდით მასწავლებელს, რომელიც მშობლიურ ენაზე შეძლებდა სასწავლო დისციპლინების სწავლებას, რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით მშობლიურ ენაზე უჭირდათ გაკვეთილის ჩატარება, არ იყო სახელმძღვანელოები, არ არსებობდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია, ამიტომ უწევდა ალექსი ჭიჭინაძეს ფართო მეთოდური და სასწავლო-საალმზრდელო ღონისძიებების მოფიქრება და განხორციელება.

ალ. ჭიჭინაძემ ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელი კერძო მოსახლის ბინიდან სპეციალურად აგებულ სასკოლო შენობაში გადაიყვანა. კოლექტივის წევრებად განათლებულ და ენთუზიასტ სპეციალისტებს მოუყარა თავი. შემოიღო ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები. მათ შესახებ იაკობ გოგებაშვილმა 1886 წლის 21 იანვარს მოახსენა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას: „პროგრამები აწინდელ მდგომარეობაში წარმოადგენენ განვითარებულს და სრულს შრომას, რომელიც ძლიერ დაეხმარება სწავლის რიგიანად დაყენებასა და მსვლელობას“ [141].

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიურ ალღოს, სჯეროდა მისი. 1883 წელს სტატიაში „უკულმართი ნაბიჯი“ ის წერდა:

„იმისთანა განვითარებული და გამოცდილი პედაგოგი, როგორიც არის ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე, ქართული გრამატიკიდან ელემენტალურს ცნობებს ასწავლებინებს თავის მოსწავლეებს მეორე წლიდანვე“ [142]. ეროვნული სკოლის ხელმძღვანელის მამულიშვილურ მოქმედებაზეა ყურადღება გამახვილებული, გაბედულ მოქმედებაზე!

იაკობ გოგებაშვილი შემდეგ ქუთაისის სკოლის შემოწმების შედეგებზე საუბრისას აღნიშნავდა:

„იგი წარმოადგენს კეთილგანწყობილ სასწავლებელს. სწორედ, ღირსია დიდი მადლობისა ბატონი ალექსი ჭიჭინაძე, ყოფილი ინსპექტორი ამ სკოლისა, რომელმაც კაი ხნის განმავლობაში ფრიად ერთგულად, მხნედ და პატიოსნად ემსახურა ამ სკოლასა. გთხოვთ გამგეობას, დაადგინოს მადლობის გადახდა და საჯაროდ გამოაცხადოს გაზეთის შუამავლობით“ [143].

როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა გარუსება-გადაგვარებისაკენ მიმართული რუსული პოლიტიკა აღრმავებდა ქართველთა შორის განხეთქილებას, კუთხურობის გრძნობას. ამ გრძნობათა გასაღრმავებლად მტრულად იქნა გამოყენებული აშორდიას ანტიქართული, ანტიმამულიშვილური მოქმედება.

მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება წინ აღუდგა ეროვნული მთლიანობის შერყევის მსურველთა მოქმედებას. მათ შორის იყო ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლის კოლექტივი ალექსი ჭიჭინაძის მეთაურობით. საკუთარი სკოლის პარალელური კლასების შემცირებით მათ ძველ სენაკში ფილიალი დააარსეს. სუფთა ქართული, ეროვნული აზრი მიიტანეს სამეგრელოს მოსახლეობამდე და ქართველთა და მეგრელთა შორის წარმოშობილი უსაფუძვლო დავაც დასრულდა.

ერის თვითმყოფადობისათვის შრომა მიაჩნდა ალექსი ჭიჭინაძეს მისი ცხოვრების საზრისად. ამიტომ იდნენ მის გვერდით ცნობილი მამულიშვილები იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი. მის აზრს მუდამ დიდი გულისყურით ისმენდნენ თანამოსაქმეები, სჯეროდათ მისი შეუმცდარობის, ამიტომ უძღვნა პედაგოგმა და მწერალმა დომენტი ოყრეშიძემ ნაწარმოები აკაკი წერეთლისა და ალექსი ჭიჭინაძის უშუალო ურთიერთობას და ღვაწლმოსილი პედაგოგის მრწამსს. ლექსის ავტორმა იცოდა, რომ აკაკი წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ალექსი ჭიჭინაძის პოლიტიკურ შეხედულებებს. ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდგომ პერიოდში, რეაქციის მწვავე პირობებში ნაწარმოების მიხედვით

აკაკი ეკითხება ალ. ჭიჭინაძეს, ხელთ რომ სჭეროდა მეფისათვის განკუთვნილი ყუმბარა, რას მოიმოქმედებდა. პედაგოგი პასუხობს, რომ არ შეარცხვენდა წინაპართა საფლავს, მისი ხელიდანაც აფეთქებოდა ყუმბარა და ნაცარტუტად აქცევდა კოლონიური რეჟიმის შემოქმედთ.

თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ხელმძღვანელად მუშაობის პირობებში პედაგოგი მის მიერ წარმოებულ აღმზრდელობით საქმიანობას ჩვეულებისამებრ ჯანსაღ პედაგოგიურ პრინციპებზე აყრდნობდა, ცდილობდა მეტი დრო დაეთმო ქართული ენის, ლიტერატურის, ტრადიციების სწავლება-გაანალიზებისათვის. მან შეძლო მისი თანამებრძოლების შემოკრება, სკოლის კოლექტივის დარაზმვა ახალი პროგრესული პროგრამების, სასწავლო გეგმების შესამუშავებლად და შესასრულებლად, მაგრამ იძულებული გახდა დაეტოვებია ნაამაგარი სასწავლებელი, ერთგული თანამოსაქმენი. სასწავლებლიდან აცილებდნენ მას თვალცრემლიანი მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები. გამოსათხოვარ სიტყვაში ალექსი ჭიჭინაძემ აღნიშნა:

„მე იძულებული შევიქენი დამეტოვებინა სათავადაზნაურო სკოლა უფრო იმის გამო, რომ მეტად დავსუსტდი და ღონე გამომელია. როგორც მე მსურს, ისე ვეღარ ვუწინამძღვრებ სკოლას და ამის გამო ჩემი აქ დარჩენა ამის შემდეგ ჩემი სინდისის წინააღმდეგ იქნებოდა, მითუფრო, როცა ვგძნობ, რომ მე ვტოვებ სკოლის მააწავლებელთა შორის ბევრს ჭაბუკსა და იმედით სავსე ხელმძღვანელებს სკოლისას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი კიდევ ჩემზე უკეთ წაიყვანენ ამ სკოლის საქმეს" [144].

ალექსი ჭიჭინაძე ამ შემთხვევაში თავს არიდებდა მისი სკოლიდან წასვლის რეალური მიზეზის დასახელებას. სასწავლებელში წარმოქმნილი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა არ მისცა მან განსასჯელად საზოგადოებას. გაუფრთხილდა სასწავლებლისა და ზოგიერთი მოღვაწის პრესტიჟს, თავისი ფიზიკური სისუსტის მოშველიებით ითხოვა ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება. ნამდვილი მიზეზი არც ფიზიკური გადაღლა იყო,

არც შიში მომავალი საქმიანობის დაუძლეველობის თაობაზე. იმ პერიოდში სასწავლებლის პროფილის შეცვლის შესახებ განაცხადი პოლემიკის გამო დატოვა მან სამუშაო. თვით სასწავლებლის ზოგადი განათლების კერად დატოვებას ემხრობოდა, ვიკო ნიკოლაძე ითხოვდა პირველდაწყებითი სკოლის ჩამოყალიბებას სამეურნეო სასწავლებლად, გაზეთი „ივერია" პრაქტიკულ-ტექნიკურ-აგრონომიულ სკოლად გადაკეთების მომხრე იყო, იაკობ გოგებაშვილი რეალური განათლების სისტემას უჭერდა მხარს. ამ აზრთა ჭიდილის გამო სასწავლებლის გამგე ალექსი ჭიჭინაძე - კომიტეტთან უთანხმოებას ვერ შეეგუა, ცოტა ხნის შემდეგ ამ საკითხზე მისი მოსაზრების განსამტკიცებლად აღნიშნა, რომ: „ნაყოფის ზრდას და სიმწიფეს ეჭირვება თავის შესაფერი ჰავა და ნიადაგი - საჭიროა წინასწარი ზოგადი განათლება, ყოველმხრივი განვითარება ადამიანის სულისა და ფიზიკური მხარეებისა" [145].

პროფესიული განათლების მომხრენი ზოგადი განათლების მისაღებად სახაზინო სკოლებისაკენ უთითებდნენ, მაგრამ ალექსი ჭიჭინაძეს ღრმად სწამდა, რომ რუსულ ნიადაგზე აღმოცენებული, კოლონიური მისწრაფებებით გაჟღენთილი სახაზინო სასწავლებლები ვერ შთაბერავდნენ ქართველ მოზარდებს ეროვნულ სულს. ეს ამოცანა ეროვნულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს უნდა გადაეწყვიტა ისე, რომ ყრმას „თან არ შეესვა ეროვნული გრძნობის მომშხამველი გესლი" [146]. როგორც ვხედავთ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული სკოლების მოიმედე იყო ბატონი ალექსი. ასეთი რწმენით დატოვა მან სასწავლებელი. მასთან გამოსამშვიდობებელ მეჯლისზე სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა. მან აღნიშნა, რომ ნამდვილ მოღვაწეთა რიცხვი ჩვენში ცოტაა და მათ შორის „დიადი ადგილი უჭირავს ბატონ ალექსი ჭიჭინაძესა. ამ ოცი წლის წინათ ჩამოვიდა თუ არა ჩვენში, მაშინვე აირჩია ერთი უკეთესი სარბიელთაგანი ჩვენის ცხოვრებისა, სარბიელი პედაგოგიური. ჩვენს წინაპრებს, სხვა ბევრ კარგ თვისებებთან ერთად, ერთი კარგი ისიცა სჭირდათ, რომ სწავლა-განათლებას ჭეშმარიტი თვალით უყურებდნენ, არცერთ ასპარეზზე არაფერ მოღვაწეს ისეთ პატივს

არა სცემდნენ და აფასებდნენ, როგორც მათ, ვის ხელშიც მათი შვილების ხორციელ-სულიერი აღზრდა იყო. იმათ უწოდებდნენ სასოებით მოძღვრებად! ...ბატონი ალექსი ჭიჭინაძე იმ დღიდან აქნობამდე გამოადგა და შერჩა ჩვენს შვილებს. ესეც ხომ არ აკმარა თავის თავს და მარტო ერთ სპეციალურ ასპარეზს არ დაჯერდა. ჯერ არ ყოფილა იმისთანა მოვლინება ჩვენს ცხოვრებაში, რომ ეგეც მონაწილე არ ყოფილიყოს, თუ საქმით ვერა, სიტყვით მაინც. სათანაგრძნობოს კეთილს გულს უჩვენებდა ხოლმე და საზიზღარს - ზურგს. დღეს ჩვენში ამგვარი პირდაპირობა იგივე მოღვაწეობაა და სამწუხაროა, რომ ბატონი ჭიჭინაძე ჩვენში ჩვენთან აღარ იქნება". ასეთი სიპანულით გააცილეს ალექსი ჭიჭინაძე მისმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა 8 წლის მანძილზე ნაამაგარი სასწავლებლიდან [147]. ალექსი ჭიჭინაძემ იმუშავა თერგის ოლქის სკოლათა ინსპექტორად, ერევნის აკოლათა დირექტორად.

ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლათა ინსპექტორი, კარგი პედაგოგი, საუკეთესო მოქალაქე და მეგობარი წრფელი გულისტკივილით გამოაცილეს სამშობლოში თანამოსაქმეებმა. მის შესახებ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი კარგად გამოხატა პედაგოგმა მნაცაკანოვმა...

„თქვენ იყავით ჩვენი დიდი მასწავლებელი, სათნო ჩვენთა ადამიანურ ღირსებათა დამფასებელი!.. თქვენ თქვენის დაუღალავის შრომით ხელახლა გაგვწვრთენით და აღზარდეთ ჩვენში ხალხის მასწავლებლობა! თქვენ გვაქციეთ ღირსეულ მოქალაქეებად და გაგვხადეთ ნამდვილ კაცებად! თქვენ თქვენის მაღალის სიტყვით და კეთილის მაგალითით განგვაახლებდით! თქვენ იყავით არა სასტიკი უფროსი, არამედ სიყვარულით აღსავსე უკეთილესი მამა ...თქვენი კეთილი სახე მარადის იქნება ჩვენს ხსოვნაში... ფიანდაზად გიგებთ ჩვენს მოყვარულ გულს, რომელიც მარად თქვენ გეკუთვნისთ" [148].

იგი დაბრუნდა სამშობლოში. 1905-1914 წლებში მეტად ნაყოფიერად იმუშავა ხონის სამასწავლებლო სემინარიის ხელმძღვანელად. მისი თავკაცობით იზრდებოდნენ სახალხო სკოლათა მომავალი პედაგოგები. რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით ჭირდა სკოლების

მასწავლებელთა კადრები. ასეთ ვითარებაში სამასწავლებლო სემინარიას უნდა დაეძლია ყოველგვარი წინააღმდეგობა და მოემზადებინა ჯანსაღ პრინციპებზე აღზრდილი მასწავლებლები. ალექსი ჭიჭინაძემ სასწავლებლის ირგვლივ შემოიკრიბა პედაგოგთა საუკეთესო შემადგენლობა, სიტყვით და საქმით შეეცადა მაღალი პედაგოგიური იდეების განხორციელებას. არანაკლები ყურადღებით უსმენდა ის ცალკეული მოსწავლის მაჯისცემას, მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას. სასურველი შედეგებიც ჰქონდა პირადად მას - მაღალი ადამიანური მრწამსის მქონე პედაგოგს.

ხონის საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ვ. ძიძიგური ალექსი ჭიჭინაძის ბევრ ადამიანურ თვისებაზე ამახვილებს ყურადღებას. მის მოგონებაში განსაკუთრებით აქვს ხაზგასმული ალ. ჭიჭინაძის აზრისა და სიტყვის გამჭრიახობის შესახებ. ხონის სემინარიის მოსწავლეებმა, რომელთაც არ მიაღებინეს მონაწილეობა აკაკი წერეთლის საიუბილეო ღონისძიებაში, თხოვდნენ ალენიშნათ გოგოლის იუბილე. ახალგაზრდებმა უარი თქვეს რუსი მწერლის საიუბილეო საღამოში მონაწილეობაზე. დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ მასთან მიიწვია მოსწავლეები. განდგომის მიზეზი გამოჰკითხა და როცა ვითარებაში გაერკვა, მოკლე და დამაჯერებელი პასუხი გასცა: „რუსი ჩინოვნიკები არიან ცუდები, თორემ რუსი ხალხი და მწერალი გოგოლი პატივისცემის ღირსია“. ამ სიტყვებმა დააშოშმინა ახალგაზრდები და ღონისძიება ჩატარდა, დაძაბულობა შენელდა, დირექტორის სიტყვამ შედეგი გამოიღო. ალექსი ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით ხონის საოსტატო სემინარია მნიშვნელოვან პედაგოგიურ სასწავლებლად იქცა. ის ამზადებდა სახალხო სკოლათა კვალიფიციურ მასწავლებლებს. სასწავლებლის დიდი მნიშვნელობის შესახებ ლუარსაბ ბოცვაძე აღნიშნავდა: „მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ამ ცხრა წლის განმავლობაში იყო, როცა ეს დაუღალავი მოღვაწე სათავეში ედგა ისეთ სასწავლებელა, საიდანაც გამოდიოდნენ სახალხო მასწავლებლები. ყოველწლიურად ოც-ოცი კარგად მომზადებული, თავის სამშობლო ქვეყნის და საქმის მოყვარული

მასწავლებელი მაინც გამოდიოდა ხონის საოსტატო სემინარიიდან უკანასკნელ წლებში და თუ მათ ეროვნული საქმის გაკეთების რაიმე უნარი გამოჰყვათ, ეს იყო ალექსი ჭიჭინაძის მოღვაწეობის ერთი საუკეთესო შედეგი" [149].



ალექსი ჭიჭინაძე

ალექსი ჭიჭინაძეს მოსწავლეებისა და საერთო საქმისადმი თავისი დამოკიდებულება კარგად გამოხატა აღნიშნული სემინარიის მოსწავლეებთან გამოთხოვებისას:

„თქვენ კარგად იცით, ყმაწვილებო, რომ დილიდან საღამომდის თქვენ შორის ვტრიალებდი და ღმერთია მოწამე, რომ მარტო ამით არ თავდებოდა ჩემი შრომა. თქვენ რომ მოგშორდებოდით ხოლმე, როდესაც დასაძინებლად წახვიდოდით, მას შემდგომაც თავს არ მანებებდნენ ფიქრები, რომელთა საგანი ისევ თქვენ იყავით: ვარკვევდი, რა გამეკეთებია თქვენთვის ხვალ, რა მეჩვენებია, რომ სწორეს გზაზე გევლოთ, უფრო ღრმად შეგეგნოთ ნამდვილი თქვენი ჰიზანი და გაწვრთნილი ყოფილიყავით მომავალი თქვენი წმინდა საქმისათვის" [150].

ალექსი ჭიჭინაძე სახალხო მასწავლებლებს არა მარტო მასწავლებლებად, არამედ სამშობლოსათვის თავდადებულ მოქალაქეებადაც ზრდიდა. ქვეყნის ავ-კარგის განსჯას აკისრებდა და აქტიურ ბრძოლას სთხოვდა მერმისისათვის. შეგირდებს უნერგავდა, რომ თავდადებული შრომა იყო საჭირო და ყოველდღიური გონებრივი წვრთნა, რომ გამოდგომოდნენ დედასამშობლოს.

„თქვენცა გაქვთ სამშობლო, ეს კეკლუცი საქართველო, რომლის ბედნიერებისთვისაც უნდა იღწვოდეთ. ერთ წუთსაც არ დაივიწყოთ, რომ თქვენ გაბარიათ აკვანი ძვირფასის ყრმითურთ, გაუფრთხილდით ამ აკვანს, ალერსით ურწევდეთ მას, ყრმას ნანას უმღეროდეთ

გულმხურვალედ და ულოლიავებდეთ, რომ აღიზარდოს იგი და შეიქმნეს ვაჟკაცი ჯანითა და ჭკუით საღი, უკეთესი მომავლის მაძიებელი და შემქმნელი, თავის თვით არსებობის დამცველი და საერთო მამულისთვის სასარგებლო“ [151].

მადლიერი მოსწავლეები და კოლეგები თბილი სიტყვებით აცილებდნენ ხონიდან თბილისის კვლავ სათავადაზნაურო გიმნაზიაში გადაყვანილ ალექსი ჭიჭინაძეს. მღვდელმა ხაჟომიამ ასე მიმართა მას:

„რამდენი ჯერ ნორჩი, საზოგადოებრივ ქარიშხლიაგან დაზიანებული ახალგაზრდა ყმაწვილი დაგიხსნიათ დაცენისაგან, მამაშვილური სიყვარულით მიახლოებიხართ, სათნო მოპყრობით გაგიღვიძებიათ მათ გულში მიმქრალი ადამიანური გრძნობები, სურნელოვანი მალამო მოგიცხიათ მათ ზნეობრით ჭრილობათათვის, ფრთხილად შეგიხვევიათ მათი იარები, ისევ მიგიკრავთ საზოგადოებრივ ტანს და მანამ არ მოგიკლიათ კეთილი მზრუნველობა, სანამ არ დარწმუნებულხართ, რომ სუსტი ტოტი გამაგრებულა და მომწიფებულა კეთილი ნაყოფის გამოსაღებად [152].

სადაც არ მუშაობდა, ყველგან აჩენდა იგი მის კვალს. „ხონის სემინარიას დაუდგა დარი იმ ხანებში, როცა დირექტორად ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე იყო და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ხონის სემინარიაში ქართული ენა შტატის საგნადაც კი არ იხსენიება, ბ-ნის ჭიჭინაძის გავლენით მის დროს კურსდამთავრებულ მასწავლებლებს საკმაო ეროვნული სული, სამშობლო ქვეყნის სიყვარული და ქართული ენის ცოდნაც გამოუტანიათ. მოშორდა ხონის სემინარიას ბ-ნი ალექსი ჭიჭინაძე და კვლავ გამეფდა ჩვეულებრივი წყვდიადი“ [165,]. ასეთი შეფასება მისცა ალექსი ჭიჭინაძის პიროვნებას ჟურნალმა „განათლებამ“. ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული სული, ყველგან, მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე თან სდევდა ამ ღრმად განსწავლულ, პედაგოგიური ტაქტითა და ალღოთი დაჯილდოებულ ქართველს.

„ვისაც ცოტათი მაინც უდევნებია თვალყური ჩვენის სათავადაზნაურო სკოლებისათვის, წერდა გაზეთი „ივერია“, იმან

იცის, თუ როგორი ერთგულებით და გაბედულად ემსახურებოდა ბატონი ჭიჭინაძე ჩაბარებულს მისადმი საქმეს. ვიტყვი მეტს: ეს ნორჩი დაწესებულებანი, რომლის გამგებლად დანიშნული იყო ბატონი ჭიჭინაძე, ჯერ ქუთაისს და მერმე თბილისს, შეიქმნა მისთვის ნამდვილ არსებით საგნად. ამ სკოლებს მოანდომა ჩვენმა პატივცემულმა მოღვაწემ თავისი ენერგია, სწავლა, შრომა და ისეთის გვარის ერთგულება, რომელიც ავიწყებინებს ადამიანს საკუთარს ინტერესებს" [153].

1914 წელს, 63 წლის ხანდაზმულ ალექსი ჭიჭინაძეს როცა შესთავაზეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის თანამდებობა. მან კარგად განსაზღვრა ეროვნული სასწავლებლის მიზანდასახულობა. საპროგრამო სიტყვით მიმართა გიმნაზიელებს მცხოვანმა, გაწოცდილმა და კვლავ დიდი საქმეების განსახორციელებლად მზადმყოფმა მასწავლებელმა. მან მოითხოვა გიმნაზიას აღეზარდა გონებით, სულით, გულით, მაღალი იდეალებით აღჭურვილი მომავალი თაობა. თაობა, რომელიც მოემსახურებოდა სამშობლოს, საქართველოს „რომლის დაცვისათვის ორიათას წელზე მეტია მუდამ სისხლის ღვრაში და წამებული იყო ქართველი ერი... ამისათვის აუცილებლად საჭიროა სწორი აღზრდა, ნამდვილი განათლება, ჭეშმარიტი გამდიდრება გონებისა მეცნიერულის ცოდნით და გაწვრთნა საქმიანობაში, შრომაში, ოფლით მოპოვებაა საჭირო ყოვლის ცოდნისა და ამასთანავე შეძენილის ცოდნის გამოყენებისა" [154].

მისთვის დამახასიათებელი მამა-შვილური, თხოვნაგარეული დარიგებით მიმართავდა ის გიმნაზიის მოსწავლეებს „ცუდს ნუ ათქმევინებთ ვისმეს ქართველობაზე... არ შეარცხვინოთ დედა სასწავლებელი... აღიზარდეთ მშობელთა სანუგეშოდ, სანუგეშოდ ძვირფასის ჩვენის სამშობლოსა და სასარგებლო მოქალაქეებად მამულისათვის" [155]. მის თხოვნასა და მოთხოვნაში ყოველთვის იგრძნობოდა პედაგოგია, მასწავლებლის, დამრიგებლის რკინისებური ლოგიკა.

ის მომთხოვნი იყო მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების მიმართ, ორმაგად ითხოვდა საქმის ერთგულებას საკუთარი თავისაგან.

მისი ყოველდღიური საქმიანობით ცდილობდა, მოსწავლეები ყოფილიყვნენ მაღალი დისციპლინის მატარებელნი, ჰქონოდათ საფუძვლიანი ცოდნა. საამისოდ არ ზოგავდა საკუთარ ენერგიას, ამუშავებდა პედაგოგებს, პედაგოგიურ საბჭოს. მისი ინიციატივით დაწყებით მოსამზადებელ განყოფილებებში შემოღებულ იქნა სწავლების საკლასო სისტემა, შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქცია კლასის დამრიგებელთათვის, დაზუსტდა სასწავლო გეგმები და პროგრამები. გაშლილი იყო წრეობრივი მუშაობა, გაუმჯობესდა მშობელთა საბჭოს საქმიანობა, საბჭომ მოსწავლეთათვის შექმნა წიგნთსაცავი. პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა 1915 სასწავლო წლიდან მოსამზადებელ და პირველ კლასებში მშობლიურ ენაზე წარემართათ სწავლება და შემდგომ თანდათან სხვა კლასებშიც გადაედგათ ნაბიჯები ქართულ ენაზე სწავლების განსახორციელებლად. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის პედკოლექტივი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის პედაგოგებთან ერთად შეუდგა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემას.

უეცარმა სიკვდილმა ჩამოაშორა ალექსი ჭიჭინაძე თავის საყვარელ საქმეს (გარდაიცვალა 1917 წლის 9 თებერვალს). მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე სამაგალითოდ გადაეცემა თაობიდან თაობას, რადგან გულმოდგინე პედაგოგის თეორიული, მეთოდური და პრაქტიკული ნამოღვაწარი დღემდე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას.

XXX

შევეცდებით გავაანალიზოთ ალექსი ჭიჭინაძის პრაქტიკული, თეორიულ-დიდაქტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მძიმე მმართველობითი რეჟიმის პირობებში.

როგორც აღვნიშნეთ, ალექსი ჭიჭინაძე იმ დროს გაჩოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როცა პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა ინტელიგენციამ ბრძოლა გამოუცხადა სოციალურ უსამართლობას და კოლონიურ რეჟიმს, პრინციპულად მოითხოვა ეროვნული საგანმანათლებლო კერების გამრავლება, მშობლიურ ენაზე სწავლება.

ისინი ჩაცრი ცენზურის მიუხედავად პრესის, ცოცხალი სიტყვის, შემოქმედებითი ნიმუშების მეშვეობით გაბედულად გამოდიოდნენ ხალხის და, კერძოდ, ქართველობის დასაცავად.

ყველგან, სადაც არ მუშაობდა, პედაგოგი და მოქალაქე ალექსი ჭიჭინაძე, დადებით კვალს ტოვებდა როგორც ღირსეული ერისკაცი.

ჯერ კიდევ დამწყები მასწავლებელი, სრულიად ახალგაზრდა და გაუცდელი ალექსი ჭიჭინაძე მის მიერ დაარსებულ კერძო დაწყებით სკოლაშივე შეუდგა პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებზე აგებული ქართული სახელმძღვანელოების შედგენას. პირადად მან შეადგინა „პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა“, რომელიც აწყდიდა მოზარდებს ცნობებს საქართველოს ისტორიული წარსულიდან. სახელმძღვანელო ყოველი ახალი მასალის შემდეგ აღჭურვილი იყო გასამეორებელი კითხვებით. „სახელმძღვანელო საქმის ცოდნითაა შედგენილი“ წერდა ილია ჭყონია გაზეთ „ივერიის“ 1878 წლის №41-ში. მანვე გამოსცა საკითხავი წიგნი „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა“, მეთოდური სახელმძღვანელო გეოგრაფიის სწავლებისათვის და სხვა. იგი თარგმნიდა და ქართულად აქვეყნებდა ბერძნული მითოლოგიის საუკეთესო ნიმუშებს.

სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი (ქუთაისში, თბილისში) ალექსი ჭიჭინაძე ცდილობდა ეროვნული სული შთაებერა სასწავლო გეგმებისა და პროგრამებისათვის. ურჩევდა პედაგოგებს წარმოედგინათ გეგმები და პროგრამები, უმტკიცებდა მათ პედაგოგიურ რჩევებზე. დღევანდელი თვალსაზრისიდან ცალკეულ მათგანს ეტყობა ახლად დაწყებული, ახლადფეხადგმული საქმიანობის იერი, მაგრამ მთავარია, რომ მკვიდრდებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდები, ნიადაგი მზადდებოდა მშობლიურ ენაზე სწავლების განსახორციელებლად.

ალექსი ჭიჭინაძეს, როგორც სწავლების საკითხებზე დაფიქრებულ და განათლებულ პედაგოგს, ხშირად იყენებდნენ სასწავლო გეგმების, პროგრამების, აგრეთვე იმ საგნის სწავლების მეთოდების შესამუშავებლად, ხშირად ანდობდნენ კომისიის თავმჯდომარეობასაც,

მაგრამ კოლონიური რეჟიმის პირობებში მის მოსაზრებას ყოველთვის არ ჰქონდა განხორციელების საშუალება. ამ მიმართებით მის მიერ გაწეული მუშაობის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1880 წელს შემოდგომაზე ქუთაისში გაიმართა გუბერნიის სახალხო სკოლათა მასწავლებლების კრება. კრებას 100-მდე მასწავლებელი ესწრებოდა. კრება მიზნად ისახავდა სამაგალითო გაკვეთილების მოსმენას და სახალხო სკოლებისათვის პროგრამების შედგენას. ალექსი ჭიჭინაძემ სამაგალითო გაკვეთილები ჩაატარა. პროგრამების შესადგენად 3 კომისია შეიქმნა: საღვთო სჯულის, რუსულის, ქართულის და სამშობლოს აღწერის. ალექსი მესამე კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. მან სანიმუშო პროგრამა შეიმუშავა ოთხგანყოფილებიანი ერთი კლასისათვის. ამ პროგრამით სწავლება უდაოდ მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულიყო. რუსულ ენაში, გარდა პირველი კლასისა, დღეში თითო გაკვეთილი უნდა დაენიშნათ. წინადადებები წარედგინა სკოლათა მზრუნველს. მზრუნველმა ჭიჭინაძისეული მოსაზრებები არ მიიღო, მაგრამ ასეთი მამულიშვილური აზრების დაბადებაც კი პროგრესულად მოაზროვნეთა არსებობაზე მიუთითებდა, საქმე გზას იკვლევდა ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, ეროვნული პოზიციების განსამტკიცებლად.

1905 წელს ალექსი ჭიჭინაძე კვლავ მიიწვიეს სახალხო სკოლებში სწავლების საკითხებთან დაკავშირებით. უნდა შემდგარიყო სახალხო სკოლებისათვის ახალი სასწავლო გეგმა. ბუნებრივია, კვლავინდებურად დედაენას წამყვან ფუნქციას ანიჭებდა გამოცდილი პედაგოგი. კომისიას ჭიჭინაძის თავჯდომარეობით უნდა შეედგინა ახალი სასწავლო გეგმა ერთკლასიანი სახალხო სკოლებისათვის. კომისიის ზოგიერთმა წევრმა თავი აარიდა საქმიანობას, მაშინ ალექსიმ თბილისისა და განჯა-ერევნის მასწავლებელთა მონაწილეობით შეადგინა გეგმა ეროვნულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით. იაკობ გოგებაშვილმა აღნიშნულ გეგმას წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. სახალხო სკოლება კი რუსიფიკაციისა და გადაგვარების ქარხანა, რომელსაც ალექსი ჭიჭინაძისეული სასწავლო გეგმა მისცემდა ეროვნული

მიზანდასახულობათა განხორციელების საშუალებას. ადრე არსებული სასწავლო გეგმები ნორჩ ქართველებს აიძულებდა მხოლოდ რუსულ ენაზე ესწავლათ, ისიც მუნჯური მეთოდით. ჭიჭინაძიეული გეგმა სახლხო სკოლებში ყველა საგნის სწავლებას ითხოვდა მშობლიურ ენაზე დედა ენის გაკვეთილებს ყოველდღე უთმობდა იგი დროს, რუსული ენის სწავლებას კერძო საგნის უფლებას ანიჭებდა და ისიც დედა ენის დასმარებით უნდა განხორციელებულიყო.

„ბ-ნ ჭიჭინაძის გეგმით სწავლა სახალხო სკოლებში გრძელდება ოთხს წელიწადს, მთელი კურსის განმავლობაში გადაცემა ყველა საგნებისა მიდის დედაენაზე, დედაენავე როგორც საგანი ისწავლება კურსის დასრულებამდინ ხან ყოველდღე და ხან დღეში ორჯერ; რუსულს ენას ადგილი აქვს როგორც მხოლოდ ცალკე საგანსა. განსხვავება, რასაკვირველია, ნაყოფია თავმჯდომარის მეცადინეობისა". - აღნიშნა მოცემული გეგმის შესახებ იაკობ გოგებაშვილმა, მაგრამ მისი ავტორი არც შენიშვნის გარეშე დაუტოვებია. მთავარი მაინც ის იყო, რომ სახალხო სკოლებს - „რუსიფიკაციისა და გადაგვარების საგნებს" ახალი სასწავლო გეგმა შთაბერავდა ეროვნულ სულს.

მიუხედავად მაღალი შეფასებისა, იაკობ გოგებაშვილს შენიშვნები ჰქონდა ახალი სასწავლო გეგმის ირგვლივ. აღნიშნულ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლისას ალექსი ჭიჭინაძეს უკან არ დაუხევია. თუმც, არც იმ კითხვაზე გაუცია პასუხი, თუ რატომ მიიღო ერევნის ოლქში ლევიცკის სახელმძღვანელო, რომელიც უარყოფილი ჰქონდათ თბილისსა და სხვა გუბერნიების სკოლათა ხელმძღვანელებს. ალექსი ჭიჭინაძე მისი საქმიანობით არასდროს ღალატობდა ეროვნულ პოზიციას, დროებით უკანდახევა სჩვეოდა მხოლოდ. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: თერგის ოლქში ინსპექტორად მუშაობის პერიოდში შესწავლილ იქნა საკითხი არარუსთა სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ. ალექსის დაიარა სკოლები, სადაც მუნჯური მეთოდით ასწავლიდნენ რუსულ ენას, ნახა ის სკოლები, სადაც მშობლიური ენის საშუალებით ისწავლებოდა რუსული ენა და წარადგინა მისი მოსაზრება. რა თქმა უნდა, მშობლიური ენის საშუალებით სწავლებას

მიანიჭა უპირატესობა. თერგის ოლქის სკოლათა დირექტორმა მიიღო ალექსი ჭიჭინაძის წინადადება, ლევიცკის მუნჯურ მეთოდს კი მის გამოსვლაში ოინბაზობა უწოდა.

1911 წელს ბორჯომში სახალხო სკოლების დირექტორების სემინარზე მსჯელობა გაიმართა სახალხო სკოლებში სწავლების წესის თაობაზე. სასწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლება მშობლიური ენის სწავლების პარალელურად უნდა ეწარმოებიათ პირველი სექტემბრიდანვე. ალექსი ჭიჭინაძე და მისი თანამოაზრენი ჯერ მშობლიური ენის სწავლებას ითხოვდნენ და შემდგომ რუსული ენის ათვისებას, რაც მშობლიური ენის საშუალებით უნდა მომხდარიყო. სემინარმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო, ალექსი ჭიჭინაძის გავლენას მიაწერეს პროგრესული აზრი და ბუნებრივია, მის მიმართ ზომების გატარებაზეც არ დაიხევდნენ უკან მოწინააღმდეგე აზრის ავტორები.

ალ. ჭიჭინაძე სისტემატურად გამოდიოდა პრესის და ცოცხალი სიტყვის საშუალებით როგორც პედაგოგი და მოქალაქე. მას გააჩნდა საკუთარი მოსაზრებანი სწავლა-აღზრდის საკითხებზე, ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით. ადასტურებდა პრინციპულ დებულებებს, ცდილობდა დაენერგა ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში. დიდ ადგილს უთმობდა იგი მოზარდის ჰარმონიულ განვითარებას. უპირველესად გონებრივი ძალების განვითარებას აყენებდა ამოცანად, გონების სისტემატურ ვარჯიშს ითხოვდა მოზარდის ძალის, უნარისა და აზროვნების განსავითარებლად, რაც სწავლების, გარემომცველი გარემოს რეალური შეცნობის გზით უნდა მიღწეულიყო, მაგრამ აქცენტი მხოლოდ გონებრივ განვითარებაზე არ ჰქონია არასოდეს პედაგოგს აღებული. ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ესთეტიკური განვითარების ერთობლიობას ითხოვდა, ამიტომ აქცევდა ის დიდ ყურადღებას მოსწავლეთა ფიზიკურ წრთობას სკოლაში.

ალექსი ჭიჭინაძე ეროვნული სკოლისაგან მოითხოვდა „აღეზარდა ჯანსაღი, გონებაფხიზელი, შრომის მწყურვალე და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალგაზრდობა“ [156].

სკოლას ის თვლიდა ერთადერთ საშუალებად, რომელმაც უნდა შეაიარაღოს მოზარდები ზოგადი განათლების საფუძვლებით. ის გაბედულად ებრძოდა ყველას, ვინც სკოლას ანიჭებდა სპეციალურ-ტექნიკური განათლების კერის ფუნქციას. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ, ამ მიზეზით, ამ დავის გამო დატოვა მან 1894 წელს თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელი.

ალექსი ჭიჭინაძე სწავლებას მოითხოვდა მშობლიურ ენაზე უარყოფდა ზეპირობას. იგი მთელი არსებით გამოეხმაურა 1914 წლის 1 ივლისის კანონს, რომელიც იძლეოდა კერძო სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას. ამ კანონის მიღებამ განაპირობა მისი ნაშრომის „რიყრაჟზე სათქმელი"-ს შექმნა. იგი წერდა, რომ მოზარდები „მშობლიური ენის საშუალეით იწრთვნებიან გონებრივად და ზნეობრივად. ბუნებრივად იფურჩქნებიან შემოქმედებითი ძალები სულისა, ვითარდებიან და მზადდებიან, რომ თავის დროს განხორციელებული იქნას ამა თუ იმ ცოდნაში, ანა თუ იმ მეცნიერებაში ან ხელოვნებაში". როცა არამშობლიურ ენაზე სწავლებას ეხება, იგი მიუთითებს, რომ ასეთი სწავლებით სულიერად კნინდება მოზარდი, იგი აღატაკებს და აჩლუნგებს შემოქმედებით ნიჭს, აზროვნებას, ასეთი სწავლება იწვევს მოზარდის მოდუნებას. ალ. ჭიჭინაძეს მიაჩნია, რომ მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნა ისეთივე უფლებაა, როგორც არსებობისა და სიცოცხლის უფლება.

მშობლიური ენის საშუალებით სწავლების განხორციელებას საპროგრამო მასალის შეგნებულად ათვისება მოჰყვება და დაცული იქნება იგი გაუაზრებელი ზეპირობისაგან. სწორედ მშობლიური ენა მისცემს ბოსნავლეთა და მასწავლებლებს უშუალო ურთიერთგაგების, სიყვარულისა და პატივისცემის საშუალებას. მასალის შეგნებული გადაცემა და ათვისება ზრდის როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის აქტივობას, თვითმოქმედებას, ინტერესს.

შეგნებული სწავლების დასაყრდენ პრინციპად ალ. ჭიჭინაძე თვალსაჩინოებას თვლიდა.

ალექსი ჭიჭინაძე სწავლების ევრისტული მეთოდის მომხრე იყო, მოსწავლეთა აქტივობის ზრდას ითხოვდა გაკვეთილზე. უარყოფდა ლექციური მეთოდის ხანგრძლივობას, ითხოვდა განმეორებას ახალი და განვლილი მასალისას. ამ მეთოდს შეეძლო მოსწავლეთა ინტერესისა და ყურადღების ზრდა.

მშობლიურ ენაზე სწავლებას ითხოვდა ალ. ჭიჭინაძე, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღებით მოსავდა თვით მშობლიური ენის შესწავლას. სათავადაზნაურო სკოლებში მუშაობისას ქუთაისსა თუ თბილისში პედაგოგთა ძალებით ადგენდა სასწავლო გეგმებს, მათ ამტკიცებდა პედაგოგიურ რჩევებზე. ჩვენ მოგვყავს გეგმის რამდენიმე ნიმუში. იაკობ გოგებაშვილმა მოიწონა ალ. ჭიჭინაძის ეს ცალისხმევა და აღნიშნა კიდეც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბჭოს სხდომაზე.

მშობლიურ ენაზე და მშობლიური ენის სწავლების განსახორციელებლად ასე თავგადადებულ მოღვაწეს სწამდა, რომ რუსული ენის ცოდნის გარეშე გაუჭირდებოდა თანამედროვე ახალგაზრდებს. ის გაბედულად აყენებდა საკითხს შექმნილიყო რუსული ენის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც უპასუხებდა ქართველი მოზარდის ინტერესებს. იაკობ გოგებაშვილმა სწორედ ასეთი სახელმძღვანელო გამოსცა „რუსკოე სლოვო" სახელწოდებით. იგი ქართველი ბავშვებისათვის მისაწვდომი ბაგალითებით მასალის შეგნებულად ათვისების ბერკეტად იქცა იმ პერიოდისათვის.

მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის წარმმართველად ალექსი ჭიჭინაძე მასწავლებელს, მის ცოდნას და პირად თვისებებს თვლიდა. განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას კლასის ხელმძღვანელის როლზე. ის მისი ყოველდღიური საქმიანობით განამტკიცებდა რწმენას აღზრდის პროცესში პედაგოგის როლის დიდი მნიშვნელობის შესახებ, დაუფარავად, პირუთვნელად ამხელდა სუსტ მასწავლებლებს, ცდილობდა დახმარება გაეწია მათთვის, მაგრამ უშედეგობის შემთხვევაში აშორებდა სკოლის კედლებს, კარგ პედაგოგს გზას უხსნიდა, პერსპექტივას უსახავდა. მის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მისამართით გაგზავნილი წერილებია ამის უტყუარი დადასტურება.

როგორც წესი, ალ. ჭიჭინაძე მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე 1 წლის გამოსაცდელი ვადით იღებდა კადრს, შემდეგ გასაუბრებას უტარებდა და თუ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა, არ ტოვებდა სასწავლებელში სამუშაოდ. ზნეობრივი აღზრდის მძლავ საყრდენს აგებდა იგი პედაგოგთა კადრებისადმი მკაცრი მოთხოვნელობით.

ალექსი ჭიჭინაძის, როგორც პედაგოგისა და ხელმძღვანელის შესახებ, თომა მთავრიშვილი წერდა:

„მე, როგორც გამოუცდელ მასწავლებელს, ხელმძღვანელად ისეთი დახელოვნებული და მაღალნიჭიერი პედაგოგი შემხვდა, როგორიც იყო აწ განსვენებული ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე. ის იყო განხორციელებული ენერგია, შრომის მოყვარული ადამიანი, სასწავლებლის წარმატების სურვილით გატაცებული, მე არ ვიცნობ მეორე ამისთანა თავგანწირულ ადამიანს. სასწავლებელში ყველაზე ადრე უნდა მოსულიყო და ყველაზე გვიან უნდა წასულიყო. სასწავლებელსა არ მოსცილდებოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა რომ ყველაფერი რიგზედ არის მოწყობილი. დაღლა მისთვის არ არსებობდა, მთელი დღე ნაყოფიერად მუშაობდა და ხშირად შუაღამემდი იჯდა ერთ უბრალო ოთახში და სასწავლებლის წარმატებაზე ფიქრობდა და შრომობდა. ამასთან ფრიად სამართლიანი, მიუდგომელი და უანგარო ადამიანი იყო. ერთხელ შემოღებულ წესს არც თვითონ არღვევდა და არც სხვას დაარღვევინებდა“ [157].

ასწავლებლის შერჩევის და აღზრდისადმი ასეთი მიდგომის ხელმძღვანელისათვის მეტად საინტერესო იყო ხონის საოსტატო სემინარიაში მუშაობა. ამიტომაც სემინარიის კოლექტივთან გამომშვიდობებისას მის მიერ წარმოთქმული ყოველი ფრაზა გაჟღენთილია ერისკაცის, ქვეყნის მომავლისათვის ქედმოუხრელი მამულიშვილის სუნთქვით.

„უმეტესობა ერისა, რომლის მოძღვრებისთვინაც ემზადებოდით თქვენი შემყურეა... თქვენზე უფრო დაახლოებული მოამაგე მას არავინ ჰყავს, სხვანი ჯველანი უფრო დაშორებულნი არიან მასზე. თქვენზეა ბევრად დამოკიდებული მისი ცხოვრების ავი და კარგი.

...თუ თქვენ ფხიზლად იქნებით, არ შეწყვეტთ საკუთარი ძალღონის განვითარებას და განკარგებას, მაშინ ჩვენი ერიც ამაღლდება გონებით" [158].

ალ. ჭიჭინაძე „რიურაჟზე სათქმელში" ანაალიზებს რა აღზრდის პროცესში კოლექტივის წევრთა ურთიერთგაგების, გულისხმიერების საკითხს, მოითხოვს ზნეობრივ კავშირ-ურთიერთობას პედაგოგებს შორის, სითბოს და შეგნებულ დისციპლინას მოზარდთა შორის, ის გამორიცხავს ბრძანებით ტონს და დასჯის მეთოდებს, რაც ესოდენ ფეხმოდგმული იყო სახაზინო სასწავლებლების სინამდვილეში. ამიტომ მატულობდა იქ შეცდომები და მკაცრი სასჯელები. ალ. ჭიჭინაძის აზრით, სასჯელები შიშს ბადებს, მაგრამ ზნეობრივ ნაკლს ვერ კურნავს, ამ უკანასკნელთა გასწორება მხოლოდ ზნეობრივ საშუალებებს, შეგნების ამაღლებას შეუძლია. შიშია და უპატივცემულობის პირობებში სასწავლებელი ორ ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკად იყოფა მასწავლებელთა და მოსწავლეთა, ე.ი. ძლიერთა და სუსტთა ბანაკებად. პირველნი მრისხანებენ, მეორენი გაურბიან სიმკაცრეს, მტრებად ქცეულ აღმზრდელებს. მათი ბრძოლა არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს. ამიტომ მოსწავლეთა სასტიკად დასჯით მთავრდება სასწავლებლიდან გარიცხვამდეც კი.

ალ. ჭიჭინაძე აღზრდის პრინციპებიდან გამოყოფს გონებრივი, რელიგიური, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდის პრინციპებს. გვაძლევს მათი მიღწევის გზებს და მნიშვნელობას.

„რიურაჟზე სათქმელის" პრინციპული ავტორისეული მოთხოვნაა მოზარდთა გონებრივი აღზრდა.

„გონებრივი მოთხოვნილება კმაყოფილდება მაშინ, როდესაც ადამიანი იძენს ცოდნას გარემომცველის ბუნებაზე და სხვადასხვა მოვლენაზე ბუნებაში თუ ადამიანთა ცხოვრებაში." ბეკრის მომცველია ეს მითითება. აქ ჩვენ ვხედავთ ისეთი ადამიანის გონებრივი აღზრდის პრობლემას, რომელიც ჰარმონიულად უნდა განვითარდეს, რომ შესწევდეს უნარი დაეუფლოს ბუნების საიდუმლოს, გაერკვეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

ალ. ჭიჭინაძეს აღზრდის მიმართულებები გონებრივი იქნება იგი, რელიგიური, ფიზიკური თუ ესთეტიკური, ერთმანეთისაგან მოწყვეტით არ აქვს წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთთან არიან კავშირში და განაპირობებენ ერთმანეთს, ერთი მიმართულება ამდიდრებს მეორეს, მეორე მესამეს და ა.შ.

ალ. ჭიჭინაძე იძლევა მოსწავლეთა რელიგიური აღზრდის რეკომენდაციას. იგი ითხოვს, სკოლის მასწავლებლებმა ბავშვებამდე მიიტანონ ქრისტეს მოძღვრება მოყვასისადმი სიყვარულისა და მზრუნველობის შესახებ. მისი ღრმა რწმენით, სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია, სარწმუნოებრივმა საქმემ გადაარჩინა ებრაელი ერი, ქრისტეს რჯულმა გადაატანინა ქართველებს უამრავი გაჭირვება, შეანარჩუნებია ტერიტორია და ეროვნული გრძნობა. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ ქრისტეს სჯულის მოთხოვნები ცხოვრებაშია გასატარებელი, მის პრინციპებს საქმით უნდა პასუხის გაცემა.

საღვთო სჯულის სწავლებაში შაბლონს უარყოფდა ალ. ჭიჭინაძე, მოითხოვდა სწავლება სახარების მიხედვით წარმართულიყო, მოზარდებს სახარება უნდა ეკითხათ მასწავლებლის, მოძღვრის ხელმძღვანელობით და განმარტებით. იგი მასწავლებელს ავალდებულებდა მოსწავლეებისათვის მიეწოდებია ქრისტიანობის ისტორია საქართველოში და ქრისტიანობისათვის წამებულთა თავგადასავლები, აყენებდა საკითხს, მოზარდებს მცირე ასაკიდანვე მიეღოთ მონაწილეობა წერა-ლოცვაში, შეესწავლათ გალობა, რაც განამტკიცებდა რელიგიურ მსახურებას.

„ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მტერს და მოყვარესაც, რომ ჩვენ ვართ განათლებულნი ქრისტეს მოძღვრებით მეოთხე საუკუნეში, რომელნიც ვებრძოდით მრავალი საუკუნეების განმავლობაში ურიცხვ მტერს ქრისტიანობის დასაცველად, არ მომკვდარვართ, კიდევ სული გვიდგია და ღირსნი ვართ ადამიანურის არსეობისა" [159].

ესთეტიკური აღზრდის თაობაზე ალ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „მგრძნობელობითი მხარე ადამიანის სულისა მდგომარეობს სასიამოვნოსა და არასასიამოვნოს განცდაში... აღმზრდელის

(მასწავლებლის, დამრიგებლის) ვალია ჰცდილობდეს ჰასაკის შესაფერისად პასუხი გასცეს მათ წინადვე მოფიქრებულის და მოსაზრებულის ღონისძიებათა". ესთეტიკური აღზრდის დამხმარე ღონისძიებებს წინასწარ მოფიქრებული მომზადება ჭირდება, ყველა მათგანი უნდა ემსახურებოდეს ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდის აღზრდას. ესაა ამ მოთხოვნის ძირითადი არსი.

„სიმღერა - გალობა, მუსიკა, ხატვა, გაკვეთილების მოსმენა და შეთვისება, წიგნების კითხვა, თხზულებათა წერა... უნდა შეადგენდეს განუყოფელს ნაწილს მოწაფეთა ცხოვრებისას და ავსებდეს ისე, რომ სიცარიელე არსად რჩებოდეს" [110].

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი აზრით მოზარდები აცდნენ უშინაარსო ხეტიალს, არასასურველ პირებთან კავშირს, თუ ენერგიას დახარჯავენ მუსიკის და გალობის მეცადინეობებზე, ლიტერატურულ საღამოებზე, განვითარდებიან ესთეტიკურად, აღიზრდებიან სულით მდიდარნი, რაც ერთგვარად შეუწყობს ხელს გონებრივ განვითარებას.

„ადამიანის სულის არსებობასა და მოქმედებასაც მისი საკუთარი ჰიგიენა აქვს. ადამიანის გონების განვითარებისა და გამდიდრებისათვის, მის სულში კეთილ გრძნობათა აღყვავებისათვის საჭიროა თავისებური ჰავა, თავისებური დარ-ავდარი ანუ ფსიხიური ჰიგიენა. რომელიც მოითხოვს ნორმალურს ზრდას სხეულისას, ჯანმრთელობის დაცვას და აუცილებლად გრძნობელობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას" [161].

ავტორს აქ წინა პლანზე აქვს წამონეული ფიზიკური განვითარების მნიშვნელობა. თუ ფიზიკური შესაძლებლობები შეეზღუდება მოზარდს, ბუნებრივია, შეიზღუდება აღზრდის სხვა მხარეები. ამიტომ პირობებია საჭირო ბავშვის ფიზიკური განვითარებისათვის. ალ. ჭიჭინაძე მისი ხელმძღვანელობით არსებულ ყველა სკოლაში აწყობდა სპორტულ მოედნებს, ყურადღებით მოსავდა მოსწავლეთა ექსკურსიებს, მოგზაურობებს, ხელს უწყობდა მოზარდთა სიჯანსაღეს.

„გიმნასტიკა და მუსიკა პოეზიითურთ ავითარებდნენ ორს უმთავრეს მხარეს ადამიანისას ფიზიკურს და სულიერს, ჰქმნიდნენ

ერთს გარმონიულს მრთელს გაწურთვნილს სხეულისა და განათლებულის სულიააგან“ [162].

როგორც ვხედავთ, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა მხატვრული ლიტერატურის ათვისებასთან, ლიტერატურულ განვითარებასთან, წიგნთან და მისი კითხვის სისტემატურობასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. სწორედ, ეს ქმნის მრავალმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის შესაძლებლობას.

ალექსი ჭიჭინაძე განიხილავს გაკვეთილის ფუნქციას, მოსწავლეთა აქტივობის მნიშვნელობას, მისი აზრით, მოზარდები თითონ უნდა ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ, მსჯელობდნენ, ჰხედავდნენ, აკეთებდნენ, რაც დასანახია და გასაკეთებელი.

ალ. ჭიჭინაძე ევრისტიული გაკვეთილის მომხრეა, მოზარდთა გადატვირთვა ლექციით არ მიაჩნია გამართლებულად, რეკომენდაციას იძლევა სწავლება წარიმართოს გაკვეთილზე ადგილიდან რთულისაკენ, განმეორებას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

საინტერესო მეთოდურ მითითებებს იძლევა ალექსი ჭიჭინაძე ცალკეული საგნის სწავლებასთან დაკავშირებით.

ენისა და ლიტერატურის სწავლების თაობაზე იგი იძლევა საყურადღებო რჩევას, ისე როგორც უმოძრაობით ვერ ისწავლის ადამიანი სიარულს და სიჩუმით მჭერმეტყველებას, ასევე ენისა და ლიტერატურის სწავლა არ შეიძლება ლაპარაკის გარეშე.

„თქვენ კი არ უნდა ლაპარაკობდეთ ბევრს მასწავლებლები, უმეტესად მოსწავლე უნდა ალაპარაკოთ, წერის სწავლებისათვის წერითი ვარჯიშებია საჭირო. ჯერ ალაპარაკეთ მოსწავლე, შემდეგ დააწერინეთ“ - ურჩევს მასწავლებლებს ალ. ჭიჭინაძე და მოითხოვს, რაც შეიძლება ბევრი აკითხონ მოსწავლეებს, გაუმართლებელია ზეპირგადაცემით სწავლება, მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული მასალა არ კმარა ლიტერატურის დასაუფლებლად. რჩეული წიგნების ბიბლიოთეკაა საჭირო, მოხსენებების წაკითხვა, ტიპების დახასიათება, წერითი ვარჯიში, ნაწარმოების იდეის გაანალიზებაა აუცილებელი.

ბუნებისმეტყველების სწავლებისას ალ. ჭიჭინაძე ითხოვს მოსწავლეებმა თვით მოიპოვონ მცენარეთა და მინერალთა მათთვის მისაწვდომი საგაკვეთილო ნიმუშები, მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ და დახატონ მცენარეთა ნაწილები, გამოძერწონ ისინი, დარგონ სკოლის ეზოსა და ბაღში მცენარეები, ისწავლონ მოვლა. თეორული მასალის პრაქტიკასთან დაკავშირების პრობლემას აყენებს იგი და პედაგოგებისაგან ითხოვს საგაკვეთილო მასალის ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ფიზიკის სწავლებისას საჭიროდ თვლის, მოსწავლეებმა დაამზადონ მარტივი იარაღები, ჩაატარონ ცდები ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად. მასწავლებლებმა ნასწავლი მასალის განსამტკიცებლად უნდა გამოიყენონ სავარჯიშოები, კლასგარეშე მუშაობა.

არითმეტიკის სწავლების წარმართვას მოითხოვს პედაგოგი მოცემული მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნით, საჭიროდ თვლის მოსწავლეებმა თვით შეთხზან მსგავსი მაგალითები, ამოცანები, ტაბულები. მოზარდები უნდა ამზადებდნენ სიგრძის, წონის საზომ ხელსაწყოებს. როგორც ვხედავთ, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების პრინციპია ამ მოთხოვნაში ჩადებული.

გეომეტრია უნდა ისწავლებოდეს, აღნიშნავს იგი, ნიმუშების დამზადებით. მოსწავლეები უნდა იგონებდნენ ნიმუშებს თეორემათა დასამტკიცებლად, ვარჯიშობდნენ სიმეტრიაა და სივრცის გამოანგარიშებაში, სხეულის მოცულობის გამოკვლევაში.

ხატვის სწავლება მოსწავლეთა აქტიურობით უნდა გამოირჩეოდეს. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ნანახის, წაკითხულის, მოსმენილის, ნაოცნებარის დასურათება. მოსწავლეები უნდა ვარჯიშობდნენ მათ გარშემო არსებული საგნების დახატვის, გამოქანდაკებისათვის.

როგორც ვხედავთ, ალ. ჭიჭინაძე ითხოვს ნოსწავლის აქტივობის ამაღლებას, შრომის ჩვევის აღზრდას. ასეთი აღსაზრდელები შრომისათვისაც იქნებიან მზად და უმაღლესი განათლების მიღებისთვისაც, დაასკვნის იგი.

თუ აღნიშნულ მითითებებს გაითვალისწინებენ ეროვნული სკოლები, ალ. ჭიჭინაძე გამოთქვამს რწმენას, რომ „მაშინ რიყრაჟი

გარდაგვექცევა განსაკუთრებელ დილად და სრულად გაგვითენდება" [163].

ერის კაცი იყო ალექსი ჭიჭინაძე, ერის გასაჭირი ახლოს მიჰქონდა გულთან, ამიტომ ებმებოდა აქტიურად ყოველგვარ საგანმანათლებლო საქმიანობაში. იგი სტუდენტობიდანვე ოცნებობდა ქუთაისში წიგნსაცავის დაარსებაზე. პეტერბურგიდან დაბრუნებული ალექსი გვერდით დაუდგა ანტონ ლორთქიფანიძეს, საინტერესო საზოგადო მოღვაწესა და განათლებულ იურისტს და საკუთარი წივნებისა და შემოწირულობების ბაზაზე დაარსდა ქუთაისში ბიბლიოთეკა. ალექსი ჭიჭინაძე მხარში ედგა ანტონ ლორთქიფანიძეს თეატრალური დასის ფორმირებისას. ბევრი ქუთაისელი იყო დაინტერესებული თეატრალური ცხოვრებით, საქმის სირთულე მათი შეკავშირება იყო. ალექსი ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით მოეწყო სცენა, ითარგმნა პიესები, პირადად მან თარგმნა გოგოლის „რევიზორი", ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" და ბევრი სხვა საინტერესო პატარ-პატარა პიესა. ალექსი გრძნობდა თეატრის დიდ დანიშნულებას, ოცნებობდა, სცენა გამხდარიყო ხალხის ცხოვრების სარკე, კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინა ადამიანთა ზნეობაზე, ქართულ ენას იმ დროისათვის დევნილსა და შეურაცხყოფილს, დაბრუნებოდა ღირსეული ფუნქცია. ქართველს სცენიდან უნდა მოესმინა ქართულად ადამიანურ ღირსებათა ყველა ნიუა"ნსი, ეროვნული ყოფაქცევა უნდა ჰქონოდა წარმოდგენებს. ასეც მოხდა. ალ. ჭიჭინაძისეულმა თარგმანმა დიდი სიხარული მოუტანა როგორც სცენის მოყვარეებს, ასევე მათ თაყვანისმცემლებს. დღითიდღე იზრდებოდა სცენისმოყვარეთა რაოდენობა, საქმიანობაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც ჩაებნენ. ქუთაისის სცენაზე აიდგა ფეხი ვასო აბაშიძემ და კოტე მესხმა. ვასო აბაშიძის აღმოჩენა თავად ალექსი ჭიჭინაძის დამსახურებაა. მომავალი მსახიობი ალექსი ჭიჭინაძეს დაუკავშირდა როგორც მისი ძმის რეპეტიტორი. პედაგოგმა მალე იგრძნო მასში მსახიობის თვისებები, დიდი ნიჭი და სცენაზე მოღვაწეობისაკენ უბიძგა. აბაშიძეების ოჯახმა, ძველი აზნაურის კუდაბზიკობით იუკადრისა შვილის სასცენო მიდრეკილება.

სასტიკად გალანძღეს ალექსი ჭიჭინაძე, როგორც ახალგაზრდის არასწორ გზაზე დამყენებელი. ვასო აბაშიძის მამა შვილის ჩინოვნიკობაზე ოცნებობდა და ყოველმხრივ უხშობდა გზას სცენისაკენ, მაგრამ ალექსი ჭიჭინაძეს ალღო არ ჰღალატობდა, ნიჭმა თავისი გზა მოძებნა და ვასო აბაშიძე ქართული სცენის ოსტატთა შორის გამორჩეულ ფიგურად დარჩა ქართული თეატრის ისტორიას.

ალექსი ჭიჭინაძე, როგორც პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ხშირად გამოდიოდა პრესის ფურცლებზე, თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში". ქუთაისიდან თბილისში აგზავნიდა წერილებს განვითარებული მოვლენების შესახებ. 1880 წელს ქუთაისში დაარსდა გაზეთი „შრომა", რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ალექსი ჭიჭინაძე, ის სისტემატურად თანამშრომლობდა გაზეთის სარედაქციო კოლეგიასთან.

მრავალმხრივმა განათლებამ და პირადმა ადამიანურმა თვისებებმა ალექსი ჭიჭინაძეს საყვარელი, გულთბილი, თავდაუზოგავი პიროვნებისა და პედაგოგის რეპუტაცია შეუქმნა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ალექსი ჭიჭინაძე სასულიერო სასწავლებელში ლათინურ ენას ასწავლიდა. სამღვდელოების მიერ დაწესებული რეჟიმის გამო იგი იძულებული გახდა დაეტოვებია მისი მოსწავლეები. ისინი ცრემლით აცილებდნენ საყვარელ მოსწავლეებს, როცა სხვების მიმართ საპროტესტო აქციებსაც კი აწყობდნენ.

ამ სიყვარულს ის ღრმა ცოდნით და თავგანწირვით იმკიდა. მისი თავგანწირვა შეუმჩნეველი არც მოსწავლეთათვის ყოფილა. ალექსი ჭიჭინაძე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი იყო. გვიან ღამით მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ალექსი მის ოთახში მაგიდას უჯდა და მუშაობდა, გვერდით ოთახში ცოლ-შვილს ეძინა. მიწისძვრის შეგრძებისთანავე ის მოწყდა სამუშაო ადგილს და მოსწავლეთა საძინებელი ოთახისაკენ გაექანა. შეშინებული მოსწავლეები დააშოშმინა, მანამ არ მოშორდა მათ, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ საშიშროებამ გაიარა. მის სამუშაო ოთახში დაბრუნებულმა შეშინებული მეუღლე იხილა საკუთარ ორ ბავშვთან ერთად. მხოლოდ

მაშინ მოაგონდა, რომ ცოლ-შვილსაც ჭირდებოდა გამხნევება. „სწორედ აღარ მახსოვდით; საშინელს წუთებში მოსწავლეების მეტი აღარავინ არსებობდა ჩემს აზრაა და გონებაშიო“ - მოუბოდიშა მან მეუღლეს.

„არ ყოფილა მაგალითი მისი ხელიდან შეგირდი გარიცხულიყოს და დაბრკოლებულიყოს, კეთილ გზაზე არ დამდგარიყოს“ - წერს ჭიჭინაძის ბიოგრაფი გიგიბერია. იქვე აქვს მოყვანილი ამ უზადო პედაგოგის სიტყვები:

„უპირველესად ვარ ადამიანი და პედაგოგი. უნდა ვმოქმედებდე კეთილი სიტყვით და არა უფლებამოსილებით. მე ვარ მასწავლებელი და ვასწავლი!.. თქვენც ასე მოიქეცით კეთილი სიტყვებით და მაგალითებით იქონიეთ გავლენა ყმაწვილებზე და დაიმსახურეთ მათი პატივისცემა“ [164] - ასე მოძღვრავდა ის თანამოსაქმეებს.

თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლების მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები თერგის ოლქისა და ერევნის გუბერნიის სკოლათა მუშაკები, ხონის საოსტატო სემინარიის კოლექტივი ცრემლით აცილებდნენ ალექსი ჭიჭინაძის ცხედარს. ჟურნალი „განათლება“ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა:

„განისვენე მშვიდად, კეთილო ადამიანო, გზა ცხოვრებისა განვლე, მაგრამ შენი ხსენება უკვდავი იქნება როგორც მოზარდი თაობის, ისე შენი ყოფილ მოწაფეთა გულში, სადაც უხვად ნერგავდი სათნოებასა და კაცურკაცობის თესლს. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება“ [165].

იოსებ ოცხები

იოსებ ოცხელი 1865 წელს დაიბადა ქუთაისში, დაწყებითი განათლება იქვე, კათოლიკეთა სასწავლებელში - საშუალო კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა და წარჩინებით დაამთავრა იგი. 1890 წელს საცხოვრებლად დაბრუნდა ქუთაისში. მის დედ-მამას 5 შვილი ჰყავდა. 4 ვაჟი (სიმონი, დავითი, კონსტანტინე, იოსები) და

ერთი ქალი (სოფიო). მშობლები ივანე და ანა ოცხელები კარგად უძღვებოდნენ ოჯახს, ყველა შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინეს.

საქართველოში დაბრუნებულმა იოსებ ოცხელმა არაერთ სამუშაოზე სცადა ბედი, მაგრამ მოწოდებით პედაგოგმა საკუთარი ადგილი პედაგოგიურ ასპარეზზე დაიმკვიდრა - გახსნა ქუთაისში დასავლეთ საქართველოში პირველი სანიმუშო საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით. მუშაობდა გულმოდგინედ. თავის ეზოში სპეციალური შენობა ააგო საბავშვო ბაღის განსათავსებლად. იქვე დაიწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ოცხელების ოჯახს ქუთაისის შემოგარენში შემოსავლიანი მეურნეობა ჰქონდა სახლის ასაგებად, ბანკის სესხის აღება მაინც დაჭირდა დამწყებ პედაგოგს.

1900 წელს ქშწკგ-მა საზოგადოებამ მას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ხელმძღვანელობა შესთავაზა, მაგრამ აღდგა რეაქციული ძალები ოცხელის წინააღმდეგ. კავკასიის ოლქის მზრუნველთან გაიგზავნა სულმდაბალ ადამიანთაგან შედგენილი საჩივარი.

„სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც ინახება თავადაზნაურთა საშუალებით, სწავლობს 500 ბავშვი, ყველა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა შვილებია, სარწმუნოებით მართლმადიდებელნი. მართლმადიდებლობას ვიცავთ საუკუნეების განმავლობაში და სრულიადაც არ გვსურს, რომ ჩვენი შვილების აღმზრდელი იყოს კათოლიკე. ბატონი იოსებ ოცხელი ჭეშმარიტი კათოლიკეა. მას აქვს თავისი პანსიონი, საიდანაც გამოდიან იეზუიტურად აღზრდილნი ყმაწვილები. ჩვენ აზნაურები ვართ და გვსურს აღვზარდოთ ჩვენი შვილები რუსული მართლმადიდებელი მიმართულებით. არ გვიყვარს იეზუიტები, კათოლიკები, როგორც არ უყვარს იაპონი რუსებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თხოვნა იქნება დაკმაყოფილებული ოცხელი იყოს თავის სასწავლებელში, სადაც ერთ დროს მართლმადიდებელ ბავშვებს ასწავლიდა საღვთო სჯულს, იყოს ის უბრალო მასწავლებლად და არა სკოლის ხელმძღვანელად“ [166]. თხოვნას 15 აზნაური აწერდა ხელს.

საქართველოს ცენტრალური არქივი ინახავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მისამართით გაგზავნილ დეპეშას,

რომელშიც ასევე აცილებას აძლევენ იოსებ ოცხელის კანდიდატურას სკოლის დირექტორად. ნუ დაგვავიწყდება, ეს ის პერიოდია, როცა მძვინვარებს რეაქცია, საქართველოს ავტოკეფალია დაუცხრომელ სურვილადაა ქართველთა შორის და ქართველი აზნაურობა მუხლმოდრეკილი ევედრება ოლქის სკოლათა მზრუნველს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, არ მოახვიონ თავს სკოლის დირექტორად ი. ოცხელის, კათოლიკის კანდიდატურა.

იოსებ ოცხელი სკოლის დირექტორად დიდი სიხარულით არ მიუღია თავადაზნაურობას, ისინი აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ახალი დირექტორი კათოლიკე იყო, თავადაზნაურთა უკან სხვა ძალაც იყო შეფარული, თანამდებობის ბევრი მაძიებელი ცდილობდა ჩრდილი მიეყენებია მისთვის, მაგრამ ი. ოცხელი მხნედ უმკლავდებოდა ასეთ ძალებს, მისი პირადი თვისებები, ცოდნა, საქმისათვის თავგანწირვა, აღსაზრდელებისადმი სათნო და მომთხოვნი დამოკიდებულება, კოლეგებისადმი დახმარება და თანადგომა, ცუდისა და კარგის პირუთვნელი აღიარება თანდათან ზრდიდა მის ავტორიტეტს.

იოსებ ოცხელმა უპირველესად პედაგოგიური კადრების შერჩევას დაუთმო დიდი ყურადღება. ცალკეულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსს აცხადებდა, მოწონებულ კადრს ერთწლიანი ვადით ნიშნავდა სამუშაოზე, თუ გაამართლებდა ნდობას, მუდმივ ადგილს მიუჩენდა, თუ ვერ გაამართლებდა, სხვა მიმართულებით აძლევდა გზას. დიდი მონდომებით იკრებდა პედაგოგებს არა მარტო ქუთაისიდან, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდანაც. ძველ თაობას არ აკლებდა პატივისცემას, მათ გამოცდილებას უხვად იყენებდა ახალგაზრდა პედაგოგთა დასახელოვნებლად, ახალგაზრდებს კი საკუთარი ძალების რწმენას უნერგავდა, ახალისებდა.

ძნელი იყო 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში ქართული ეროვნული სკოლის ზრდა-განვითარებაზე ეფიქრა ადამიანს, მაგრამ იოსებ ოცხელმა თავის თანამოაზრე კოლექტივთან ერთად იბრძოლა და მიაღწია კიდეც სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებას. ამიერიდან ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებულს ყოველგვარი ბარიერის

გარეშე შეეძლო სწავლის გაგრძელება ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

იოსებ ოცხელი უებრო მეთოდისტი იყო. ყველა საგნის პედაგოგთან შეეძლო შთამაგონებელი საუბარი, საამისო ცოდნაც გააჩნდა და მონდომებაც.



იოსებ ოცხელი


იგი იაკობ გოგებაშვილის პრინციპების მიმდევარი იყო, როგორც თეორიულ-მეთოდურ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. მისი სახელმძღვანელოები კოლექტიური და კოლეგიალური შრომის კარგ ნიმუშებს წარმოადგენენ. ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის ავტორობით არაერთჯერ გამოიცა კლასგარეშე საკითხავი სახელმძღვანელო „გუთანი", „ქართული ანბანი", „ქრესტომათია" საშუალო სკოლის პირველი და მეორე კლასებისათვის. ეს იმ დროს, როცა ქართული სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა ჰაერივით ჭირდებოდა აღმავლობის გზაზე მდგარ ეროვნულ სკოლას. ის პედაგოგიური კოლექტივის წინაშე სახავდა ამოცანას, დიდაქტიკის პრინციპებზე დაყრდნობით წარემართათ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, ითხოვდა მოზარდთაგან თავისუფალი აზროვნების, მსჯელობის, საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის უნარის გამომუშავებას. საამისოდ იყენებდა თეატრს, მუსიკას, მხატვრულ ლიტერატურას. მისი აზრით მხოლოდ ამით მიიღწეოდა აღსაზრდელის ჰარმონიული განვითარება.

ი. ოცხელის უშუალო ხელმძღვანელობით და თანამოაზრე პედაგოგთა ძალისხმევით შექმნილი ერთიდაიგივე სახელმძღვანელო გამოცემულია 5-ჯერ და მეტჯერაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გამოცემები საზოგადოებამ აღიარა და შეითვისა.

ამიტომაც აღნიშნავდა ოცხელთან გამოთხოვებისას მისი თანამოაზრე პედაგოგი და პოეტი დომენტი ოყრეშიძე:

„იოსები იყო ცენტრი და მამოძრავებელი ძალა იმ დიდი კულტურული საქმისა, რომელმაც ახალი ქართული სკოლისათვის რიცხვით მრავალი სახელმძღვანელო შექმნა“ [167].

მთარგმნელობით, საგამომცემლო საქმიანობაში იოსებს პედაგოებთან ერთად მოსწავლეებიც ჰყავდა ჩაბმული. პირადად ხელმძღვანელობდა მათ მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას, თვალყურს ადევნებდა საბიბლიოთეკო საქმეს, აქაც ორი მიმართულებით მუშაობდა - მოზრდილებთან და მოზარდებთან. ი. ოცხელის მიერ იქნა დაარსებული გამომცემლობები „განათლება“ და „სკოლა“



სახლი ქუთაისში, რომელიც ააშენა იოსებ ოცხელმა და ცხოვრობდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში

ქუთაისში, გამოცემული წიგნების გავრცელება-პოპულარიზაციას ხელს უწყობდა ძმები ოცხელების მიერ დაარსებული წიგნის მაღაზია. თომა მთავრიშვილთან, სიმონ ქვარიანთან, დიმიტრი უზნაძესთან ერთად ეს მაღაზია საგამომცემლო საქმესაც ტონს აძლევდა ქუთაისში.

იმ პერიოდისათვის დასავლეთ საქართველოში ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობდა, რომელშიც საკუთარ შესაძლებლობას გამოიყენებდნენ საზღვარგარეთ განათლებამიღებული კადრები და ბუნებრივია, ისინი ოცხელს, როგორც საუკეთესო მასპინძელს და თანამოაზრეს, ერთგულ პარტნიორობას უწევდნენ.

შემთხვევით როდი აღნიშნავდა მწერალი დავით კლდიაშვილი: „ქართული გიმნაზია თავისი გამგიდან დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან, უკანასკნელ მასწავლებლამდის შეგროვება იყო ერთგვარი იდეით გატაცებული, ერთგვარი ფანატიკოსების, რომელნიც თავდადებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად“ [168].

იოსებ ოცხელს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დამკვიდრებაში. მან გიმნაზიის პედაგოგთაგან შექმნა ჯგუფი, რომელსაც ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებაზე ამუშავებდა, სამუშაო ადგილი მისსავე საცხოვრებელ სახლში გამოუყო, სტამბისათვის კი იმავე ეზოში ააგო ერთსართულიანი სათავსო. ჯგუფის წევრები ადგენდნენ უცხო წარმომავლობის ტერმინთა შესაბამის ქართულ სიტყვას, ბეჭდავდნენ ორიგინალურ ქართულ სახელმძღვანელოებს.

იოსებ ოცხელი, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი, თავის სახელმძღვანელო წიგნის „გუთანის“ წინასიტყვაობაში წერდა:

„ადამიანის ტვინი და ხელები ერთად უნდა მუშაობდნენ, რაც თეორიულად გადაეცემა მოწაფეს, მისი პრაქტიკული გამოყენებაც უნდა იცოდეს და შეეძლოს - წინააღმდეგ შემთხვევაში სქოლასტიკა და მოსაბეზრებელი ტვინის დამბლა გამოგვივა“ [169].

მას გადაუდებლად მიაჩნდა სკოლის უზრუნველყოფა თვალსაჩინოებით და ტექნიკური საშუალებებით, შუამდგომლობდა საგანმანათლებლო დარგის ხელმძღვანელობასთან კაბინეტ-

ლაბორატორიების მოსაწყობად, მისი აზრით თვალსაჩინო სასწავლო საშუალებათა პრაქტიკულად გამოყენების საკითხები უშუალო კავშირში იყო მოზარდთა ჰარმონიულად აღზრდის მიზანთან.

მრავალხრივი განათლების მქონე პედაგოგს სასწავლებელში დატვირთვის მიუხედავად შეეძლო სათავეში ჩადგომოდა საზოგადოებრივ საქმეს, მონაწილეობა მიეღო საქალაქო ღონისძიებების მუშაობაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი და მისი ინიციატივით დაარსებულ ეთნოგრაფიული საზოგადოებების საქალაქო განყოფილებათა საქმიანობაში, იყო სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორი, საინტერესოდ ორატორული ხელოვნებით კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს, პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ახლადდაარსებულ სასწავლებლებს საქმის სწორად წარმართვაში. ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებული სასიქადულო მეცნიერი დიმიტრი უზნაძე მადლიერებით აღნიშნავს იმის შესახებ, რომ ი. ოცხელმა მას დიდი დახმარება გაუწია საზოგადოება „სინათლის" საქალებო სკოლის ორგანიზებისა და მართვის საქმეში. სასწავლელის ხელმძღვანელის მოადგილედ იმუშავა და გიმნაზიიდან თავისუფალ დროს ახალბედა დირექტორის დახმარებას ანდომებდა.

ყოფილი მოსწავლე, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი ი. ოცხელის შესახებ წერდა:

„იოსებ ოცხელი ეკუთვნოდა იმ მდიდარი ბუნების ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც თავისი პიროვნებით ავსებენ ხოლმე გარემოს, სადაც კი იმყოფებიან. საუბრობენ ისინი თუ სდუმან, კარგ გუნებაზე არიან თუ ცუდზე - სულერთია, მათ ყოველთვის გრძნობთ მთელი თქვენი არსებით და ისინი ჩანან თქვენს საქციელსა და მეტყველებაში".

ი. ოცხელს არასოდეს არ ღალატობდა პედაგოგიური ალღო, ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის უნარს, შეეხლო ახლოს მისულიყო ცალკეულ მათგანთან, გაეზიარებია მისი ჭირ-ვარამი, შეეძლებლობისთანავე აღმოუჩენდა ხოლმე მოსწავლეს, თანამშრომელს და უბრალო ადამიანსაც კი დახმარებას, მაგრამ ის და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი პედსაბჭო მკაცრი იყო დამნაშავის

მიმართ. ამის უტყუარი საბუთია პედსაბჭოს ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ოქმები.

იოსებ ოცხელი ყოველთვის ახერხებდა კეთილი სიტყვით და საქმით ნუგეში ეცა მის ირგვლივ მყოფთათვის. როცა მოსწავლე კონსტანტინე გამსახურდიას მამა გარდაეცვალა, უიმედობამ მოიცვა მოზარდი, უნდოდა სასწავლებლის დატოვება, იგი მიიხმო თურმე მასთან იოსებ ოცხელმა, დააიმედა და მამის მაგივრობის გაწევას შეპირდა და ბოლომდე ჰყავდა ყურადღების ცენტრში, სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც არ შეუწყვეტია მასზე ზრუნვა - ქალაქის მმართველობას დაანიშვნინა სტიპენდია, ხელი შეუწყო საზღვარგარეთ გამგზავრებაში [170].

პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი დიდი მადლიერებით იგონებს ი. ოცხელის გულისხმიერების შესახებ [171].

ი. ოცხელი თავისი დაუღალავი შრომით, ადამიანური სითბოთი და განსწავლულობით, ეროვნულობითა და პრინციპულობით დღემდე სამაგალითო ხელმძღვანელად იხსენიება. მისი მოსწავლე, სასიქადულო ქართველი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია მის შესახებ წერდა:

„თავის მოსწავლეებს უვლიდა ისე, როგორც ზოგიერთი მამა არ უვლის თავის შვილებს.... იგი კარგად ერკვეოდა ბიოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის, არქეოლოგიის და ნუმიზმატიკის საკითხებშიც. მისი ყოველი გამოსვლა გიმნაზიის სააქტო დარბაზში ეს იყო მჭერმეტყველობის, პატრიოტიზმისა და კაიკაცობის მანიფესტაცია“ [172].

საყოველთაოდ ცნობილია ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ უპატრონა იოსებ ოცხელმა ნიჭიერ მოსწავლე დიმიტრი უზნაძეს, შემდგომში ცნობილ ფსიქოლოგსა და ექსპერიმენტალური პედაგოგიკის ფუძემდებელს საქართველოში, როცა გარიცხეს გიმნაზიიდან 1905 წლის რევოლუციის ამბებთან დაკავშირებით. მან, ოცხელმა გიმნაზიიდან გარიცხულ მოწაფეს აკადემიკოსს გარიცხვის მოტივად დოკუმენტებში ჩაუწერა არა რევოლუციური ქმედება, არამედ სწავლის გადასახადის გადაუხდელობა. ამით

საშუალება მისცა ახალგაზრდას სწავლა გაეგრძელებია გერმანიაში. სამშობლოში დაბრუნებული დიმიტრი უზნაძე გიმნაზიაში მიიწვია იოსებ ოცხელმა მასწავლებლად და შეუქმნა პედაგოგიური და მეცნიერული კვლევის ყველა პირობა. გიმნაზიის კურსდამთავრებული პროფ. ვ. დუნდუა ი. ოცხელის მამობრივი მზრუნველობის დასტურად მოგვითხრობს: მათი ერთ-ერთი თანაკლასელი მძიმე ავად გახდა. ბავშვი ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. ოჯახს არ ჰქონდა ბინა, ფიცრულში ცხოვრობდნენ. ფიცრულამდე მისასვლელი გზაც კი არ გააჩნდათ, სახლამდე მისვლა ჭირდა, მით უფრო - ცუდ ამინდში. ამის შესახებ ავადმყოფის ამხანაგებმა მოახსენეს ბატონ იოსებს. გაფრთხილების მიუხედავად იოსებ ოცხელმა ეს გზა გაიარა, ცალი კალოში თოვლში ჩარჩა და საშინელ სიცივეში ასე მიაღწია ავადმყოფამდე, ანუგეშა ოჯახი, დაეხმარა მატერიალურად [173].

იოსებ ოცხელის შთამაგონებელი სიტყვა და ტაქტი დიდ გავლენას ახდენდა აღსაზრდელებზე. გიმნაზიაში ყველა საკლასო ოთახის კარებს სათვალთვალო ხვრელი ჰქონდა. სასწავლებლის ხელმძღვანელობას შეეძლო გაეკონტროლებია მასწავლებელიც და მოსწავლეც გაკვეთილზე და დასვენების პერიოდში. ერთ-ერთ დასვენებაზე ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ბიჭები, - იგონებს ძმის მონათხრობს პედაგოგი თამარ ქაჯაია - ვიგრძენი სათვალთვალოდან ვიღაც გვიმზერდა. მეც თამაშის ექსტაზში შესულმა ენა გამოვუყავი კარიდან მოთვალთვალეს. მეორე დასვენებაზე დარაჯმა მიმიწვია დირექტორის კაბინეტში. ოცხელი ღიმილით დამხვდა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: „აუ, რა დიდი ენა გქონია, არსენ". მივხვდი, რასაც მსაყვედურობდა ასეთი სითბოთი და სიყვარულით აღმზრდელი, საშინლად განვიცადე. თურმე დირექტორი გვაკოტროლებდა, მე თანატოლი მეგონა და გამოვაჯავრე მიუღებელი ფორმით. ლმობიერი შენიშვნა დღემდე მიმყვება მწარე გაკვეთილად, ვაკონტროლებ ჩემს საქციელს ყველგან, მხედავენ თუ არა, უღირსად მოქმედებას გავურბივარ ყოველგვარ სიტუაციაში." - ამბობდა თურმე ექიმი არსენ ქაჯაია.

იოსებ ოცხელს არასოდეს გამორჩებოდა მხედველობიდან მოსწავლის სიღარიბე და გაჭირვება, იგი ყოველთვის შემართული იყო

სამართლიანობის დასაცავად. 1914 წელს მე-8 დამამთავრებელ კლასში გამოცდებზე დასასწრებად სასწავლო ოლქმა გამოგზავნა ბიუროკრატი და კარიერისტი მოხელე კორიცკი, რომელმაც განიზრახა მოსწავლეთა შევიწროვება, თვითნებურად აადგილებდა გამოცდების დროს და ადგილს, უხეშად ექცეოდა აღმზრდელებს და მოსწავლეებს. იოსებ ოცხელმა და სილოვან ხუნდაძემ მას წინააღმდეგობა გაუწიეს ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც კი. კორიცკის თვითნებობის შედეგად იმ წელს 83 გამოსაშვები მოსწავლიდან მხოლოდ 39-მა დაამთავრა სასწავლებელი. კორიცკის მიმართ გამოჩენილი პრინციპულობის გამო იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე გაათავისუფლეს სამუშაოდან. ხანგრძლივი ბრძოლა დაჭირდა პედაგოგებს უფლებებში აღსადგენად.

ივანე გომართელმა ჟურ. „ეშმაკის მათრახში" გამოაქვეყნა ორმოქმედებიანი პიესა „ეპისკოპოზის სიზმარი", რომელშიც ამხელდა მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეების და სასულიერო პირების მუქთახორობას, სასწავლებელში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს. ქუთაისის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ პიესის უარყოფით პერსონაჟად საკუთარი თავი შეიცნო, განწირულ პედაგოგებად იასონ ნიკოლეიშვილი და სერგო რობაქიძე. ეჭვი შეეპარათ, რომ ფაქტები იასონ ნიკოლეიშვილმა მიაწოდა ავტორს და „დამბეზღებლის" გასახლება გადაწყვიტეს ქუთაისის გუბერნიიდან.

ოცხელი თვით ეახლა გუბერნატორს. დიდი ბრძოლა გადაიტანა, I თვე მოანდომა უდანაშაულო პედაგოგის უფლებებში აღდგენას. სიმართლეს დაუდგა ქადაგად.

იოსებ ოცხელი დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლამდელი აღზრდის საკითხებს, მის მიერ დაარსებული კერძო საბავშვო ბაღი პირველი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება იყო დასავლეთ საქართველოში. იგი ყურადღებით მოსავდა ოჯახისა და სკოლის ურთიერთობას, თითონაც სიამოვნებით იწვევდა მოსწავლეებს მასთან, სახლში სასაუბროდ. თვით უშეცდომოდ საუბრობდა, ორატორის ხიბლი ჰქონდა. მისი სიტყვა დიდი შთამაგონებელი ძალის მქონე იყო, მსმენელის უტყუარი დარწმუნება შეეძლო, ამიტომაც მისი სასწავლებლის მოსწავლეები ვერ ბედავდნენ წესრიგის დარღვევას.

როცა იოსებ ოცხელმა მღელვარება შეატყო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დღეებში მოსწავლეებს, თვით გაუძღვა დანიშნული ადგილისაკენ მიმავალ მოზარდებს და ამით დაიხსნა ისინი შავრაზმელებისაგან.

პედაგოგი იოსებ ოცხელი თეატრის, მუსიკის, მწერლობის მოამაგე იყო. სპექტაკლზე დასწრებას წახალისების საშუალებად იყენებდა, თეატრისადმი სიყვარულს და პატივისცემას უნერგავდა მოზარდებს, პედაგოგებთან ერთად პირობებს უქმნიდა მსახიობებს, ქართული მუსიკის პატივისცემას ასწავლიდა მოზარდებს. ძველი სიმღერა-გალობების ქომაგი იყო, ამიტომ იყვნენ მის გვერდით იმდროინდელი საგუნდო და საორკესტრო ხელოვნების ღვაწლმოსილი მუშაკები: ძამსაშვილ-ცამციევი, ნიკო შარაბიძე, არტემ კვაჭანტირაძე. კვაჭანტირაძის მუსიკა „სევდა საქართველოსი“, რომელიც ილიას ბარბაროსულ მკვლელობას ეძღვნებოდა. ოცხელის ინიციატივით გამოიცა, იგი პირველად ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების წლისთავზე იქნა შესრულებული.

იოსებ ოცხელის ინიციატივითა და ძალისხმევით დაედო ბინა ქართულ გიმნაზიას დიდებულ შენობაში. მრავალმხრივი შრომა იყო საჭირო სკოლისათვის სამშენებლო მოედნის გათავისუფლების, დაპროექტების და მშენებლობის მთელს პროცესში იმ საამშენებლო ტექნიკის გათვალისწინებით, რომელიც იმდროინდელ ქუთაისს გააჩნდა. გადმოცემის მიხედვით ყოველდღიურად 50 ურემი ეზიდებოდა მშენებლობაზე საშენ მასალას, მრავალრიცხოვანი მუშახელი ანგრევდა ჭომაში კლდეს მოსაპირკეთებელი ქვის მოსაპოვებლად, რომელსაც ფასადისათვის ამზადებდნენ. მშენებლობის მიმდინარეობას სისტემატურად აკონტროლებდა სპეციალური კომისია. შენობის აგება 1907 წელს დაიწყო, 1913 წელს დამთავრდა. იგი აიგო თავადაზნაურთა მიწების შესყიდვისა და შეწირულობათა გამოყენების გზით. საყურადღებოა წერილების შინაარსი, რომელიც ოცხელის მისამართზე ელოდა ქველმოქმედთა პასუხს. მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს ამ წერილიდან:

„მოწყალეო ხელმწიფეო!

...ვის არ გააკვირვებს სიდიადე იმ რწმენისა, რის მეოხებითაც აგებულია ბაგრატის ტაძარი, გელათი, მცხეთა, ბიჭვინთა, სიონი, ალავერდი და სხვა მრავალნი... ამჟამად, ჩვენის აზრით, ქართველთა გულში ზემოხსენებულ რწმენაზე ნაკლები ადგილი არ უჭირავს სწავლა-აღზრდას, რწმენასა და იმედს. მაშვინდელ ქართველს, თუ მხოლოდ ცისა და სამოთხისაკენ ეჭირა თვალი, ახლანდელი ქართველი კეთილგანწყობილია და ნაციონალურ სკოლაში ეძებს ქვეყნიურ ხსნას...

ცხადია, თუ ადრინდელ ქართველთა შეძლეს გაბატონებული რწმენის საკვირველი ტაძრები აეგოთ, ახლანდელ ქართველსაც არ გაუძნელდება გაბატონებული რწმენის ტაძრის დადგმა-აგება იმ შენობისა, რომელსაც მეცნიერების ტაძარს უწოდებენ...

ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელი 23 წელიწადია არსებობს და აქამდე მისმა პატრონებმა ბინა ვერ გაუჩინეს ეგება იმ მიზეზის გამოც, მისი ყოფნა-არყოფნა ადგილობრივ სამოსწავლო ბიუროკრატიის ნება-ყოფლობაზე იყო დამოკიდებული და შვილის ბედიც ბეწვზე ეკიდა... რათა ამდენი ხნის უბინაო სასწავლებელი, რომელიც ორ წელს სრული გიმნაზია გახდება, საკუთარსა და შესაფერ სახლში მოვათავსოთ.

ვინც ზემოხსენებულს თანაუგრძნობს და თავისი წვლილის შემოწირვას მოისურვებს, საამშენებლო კომიტეტი სთხოვს გამოგზავნოს ფული ამ ადრესით: ქუთაისი, სააზნაურო გიმნაზიის მმართველს ი.ი. ოცხელს“ [174].

იოსებ ოცხელის დეიდაშვილის თამარ პოლილიკაშვილის მოგონებიდან ცნობილია, რომ ტიფით დაავადებულ მოსწავლეს ეწვია თურმე იოსები სანახავად, მის საწოლზე ჩამოჯდა და ანუგეშა ავადმყოფი. იმ დღეს მიიღო ინფექცია და იმსხვერპლა კიდეც მძიმე ავადმყოფობამ, ბევრი დარჩა გასაკეთებელი. 54 წლის ასაკში გამოესალმა ამქვეყნიურ ცხოვრებას. ღვაწლმოსილი პედაგოგი დიდი პატივით დაასაფლავეს მისმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა, ქუთაისის საზოგადოებამ. მისი დაკრძალვის დღე გლოვის დღედ გამოცხადდა

გიმნაზიაში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ მიიღო გადაწყვეტილება მიცვალებულის სურათი მოეთავსებიათ სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, დანიშნულიყო სამოქალაქო პანაშვიდი ქალაქის თეატრში, გვირგვინების ნაცვლად მსურველებს გაეღოთ შემოწირულობა - თანხა გარკვეული რაოდენობით ჩაირიცხებოდა ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად, საზოგადოების გამგეობის წევრები დაესწრებოდნენ პედაგოგის დაკრძალვის ცერემონიალს. დაწესდა ოცხელის სახელობის საზოგადოება, მისივე სახელობის სტიპენდია. მკითხველს წარმოვუდგენთ მისი სახელობის ფონდის გაძლიერების მიზნით შემუშავებულ და გავრცელებულ სარეკლამო დოკუმენტს.

იოსებ ოცხელის გარდაცვალებიდან მე-40 დღეს მის საფლავზე კვლავ შეიკრიბა საზოგადოება. გიმნაზიის დირექტორის მოადგილემ გერასიმე ცაგარეიშვილმა ღვანლმოსილის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა:

„შენ სამშობლოს ინტერესებით და მისი კეთილდღეობით იყავი გატაცებული და მისთვის თავდადებული, შენი ცოლი და შვილი შენი საყვარელი გიმნაზია იყო, რომელსაც შენი ახალგაზრდობა და სიცოცხლე შესწირე... რამდენი ახალგაზრდა გიხსნია შენ დაღუპვისაგან, მამა-შვილური დარიგებითა და ხელის მოწყობით სწორ გზაზე დაგიყენებია და ადამიანად გამოგიყვანია... ქართველი ერი შენს ამაგს დააფასებს. შენ ბედნიერი ხარ, შენ შენი ვალი სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადე“ [175].

მადლიერი შთამომავლობა დღემდე სათუთად ინახავს დიდი პედაგოგის ხსოვნას. მისი გარდაცვალებიდან 8 ათეულ წელზე მეტი გავიდა და დღემდე არ შეუწყვეტია არსებობა ოცხელის სახელობის საზოგადოებას. ოცხელის სახელს ატარებს ქუჩები თბილისსა და ქუთაისში, საჯარო სკოლა - ქუთაისში. ყოველწლიურად აღინიშნება ხოლმე სანიმუშო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, მის საფლავს ყვავილებით ამკობენ მოსწავლეები, პედაგოგები.

იოსებ ოცხელის სახელს განსაკუთრებით ნათელს ფენს ორი ძეგლი 0 მისი ინიციატივით სასწავლებლის ეზოში აღმართული უნიკალური სასკოლო შენობა და მოქანდაკე ტიტე სიხარულიძის ავტორობით შექმნილი ბიუსტი კვარცხლბეკზე.

ალექსანდრე გარსევანიშვილი

გარსევანიშვილის გვარის წარმომადგენლები, როგორც მეფის კარზე დაწინაურებული პიროვნებები, საისტორიო წყაროებში მე-11 საუკუნიდან ჩანან. პლატონ იოსელიანი ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" მთავარეპისკოპოს პასიოსს, ეპისკოპოს ბესარიონს და მასწავლებელ თომა გარსევანიშვილებს მოიხსენიებს, ამ უკანასკნელს ახასიათებს როგორც „მრავალთა თავადთა და აზნაურთა განმანათლებელს" [176]. ზაქარია ჭიჭინაძეს ბატონყმობის საკითხებთან დაკავშირებით ფაქტობრივ მასალებში მოთხრობილი აქვს ივანე გარსევანიშვილის შესახებ, რომელსაც განათლება ვენეციაში მიუღია, სამოღვაწეოდ მშობლიურ შავშვეთში დაბრუნებულა. 1710 წელს ლეკებს შავშეთში ბევრი ტყვე და მოტაცებული ქართველი გაუტარებიათ. ივანე გარსევანიშვილი დახვედრია ლეკებს, საკუთარი ფულით დაუხსნია თანამემამულენი. ავტორი ივანე გარსევანიშვილს ახასიათებს პატიოსან, ქართველი გლეხობის მფარველ პიროვნებად.

პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გარსევანიშვილის მამაც - ალექსანდრე სიმონის ძე განსწავლული პიროვნება ყოფილა, დაუმთავრებია თბილისის გიმნაზია, კარგად შეუსწავლია რუსული და უცხო ენები, ყოფილა კარგი პუბლიცისტი, მისი წერილები იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში" საქართველოს ისტორიის საკითხებზე, იყო ისტორულ თემაზე შექმნილი არაერთი მოთხრობის ავტორი, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას, საქმიანობდა ლექსიკოლოგიაში, ხასიათდებოდა გულკეთილობით, - უხვად გასცემდა ობოლთა და ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად, არაფერს იშურებდა სწავლა-განათლების გასავრცელებლად. ბუნებრივია, ასეთი თვისებებით

აღჭურვილი პიროვნება შეეცდებოდა ღირსეულად აღეზარდა საკუთარი შვილი ალექსანდრე.

ალექსანდრე (უმცროსი) გარსევანიშვილი დაიბადა გორში 1864 წელს. წერა-კითხვა ოჯახში დიდედის დახმარებით შეისწავლა, 8 წლის თბილისში ერთ-ერთ კერძო პანსიონში ჩარიცხეს, 12 წლიდან თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1884 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ირიცხება. უნივერსიტეტი დაამთავრა 1888 წელს, მუშაობა დაიწყო ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. ახალგაზრდა სპეციალისტს მძიმე საგანმანათლებლო პირობები დახვდა ქუთაისში.

პედაგოგი ალ. გარსევანიშვილი დაუცხრომლად მუშაობდა პედაგოგიურ სარბიელზე, იმაღლებდა კვალიფიკაციას, მეთოდურად მოძღვრავდა კოლეგებს, მოგზაურობდა სასკოლო ცხოვრების გაცნობის მიზნით (1904 წელს იყო შვეიცარიაში, 1911-1912 წლებში - ფინეთში), ჰქონდა ქართული სკოლის განვითარების საკუთარი კონცეფცია. იგი წინააღმდეგი იყო სწავლების კლასიკური მეთოდის, ისე როგორც ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, აღნიშნავდა, რომ ძველი, მკვდარი ენების სწავლება აბრკოლებდა ახალი თაობის ბუნებრივ განვითარებას. „ფინეთის სკოლებში ისეთი ატმოსფერო, ისეთი სული ტრიალებს, რომელსაც იყო მოკლებული ჩვენი დახავსებული, ძველ რეჟიმზე აგებული სკოლა. ჩვენი სკოლა ფინურ სკოლას ვერ შეედრება. აქაური სკოლა რეალურია და ემსახურება ცხოვრებას“, 0 წერდა იგი ფინეთიდან დაბრუნებული. შვეიცარიიდან ჩამოსვლის შემდეგ კი ალ. გარსევანიშვილმა გამოაქვეყნა არაერთი სტატია, მოხსენება შვეიცარული საგანმანათლებლო სისტემის შესახებ, ჰქონდა ნარკვევი იაპონიის სკოლების თავისებურებათა შესახებ. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ეროვნული კადრების წრთობაზე, ახალგაზრდობის ეროვნული სულის ჩამოყალიბებაზე ფიქრობდა, მტკიცე პედაგოგიურ ტაქტზე დაყრდნობით მოქმედებდა. მისი გაკვეთილები ყოველთვის იყო შინაარსით სავსე და ფორმით მიმზიდველი ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო სკოლებში, გორის პედაგოიგურ

ტექნიკუმში. შემოქმედი პედაგოგი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს სწავლების მეთოდებს, ცდილობდა დაეხვეწა საპროგრამო მასალა, გაემდიდრებია იგი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მიღებული შთაბეჭდილებებით, მხატვრული და დამხმარე ლიტერატურით, გაბედულად აყენებდა საკითხებს საპროგრამო მასალის დახვეწის, სასწავლო სისტემის უკეთ მოწყობის, საგაკვეთილო დროის სწორად განაწილების შესახებ. იგი პედსაბჭოს (პედაგოგიური რჩევის) სხდომებზე კითხულობდა მოხსენებებს როგორც ზოგადპედაგოგიურ, ასევე კონკრეტულ საგანმანათლებლო საკითხებზე, მის მიერ წაკითხული მოხსენებები მოსწავლეთა ზნეობრივი, ფიზიკური, ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე ცხოველი ინტერესით იხილებოდა. ოქმები უჩვენებენ, რომ პედრჩევა წარმოდგენილ საკითხებზე მსჯელობისას ანგარიშს უწევდა ა. გარსევანიშვილის აზრს და ამის შესახებ შესაბამისად შეჰქონდა ცვლილებები სასწავლო პროგრამებსა და სასკოლო შინაგანაწესში.



ალექსანდრე გარსევანიშვილი

თანამოსაქმეთა და მოსწავლეთა მოგონებები კი ადასტურებენ იმ ნაყოფიერ საგანმანათლებლო მეთოდებზე, რომელსაც იგი ნერგავდა მის გაკვეთილებზე. დამსახურებული პედაგოგი ევგენი მიქელაძე იგონებს, რომ მასწავლებელი ალექსანდრე გარსევანიშვილი ყოველთის მოიტოვებდა ხოლმე გაკვეთილებზე დროს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე სასაუბროდ, ამით ააქტიურებდა მოსწავლეთა ყურადღებას, მეხსიერებასა და აზროვნებას.

ალექსანდრე გარსევანიშვილისათვის, როგორც პედაგოგისათვის დამახასიათებელი იყო კოლეგებისადმი უშურველი დახმარება. ის ხშირად ატარებდა საჩვენებელ გაკვეთილებს, ქმნიდა სასწავლო და

დამხმარე სახელმძღვანელოებს, ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა მეთოდური ხასიათის წერილებს რუსული ენის სწავლების საკითხებზე, აქვს შექმნილი რუსული ენის სახელმძღვანელო (ხელთნაწერის სახით ინახება გორის მუზეუმში), არის მრავალი პედაგოგიური სტატიის და ნარკვევის ავტორი, მონაწილეობდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში, სკოლა ალექსანდრე გარსევანიშვილს ანდობდა ხოლმე მათი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებში დოკუმენტების შექმნას, კოლექტივს სჯეროდა მისი შესაძლებლობის, ერთგულების და განსწავლულობის. როცა დაისვა საკითხი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის გიმნაზიად გადაკეთების შესახებ, მოხსენების მომზადება ალექსანდრე გარსევანიშვილს მიენდო. მან ხსენებული დოკუმენტი მაღალ დონეზე მოამზადა, სადაც ასაბუთებდა სკოლის გიმნაზიად გადაკეთების აუცილებლობას, მოხსენება პეტერბურგში გაიგზავნა, მართალია, განათლების სამინისტროდან პასუხი უარყოფითი მიიღეს, მაგრამ ნება დართეს მე-5 და მე-6 კლასების გახსნის, რაც პერსპექტივაში საკითხის დადებითად გადაწყვეტას ნიშნავდა.

ალექსანდრე გარსევანიშვილის პედაგოგიური მრწამსის შესახებ უტყუარ ცნობებს იძლევიან მისი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ პედაგოგს მის საგანში ჩამორჩენილი მოსწავლე არ ჰყოლია. ყოფილი მოსწავლე საქართველოს სახალხო არტისტის აკაკი ვასაძე წერს:

„რუსულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა ალექსანდრე გარსევანიშვილი, ამავე დროს ჩემი კლასის ხელმძღვანელიც იყო 8 წლის მანძილზე. ჰქონდა გასაოცარი ალღო, პედაგოგიური ტაქტი და ბავშვის სულიერ სამყაროში, მის ფსიქოფიზიკურ თავისებურებებში ჩაწვდომის დიდი უნარი. საფუძვლიანად ჰყავდა შესწავლილი თითოეული მოსწავლე, იცოდა მისი ავიცა და კარგიც, ადვილად ამჩნევდა ნაკლსა და ღირსებას, ეს კი საშუალებას აძლევდა უფრო მიმზიდველი და ემოციური გაეხადა ყოველი მეცადინეობა, შეენარჩუნებინა მოსწავლეთა ყურადღების აქტივობა გაკვეთილზე.

სახელოვანი პედაგოგი სიბეჯითის, შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის პირად მაგალითს იძლეოდა, დაუღალავად ნერგავდა ბავშვებში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს, გვავარჯიშებდა წაკითხულის ძირითადი აზრის მოკლედ ჩაწერაზე.

იმხანად ჩვენ არ ვიცოდით, რომ ასეთი ჩანაწერი კონსპექტი იყო, რამაც შემდგომში მნიშვნელოვნად გაგვიადვილა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იგი რუსული ენის ფონეტიკას, მის ინტონაციურ მხარეს, გრნობდა, რომ გვიჭირდა რბილი და მაგარი ბგერა-ასოების ზუსტად წარმოთქმა. სისტემატურად გვიტარებდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომლებშიც უხვად იყო წარმოდგენილი მაგალითები მხატვრული ნაწარმოებებიდან" [177].

როგორ შედეგს აღწევდა პედაგოგი მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობით, კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენებით, ნათლად გვიჩვენებს მეორე ამონარიდი დასახელებული მემუარული ნაწარმოებიდან.

„სასწავლო პროგრამის გარეშე ლიტერატურისადმი ისეთ ინტერესს აღვივებდა მოსწავლეებში, რომ უკვე მესამე კლასის მოწაფემ საზაფხულო არდადეგებზე ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" წავიკითხე, „ტოლსტოველობის" ისეთი სახელი დამიგდო ჩვენმა „სანსანდრიჩმა", რომ მე-6 კლასის მოსწავლეს რეფერატიც დამაწერინა თემაზე „პიროვნების როლი ისტორიაში ლევ ტოლსტოის მიხედვით" და საჯაროდ წამაკითხა" [178].

ალ. გარსევანიშვილი პატივისცემას იმსახურებდა არა მარტო ღრმა ცოდნით და განსწავლულობით, არამედ თბილი და უანგარო დამოკიდებულებით ახლობლებისა და მოსწავლეების მიმართ. გორში მის ოჯახში ავადმყოფები - დედა და და ჰყავდა. ალექსანდრეს გარდა მათი მომვლელი არავინ იყო, ამიტომ გახდა იძულებული ქუთაისი დაეტოვებია და გორში გადასულიყო საცხოვრებლად, მაგრამ მიტოვებულ მოსწავლეებზე ფიქრობდა დღენიადაგ, ამიტომ წერდა იგი გიმნაზიის დირექტორის მოადგილეს სილოვან ხუნდაძეს: „სულიერად ვიტანჯები, გიმნაზია რომ გამახსენდება, ვგრძნობ, ჩემს

დანაშაულს მოსწავლეთა წინაშე... მომივიდა დეპეშა ქუთაისიდან, ჩემი მოწაფენი რვა კლასისა მთხოვენ მობრძანდითო... მეც მოვალ ამ დღეებში“ [179]. და მართლაც მივიდა თურმე მათ გასამხნევებლად და დასახმარებლად.

მის მაღალადამიანურ თვისებებს არა მარტო პედაგოგიური სიმწიფე, მოქალაქეობრივი მრწამსიც ამკობდა. მან მისი საკუთარი ბინის დიდი ნაწილი უსასყიდლოდ გადასცა გორის მუზეუმს. ესეც დადებითი მაგალითის მაჩვენებელი იყო სხვათათვის.

აი, რას წერენ გორელი მოსწავლეები მათ რჩეულ მასწავლებელს:

„ღრმად პატივცემულო მასწავლებელო ალექსანდრე, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გორის ათწლედის მე-9 კლასის ამ სკოლაში შემოვედით სხვადასხვა შვიდწლედებიდან. არცერთ სკოლაში რუსულის სწავლება ისე არ იყო დაყენებული, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი დრო. მასწავლებელთა ხელმძღვანელობით გაკვეთილებზე ვსწავლობდით მოთხრობებს და ლექსებს, ისინი ცდილობდნენ აეხსნათ მასალა როგორც შეეძლოთ, მაგრამ ნაყოფი ამ ცდისა იყო მეტად სუსტი. მასალას ვითვისებდით მძიმედ, ბევრი რამ გაუგებარი დარჩა. უმრავლესობას არ შეეძლო მარტივი ენით შესწავლილი მასალის გადმოცემა. რუსული ლაპარაკი სრულებით არ გვეხერხებოდა. წელს კი იმ მეთოდის წყალობით, რომელიც თქვენ შემოიღეთ, ბევრი რამ შევისწავლეთ, შევითვისეთ. თქვენ ძალიან დიდი ყურადღება მიაქციეთ რუსული ენის შეთვისების პრაქტიკულ მხარეს. ეს ძალიან მოგვწონდა. ევრისტიულმა მეთოდმა გაგვიადვილა ენის შესწავლა. კითხვა-პასუხის საშუალებით ჩვენში განვითარდა ყურთასმენა და ალარ გვიძნელდებოდა შეთვისებული მასალის უბრალო ფრაზით გადმოცემა, ამავე დროს ცოტათი ლაპარაკსაც ვეჩვეოდით.

ამ ბოლო დროს ხმა გავრცელდა, რომ თქვენ სხვა სკოლაში აპირებთ გადასვლას. ერთხმად გთხოვთ, არ დაანებოთ თავი ჩვენ კლასს, განაგრძეთ ჩვენი კურსის დამთავრებამდე რუსული ენის სწავლება. იმედია, თხოვნას შეგვისრულებთ და არ დაგვტოვებთ შუა გზაზე.

მე-9 კლასის ყოფილი მოსწავლეები, დღიდან კი მე-10 კლასისა“. წერილს ხელს აწერს მე-10 კლასის 30 მოსწავლე.

1934 წლის 20 ივლისი, გორი.

ალექსანდრე გარსევანიშვილი ვერ დააკმაყოფილა მხოლოდ პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, შეეცადა მისი შესაძლებლობები გამოეყენებია სკოლის გარეთაც და უფრო მასშტაბური გაეხადა მისი საგანმანათლებლო საქმიანობა.

ალ. გარსევანიშვილი იყო კარგი პუბლიცისტი, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი შრომები ქართველ მოღვაწეთა და შემოქმედთა, მოძმე ხალხების ისტორიისა და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ, პედაგოგიური და სოციალური გამოკვლევები, რომელიც აშუქებდა ბავშვთა მეცნიერული, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

ალ. გარსევანიშვილის საარქივო ჩანაწერებში ვკითხულობთ: „უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენთაგანი მოხუცი თუ ახალგაზრდა, მდიდარი თუ ღარიბი არის მოქალაქე დაინტერესებული თავის ქვეყნის წარმატებაში, წინსვლაში, ჩვენ მოვალენი ვართ, ვემსახუროთ მას ისე, როგორც ვემსახურებით საკუთარ ოჯახსა, უნდა ვემსახუროთ, რითაც კი შეგვიძლია: საქმითა და სიტყვით, ქონებითა და მთელი თავისი სიცოცხლით... თუ ამ აზრს ღრმად შევიგნებთ, დავინახავთ, რომ ჩვენი წარსულის შესწავლა საჭიროც ყოფილა და სავალდებულოც. ტყუილად კი არ არის ბრძენთაგან ნათქვამი ეს ნამდვილი ჭეშმარიტება: თუ გვინდა გავიგოთ, რა გზით და როგორ ვიაროთ, უნდა კარგად ვიცოდეთ, საიდან მოვედით ან როგორ გვივლია“... [180]. ამ რწმენით მუშაობდა იგი დაუცხრომლად საქართველოს წარსულის გამაცოცხლებელ თემებზე, მისი ნარკვევები: „თამარ მეფე“, „ერეკლე მეორე“, „ვახტანგ მეექვსე“, „მეფე გიორგი მეთრთმეტე“, „ქუთაისის ისტორიიდან“, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და რუსი და უცხოელი მოღვაწეების შესახებ საშუალებას იძლეოდნენ წარსულის გაკვეთილებიდან გაჩენილიყო მომავლის რწმენა. მისი წერილი „გმირი

ქალი მათე ყაჩაღად წოდებული“ გამოაქვეყნა ჟურნალმა „განათლებამ“. წერილს კარგი შეფასება მისცა ჟურნალის რედაქტორმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლუარსაბ ბოცვაძემ რეცენზიით.

ალ. გარსევანიშვილი ადგენდა რუსულად სახელმძღვანელოებს „ბავშვთა მეგობრის“ სახელწოდებით, რომ ადვილად გადაელახა ქართველ ბავშვებს სწავლების მისეული მეთოდით რუსული ენის შესწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები. ქართულიდან რუსულად თარგმნიდა აკაკის, ილიას, ნინოშვილს, რუსული აუდიტორიისათვის ამზადებდა შრომებს საქართველოს გმირულ წარსულზე, გატაცებით თარგმნიდა შევჩენკოს, ნეკრასოვს, დოსტოევსკის, მაქსიმ გორკს, შექსპირს, შილერს, ეგდარ პოს, ჟორჟ სანდს.

ალ. გარსევანიშვილმა ქუთაისში ჩამოაყალიბა ქალ-ვაჟთა წრე, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული მწერლობის ღრმად შესწავლას. წრეს პირველადი შემადგენლობით დიდხანს არ უარსებნია, შემდგომ პერიოდში მის წევრებად მიწვეულ იქნენ პედაგოგები და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები. აკაკი წერეთელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს წრის საქმიანობას. რომელმაც გამოსცა ფრიად საინტერესო ალმანახი „ცდა“ [181].

კრებული პედაგოგ ალ. გარსევანიშვილის ინიციატივით დაარსდა. ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის (1905 წლიდან გიმნაზიის) პედაგოგი იყო. მათი სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოწოდება ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საკითხებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამიტომ ბუნებრივია, კრებულის დაინტერესება პედაგოგიკით, პედაგოგებითა და სასკოლო ცხოვრებით.

კრებული უხვად აწვდიდა მკითხველს თარგმანებს, შთააგონებდა როგორი უნდა იყოს დედაშვილობა, და-ძმობა, მეზობლობა და მეგობრობა.

კრებულში ეპოქის სუნთქვაა არეკლილი, იგი პედაგოგთა სულის ამონაკვნესად ევლინება მკითხველს. ეს სული სათუთი იყო და შეუპოვარი, იმედის მომცემი და სახიფათო, ყოველი დროისთვის მისაბაძი და სამაგალითო. ალექსანდრე გარსევნიშვილმა იკისრა



სახლი ქუთაისში ი. გოგებაშვილის ქუჩაზე, რომელშიც ცხოვრობდა ალექსანრე გარსევანიშვილი

სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზება და 1909 წლის 29 ნოემბერს დაარსდა ქუთაისში კიდევ ერთი მძლავრი საგანმანათლებლო კერა.

უნივერსიტეტში ლექციები იმართებოდა ყოველ კვირას, შუა დღით. დავით კლდიაშვილის აღწერით უნივერსიტეტის გახსნის დღე ქუთაისში სახალხო ზეიმად იქცა. თეატრი ვერ იტევდა თურმე მოზღვავებულ ხალხს შეკრებილი საზოგადოება ერთმანეთს ულოცავდა ახალი საქმის დასაწყისს.

სახალხო უნივერსიტეტში ლექციებს და მოხსენებებს კითხულობდნენ პედაგოგები: დიმ. უზნაძე, ს. რობაქიძე, ს. ხუნდაძე, ალ. ჯანელიძე, ს. დათეშიძე, ლ. ჩიმაკაძე, ვ. წერეთელი, ს. ქვარიანი, შემდგომ პერიოდში აკ. ფაღავა, ალ. წერეთელი, გ. ჭუბაბრია. მუშაობაში მონაწილეობდნენ და ფულადი სახსრებითაც ეხმარებოდნენ უნივერსიტეტს ქართული გიმნაზის დირექტორი იოსებ ოცხელი, მოადგილე სილოვან ხუნდაძე, მასწავლებლები: პეტრე და

სიმონ ყიფიანები, თომა მთავრიშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია; მწერლები: დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი და საზოგადო მოღვაწენი: უალკოჰოლო სასმელების ოსტატი მიტროფანე ლაღიძე, შავი ქვის მრეწველთა თავკაცი გიორგი ზდანოვიჩი.

ალექსანდრე გარსევანიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული თეატრალურ ცხოვრებაში, მონაწილეობდა თეატრის რეპერტუარის შერჩევაში, თარგმნიდა უცხოურ პიესებას, კითხულობდა მოხსენებებს ქართული თეატრის ისტორიისა და მნიშვნელობის, ცალკეული პიესის დედააზრის შესახებ, ამით მაყურებელს უადვილებდა სპექტაკლის სიღრმისეულ წვდომას და გაგებას, უვითარებდა გემოვნებას.

ქუთაისის დრამატიულ თეატრს როცა შეექმნა მძიმე პირობები, როცა საჭირო შეიქმნა მსახიობთა მატერიალური უზრუნველყოფა და სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება, გარსევანიშვილმა სახალხო უნივერსიტეტთან შექმნა სახალხო თეატრი, რომელსაც დიდი შეფასება მისცა პროფესორმა თავზიშვილმა და მოსკოვში წაკითხულ მის ერთ-ერთ მოხსენებაში „ქართული თეატრი". აღნიშნა „1912 წელს სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით ქუთაისში ორგანიზებულ იქნა სახალხო თეატრი" [182].

ალ. გარსევანიშვილი წერდა პიესებს, კითხულობდა ლექციებს ქართული თეატრისა და მუსიკის ისტორიიდან, მსმენელებს აცნობდა საზღვარგარეთის მიღწევებს, მუშაობდა თითოეულ მსახიობთან და მაყურებელთანაც. ქუთაისის მუზეუმში შემონახულია ლექციების, მოხსენებების ხელთნაწერები, უწყისები, რომლებშიც ასახულია გასამრჯელო, რომელსაც უხდიდა უნივერსიტეტი სახალხო თეატრს.

ალექსანდრე გარსევანიშვილმა ეროვნული მუსიკის პოპულირებას მოჰკიდა ხელი, მუსიკალური განათლების შეტანა გადაწყვიტა სკოლასა და ქალაქის მოსახლეობაში. სკოლაში შექმნილი იყო მომღერალთა გუნდი, სიმებიანი ორკესტრი. ალ. გარსევანიშვილი უსასყიდლოდ ასწავლიდა მოსწავლეებს მუსიკას, აწყობდა საჩვენებელ კონცერტებს. მისივე ხელმძღვანელობით ქუთაისში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მუსიკოსთა წრე.

ალ. გარსევანიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისში ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაში, თვით აირჩიეს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ, თავკაცობდა გალობის აღმდგენელ საზოგადოებას, მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად იღწვოდა მუსიკალური კერების შესაქმნელად, ამიტომ უკავშირდება მის სახელს ქუთაისში მუსიკალური სასწავლებლის დაარსება.

ალექსანდრე განსევანიშვილს მძიმე ვთარებაში, მკაცრი ცენზურის პირობებში უწევდა საქმიანობა. მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა, მას საკუთარი მამულიშვილური მრწამსისათვის არასოდეს უღალატნია, ღრმად განათლებული პედაგოგი, სანიმუშო გაკვეთილების ავტორი და საინტერესო საგანმანათლებლო ღონისძიებების თავკაცი მხოლოდ ეროვნული, ქართული სულისკვეთებით ასწავლიდა და თანამშრომლობდა ყველგან და ყოველთვის, ამიტომ მოიხსენიებს მას დიდი პატივისცემით მადლიერი შთამომავლობა, ამიტომ არ მიეცემა მისი სახელი დავიწყებას.

სილოვან ხუნდაძე

სილოვან ხუნდაძე 1860 წელს დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ კალაგონში, პირველდაწყებითი განათლება მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ მშობლებმა იგი ოზურგეთის „სამხედრო მოსწავლეთა პანსიონში“ მიაბარეს, 1871 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გადმოიყვანეს, გიმნაზია წარჩინებით დაამთავრა 1880 წელს და მაშინვე ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ მოწოდებით ფილოლოგი მალე გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1884 წელს დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა. პედაგოგად მოღვაწეობდა ძველი სენაკის სკოლაში, მალე ქუთაისის ქართულ სკოლაში გადმოიყვანეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, აღნიშნულ სკოლაში (1905 წლიდან გიმნაზიაში) მოღვაწეობდა 1920 წლამდე. იგი ქუთაისის გიმნაზიის ერთ-ერთი



სილოვან ხუნდაძე

ფუძემდებელი იყო, ღრმა რწმენით და პედაგოგიური ოსტატობით უნერგავდა აღსაზრდელებს ქართულ ეროვნულ სიამაყეს, მუშაობდა გიმნაზიის პედაგოგად, ინსპექტორად, დირექტორად. მოღვაწეობის ყველა ეტაპზე გამოირჩეოდა უანგარო, პატიოსანი შრომით, ღრმა მეცნიერული ცოდნით, ეროვნული მსოფლშეგნებით. იგი ამავდროულად იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მკვლევარი, მრავალფეროვანი ნაწარმოებების ავტორი და გამომცემელი, დრამატურგი, სახელმძღვანელოთა შემქმნელი, თეატრმცოდნე და გრამატიკოსი, რესპუბლიკის მასშტაბით ყოველგვარი ეროვნული წამოწყების აქტიური წევრი და ბევრჯერ მოთავე, მან ფასდაუდებელი წვლილი დასდო ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებას. ს. ხუნდაძე არავის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა, იგი აზროვნებდა დამოუკიდებლად, გამოჰქონდა დასკვნები, აკანონებდა წესებს. მისი შრომები: „სალიტერატურო ქართული", „ქართული გრამატიკა", „ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი სკოლებისათვის", „ქართული ზმნები", „სალიტერატურო ქართული მართლწერა" და სხვა დიდი შენაძენი იყო იმდროინდელ ქართულ საენათმეცნიერო სფეროში.

„სილოვან ხუნდაძის გრამატიკა სხარტად და გასაგებად აცნობს მოსწავლეს გრამატიკულ წესებს, აწვდის კარგად შერჩეულ საილუსტრაციო მასალას, საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას პრაქტიკულ საკითხებზე" [183] - წერს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. კვანტალიანი.

ს. ხუნდაძე მის მეცნიერულ კვლევას კარგად იყენებდა მოსწავლეთა გასათვითცნობიერებლად. მას აკრიტიკებდნენ „კეთილხმოვანების" პრინციპის წინ წამოწევისათვის, არ ეთანხმებოდნენ მრავალი ფორმისა

და გამოთქმისათვის, მაგრამ იგი შეუპოვრად იცავდა თავის აზრს.

ს. ხუნდაძის მკაცრ კილოს მისი ნამოწაფარი გიორგი ახვლედიანი კვლევის ობიექტის ხასიათით ხსნის და ამბობს: „ასეთი ხასიათი იმ დარგის რაობიდანაა, რომელშიც ის მუშაობდა". ეს დარგი ქართული გრამატიკა და სალიტერატურო ქართულის ნორმები იყო.

ს. ხუნდაძე ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი იყო და კრიტიკოსი, „როგორც კრიტიკოსი, სილოვან ხუნდაძე ენისა და სტილის თვალსაზრისით ჩხრეკს ცნობილი მწერლების ნაწარმოებებს, სალიტერატურო ქართულს თავს დასტრიალებს, ეძიებს, იკვლევს, ადგენს, ატარებს გარკვეულ ნორმებს. სილოვანის გადაწყვეტილებას თითქმის კანონის ძალა აქვს. მის მიერ დადგენილ მართლწერის წესებს იცავენ გიმნაზიაში და გიმნაზიის გარეთაც სხვადასხვა გამომცემლობაში" [184].

მასა და იაკობ გოგებაშვილს შორის გამართული კამათის თაობაზე ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით ჟურნალი „განათლება" წერდა: „ხუნდაძის პასუხი, სამწუხაროდ მეტის მეტად გადამლაშებულია და დარბაისლობას მოკლებული", მაგრამ ჩვენ მითითებული სტატიების გაცნობის შემდეგ ვთვლით, რომ აზრთა ჭიდილის დროს დასაშვებ ნორმებს ის არასოდეს არღვევდა.

შეუპოვარი კამათი ადგენდა ჭეშმარიტებას, ამიტომ მცდარიც რომ ყოფილიყო ხუნდაძის ნაშრომი მართლწერის საკითხებზე, მაინც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო გრამატიკის მკვლევართათვის, თუმცა იმ დროს გრ. ყიფშიძის მიერ ხუნდაძისეული უარყოფილი ფორმიდან, დღეს დადგენილ ნორმადაა მიღებული (მაგ. სხვადასხვა ერთად, ნაცვლად „მქვიან", „მშიან" იხმარება „მშია", „მქვია" და სხვა). გრ. ყიფშიძე ქართულ მართლწერაში ქართლურის გაბატონების მომხრე იყო, რაც ესოდენ აღიზიანებდა ს. ხუნდაძეს - ერთიანი საქართველოსათვის წარბშეუხრელ მებრძოლს.

სილოვან ხუნდაძე, როგორც პედაგოგი და მეთოდისტი, თვით ადგენდა პროგრამებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში. ქუთაისის ცენტრალურ არქივში არსებული მასალები კონკრეტულად გვაცნობენ ზემოთ აღნიშნულ საგნებში

სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილ პროგრამებს (ისინი მისი ხელით, მისი კალიგრაფიითაა შემონახული) დაწყებითი კლასებიდან საგიმნაზიო კლასების ჩათვლით. პროგრამებში გათვალისწინებულია ბავშვის ასაკობრივი თავისებურება, განვლილი მასალის განმეორება, საზეპირო ადგილების დასწავლა, კლასგარეშე სამუშაო და სხვა საპროგრამო მასალა გაშლილია წლიური მოთხოვნების გათვალისწინებით და მეთოდურადაც გამართულია. პროგრამათა საბოლოო დახვეწა ხდებოდა კოლექტიური აზრის გათვალისწინებით პედაგოგიური რჩევის გადაწყვეტილების თანახმად. რჩევა სისტემატურად იხილავდა პროგრამებს, სასწავლო გეგმებს, შეჰქონდა შესწორებები. ოქმები ნათელყოფენ, რომ საქმიანი წინადადებები დიდი გულისყურით იხილებოდა ყოველთვის.


სილოვან ხუნდაძე ქმნიდა სახელმძღვანელოებს, გულმოდგინედ სწავლობდა ქართველ მამულიშვილთა, სამშობლოსათვის


სილოვანი


თხზულებანი

ნაწილი პირველი

ლექსები



სახელმძღვანელო წიგნები ს. ხუნდაძის ავტორობით



სახელმძღვანელო წიგნები ს. ხუნდაძის ავტორობით

თავდადებულთა ბიოგრაფიებს და მათ მაგალითზე აყალიბებდა აზრებს მომავალი თაობის დასაკვალიანებლად. მასწავლებელთა დასახმარებლად გამოიცა წიგნი „ქართული ენის მასწავლებელთა დასახმარებლად“. წიგნს ჟ. „განათლებამ“ მაღალი შეფასება მისცა.

სილოვან ხუნდაძე უპირველესად პედაგოგი იყო, მისი ყოველდღიური საქმიანობით მოზარდთა სწავლებისა და აღზრდის საქმეს ემსახურებოდა, ქართული სათავადაზნაურო სკოლის, შემდეგ გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე, ოფიციალური დოკუმენტებიდან იგი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც კარგი აღმზრდელი, რომელიც ყველგან იცავდა მაღალზნეობრივ პრინციპებს.

აი, რას წერს გიმნაზიაში დამკვიდრებული სწავლების პრინციპების შესახებ ყოფილი მოსწავლე აკაკი ვასაძე:

„ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებლები მარტო სასწავლო პროგრამას როდი სჯერდებოდნენ, კვლევითი მუშაობის ჩვევებსაც გვინერგავდნენ ისტორიისა და ქართული ენის შესწავლისას. თან

ისეთ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა ჩვენი სწავლება, რომ უნივერსიტეტის პირველ კურსზე ამ საგნებში ჩვენ ჩვენს დიდებულ პროფესორთაგან თითქმის არაფერი მოგვისმენია ისეთი, რაც გიმნაზიაში არ გაგვეგონა, ის კი არა და ხანდახან აუდიტორიაში მყოფს მომჩვენებია, თითქოს მერვე კლასის უკვე ნასწავლ მასალას ხელახლა მამეორებინებდნენ" [185].

ასეთ ღრმა ცოდნას აწვდიდნენ ქართული გიმნაზიის პედაგოგები მოზარდებს. ამიტომაც არიან აღზრდილები მადლიერების გრძნობით აღვსილები.

სილოვან ხუნდაძის საუკეთესო სურათს ქმნის მისი მოსწავლეების მოგონებები.

„ამ გიმნაზიაში სუფევდა ნამდვილი ქართული სული, თვითონ სილოვანი იყო განსახიერება სიწმინდის, რიგიანობის, კეთილშობილების, იგი ჩვენში ადამიანებს ხედავდა, თვლიდა, რომ ჩვენ ღირსეული უნდა ვყოფილიყავით, რადგან ჩვენ ზურგი გვაქვს მაგარი ჩვენი ისტორიული წარსულით და ამიტომ სამშობლო არ უნდა შევარცხვინოთ." - წერს სილოვანის აღზრდილი შ. მაღლაკელიძე.


სილოვან ხუნდაძემ დიდი მუშაობა გასწია ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შესამუშავებლად. ეს ცოტას როდი ნიშნავდა მაშინ, როცა იქმნებოდა მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის ტექნიკური, იურიდიული, კომერციული და სამედიცინო ლექსიკონები ქართველთა დასახმარებლად. იყო ქართული მეცნიერული სიტყვის დეფიციტი და თავს ვალდებულად თვლიდა პედაგოგი, მეცნიერი და მოღვაწე სილოვან ხუნდაძე საკუთარი წვლილი შეეტანა ამ დიდ საქმეში.

სილოვან ხუნდაძის ინიციატივით ითარგმნა ქუთაისში ბევრი უცხოელი საბავშვო მწერალი, გაძლიერდა საბავშვო წიგნისადმი ყურადღება, რასაც ხელი შეუწყო იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის მიერ დაარსებულმა „საყმაწვილო წიგნების" გამომცემლობის წრემ. წრე თარგმნიდა წიგნებს, რაც ხელს უწყობდა ოჯახებში ქართული წიგნის მარაგს და ქართულად კითხვის უზრუნველყოფას.

ქუთაისში ითარგმნა ბევრი საზღვარგარეთელი საბავშვო მწერალი, გაძლიერდა ქართული და საბავშვო ლიტერატურისადმი ყურადღება.

წრის ინიციატივით გამოიცა „საყმანვილო წიგნების კატალოგი“ იგი ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით იყო დალაგებული. კატალოგის მიხედვით შეიძლებოდა სკოლის და საოჯახო ბიბლიოთეკის შედგენა. მასში შეტანილი იყო იმ დროისათვის არსებული საუკეთესო საყმაწვილო წიგნები, მაგრამ წიგნის პროპაგანდა მაინც ვერ აკმაყოფილებდა ბატონ სილოვანს.

ხუნდაძე წერდა დრამატულ ნაწარმოებებს, იყო თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი, დახმარებას უწევდა დასს რეპერტუარის შერჩევაში, მართავდა მოქმედ გმირთა გასამართლებებს, არ თაკილობდა სუფლიორის მოვალეობის შესრულებასაც კი.



სახლი ქუთაისში, სადაც ცხოვრობდა სილოვან ხუნდაძე

სილოვან ხუნდაძე პატივს სცემდა ყველა შემოქმედს, უძღვნიდა მათ ლექსებს, ეფერებოდა, ათამამებდა, აფასებდა ღვაწლს რადგან სწამდა, კულტურულ მემკვიდრეობას, სულიერებას შეეძლო ერის გადარჩენა. ამას ასწავლიდა მის აღსაზრდელებსაც. იგი ხშირად შეუპოვრად ებმებოდა აზრთა ჭიდილში, ჭეშმარიტების დასადგენად მართავდა პრინციპულ სჯას. ასე დაუპირისპირდა იგი არჩილ ჯორჯაძეს. ოპონენტი გარდაიცვალა. ვერ გაუძლო ერისკაცის სილოვან ხუნდაძის სათუთმა გულმა მოწინააღმდეგის გარდაცვალებას, ქედმოხრილმა ცხედრისა და საზოგადოების წინაშე დანანებით წარმოთქვა:

„სავალალოდ ის კი არ მიმაჩნია, რომ საზოგადო საქმის გამო ერთმანეთს შევეკამათეთ, არამედ ისა, რომ ულმობელმა სიკვდილმა არ დაგვაცალა ერთი მიზნით გამსჭვალულნი ერთმანეთს უფრო ახლო გავცნობოდით, ურთიერთისათვის გული გადაგვეშალა და ერთმანეთისათვის გვეპატიებია ის, რაც ორივე მხრით ცხელ გულზე საწყენი სიტყვები წარმოითქვა“ [186].

სილოვან ხუნდაძეს აკაკისთანაც ჰქონდა პრინციპული დავა, მაგრამ ამ დავაში არ დაუკარგავს ზომიერება, იგი კარგად გრძნობდა აკაკის სიმაღლეს, სიკეთესა და სამართლიანობას:

„არ სურს სხვისი დამიწება,
არც თვით წელში გაიხაროს,
ვის რა უნდა? დე იცოცხლოს,
აყვავდეს და გაიხაროს“.

ილიას მოწამებრივი სიკვდილით შეძრწუნებული სილოვან ხუნდაძე ქმნის რამდენიმე ნაწარმოებს. ყველა მათგანი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს მკვლელებს, ორგულებს, მაგრამ სჯერა, განგება გაასამართლებს ავისმქმნელებს. იგი, როგორც პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მონაწილეობს ილიას დასაფლავების ცერემონიალში. სიტყვას უძღვნის განსვენებულს:

„საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი ყელი გამოიღადრეთ: ამიერიდან ქართველი ერი თქვენს საქმეებს დაგმობს,

თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს“ [187]. დარწმუნებულია, რომ ერის სულიერი მამის, ბრძენი ილიას სახელს ვერაფერს დააკლებს მსახვრალის ხელი.

„ხორცით მოკლული, სული კი
მარად მეტყველი, ხმოსანი
მარად ჩვენს შორის მფრინავი
ვით ანგელოზი ფრთოსანი“ [188]. წერს იგი.

თითქოს იწინასწარმეტყველა მწერალმა ილია მართლის წმინდანად აღიარების აუცილებლობა. თუმც აღშფოთებულია შექმნილი ვითარებით, საქართველოს უღირსი შვილების მზაკვრობით.

ს. ხუნდაძის შემოქმედებაში ფიგურირებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთელის, რაფიელ ერისთავის, არჩილ ჯორჯაძის, ელენე და ანტონ ლორთქიფანიძეების, კეთილი და ერისთვის დამშვრალი ადამიანების სახეები. ამით შთააგონებს მომავალ თაობას მამულიშვილის ღვაწლის დაფასების აუცილებლობას.

პოეტი სოციალურ საკითხებსაც აშუქებს, ეხება ქალისა და მამაკაცის, მეგობრისა და მეზობლის, ომისა და მშვიდობის, ოჯახური ურთიერთობების საკითხებს, აღწერს მშობლიური ქვეყნისა და ქალაქის ქუთაისის მშვენიერებას, შეხარის მას, ყველგან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის ხედვა და მომავლის უტყუარი ჭვრეტაა გამოხატული.

სილოვან ხუნდაძე ცხოვრების წესით, შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ემსახურებოდა სიკეთეს, ურთიერთგაგებას და სიყვარულს, მოძმის გვერდით დგომას, გამხნევებას და გაერთიანებული ძალის საქვეყნო საქმისათვის გამოყენების მქადაგებელი იგი ყოველთვის დიდ იმედს ამყარებდა მომავალ თაობაზე, რომელიც დაიცავდა მამათა მონაპოვარს, აითვისებდა კარგს და განავითარებდა წინაპართაგან მოპოვებულს.

ის ვერ ეგუებოდა გულხელდაკრეფილ ყოფას, უმოქმედობას, წარსულზე მოთქმას, ამიტომაც მიმართავდა წმინდა ნინოს: „შენს ერს დაცემულს დღეს გამოხსნა, შველა ჭირია, რას გააკეთებს მხოლოდ ცრემლი, მხოლოდ ტირილი“ [189].

იგი მუხლჩაუხრელად დადიოდა კარდაკარ, რომ გაემდიდრებია წიგნის საცავი ქუთაისში, სასწავლებელში, ქართველთა ოჯახებში, თანამშრომლობდა გამომცემლობებთან, რედაქციებთან, თეატრალურ კოლექტივებთან. თვით პოეტური სულის პატრონი საკუთარ სულიერ განწყობას აქსოვდა ლირიკულ ნაწარმოებებში, ნერგავდა პატიოსანი შრომის პატივისცემას, მამულის სიყვარულს, მისთვის თავდადებისაკენ მოუწოდებდა მომავალ თაობას. პრობლემის ირგვლივ კამათისას იყო შეუპოვარი, მაგრამ გამოირჩეოდა როგორც სათნო და გულჩვილი ადამიანი.

ერთხელ, იგონებს მისი ახლო ნათესავი, ექიმი ელენე ნინუა, სააღდგომოდ დასაკლავი კრავი დააბეს თურმე სილოვანის ეზოში. მეორე დღეს აღდგომა თენდებოდა. ოჯახი ყუათიანი სუფრის გაშლას ელოდა. დილით კრავი ვეღარ იპოვეს. იგი სილოვანს შესცოდებოდა და გაეშვა. საყვედური ვერავინ შებედა ოჯახის მამას და ჩვეულებრივი სადილით დაკმაყოფილდნენ.

როგორი თანაგრძნობა შეეძლო ს. ხუნდაძეს ადამიანთა მიმართ, კარგად ჩანს მის საკმაოდ ვრცელ წერილში ტრაგიკულად დაღუპული მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის მეუღლისადმი: „ჩემი ცრემლი მთელი ერის ცრემლში გაერია და სრულიად შთანთქა. მაშინ კი გავმხნევდი და მტირალი გული გამიმაგრდა. კარგად რომ დავფიქრდი, დავრწმუნდი, რომ დიმიტრისთანა კაცები არასოდეს არ კვდებიან. დიახ, ბატონო ნინო... ამგვარი დიდებული სიკვდილი არის საუკუნო სიცოცხლე, საუკუნო ცხოვრება..." [190] ასე თბილად და გამამხნევებლად ანუგეშა დაღუპულის მეუღლე სილოვან ხუნდაძემ.

ქართული ენის მოამაგე, პრინციპული მკვლევარი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ითხოვდა ქართული ენის კანონების ყველა ნიუანსის დაცვას. დაუნდობელი იყო ნორმების მცირედ დამრღვევათა მიმართაც კი შინ და გარეთ.

მეუღლემ რამდენიმეჯერ მოიწვია თურმე სილოვანი სადილზე. გრამატიკის კანონებს ჩაღრმავებულმა პედაგოგმა არ დატოვა სამუშაო. შეწუხებულმა მეუღლემ სილოვანის მამიდაშვილს, ბაბოს გადაულაპარაკა - „მიაკვდა კაცმა ამ გრამატიკასო". ელდანაცემივით

წამოვარდა თურმე სილოვანი, გაექანა მეუღლისაკენ, ოჯახის წევრებს ეგონათ, რაღაც უბედურება დატრიალდებოდა, სილოვანი ყვიროდა: „ეს რა ფორმაა, ეს რა ფორმაა, „მიაკვდა კაცმა“ კი არა „მიაკვდა კაციო“, ასე განიცდიდა იგი ქართული მართლმეტყველების დარღვევის ფაქტებს [191]. - იგონებენ ახლობლები.

საყოველთაოდ ცნობილია მისი თავმდაბლობის შესახებ. ყოფილი მოსწავლე აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე ნათლად გადმოგვცემს მის „კრიტიკულ ეტიუდებში“ სილოვან ხუნდაძისათვის დამახასიათებელ თვისებებს [192].

მისი თავმდაბლობის დასტურია ანდერძი, რომელიც მოწოდებით პედაგოგმა და მოღვაწემ დაუტოვა ქართველ საზოგადოებასა და მთავრობას. მასში აღნიშნულია:

„პანთეონში დასაფლავება კი, თუნდაც ვინმემ ამის წინადადება გულწრფელათა და ენერგიულად წამოაყენოს, არა მსურს - იმავე საფუძვლებით, რომელითაც მე იუბილეს დღესასწაული უარვყავ...

...არც ერთი სიტყვა, არცერთი გვირგვინი, დე უსიტყვოდ, მაგრამ მრავალმეტყველი მუსიკა იყოს ჩემს საფლავამდე ჩემი თანამგზავრი... მუსიკა, რომელიც მე აღტაცებით მიყვარდა. სიტყვები კი როგორც იუბილეს დროს, ისე დასაფლავების დროსაც ყოველთვის გაზვიადებულია, მაშასადამე უგულწრფელო... როცა საკმაო დრო გაივლის, დე, ისა თქვან ჩემზე, რასაც გონიერებს დამშვიდებული სინდისი და დინჯი გონება უკარნახებს“ (ქუთაისი, 1927 წლის 10 ნოემბერი) [193].

ვერ შეუსრულეს მისმა თანაქალაქელებმა ნაანდერძევი. ბევრი კარგი სიტყვა წარმოითქვა დასაფლავების დღეს. მისმა ყოფილმა მოსწავლემ გიორგი დევდარიანმა ცრემლმორეულმა აღნიშნა: „განსვენებულმა ანდერძი დაგვიტოვა, ჩემი დაკრძალვის დროს არ წარმოითქვას სიტყვები, უბრალოდ ჩვეულებრივი მომაკვდავის მსგავსად მიმაბარეთ მიწასო. გვაპატიოს ბატონმა სილოვანმა, რომ ჩვენ გვიხდება მისი ანდერძის ამ მოთხოვნის დარღვევა. სილოვან ხუნდაძემ ისეთი დიდი ამაგი დასდო ქართველ საზოგადოებას, უხერხულზე მეტი იქნება მადლობის რამდენიმე სიტყვა მაინც არ

ვუთხრათ ამ ღვაწლმოსილ, ერის სამსახურში დაფერფლილ კაცს, რომელმაც თითოეულ ჩვენგანს ესოდენ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, თითოეული ჩვენთაგანი ასე ბევრი სიკეთით დაგვაჯილდოვა" [194].

მადლიერმა შთამომავლობამ მისი მეორე ნაანდერძევიც ვერ შეასრულა. „დამშვიდებული სინდისით და დინჯი გონებით" (მისი სიტყვებია) გადაწყვიტა სილოვან ხუნდაძის ნეშთი საფიჩხიის სასაფლაოდან გადაესვენებია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ქუთაისის პანთეონში.

პრინციპული მკვლევარის, მცოდნე და სათუთი გულის პედაგოგის, უზადო ადამიანური თვისებებით შემკული კაცის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია პედაგოგიურ ასპარეზზე მოქმედი მუშაკებისათვის ყველა თანამემამულისათვის.

იასონ ნიკოლაიშვილი

იაოსონ ნიკოლაიშვილი იმ რჩეულ პედაგოგთა პლეადას ეკუთვნის, რომელმაც ღირსეული როლი შეასრულა ეროვნული სკოლის აღორძინების საქმეში, საკუთარ მხრებზე გადაიტანა ცარიზმის ბატონობისას ქართული განათლების, კულტურისა და თვითმყოფადობისათვის შრომის მთელი სიმძიმე და ომახიანი სიტყვა თქვა ქართული მიწისა და სულის ერთიანობის დასამკვიდრებლად. იასონ ნიკოლაიშვილმა მოღვაწეობა ძველი სენაკის სკოლაში - ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ფილიალში დაიწყო. სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ჯერ გალობის მასწავლებლად და აღმზრდელად დაინიშნა, შემდეგ თითქმის ყველა საგანს ასწავლიდა იმავე სკოლაში, მაშინვე ჩაება ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში. ზაფხულში, არდადეგებზე ახალგაზრდა მასწავლებელი ადგენდა სცენისმოყვარეთა ჯგუფს, დადიოდა სოფლებში, მართავდა წარმოდგენებს, შემოსული თანხით წიგნებს იძენდა სამკითხველოებისათვის, ეხმარებოდა ხელმოკლე, ნიჭიერ ახალგაზრდებს სწავლის გასაგრძელებლად.

იასონ ნიკოლაიშვილი, როგორც საზოგადოებრივად მოაზროვნე პიროვნება, პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ზრუნავდა ეროვნული სოფლის მეურნეობის წინსვლისათვის. დიდი შრომა გასწია მან ძველ სენაკში აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობისადმი ინტერესის გასაღვივებლად, შემოიტანა კარგი ჯიშის აბრეშუმის ჭიის პასტირილებული თესლი, პირადად ჩაუდგა სათავეში მის გამოყვანას და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებას. ამგვარ შრომით საქმიანობაში ჩაბმული ჰყავდა მოსწავლეები, რომელთაც ჭიის გამოსაკვებად მოჰქონდათ თუთის ფოთოლი, ასუფთავებდნენ სადგომს და საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ. სკოლამ მათ მიერ მოყვანილი აბრეშუმის პარკის მაღალხარისხოვნების გამო მედალი დაიმსახურა თბილისში რესპუბლიკურ გამოფენაზე. ჭიის მოვლის მისეული მეთოდი მთელს სამეგრელოში გავრცელდა და მეურნეობის ამ დარგის აღორძინება გამოიწვია. ძველი სენაკის სკოლაში 12 წელი იმუშავა იასონ ნიკოლაიშვილმა. 1897 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში გადმოვიდა სამუშაოდ, სკოლაში, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისა და ცენზურის პირობებში ეწეოდა ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. სხვა პედაგოგებთან ერთად იასონ ნიკოლაიშვილსაც დაუწესდა კონტროლი და როგორც „არასაიმედო“ პიროვნება, მუდმივი კონტროლის ქვეშ დარჩა კარგახანს. 1908 წელს გიმნაზიის მზრუნველთა კომიტეტის გადაწყვეტილებით დაითხოვეს კიდეც სამუშაოდან. საკუთარ ერისკაცობაში, პედაგოგიურ ალღოსა და ფართო ერუდიციაში დარწმუნებული იასონ ნიკოლაიშვილი გიმნაზიის დირექტორს იოსებ ოცხელს, რომელიც არ ესწრებოდა საბჭოს მითითებულ სხდომას, წერდა: „მე მხოლოდ გამოვერკვიე იმ უბედურებიდან, რომელიც კომიტეტმა თავს დამატეხა... საინტერესოა, რას კარნახობდა მათ სინდისი, როცა ასეთი განაჩენი გამოჰქონდათ? სამზრუნველო კომიტეტი, რომელიც უნდა ზრუნავდეს სკოლის ინტერესებზე, მე სკოლიდან მდევნის?!“

გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი, ქუთაისის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება გამოეხმაურა მზრუნველთა კომიტეტის უსამართლო გადაწყვეტილებას.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცნობილმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ ივანე გომართელმა ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ გამოაქვეყნა ორმოქმედებიანი პიესა „ეპისკოპოსის სიზმარი“ [195], სადაც ამხელდა მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეების, სასულიერო პირების მუქთახორობას, სასწავლებლებში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს. ქუთაისის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უსამართლობის შემოქმედთა შორის საკუთარი თავი შეიცნო, პროგრესულად მოაზროვნე და იმჯერად განწირულ პედაგოგებად



იასონ ნიკოლაშვილი


იასონ ნიკოლაიშვილი და სერგო რობაქიძე, ჩაითვალა, ეჭვი შეეპარა, რომ პიესის ავტორს ფაქტები იასონ ნიკოლაიშვილმა მიაწოდა და მისი გასახლება გადაწყვიტა ქუთაისის გუბერნიიდან. საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა პედაგოგის მხარდამჭერთა ჯგუფი. გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი თვით ეახლა გუბერნატორს და თხოვა აღედგინათ პედაგოგი მის უფლებებში. შუამდგომლობა გათვალისწინებულ იქნა. ნ თვე დასჭირდა მისი სიმართლის დადასტურებას. 1908 წლის ოქტომბერს დაუბრუნდა იგი სამუშაოს, მაგრამ სასწავლო ოლქმა მისი უფროს კლასებში მასწავლებლად მუშაობა არ ჩათვალა მიზანშეწონილად, კატეგორიულად მოითხოვა მისგან გამოცდების ჩაბარება საშუალო სკოლის პედაგოგის წოდების მისაღებად. გამოსაცდელმა ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა და მოზრდილთა შორის მასწავლებლობის უფლებაც მოიპოვა.

ბუნებით აქტიური და ინიციატივის მატარებელი იასონ ნიკოლაიშვილი გიმნაზიის სხვა პედაგოგებთან ერთად დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა საკვირაო სკოლაში, რომელიც სწავლას მოწყურებულ ღარიბ მოსახლეობას აიარაღებდა ცოდნით, აქტიური ლექტორი იყო სახალხო უნივერსიტეტის და უსასყიდლოდ

კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს, თანამშრომლობდა სახალხო თეატრში, გამოდიოდა როგორც მსახიობი, მონაწილეობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ორგანიზებაში, ყოფილი მოსწავლეები მას იგონებენ, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგს, აღმზრდელს, დიდ შეფასებას აძლევენ მისი, როგორც აღმზრდელის ღვაწლს მოსწავლეების ღრმა ცოდნით შეიარაღებისა და მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

იასონ ნიკოლაიშვილი წერდა პატარა მოთხრობებს და უკითხავდა თურმე მოსწავლე კონსტანტინე გამსახურდიას, მომავალ სასიქადულო მწერალს. მისი გავლენით დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიამ მოთხრობების წერა. იასონ ნიკოლაიშვილმა საკუთარ ოჯახში მისცა ბინა ნიჭიერ მოსწავლეს და დიდი გავლენაც მოახდინა მის შემდგო ყოფაზე.

„იოსებ ოცხელმა მომაწყო ქართულის მასწავლებლის იასონ ნიკოლაიშვილის ოჯახში. იასონი მოპასანის მიბაძვით სწერდა პატარა



სახლი ქუთაისში თამარ მეფისა და პაოლო იაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე სადაც ცხოვრობდა პედაგოგი იასონ ნიკოლაიშვილი და მოსწავლე კონსტანტინე გამსახურდია

მოთხრობებს და მოცალეობისას მიკითხავდა. მალე მეც დავიწყე წერა“ წერს კონსტანტინე გამსახურდია ავტობიგრაფიულ ნაწარმოებში „ლანდებთან ლაციცი“ [196].

იასონ ნიკოლაიშვილის მოთხრობები, ესკიზები გულწრფელია და მიზანმიმართული ქვეყნად გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ. იგი აღმზრდელობითი ხასიათისაა და მასების საპროტესტო რეაქციის აღმძვრელი.

თანამედროვეთა მძიმე ხვედრის გამომხატველია მისი მოთხრობა „რას მერჩით, მეც ხომ ადამიანი ვარ“ ავტორი ილაშქრებს უსამართლობის წინააღმდეგ, გაჭირვებულთა მხარეს იჭერს, პატიოსნებისა და კაცურ-კაცობის მქადაგებელია. ანალოგიური უსამართლობის წინააღმდეგ არის მიმართული „პეტრიას ოჯახიც“, ხოლო მოთხრობა „ცოლ-ქმარი“ აღვირახსნილი ქეიფის, ლაზღანდარობის და უზნეობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია.

იასონ ნიკოლაიშვილი მოთხრობებთან ერთად ქმნიდა, ადგენდა სახელმძღვანელოებს. მისი ავტორობით გამოვიდა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც სწრაფად გავრცელდა ქართველ მკითხველთა შორის და რამდენიმეჯერ გამოიცა. ამ წიგნის შესახებ ცნობილმა ენათმეცნიერმა ვარლამ თოფურიამ აღნიშნა, რომ სახელმძღვანელო ქართული ენის გრამატიკის მეცნიერული გააზრების პირველი ცდა იყო. იასონ ნიკოლაიშვილი ავტორია დამხმარე სახელმძღვანელოს „ქართული ქრესტომათია“. იგი გამოიცა სამ წიგნად პროგიმნაზიული I, III და მე-4 კლასებისათვის. იასონ ნიკოლაიშვილი წერდა სატირულ მოთხრობებს, ფელეტონებს „ბელზებელის“ ფსევდონიმით. მწარედ ამათრახებდა ბიუროკრატ მოხელეთა საქმიანობას.

იასონ ნიკოლაიშვილმა გარკვეული როლი შეასრულა ქართული ხალხური სიმღერების, გალობების პოპულარიზაციის საქმეში. იგი ავტორი იყო საბავშვო სიმღერების, რომელსაც ბეჭდავდა ჟურნალებში. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული პედაგოგის ნაწარმოებები ისწავლებოდა სკოლებში. იასონ ნიკოლაიშვილს აქვს ერთი მოთხრობა „უკანასკნელი ხმები ჭიანურისა“, რომელიც მუსიკის

კარგი მცოდნის ხელწერითაა შესრულებული. მძიმე ავადმყოფი პოლონელი მუსიკოსი ყიდის მის ერთადერთ სიმდიდრეს ჭიანურს, უკანასკნელად აჟღერებს გასაყიდად განწირულ საყვარელ ინსტრუმენტს და მისი ჰანგების მოსმენისას განუტევებს სულს. ნაწარმოები მძაფრია და შთამაგონებელი. მხოლოდ მუსიკის ღრმა მცოდნე ადამიანს შეეძლო მისი ამგვარი გააზრება.

იასონ ნიკოლაიშვილი 76 წლის ასაკში გარდაიცვალა 1941 წელს. მისი პედაგოგის, აღმზრდელის, მწერლის, თეატრისა და მუსიკის მცოდნის, საზოგადო მოღვაწის, სახელმძღვანელოთა ავტორის, მეთოდისტის ღვაწლი დიდია ეროვნული კადრების დაკვალიანების საქმეში, ამიტომ არ უწერია მის სახელს დავიწყება.

დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი)



დომენტი ოყრეშიძე

დომენტი ოყრეშიძე პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობით და ნათელი შემოქმედებით გამობდა თვითმპყრობელობის რეაქციულ წყობილებას. ახალგაზრდებს უნერგავდა პატრიოტულ სულისკვეთებას. მეფის მოხელეთაგან დევნისა და შევიწროების მიუხედავად გიმნაზიის სხვა პედაგოგებთან ერთად უშიშრად ნერგავდა მოსწავლეთა შორის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, მოწინავე საზოგადოებრივ იდეალებს, მშობლიური ენისა და კულტურისადმი სიყვარულს. იგი მისი ადამიანური თვისებებითა და სპეტაკი მორალური სახით სამაგალითო პიროვნებად გვევლინება.

დომენტი ოყრეშიძე, ჯერ კიდევ სენაკის სკოლის გამგე, მოსწავლეთა შორის ეძებდა სამშობლოს წარსულითა და მომავლით დაინტერესებულ

მოზარდებს, უყოყმანოდ და უსასყიდლოდ უტარებდა დამატებით მეცადინეობებს. მადლიერი ნამოწაფრები, უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერები, იგონებენ მას, როგორც სამშობლოს სიყვარულით ნასაზრდოებ აღმზრდელს, მოსწავლეთა მოამაგესა და მზრუნველს.

„გიმნაზიას თუ შევრჩი და საშუალო განათლების მიღება თუ მელირსა, ამაში დიდი წვლილი უდევს დომენტი ოყრეშიძეს, შესანიშნავ პედაგოგსა და მოქალაქეს. დომენტი ოყრეშიძის სახელს ყოველთვის სიყვარულით ვიგონებთ... ტკბილი ადამიანი იყო, გაჯავრება არ მახსოვს... საქმის რა სიყვარული და მოვალეობის რაგვარი შეგნება უნდა ჰქონოდა მასწავლებელს, რომ რამდენიმე მოსწავლესთან დამატებითი მეცადინეობა თავს ედვა და ეს მეცადინეობა თვიდან თვემდე ჩაეტარებინა, ისიც პროგრამით გაუთვალისწინებელი მასალის შესასწავლად“ [197].

ანალოგიური სულისკვეთებით მუშაობდა დ. თომაშვილი მოსწავლეებთან სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც. პოეტი ქალი ლილი ნუცუბიძე იგონებს, რომ დიდი ემოციური დატვირთა მიიღო მან, მოსწავლე გოგონამ უპატრონო გვამის ხილვით, იგი დაუკავშირა მის მიერ განცდილ სხვა მოგონებებს და ანგარიშმიუცემლად გაიჭრა სახლიდან, თეთრ ხიდთან შეხვდა მხცოვანი პედაგოგი დ. ოყრეშიძე, მაშინვე შეატყო მის მოსწავლეს აფორიაქება, აღარ მოშორდა, შესთავაზა ქალაქის ქუჩებში გასეირნება და იმდენხანს დაჰყო მოსწავლესთან, სანამ არ დაამშვიდა. სურათიც გადაიღო იმ დღეს მასთან, სამახსოვრო სურათს სათუთად ინახავდა პოეტი ქალი და გულით ატარებდა იმ ადამიანურ სითბოს, რომელიც ასე უხვად იღვრებოდა ამ მადლიანი კაცის სულიდან.

დ. ოყრეშიძეს არ უცხოვნია დალხინებით. ბევრი წინააღმდეგობა ხვდებოდა პედაგოგიური მოღვაწეობის დროს, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს მომავლის რწმენა და სხვებზეც ამით ახერხებდა დადებითი იმპულსების გადაცემას.

„როგორც საქმიდანა სჩანს, - წერდა ჟურნალი „განათლება“, ყველაზე მეტი ზარალი ცეცხლის გაჩენის დროს სკოლის გამგეს (საუბარია სენაკის სკოლაზე) ბ-ნ დ. ოყრეშიძეს მოსვლია, ამას სკოლაში

ჰქონდა ბინა, დასწვია ყველაფერი, რაც გააჩნდა და ცოლშვილით შიშველ-ტიტველი დარჩენილა. თვითონაც კინაღამ ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა, რომ გადაერჩინა სკოლის ბიბლიოთეკა და საქმის ქაღალდები. ამის გამო ბ-ნი ოყრეშიძე ამჟამად აუტანელ ნივთიერ მდგომარეობას განიცდის, სულ ვალებით ცხოვრობს და კიდევ კარგი, რომ კეთილი ადამიანები სესხზე უარს არ ეუბნებიან, ვალებს იღებს იგი არა მარტო თავისთვის, არამედ სხვა მასწავლებლების დასაკმაყოფილებლადაც". ეს ჩანაწერიც კმარა მისი, როგორც ადამიანის დასახასიათებლად.

დომენტი თომაშვილი საქართველოს ისტორიის უბადლო მცოდნე პედაგოგი და ღრმად განათლებული ლიტერატორი იყო. ამავე დროს როგორც პოეტი, საინტერესო სახეებს ძერწავდა ქმნილებებში, ამიტომ ინარჩუნებენ დღემდე მისი ლირიკული ლექსები და პოემები ცხოველმყოფელობას. 1896 წლიდან ბეჭდავდა ნაწარმოებებს ჟურნალებში „კვალსა" და „ჯეჯილში". ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჟურნალ „განათლების" 1908 წლის №3-4-ში გამოქვეყნებულმა მისმა ლექსმა „სადღეისო" [198]. ეს ლექსი საყურადღებოდ ჩავთვალეთ იმიტომაც, რომ შეტანილი არ არის არც 1955 წელს გამოქვეყნებულ მის „ლექსებში", არც 1977 წელს გამოცემულ „რჩეულში". ლექსის ღირებულება გამოქვეყნების დროისათვის (1908 წ. და დღესაც) დიდი მნიშვნელობის მქონეა, ალბათ ამიტომაც დაუთმო ადგილი ისეთმა ავტორიტეტულმა ჟურნალმა. ლექსში აღწერილია საქართველოს მძიმე ხვედრი. ასეთ პირობებში ქართველი ახალგაზრდობის ბედი აწუხებს პოეტს. ისინი საკუთარ ბუდეში რომ ვერ იზრდებიან, სამწუხაროდ მიაჩნია და აღმზრდელების უვარგისობაზე მიუთითებს. მრავალმნიშვნელოვნად და შთამაგონებელი მხატვრულობითაა გადმოცემული, ნაგრძნობი, რომ სხვისი ენით, სხვისი აზრით და სურვილით, სხვისთვის წარმართული აღზრდა ვერას არგებს მშობლიურ ქვეყანას.

პოეტის აზრით წარსულის კარგ მაგალითებზე, საკუთარი ქვეყნის სუნთქვით, საკუთარ ბუდეში, მშობლიური ალერსით უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა, საამისო გზა გაკვალული აქვს წინაპრებს „მხოლოდ

გვმართებს მხნეობა და საქმისადმი სიყვარული", ასეთია ლექსის მოთხოვნა - იმედიანი და სასურველი.

დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი), როგორც პედაგოგი, მცოდნე, განათლებული, სამშობლოს უბედობით დამწუხრებული, მაგრამ მომავლის იმედით აღსავსე პიროვნებაა, მშვიდი და ადამიანური სიკეთის მატარებელი აღმზრდელია. იგი საქართველოს ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. მხოლოდ მისი აღზრდილების - აკადემიკოსების: არნოლდ ჩიქობავას, სიმონ ჯანაშიას, გიორგი წერეთლის, დავით ლორთქიფანიძის, პროფესორების: შალვა რადიანის, ვლადიმერ ნორაკიძის, მწერალ აკაკი ბელიაშვილის, კინორეჟისორ დავით რონდელის ჩამოთვლა რად ღირს. მათ ხომ მთელი ეპოქა შექმნეს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და კულტურის სფეროში.

ტრიფონ ჯაფარიძე

ტრიფონ ჯაფარიძე 1908 წელს მივიდა მასწავლებლად ახლად ფორმირებულ ქართულ გიმნაზიაში და მაშინვე ჩაება მრავალწახნაგოვან საქმიანობაში. მისი საერისკაცო მოღვაწეობა სტუდენტობის დროიდან არის ფიქსირებული. იგი ქართველ სტუდენტთა კიევის სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ამზადებდა ლექცია-მოხსენებებს, კითხულობდა სტუდენტთა შორის რეფერატებს, შემდეგ - ქუთაისის ქართული გიმნაზიის კედლებში მიიღო პედაგოგიური წრთობა.

ტრ. ჯაფარიძე პრაქტიკულ საქმიანობას კარგად უთავსებდა პედაგოგიურ-მეთოდურ მუშაობას. მან, საქმის ერთგულმა და მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის მოსურნემ შეიმუშავა მხარეთმცოდნეობაში სახელმძღვანელო დებულებანი მასწავლებელთა დასახმარებლად [199]. აღნიშნული ნაშრომი კარგი გზამკვლევი იყო მხარეთმცოდნეთა აღსაზრდელად. მასში მოცემული

იყო ეკონომიკურ-სტატისტიკური, ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული მასალების შეგროვების და ბუნების მოვლენებზე დაკვირვების მეთოდები, მის კალამს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი, რომელიც ავტორს მრავალმხრივ განათლებულ მოქალაქედ წარმოგვიდგენს („თანამედროვეობა და კულტურული იდეალი", „ბუნება და ადამიანი", „ახალი ათონი", „ადათები მე-12 საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით" და მრავალი სხვ.). ტრიფონ ჯაფარიძე დიდ ინტერესს იჩენდა ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი. შეგროვილი ჰქონდა გამოცანები, ანდაზები, ხალხური ლექსები, შაირები, არაკები. მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" კვლევის საქმეში. მისი რედაქტორობით გამოიცა „შოთა რუსთაველის აფორიზმები". იგი ფართოდ თანამშრომლობდა, ხშირად გამოდიოდა პრესის ფურცლებზე, იყო ხოლმე გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრი, წერდა ღრმად, მაღალპროფესიულად, ქართველთა ეროვნული მთლიანობის ინტერესების დასაცავად, ქართველი ერის მტკივნეულ საკითხებზე გამოთქვამდა მის შეხედულებას, ერის გადარჩენის და განვითარების თავგამოდებული პროპაგანდისტი იყო, ღრმად სწამდა, რომ ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა იყო თავისუფლება, რომ მონურ ყოფაში არ კმაროდა ერის ძალღონე ქვეყნის სამართავად [200].

ტრიფონ ჯაფარიძე არა მარტო პრესით, არამედ ცოცხალი სიტყვით იდგა ქალაქში ეროვნული კულტურის პროპაგანდის შუაგულში. იმდროინდელი პრესა იუწყება, რომ ის მონაწილეობდა 1917 წლის 13 მაისს ქუთაისში ლიტერატურული სალამოს „თავისუფალი საქართველო" მუშაობაში, გიმნაზიის სხვა პედაგოგებთან: სამსონ ყიფიანთან, ია ეკალაძესთან, დომენტი თომაშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდა 1920 წლის 23 მაისს დავით კლდიაშვილის მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ საღამოზე, ლექციებს კითხულობდა სახალხო უნივერსიტეტში და როგორც გაზეთი „ჩვენი მეგობარი" იტყობინება, მას 11 ლექცია ჰქონდა წაკითხული საანგარიშო პერიოდში [201].

ტრიფონ ჯაფარიძის შეხედულებები დღემდე ინარჩუნებენ ეროვნულ, სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და პედაგოგიურ ღერადობას. ის

იყო ლექტორი ქუთაისში ახლადდაარსებული ინსტიტუტის და, როგორც პროფესორი დავით ბრეგაძე იგონებს, ატარებდა ღრმამეცნიერულ და საინტერესო ლექციებს საქართველოს ისტორიაში.

„გახარებული, აღტაცებული და კმაყოფილი შედგებოდა კათედრაზე და ენამზეობდა საქართველოს სადიდებლად. ის თავისი მრწამსით ეროვნული დემოკრატი იყო და კაცობრიობის განვითარების საუკეთესო და სწორ გზად ეროვნული თვითცნობიერება მიაჩნდა“.

ბატონმა დავითმა „მოგონებებში“ წარმოადგინა სწავლების ტრ. ჯაფარიძისეული თეორია, რომელიც ესოდენ საინტერესოს, მიმზიდველს, მისაწვდომს ხდიდა მის ლექციებს. „შენ დარდი და მწუხარება აუდიტორიის შესასვლელთან კარებზე უნდა მიაყუდო და აუდიტორიაში მხიარული სახით უნდა შეაბიჯო. აუდიტორიიდან რომ გამოხვალ, გაუკეთე ხელკავი შენს დარდს და თან წაიყვანე“. - ასე მოძღვრავდა იგი მის ირგვლივ პედაგოგებს, ლექტორს მასწავლებლებს. თვით კი მოცემული პრინციპიდან არასოდეს გადაუხვევია.

ტრ. ჯაფარიძეს ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის საშური უნარი, ადვილად შედიოდა მათთან კონტაქტში, მან, როგორც ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, იმთავითვე ადვილად გაიჩინა სამოქმედო ზონაში აგენტები, მათთან ერთად იბრძოდა ეროვნული საუნჯის შესანარჩუნებლად, დასაცავად. ცდილობდა ფეხდაფეხ დაევლო მნიშვნელოვანი ადგილები, უშუალოდ ემოქმედა სიძველეთა მოპოვებისათვის. მან იმოგზაურა შორაპანში, საჩხერეში, ხვამლის მიდამოებში, ზემო იმერეთის სოფლებში, აღრიცხა ისტორიული ძეგლები, აგროვებდა სამუზეუმო ექსპონატებს შორეული მიზნები ჰქონდა ტრ. ჯაფარიძეს - მუზეუმის დაარსება ქუთაისში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა, ეროვნული სამეცნიერო კადრების აღზრდა, მდიდარი ეროვნული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა. არ იყო ადვილი გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობასთან მუშაობა. ბევრს ეძნელებოდა ოჯახის რელიქვიური ნივთის დათმობა. ტრიფონ ჯაფარიძე პროპაგანდის იმდროინდელ ყველა საშუალებას ხმარობდა ადამიანთა შეგნების ასამაღლებლად. გაზეთ „იმერეთის“

1913 წლის №105-ში იგი წერდა: „თუ ვინმეს სურს თავისი წინაპრის სახელი შეინახოს მისი ნაქონი ძველი ნივთის დაცვით, მით უმეტეს უნდა მისცეს მუზეუმს, რადგან იქ ყველა ნახავს და კერძო ოჯახში ათასში ერთიც არავინ მივა. სახელისათვის განა ის არ სჯობს, რომ ნივთი უმეტესმა რიცხვმა ნახოს? მუზეუმში ყველა ნივთს დაეწერება ვისი ნაქონია, საიდან მოტანილია, ვინ შემოწირა, ვისი შეძენილია და სხვა. ასე, რომ სახელი პატრონის არასოდეს არ წაიშლება“ [202]. ასე ანბანურად უნმარტავდა მოსახლეობას ტრ. ჯაფარიძე სამუზეუმო ექსპონანტების არენაზე გამოტანის აუცილებლობას. საყურადღებოა ის, რომ იმთავითვე ვარაუდობდა იგი „ეგებ ოდესმე ვინმე მეცნიერისათვის სამუშაო მასალად გამოდგესო“ [203].



ტრიფონ ჯაფარიძე

ტრიფონ ჯაფარიძემ, როგორც ქართული გიმნაზიის პედაგოგმა, შეძლო აღნიშნულ საქმიანობაში აქტიურად ჩაება არა მარტო მისი თანამოსაქმე პედაგოგები, არამედ მოსწავლეთა დიდი ნაწილი. ქართული გიმნაზია, მისი მასწავლებლები და მოსწავლეები ერთნაირი გატაცებით აგროვებდნენ სამუზეუმო მასალას.

ქუთაისელმა ენთუზიასტებმა ბევრი ნივთიერი მასალა მოიპოვეს. შეგროვილი ნივთების რაოდენობა და შესაგროვებლის სავარაუდო მოცულობა დიდი იყო, ამიტომ ჩაისახა გიმნაზიის კედლებში აზრი ქუთაისში დამოუკიდებელი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ. შეიქმნა კიდეც წესდების შემმუშავებელი კომისია. კომისიას ხელმძღვანელობდა ტრ. ჯაფარიძე. 1912 წლის 17

ივნისს მთავრობამ დაამტკიცა წესდება, დაფუძნდა ქუთაისის დამოუკიდებელი საქალაქო საეთნოგრაფიო საზოგადოება. მისი დამფუძნებლები იყვნენ გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი, პედაგოგები: ტრიფონ ჯაფარიძე, სიმონ ოცხელი, სამსონ ყიფიანი და კონსტანტინე ჯორჯიკია. გამგეობის ხელმძღვანელობა დაეკისრა ტრიფონ ჯაფარიძეს და 10 წლის მანძილზე (1911-21 წ.წ.) ხელმძღვანელობდა აღნიშნულ საზოგადოებას როგორც თავმჯდომარე მის სახელს უკავშირდება არა მარტო საეთნოგრაფიო და სამუზეუმო საქმიანობა. ის ბუნებით ქველმოქმედი იყო და ხშირად შუამდგომლობდა სხვა საზოგადოებების წინაშე, კერძო პირებთან ნიჭიერი და ღარიბი სტუდენტებისათვის აღმოეჩინათ მატერიალური დახმარება. ქუთაისის მუზეუმში დაცულია პეტერბურგისა და კიევის უნივერსიტეტების სტუდენტთა არაერთი განცხადება სტიპენდიების დანიშვის თაობაზე.



სახლი სადაც ცხოვრობდა ტრიფონ ჯაფარიძე ქუთაისი ტაბიძის ქუჩა

„საზოგადოება“ ქუთაისში აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს. იმდროინდელი საქალაქო პრესის ბევრი სტატია იძლევა ცნობებს მათი მაღალი ეროვნული და ესთეტიკური დონის შესახებ. საღამოებს ტრ. ჯაფარიძე უძღვებოდა, ხშირად თვით იყო მომხსენებელი, მისი ყველა მოხსენება ეროვნულობით გამოირჩეოდა. ტრ. ჯაფარიძის დიდი ღვაწლია ჩადებული ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგროვების საქმეში, იგი ხელს უწყობდა ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშების, სიმღერების შეგროვებას, არაერთი სტატია უძღვნა ამ დიდ საქმეს, მოიპოვა და გაუხსნა მომავლის გზა. იგი გაბედულად გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით მისი ხელმოწერით სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნილია საპროტესტო წერილები ავტოკეფალიის შენარჩუნების თაობაზე. იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც ტრ. ჯაფარიძემ როგორც მოღვაწემ დადო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს, არჩეულ იქნა იმერეთის საეპარქიო საბჭოს წევრად.

1925 წლის 10 ივნისს ქუთაისში გაიხსნა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. ის შეიქმნა ტრ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ქუთაისში მოქმედი საზოგადოების წევრთაგან შეგროვილი მასალის ბაზაზე.

1923 წელს ეკლესიების მასიური დახურვა დაიწყო. შიგ არსებული ნივთიერი მასალა: ხატები, ფრესკები, მოზაიკები შეიძლებოდა წაელეკა დროს. ტრიფონ ჯაფარიძეს არ დაუყოვნებია ღონისძიებები საეკლესიო საგანძურის შენარჩუნების მისაღწევად. აგზავნიდა წერილებს მათი შეგროვებისა და დაბინავების თაობაზე. საინტერესოა მისი წერილი სამაზრო აღმასკომისადმი, სადაც ითხოვს საეკლესიო მუზეუმის მოწყობას.

„დღეს ეკლესიები იკეტება, იქ დიდძალი სიმდიდრე და განძეულობაა, მათ შორის ისეთი ნივთებიც, რომელიც არქეოლოგიურ განძს წარმოადგენს. საეკლესიო მუზეუმი ძვირფასი განძეულობით უნდა იქნეს ცალკე დაწესებულება. მუზეუმი - განყოფილება საისტორიო მუზეუმისა, სადაც თავს მოიყრის დიდძალი სიმდიდრე - განძი, რაც სახელმწიფოსათვის სასახელო და სასარგებლო იქნება და კაცობრიობის ყურადღებას მიიპყრობს“. საეკლესიო მუზეუმის

ადგილად ტრ. ჯაფარიძე ასახელებდა საკათედრო ტაძარს, ე.წ. „სობოროს“. ასეთი გამოსვლა იმ დროისათვის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ტრიფონ ჯაფარიძის საერისკაცო მიზნები უკან დახევას არ ითვალისწინებდა. მითითებული ეკლესია დაანგრიეს. საეკლესიო განძი მუზეუმის შენობაში მოათავსეს. გელათის განძი თვით გელათის მონასტერში იყო დაცული საიმედოდ, ვიდრე ის არ ჩაიბარა თბილისში სახელმწიფო მუზეუმმა.

ეკლესიების გამოსარჩლებისა და მისი ქონების, როგორც ეროვნული მნიშვნელობის განძის დასაცავად გაწეული შრომისათვის ტრ. ჯაფარიძეზე ეჭვი მიიტანეს. სამხილად ისიც ჰყოფნიდათ, რომ იგი ეპისკოპოს ნესტორ ყუბანეიშვილის სიძე იყო, იცავდა ეკლესია-მონასტრების ქონებას, თაყვანისცემით ეპყრობოდა უძველეს ნივთებს. ამ მამულიშვილური ღვაწლისათვის 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლად იქცა.

მიუხედავად ამისა ტრიფონ ჯაფარიძე, ღრმად განსწავლული ერისკაცის სახელს ინარჩუნებს დღემდე და არ მიეცემა დავიწყებას

თომა მთავრიშვილი

თომა მთავრიშვილი 1858 წელს დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ ჯიმითში, გლეხი კაცის ტიპიურ ოჯახში, სილარიბესა და გაჭირვებაში იზრდებოდა. ცარიზმის პოლიტიკის სიმძიმე სრულად განიცადა მოსწავლემ, მაგრამ ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა საკუთარი მონდომებითა და სიბეჯითით სწავლულთა რიგებში ჩადგა. ახალგაზრდის პიროვნულ თვისებებზე დიდი ზეგავლენა მოახიდნა ქართველ განმანათლებელთა იდეებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა შთაგონებით იგი დაეწაფა საქართველოს წარსულის შესწავლას, ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის ზრუნვის ვითარებაში დაეუფლა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას და

მისი შრომის სარბიელად აირჩია ქუთაისის ახლადდაარსებული ქართული სკოლა, ამ მამულიშვილური ნაბიჯით დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ახალგაზრდების ქართულ ტრადიციებზე აღზრდის მნიშვნელოვან საქმეში. 1881 წლიდან 33 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა იგი ქუთაისის სათავადაზნაურო ქართულ სკოლაში და მთელი არსებით იყო ჩაბმული კოლექტივის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. თვით საერთო საქმისათვის თავდადებულს კარგად შეეძლო დაენახა სხვისი ავ-კარგი, მისი მოგონებები გაჟღენთილია მის გვერდით მოღვაწეთა რეალური შეფასებებით. ქართული გიმნაზიის პირველი დირექტორს ალექსი ჭიჭინაძეს ის ახასიათებს საუკეთესო აღმზრდელად, კარგ თავკაცად, სამაგალითო პიროვნებად და დასძენს: „მე დიდი მადლობელი ვიყავი მისი და ვფიქრობ, არც ის იყო ჩემი უკმაყოფილო, რადგან კარგად ხედავდა, რომ სწავლის საქმეს გულგრილად არ ვეკიდებოდი და სრული ჩემის ძალღონით სასწავლებელს ერთგულად ვემსახურებოდი“ ამ ერთგული სამსახურისათვის მთავრიშვილს არაერთჯერ მიუღია მადლობა და ჯილდო. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ქშწკგ საზოგადოების გამგეობის 1898 წლის 3 აგვისტოს სხდომის ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ იგი დააჯილოვეს პროგიმნაზიულ კლასებში მასწავლებლად გადაყვანით, საათების შემცირებით ხელფასის შენარჩუნების გზით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე თომა მთავრიშვილი გადაიყვანეს პროგიმნაზიულ კლასებში ქართული ენის, შემდეგ ბუნებისმეტყველების მასწავლებლად. მის გაკვეთილებს დიდი ინტერესით ისმენდნენ მოსწავლეები, საგნებს ბეჯითად სწავლობდნენ.

თომა მთავრიშვილის საქმიანობა მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობით არ ამოიწურებოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ყველა საქმეში, რომელსაც ქართველი განმანათლებლები წამოიწყებდნენ ხოლმე. თ. მთავრიშვილი მაშინვე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის მოწოდებას შეეგროვებიათ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და გამოექვეყნებიათ იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. თომა მთავრიშვილი უბის წიგნაკში იწერდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს და მისაწვდომს ხდიდა ქართველი მკითხველისათვის. მის მიერ

შეგროვილი ნიმუშები დასტამბულია გაზეთებში: „ივერია“, „დროება“ და „შრომა“ იგი ხშირად გამოდიოდა პრესის ფურცლებზე, აქტიურად მონაწილეობდა ალმანახი „ცდის“ რედკოლეგიის საქმიანობაში. ალმანახს ამშვენებდნენ მისი თარგმანები. მან პირველმა თარგმნა „პესტალოცის ცხოვრება“ და ქართულ ენაზე მიაწოდა ქართველ მკითხველს. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა პრესაში ქუთაისის სკოლათა დირექტორის ლევიტსკის მუნჯური მეთოდის არამართებულობას, უარყო სწავლების მისეული მეთოდი, ამით მხარი დაუჭირა სწავლების გოგებაშვილისეულ მეთოდს, მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას.



თომა მთავრიშვილი

თომა მთავრიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო საქმიანობაში. იგი კირილე ლორთქიფანიძესთან და სილოვან ხუნდაძესთან ერთად სპეციალურად კრებდა თანხას თანამოსაქმეთა შორის, შეადგენდა ხოლმე ფონდს. ამ ფულით ყიდულობდა ქართულ წიგნებს, უსასყიდლოდ აგზავნიდა მათ სოფლებში, აარსებდა ბიბლიოთეკებს, ბიბლიოთეკები ემსახურებოდნენ როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს. ასე საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამხმარე წევრები და მათ შორის აქტიურ დამხმარე წევრად იყო აღიარებული თომა მთავრიშვილი. ქუთაისის მუზეუმსა და არქივებში შემონახული არაერთი დოკუმენტი ადასტურებს, რომ თომა მთავრიშვილი ითხოვს თანხას წიგნების შესაძენად, რომ მიაწოდოს იგი უფასოდ სოფლის ახალგაზრდობას, ან გაუგზავნოს ზუგდიდსა თუ ოდესაში მცხოვრებ ქართველობას შევიწროვებული მშობლიური ენის ასაღორძინებლად და შესათვისებლად.

თომა მთავრიშვილი კარგად ხედავდა რა მშობლიურ ენაზე წიგნებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობას, აქტიურად იყო ჩაბმული საგამომცემლო საქმიანობაში. მთავრიშვილის მონაწილეობით შეიქმნა ქუთაისში „ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფი", არჩეული იყო „წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის" გამგეობის წევრად, წლების მანძილზე 1908-1925 წლებში მუშაობდა ქართველთა შორის წერა-კითხის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულად ქუთაისში. დასავლეთ საქართველოში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსების თავკაცი ავტორი იყო რამდენიმე ქართული სახელმძღვანელოსი. მისი მაღაზიის და გამომცემლობის შენობა (ახლანდელი წერელთის ქუჩის დასაწყისში) ქუთაისის ინტელიგენციის ერთ-ერთ თავშესაყრელ ადგილად იყო გამოყენებული. აქ იკრიბებოდნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები, ურთიერთს უზიარებდნენ მოსაზრებებს.

თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია ქართული წიგნის გამოცემა-პოპულარიზაციის მიზნით უშუალო კავშირს ამყარებდა ავტორებთან, მკითხველებთან, ღირსეულ ნაშრომს უდაოდ გამოსცემდა ხოლმე. შემონახული მიმოწერა ადასტურებს ამ ურთიერთობას.

1913 წლის 17 ნოემბერს ნიკო ნიკოლაძე ფოთიდან უგზავნის წერილს თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას:

„მოწყალეო ბატონებო, მადლობას გიძღვნით ქართული წიგნების გამოგზავნისათვის. ყველა დავიტოვე, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის გარდა, რომელიც წარსულ ზაფხულს პეტერბურგს შევიძინე. ამ მიზეზით უკანვე გიბრუნებთ თხოვნით, რომ მისი ფასი დაიტოვოთ მომავლისათვის, ახალი ქართული წიგნების (ან საქართველოზე) გამოსაგზავნად. ნუთუ, ბ. ავალიანის მეორე ტომი არ მიგიღიათ აქნამდე" [204].

ამას გარდა მოცემულ წერილში იმის შესახებაცაა საუბარი, რომ ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთი შრომის „მამულის სიყვარულის" გამოცემას აპირებდა მთავრიშვილის წიგნის მაღაზია და წინასიტყვაობის მომზადებას ფიქრობდა ვინმე მ. ჯაფარიძე. ნიკო ნიკოლაძე თხოვს გამომცემლებს ერთჯერ კიდევ გადაახედონ ავტორი ნაშრომს.

„დიდად დამავალებთ, თუ რამდენიმე დღით იმ დედანს მათხოვებთ ამ ნაწერისას, რომელიც სტამბაში უნდა მისცეთ... კარგად არც კი მესმის თუ რა ეადმოსაბეჭდავია ეს ნაწერი, ან ვის ყურადღებას დაიმსახურებს იგი ამ დროში, რა ღირსება აქვს მას ახლა? იქნება ეს გავიგო როცა ეადავიკითხავ ეხლა იმ ნაწერს. მაქნამდი კი ძლიერ ვეჭვობ და დიდად მეზარება თქვენთან ზარალში შეყვანა.

თქვენი მორჩილი ნიკო ნიკოლაძე.

ქ. ფოთი 17 ნოემბერი 1913 წ. [205]"

ჩანს ის დიდ პასუხისმგებლობა, რაც ნიკო ნიკოლაძეს გააჩნდა გამოსაქვეყნებელი ნაშრომის მიმართ, ქვეშეცნეულად საყვედურიც გამოსჭვივის გამოქვეყნების დაგვიანებისათვის. ავტორს ეჭვი ებადება, ხომ არ გაუსწრო დრომ წარსულში განვითარებულ აზრს.

ივანე ჯავახიშვილმა მისი „ქართული სამართლის ისტორია" 1919 წელს გამოსაცემად მიანდო მთავრიშვილისა და ამხანაგობის წიგნის მაღაზიას. მთავრიშვილის მაღაზიამ გამოსცა იაკობ ცურტაველის „წამება წმიდისა შუშანიკისი". მეცნიერულად დადგენილი ტექსტით, წინასიტყვაობით, სიტყვათა ანბანური საძიებლით, სალექსიკონო განმარტებებით. აქ გამოიცა ნიკო ნიკოლაძის „მამულის სიყვარული და მსახურება", „ვეფხისტყაოსანი", „არსენას ლექსი", სახელმძღვანელოები: „სამშობლოს აღწერა", „საქართველოს გეოგრაფია" და სხვ. იგი იყო საკმაოდ მკაცრი გამომცემელი. ბუნებრივია, ყველა ავტორს განურჩევლად ვერ გამოუცემდა წიგნს, იჩენდა პრინციპულობას. ამას ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის წერილიც ადასტურებს:

„მე თომა მთავრიშვილს არ მივმართავ და ნურც თქვენ მიმითითებთ იმაზე - წერს იგი კირილე ლორთქიფანიძეს, მე მასთან მქონდა ლაპარაკი, მაგრამ მისგან ვერა შევიტყვე რა, ის მხოლოდ თავის წიგნის დუქანზე ფიქრობს" [206]. განაწყენებული ანასტასია თხოვს კირილე ლორთქიფანიძეს, გამოუცეს ვეფხვაძის თხზულებები.

მთავრიშვილი ეროვნული პოზიციებიდან უცქერდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებს. ამიტომ დიდი რუდუნებით გამოსცა ი. და ს. ოცხელებთან ერთად მელიტონ

კელენჯერიძის „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ და ევსევი ნიკოლაძის ნაშრომი იგივე სათაურით. აღნიშნულმა წიგნებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აუცილებლობას.

1917 წელს წიგნის გამომცემელთა ამხანაგობამ დააარსა წიგნების სერია „ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკა“. ამ სერიაში შევიდა პედაგოგ ია ეკალაძის (იაკობ ცინცაძე) მოთხრობები, დიმიტრი უზნაძის „მსოფლიო ისტორია“, სილოვან ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“, ს. რობაქიძის „სამშობლოს აღწერა“ და სხვა.

თომა მთავრიშვილი ოჯახსა და სკოლაში საკითხავი გახმაურებული სახელმძღვანელოს „გუთანის“ ერთ-ერთი თანაავტორი იყო. სახელმძღვანელო ბეჭდერ გამოიცა წინასიტყვაობით, რომ მთავრობის მიერ ცნობილი იყო სახელმძღვანელოდ ყველა ქართული სკოლისათვის. მან იოსებ ოცხელთან და სამსონ ყიფიანთან ერთად შეადგინა „ქართული ანბანი“, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ნორჩებს ქართული ანბანის შესწავლის გასაადვილებლად.

ქუთაისის მუზეუმში შემონახულია მიმოწერა, სადაც ჩანს, როგორი პოპულარული იყო მთავრიშვილისა და წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის მაღაზია, რომელიც ხელს უწყობდა ქართული წიგნის გავრცელებას. გამომცემლობას ჰყავდა მუდმივი მკითხველი და მყიდველი, ბევრი წიგნი ზოგჯერ უსასყიდლოდ, ზოგჯერ დაკლებულ ფასში ეძლეოდა მკითხველს. ამ კეთილშობილ საგანმანათლებლო საქმის თავკაცი იყო თომა მთავრიშვილი, მაგრამ როცა ატყობდა ის, რომ საჭიროებისამებრ არ ვრცელდებოდა სასარგებლო ლიტერატურა, სხვა, ოფიციალურ ხერხს მიმართავდა ხოლმე. დაცულია რ. მთავრიშვილის წერილი ალექსანდრე გარსევანიშვილისადმი, სადაც ითხოვს, მიაღწიოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში შეთანხმებას, რომ სოფლის ბიბლიოთეკებმა და ქოხ-სამკითხველოებმა მისი მაღაზიიდან შეიძინონ ქართველ მწერალთა და კლასიკოსთა წიგნები [207], ან ვის გადასცენ „განათლების“ მიერ გამოცემული წიგნები, როცა ეს გამომცემლობა გაუქმდა [208] და ა.შ.

ეს მიწერ-მოწერა ნათელყოფს თომა მთავრიშვილის ინტერეს ქართველთა შორის განათლების გავრცელებისადმი, მის პირად ღვაწლს

საგამომცემლო საქმისადმი და კოლოსალურ შრომას, რომელსაც იგი ეწეოდა როგორც გამომცემელი და რეალიზატორი.

საყურადღებოა, რომ მთავრიშვილი ყოველთის ჩაბმული იყო საერთო საქმისთვის კამათში, როცა საქმე სკოლათა დაარსების, სწავლების მშობლიურ ენაზე განხორციელების, მკვდარი ენების სწავლების უნაყოფობის, საკვირაო სკოლათა აუცილებლობის და საერთოდ სამართლიანობის დაცვის საკითხებს ეხებოდა. იმდროინდელი ქართული პრესა ასახავს მის ღვაწლს ქართული, ეროვნულ საგანმანათლებლო სარბიელზე.

XXX

ამ რამდენიმე პედაგოგის დახასიათებით აშკარაა, როგორი ღრმა ცოდნისა და დიდი საზოგადოებრივი საქმიანობის უნარით იყვნენ დაჯილდოებულნი ქართული სკოლის პედაგოგები. მათი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად იზრდებოდნენ თაობები და დგებოდნენ ქვეყნის სამსახურში, აქ აღზრდილები გარკვეულ ტონს აძლევდნენ ქვეყნის სოციალური და სულიერი კულტურის განვითარების თითქმის ყველა სფეროს. საკმარისია გიმნაზიაში აღზრდილთაგან დავასახელოთ: მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი დიმიტრი უზნაძე, ქართული მეცნიერული გრამატიკის მკვლევარები: გიორგი ახვლედიანი და არნოლდ ჩიქობავა, აკადემიკოსები: გიორგი წერეთელი, დავით ლორთქიფანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სიმონ ჯანაშია, პლატონ შუშანია. ლიტერატურის კრიტიკოსები: ლევან ასათიანი, შალვა რადიანი, ბესარიონ ჟღენტი, მწერლები და პოეტები: კონსტანტინე გამსახურდია, დია ჩიანელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბედიაშვილი, საშა გაბისკირია. მსახიობები და რეჟისორები: აკაკი ვასაძე, აკაკი ფალავა, ნიკოლოზ შენგელაია. პირველი ქართული კინო ოპერატორი ვასილ ამაშუკელი და სხვები.

ბოლოთქმა

ვაჯამებთ რა ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზიის პედკოლექტივის საქმიანობას, თითოეული პედაგოგის გონივრული მოქმედების არიალს, რუსული კოლონიური პოლიტიკის პირობებში ეროვნული სულის შენარჩუნება-განვითარებისათვის გამოყენებულ სამარჯვეებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედკოლექტივი აერთიანებდა ქართული კულტურისა და განათლების ქომაგთა დიდ ჯგუფს, რომელიც ქართველ განმანათლებელთა იდეურ მრწამსზე დაყრდნობით დაუზარებლად ათვითცნობიერებდა ახალგაზრდობას არა მარტო ქუთაისიდან, არამედ შორეული სვანეთიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, გურიიდან და სამეგრელოდან, მჭიდროდ აკავშირებდა ყველა კუთხის ქართველს და დედა ენის მეშვეობით ნერგავდა ერთიანი, განუყოფელი, განათლებული და ძლიერი ქართული მიწისა და სულის აღზევების აუცილებლობას.

ქართული ენისადმი მეფის რუსეთის დიდმპყრობელური დამოკიდებულება, მისი აბუჩად აგდება ქართველ მამულიშვილთა დიდი სატკივარი იყო. ქართველთა შორის აღმოჩნდნენ სწავლულები, რომლებიც ამტკიცებდნენ ქართული ენის სხვა ენასთან შერწყმის მოსალოდნელ აუცილებლობას. ქუთაისის ქართული გიმნაზიის კოლექტივმა იკისრა ამ თემაზე აზრთა ჭიდილში აქტიური მონაწილეობა. პრაქტიკულად სასკოლო პროცესის მართვა ეროვნული პოზიციიდან, შეჰქონდა ცვლილებები პროგრამულ მასალაში, მოზარდთა, მასწავლებელთა, მშობელთა დასახმარებლად თარგმნიდა, ქმნიდა და სცემდა სახელმძღვანელოებს, წიგნებს. პრესის, ლექცია-მოხსენებების, ყოველდღიური შრომის საშუალებით აშუქებდა სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებს, ანზოგადებდა საკუთარ გამოცდილებას.

ქუთაისის ქართული გიმნაზია მისი დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, ცარიზმის მოხელეთაგან შევიწროვებას განიცდიდა, ამიტომ ხშირად პედაგოგიურად გააზრებული ღონისძიებების ჩატარება საფრთხის წინაშე იდგა. სასწავლებლის კოლექტივი გაბედულ

წინააღმდეგობას უწევდა ყველა სახის ჩარევას და წარბშეუხრელი აგრძელებდა ეროვნული, პედაგოგიური განათლების კერის ფუნქციას.

ქუთაისის ქართული გიმნაზია აქტიურად იყო ჩაბმული მასშტაბურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ მხრივ გაწეულ მუშაობას ფართო საქვეყნო რეზონანსი ჰქონდა. რუსეთის ცარიზმის ერთგული მოხელეების მცდელობას ქართველთა შორის ურთიერთმტრობის გაძლიერების მიზნით „მოძალადე ქართველებისაგან მეგრელთა დასაცავად" ქუთაისის გიმნაზიამ საკუთარი პარალელური კლასების ხარჯზე ძველი სენაკის სკოლის დაარსებით უპასუხა, წამყვანი პედაგოგები გადაიყვანა იქ სამუშაოდ, ქართველთა და მეგრელთა შორის წარმოშობილი დავის განეიტრალების შტაბ-ბინად გადააქცია ძველი სენაკის ქართული სკოლა, ამით ქუთაისის გიმნაზიამ საკუთარი სიტყვა თქვა მეგრელ მოსახლეობაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული წარმომავლობის შეგნების შესატანად.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგთა ინიციატივით ამუშავდა ქართული მწერლობის მოყვარულთა წრე, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიისა და ქართული სიტყვიერების პრობლემების გარკვევაში, ჩამოყალიბდა საკვირაო სკოლა, რომელშიც გიმნაზიის კვალიფიციური პედაგოგები უსასყიდლოდ გადასცემდნენ გაკვეთილებს, სთავაზობდნენ სახელმძღვანელოებს, მსმენელთათვის მისაწვდომ მხატვრულ ნაწარმოებებს, მონაწილეობდნენ მსმენელთათვის სამკითხველოს დაარსებაში.

ქუთაისის ქართული გიმნაზია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირმშო იყო და მისი ხელმძღვანელობით მართავდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, თავის მხრივ ბევრს აკეთებდა „საზოგადოების" ავტორიტეტის ასამაღლებლად, ერთგულად ემსახურებოდა მის იდეურ მიმართულებას, შედეგად სკოლის პედაგოგთა ინიციატივით გამოიცა „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია", „საქართველოს ისტორია" და უამრავი ქართული წიგნი, დაფუძნდა ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა,

გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა, გამდიდრდა საოჯახო და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგების ინიციატივით ქუთაისში შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტი, რომელმაც იტვირთა დიდი საგანმანათლებლო ფუნქცია. უნივერსიტეტში იკითხებოდა ლექცია-მოხსენებები აქტუალურ თემებზე. მისი მუშაობის ორგანიზაცია მთლიანად ქართული გიმნაზიიის პედაგოგთა მხრებზე გადადიოდა. უნივერსიტეტის გამგეობას შემოკრებილი ჰყავდა ქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. უნივერსიტეტში ქართული ეროვნული სული ტრიალებდა, იგი მსმენელებს წარსულით სიამაყის, აწმყოსა და მომავლისათვის აქტიური მოქმედების გრძნობას უღვიძებდა.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგთა დიდი წვლილია ჩადებული უნივერსიტეტთან მცირემცოდნეთათვის საღამოს კურსების დაარსების საქმეში. აქ ეუფლებოდნენ მსმენელები ქართულ ანბანს, ქართულ და რუსულ ენებს, ქართულ, რუსულ და საზღვარგარეთის ლიტერატურას, ქიმიას, ფიზიკას, ბოტანიკის საფუძვლებს, საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის ისტორიას, გეოგრაფიას და კანონმდებლობას. აქ ცოდნას იძენდნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, მცირე განათლების მქონენი, უსახსრობის გამო საშუალო განათლების გარეშე დარჩენილები. კურსების მსმენელთა დიდი ნაწილი სიმწიფის მოწმობას იღებდა და უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებდა სწავლას.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგთა ინიციატივით დაარსდა ქუთაისში საისტორიო-საეთნოგრაფიო დამოუკიდებელი საზოგადოება, პედაგოგთა უმრავლესობა „საზოგადოების" წევრი გახდა. საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა დაედო საფუძვლად ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებას ქუთაისში.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგები პრესის საშუალებით ეწეოდნენ ერის ავკარგის პროპაგანდას. განსაკუთრებით იპყრობდა ყურადღებას მათი გამოსვლები სწავლა-განათლების მართვის საკითხებზე.

პედაგოგთა და მოსწავლეთა საბიბლიოთეკო საქმეს ცალ-ცალკე ჰყავდა მიკუთვნებული ხელმძღვანელი, მოზარდებს წიგნის სიყვარულს, მის მოვლას და პატრონობას აჩვევდნენ თავიდანვე. პედაგოგთა ცოდნის ამაღლებას და მეთოდურ დახელოვნებას ითვალისწინებდა პედაგოგებისათვის არსებული წიგნადი ფონდი, მეტად საყურადღებოა სკოლის კოლექტივის ზრუნვა საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნისათვის. საქმის ინიციატორები ცდილობდნენ მათ მიერ წარმოებულ საბიბლიოთეკო საქმიანობას საქვეყნო რეზონანსი ჰქონოდა. პედაგოგიური რჩევა მსჯელობდა ხოლმე ხშირად კლასგარეშე კითხვის განვითარების საკითხებზე. გამომცემლობებთან მჭიდრო კავშირით მეზობელ სოფლებში ფასდაკლებით, ზოგჯერ უსასყიდლოდ იგზავნებოდა წიგნები ბიბლიოთეკების გასაძლიერებლად.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის კოლექტივი ცდილობდა ურთიერთისათვის დაეახლოვებია თეატრისა და სასწავლებლის ცხოვრება. დასწრება სპექტაკლებზე ჯილდოდ ჰქონდათ დაწესებული. სასწავლებლის სკოლის კოლექტივი თეატრის შემოქმედებითი შრომის აქტიური მონაწილე და მაყურებელი იყო. მისი პედაგოგები საჭიროების მიხედვით ასრულებდნენ ლიტმუშაკების, დრამატურგების, მსახიობების, სუფლიორების და სცენის მუშების მოვალეობებს. სამაგალითო იყო მათი დამოკიდებულება მუსიკისადმი. სკოლას ჰყავდა საუკეთესო გუნდი, სიმებიანი ორკესტრი. პედაგოგებმა დიდი როლი შეასრულეს ქუთაისში მუსიკალური სასწავლებლის დაარსების საქმეში.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედკოლექტივის მიერ გაწეული შრომა დიდი სამომავლო ეროვნული მიზნებით იყო განპირობებული, ამ მიზანს ემსახურებოდა სასწავლო-სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობის ყველა ასპექტი, ამიტომაც შეძლო მან აღეზარდა ქართველ მოღვაწეთა მთელი თაობები, რომელთაც თავისი სიტყვა თქვეს ქართული მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო აზრის განვითარების გზაზე, ამიტომაცაა აღიარებული ქართული სკოლა-გიმნაზია ეროვნული განათლების ძირითად კერად არა მარტო ქუთაისში მთელს დასავლეთ საქართველოში.

დროთა ვითარებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ქართული გიმნაზიის ცხოვრებაში. 1921-23 წლებში ის ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა, 1924-29 წლებში შრომის ცხრაწლიანი სკოლის სახელწოდება მიიღო, 1930-42 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლად ფუნქციონირებდა, 1943-54 წლებში ვაჟთა მეორე სკოლად, 1954 წლიდან აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის სახელს ატარებდა, 1995 წლიდან ეროვნულ გიმნაზიად გარდაიქმნა და იოსებ ოცხელის სახელი ეწოდა, 2005-2006 სასწავლო წლიდან ოცხელის სახელობის საჯარო სკოლაა.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა მერვე კლასის მოსწავლემ აკ. შანიძემ.

ლიტერატურა

1. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I, თბ. 1974 წ., გვ. 277.
2. გოგებაშვილი ი., „შინაური მიმოხილვა", თხზ. ტ. I, 1952 წ., გვ. 207.
3. წერეთელი, აკ. - „ჩემი თავგადასავალი", მსოფლიო ლიტ. ბიბლიოთეკა, თხზ. 1980 წ., გვ. 700.
4. ყიფიანი დ. - „მემუარები", თბ. 1990 წ., გვ. 19.
5. მეუნარგია ი. დღიურები, ლიტერატურული მატიანე, თბ. 1942 წ., გვ. 215.
6. ქიქოძე გ. - მოგონებები, თბ. 1956 წ., გვ. 51.
7. ქიქოძე გაბრიელი (ეპისკოპოსი) - წერილი გიორგი მუხრან-ბატონთან, ჟურნ. „განათლება", 1914, 04, გვ. 289-290.
8. გოგებაშვილი ი. „საიუბილეო სიტყვა", თხზ. ტ. III, თბ. 1990 წ., გვ. 302.
9. ჟურნალი „რუსსკაია შკოლა", 1901, №2, გვ. 81.
10. ჟურნ. „მოამბე", - 1896 წ., №3, გვ. 99.
11. შატაიძე ნ. „იანოვსკი, ლევიცკი, აშორდია და სხვები". ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1988 წ., №4, გვ. 60-69.
12. იქვე, გვ. 63.
13. ხუნდაძე სიმ. - დიმიტრი ყიფიანი, თბ. 1936 წ., გვ. 245.
14. შატაიძე ნ. - „იანოვსკი, ლევიცკი, აშორდია და სხვები". ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1988 წ., №5, გვ. II.
15. დადიანი შ. „რაც გამახსენდა", თბ. 1959 წ., გვ. 42.
16. ორბელიანი გ. - წერილები, ლიტერატურული მატიანე, თბ. 1942 წ., გვ. 229.
17. მეუნარგია ი. „ქართველი მწერლები", თბ. 1941 წ., გვ. 143.
18. იქვე, გვ. 115-116.
19. გამსახურდია კ. „სწავლა-განათლების საქმე საქართველოში", გაზ. „ფონი", 1909, №1.
20. კიკნაძე ზ. - ალ. გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1959, გვ. 21.
21. გაგუა. ვ. სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდეგ საქართველოში. თბ. 1974 წ., გვ. 51-152.

22. გაზ. „დროება“, 1875 წ., №2, გვ. 2.
23. იქვე, 1880 წ. 5.01, №3, გვ. 2.
24. იქვე, 1880 წ. 5.04 №72.
25. იქვე, 1880 წ. 5.04 №72.
26. ქუთაისის ქართული დაწყებითი სკოლის წესდება.
27. ხუნდაძე ტრ. - ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ. 1976 წ., გვ. 9.
28. ხუნდაძე სიმ. „დიმიტრი ყიფიანი“, თბილისი, 1931 წ., გვ. 212.
29. იქვე, გვ. 213.
30. ქცა ფონდი 9, საქმე 242, გვ. 30.
31. ხუნდაძე ტრ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1951 წ., გვ. 21.
32. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, 1991 წ., №5, გვ. 11.
33. ქცა - ფონდი 9, საქმე 102, ფ. 15.
34. ბოცვაძე ზ. - იაკობ გოგებაშვილი, თბ. 1991 წ., გვ. 54.
35. ბუაჩიძე თ. აღსარება, 1981 წ., გვ. 25.
36. ჭავჭავაძე ი. „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“, გაზ. „ივერია“, 1893 წ., გვ. 24.
37. იქვე.
38. ქსა, ფ. 9, საქმე 581, ფ. 32-33.
39. ხუნდაძე ტრ. - ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ. 1976 წ., გვ. 47.
40. იქვე.
41. გამსახურდია კ. - „ღია წერილი ლენინისადმი“, „საქართველოს ისტორია“, თბ. 1991, გვ. 420.
42. გმირი უდრეკელი - შინაური მიმოხილვა, ჟ. „განათლება“, 1920, 1.10., გვ. 493.
43. ქცა ფონდი 9, ს. 868, ფ. 23.
44. იქვე, ს. 96, ფ. 49.
45. მანსვეტაშვილი ი., „მოგონებები“, თბ. 1936, გვ. 80.
46. ჭიჭინაძე ალ. „რიჟრაჟზე სათქმელი“, ჟურნ. „განათლება“, 1914 წ., გვ. 491.
47. ჯაფარიძე ტრ. „თანამედროვე სკოლა“, გაზ. „კოლხიდა“, №2, 1911 წ. 2.04.

48. ქიმ. - ფ. 2175, ს. 576, 858, 890, 584.
49. ქცა - ფ. 9, ს. 188, გვ. 5.
50. ქიმ. - 6420-615, ფ. 2.
51. სახოკია თ. „მოგონებები“, თბ. 1955 წ., გვ. 106.
52. ჟ. „განათლება“, 1908, №1, გვ. 173.
53. ქცა - ფ. 9, ს. 734, გვ. 1.
54. იქვე.
55. ურუშაძე აკ. „სიმონ ყაუხჩიშვილი“, თბ. 1967 წ., გვ. 6.
56. იქვე.
57. ქცა, ფ. 9, საქმე 783, გვ. 3.
58. იქვე.
59. იქვე, გვ. 11.
60. იქვე, გვ. 12.
61. ხუნდაძე ტრ. - ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 11.
62. იქვე.
63. იქვე, გვ. 12.
64. იქვე, გვ. 11-12.
65. ლია გაბუნია, ქუთაისი, დიდი საგანმანათლებლო ცენტრი. ქუთ., 2006 წ. გვ. 55-65
66. ქსა, ფ. 9, ს. 580, გვ. 20-21.
67. იქვე, ს. 580.
68. იქვე.
69. იქვე.
70. იქვე.
71. იქვე.
72. იქვე.
73. მეტრეველი რ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ. 1982, გვ. 97.
74. გველესიანი გრ. - გაზ. „კოლხიდა“, 1911, 20.11. №192.
75. ქიმ., კირილე ლორთქიფანიძის ფონდი.
76. გმირი უდრეკელი - თანამედროვე გიმნაზია ჩვენში, ჟ. „განათლება“, 1910, №10.
77. იქვე, 1911, №6, გვ. 369.
78. გაზ. „დროება“, 1980 №10, №208, გვ. 2-3.

79. ჟ. „განათლება“, 1914, №8, გვ. 637.
80. ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია), ტ. I თბ., 1941 წ.
81. ალხაზიშვილი ი. - ჟურნალი „განათლება“, 1913 წ., №7-8, გვ. 557-637.
82. ნასიძე ია - ჟურნალი „განათლება“, 1916 წ., №56, გვ. 344.
83. ყურაშვილი ტ. - პირადი საოჯახო არქივიდან.
84. ბოცვაძე ლ. - ჟურნალი „განათლება“, 1915 წ., №7.
85. ქიმ, კ. ლორთქიფანიძის ფონდი.
86. კლდიაშვილი დ. - ჩემი ცხოვრების გზაზე, 1954, თბ., გვ. 107.
87. იქვე, გვ. 177.
88. იქვე, გვ. 324.
89. კიკნაძე ზ. - ალ. გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.
90. ქიმ, 2175-18, ფ. 4, 2.
91. ქიმ, 2175-41.
92. მახარობლოძე გ. - ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1929 წ., №8, გვ. 41-42.
93. ქიმ, 2175-288, ფ. 1.
94. იქვე, ფ. 2.
95. იქვე, 188, ფ. 5.
96. იქვე, 188, ფ. 6.
97. გარსევანიშვილი ალ. ერეკლე მეორე, როგორც სარდალი, „ცდა“, 1889, №1, გვ. 1-4.
98. კარიჭაშვილი დ. „როსტომ მეფე“, კრებული „ცდა“, ქუთაისი 1891, №3, გვ. 157.
99. წერეთელი გ. - ხალხური ლექსი სვანურიდან, კრებული „ცდა“, 1890 წ., გვ. 192.
100. ხუნდაძე ს. - ლექსი უსათაურო, კრებული „ცდა“, 1890, გვ. 152.
101. ხუნდაძე ს. - ლექსი უსათაურო, კრებული „ცდა“, 1890, გვ. 178.
102. ხუნდაძე ს. - ლექსი, კრებული „ცდა“, 1890, №2.
103. იქვე.
104. იქვე.
105. დათეშიძეს - ხალხური ლექსი, კრებული „ცდა“, 1890,№2, გვ. 191.
106. დუტუ მეგრელი - შვილი და დედა, კრებული „ცდა“, ქუთაისი 1891, გვ. 197-219.
107. ფაზელი - ლექსი, კრებული „ცდა“, 1990, №2, გვ. 179.

108. კვიცარიძე პ. - ქართული „ალექსანდრიანი“, კრებული ცდა, ქუთაისი 1889, №1, გვ. 190.
109. მთავრიშვილი თ. - „პესტალოცის ცხოვრება“, კრებული „ცდა“, ქუთაისი 1889, გვ. 141.
110. ნარი - სკოლა და ცხოვრება, კრებული „ცდა“, ქუთაისი 1991, №3, გვ. 277.
111. ხუნდაძე ს. - „ქალი“, კრებული „ცდა“, ქუთაისი 1891, №3, 195.
112. ჟ. „თეატრი“, 1985, №1.
113. ხუნდაძე ტრ. - ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ. 1981 წ., გვ. 15, 45.
114. ქიქოძე გ. - მოგონებები, თბ., 1956, გვ. 55.
115. მჭედლიძე გ. - „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“, 1992 წ., გვ. 509.
116. გერსამია ს. - ქუთაისის თეატრი, თბ. 1947, გვ. 66.
117. ქიმ 2175, ფ. 70.
118. იქვე, 2175, ფ. 71.
119. იქვე, 2175, ფ. 98.
120. იქვე, 2175, ფ. 122.
121. იქვე, ს. 481, ფ. 2.
122. იქვე, 2175-გვ. 204.
123. იქვე, 2175-გვ. 224.
124. ქიმ, კირილე ლორთქიფანიძის ფონდი.
125. ბრეგაძე დ. - სილოვან ხუნდაძის წერილები ი. გოგებაშვილს, პედინსტიტუტის შრომები, 1955 წ., გვ. 342.
126. იქვე, გვ. 342.
127. ვაჭრიძე პ. - როტაციონის ბრუნავს მანქანა, 1979, გვ. 72.
128. ქცა, ფ. 9, ს. 292, გვ. 13.
129. იქვე, ს. 881, გვ. 28.
130. იქვე, ს. 337, გვ. 126.
131. იქვე, ს. 670.
132. გაზ. „ივერია“, 1903, 3 აპრილი.
133. მჭედლიძე გ. - „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“, 1993 წ., გვ. 170-172.
134. ქცა, ფ. 9, ს. 590, გვ. 15.
135. გაზ. „ივერია“, 1903, 19.08, №177.

136. ხუნდაძე ს. - ქართული თუ ქართლური, ჟურნ. „განათლება“, 1911 წ., №9, გვ. 527.
137. იქვე.
138. ვაჭრიძე პ. - „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“, ქუთაისი 1955 წ.
139. გიგიბერია ი., ალექსი ჭიჭინაძე, ჟ. „განათლება“, 1911 წ., №1, გვ. 10.
140. იქვე, გვ. 16.
141. წერეთელი აკ., მაჩაბელი ი., - აკაკის კრებული, 1998 წ., №12, გვ. 16, 17.
142. საქ. ც. ა., ფ. 107, ს. 98.
143. გოგებაშვილი ი. - რჩეული თხზულებები, ტ. 1, თბ. 1955 წ., გვ. 148.
144. იოვიძე ა. - ი. გოგებაშვილი, დოკუმენტალური მასალები, 1951 წ., გვ. 76.
145. იოვიძე ა. - ი. გოგებაშვილი, დოკუმენტალური მასალები, 1951 წ.
146. ჭიჭინაძე ალ. „რიურაჟზე სათქმელი“, ჟურნ. „განათლება“, 1915 წ., №5-6, გვ. 498.
147. იქვე, გვ. 498.
148. გაზ. „კვალი“, 1894 წ., №20, გვ. 9-10.
149. გიგიბერია ი., ჟ. „განათლება“, 1911 წ., №1, გვ. 18.
150. იქვე, გვ. 19.
151. ჟ. „განათლება“, 1914 წ., №7, გვ. 540.
152. იქვე, 1914, გვ. 140.
153. იქვე, 1914, გვ. 631.
154. ღამბაშიძე დ., ჟ. „მწყემსი“, 1894, №9, გვ. 5-6.
155. ჟ. „განათლება“, 1914 წ., №7, გვ. 553.
156. იქვე, გვ. 554.
157. ჭიჭინაძე ალ. - „რიურაჟზე სათქმელი“, ჟურნ. „განათლება“, 1915 წ, №5-6.
158. მთავრიშვილი თ. - ავტობიოგრაფია.
159. ჟ. „განათლება“, 1914 წ., №7, გვ. 140.
160. ჭიჭინაძე ალ. „რიურაჟზე სათქმელი“, ჟურნ. „განათლება“, 1915 წ., №7, გვ. 154.
161. იქვე, №8-9, გვ. 539.
162. იქვე, გვ. 539.
163. იქვე.
164. იქვე.
165. ჟ. „განათლება“, 1917 წ., №2.
166. იქვე.

167. გიორგაძე გრ. - საზ. ურთიერთობა საქართველოში, 1928, გვ. 311-312.
168. ოყრეშიძე დ. - გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 1919, №151.
169. კლდიაშვილი დ. - მემუარები.
170. სახელმძღვანელო „გუთანი", წინასიტყვაობა.
171. გამსახურდია კ. - ლანდებთან ლაციცი, ტ. 7, თბ., 1967 წ., გვ. 79.
172. ურუშაძე აკ. - „სიმონ ყაუხჩიშვილი", თბ. 1967 წ., გვ. 5.
173. გამსახურდია კ., ტ. 7, თბ., 1967 წ.
174. დონდუა დ. - მოგონებები.
175. ქცა, ფ. 9, ს. 971.
176. გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 1919, №61.
177. იოსელიანი პლ. - ცხოვრება გიორგი მე-13-ისა, თბ., 1936, გვ. 35.
178. ვასაძე ა. - „მოგონებები და ფიქრები", თბ., 1977, გვ. 14.
179. იქვე.
180. ვარლამიშვილი ი. - „მუდამ თანამედროვე", ქუთაისი, 1991 წ., გვ. 17.
181. ქიმ - 2145-677, 94.
182. იქვე, 2175-87, ფ. 7.
183. თავზიშვილი გ. - ქართული თეატრი - მოხსენება, 6.01.1930.
184. კვანტალიანი ლ. - ს. ხუნდაძის გრამატიკული მემკვიდრეობა, ჟურნ. „განთიადი", 1981 წ., №5, გვ. 170.
185. იქვე, გვ. 171.
186. ვასაძე ა. - მოგონებები და ფიქრები, თბ., 1977, გვ. 14.
187. ხუნდაძე ს. - თხზულებები, 1914, ქუთაისი, გვ. 119.
188. იქვე, გვ. 13.
189. იქვე, გვ. 95.
190. იქვე, გვ. 19.
191. ქცა - ხელნაწერის სახით.
192. არჩილ მიქელაძის მოგონება.
193. ჯიბლაძე გ. - კრიტიკული ეტიუდები. ტ. მე-8, თბ. 1985, გვ. 102.
194. არჩილ მიქელაძის საოჯახო არქივიდან.
195. დევდარიანი გ. - სიტყვა ს. ხუნდაძის დაკრძალვის დღეს.
196. გომართელი ი. - ეპისკოპოსის სიზმარი, ჟ. „ეშმაკის მათრახი", 1908, №9.
197. გამსახურდია კ. - ლანდებთან ლაციცი, ტ. 7, თბ., 1967 წ., გვ. 71.
198. ჩიქობავა არნ. - წინასიტყვაობა დ. თომაშვილის რჩეული ლექსებისათვის, 1977, გვ. 3.

199. თოდუაშვილი დ. - ლექსი სადღეისო, ჟ. „განათლება", 1908, №3.
200. ქიმ. - 0407/65 ს. 69
201. მუმლაძე ც. - „ტრიფონ ჯაფარიძე", ქუთაისი 1995, გვ. 50.
202. გაზ. „ჩვენი მეგობარი", 1918 წ., №7.
203. ჯაფარიძე ტრ. - შეგნებაა საჭირო, გაზ. „იმერეთი", 1919, №105.
204. მუმლაძე ც. - „ტრიფონ ჯაფარიძე", ქუთაისი 1995, გვ. 30.
205. ქიმ - 2173, ს. №776.
206. იქვე, ს. №872.
207. იქვე. ს. №776.
208. იქვე, ს. №620.
209. იქვე, ს. №627.
210. ხუნდაძე ტრ. - ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ. 1976 წ., გვ. 61.
211. შანიძე აკ. - აკაკის იუბილე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ჟურ. „მნათობი", 1910 წ., №9, გვ. 8
212. კიკნაძე ზ. - ალ. გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თბ. 1959 წ., გვ. 18
213. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1980 წ., ტ. 5, გვ. 407.
214. ხუციშვილი ს. - „მანათობელი", თბ. 1980, გვ. 61.

ლექსიკონები, ენციკლოპედია

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1979-1986 წ.წ.
2. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1988

კრებულები

1. ალმანახი „ცდა" - 1989, 1990, 1991 წ.წ. №1, №2, №3.
2. კრებული ილიას სიკვდილთან დაკავშირებით, თბ. 1907 წ.
3. საისტორიო მოამბე - 1947 წ. №3, 1990 წ. №56-60.
4. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ. 1955 წ.

ხელნაწერები, საარქივო მასალები

1. ქიმ. - კირილე ლორთქიფანიძე - ფონდი 2173, 487, 496.

2. ქიმ. - პურადაშვილი ი. - მოგონებანი, ხელთნაწერი 595.
3. ქიმ. - ძველი სტამბის წიგნების ფონდი №40.
4. ქიმ. - ალექსანდრე გარსევანიშვილის ფონდი 217.
5. ქცა ფონდი 9, საქ. 108, 109, 575, 2, 14, 71 და სხვ.
6. ქცა - ფონდი 21, საქ. 12165.

ჟურნალები

1. ჟურნალი „განათლება", 1914 წ.
2. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" 1919 წ.
3. ჟურნალი „განთიადი", 1991 წ.
4. ჟურნალი „კვალი", 1900 წ.
5. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", 1988 წ. №4.
6. ჟურნალი „მოამბე", 1896 წ. 313, გვ. 99.
7. Русская школа, 1901 г. №2, ст. 81.

გაზეთები

1. გაზეთი „დროება", 1886-1892 წ.წ.
2. გაზეთი „ივერია" განათლებისა და ეროვნულ საკითხებზე 1986-1904 წ.წ.
3. გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1896 წ.
4. გაზეთი „მერცხალი", 1913 წ.
5. გაზეთი „ფონი", 1910 წ.
6. გაზეთი „კოლხიდა".
7. გაზეთი „სამშობლო".
8. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა", 1901-1919 წ.წ.
9. გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი", 1945 წ.
10. გაზეთი „დროება"

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართული სკოლის დაარსების წინამორბედი და თანხმლები პირობები ქუთაისში 4

ქალაქი ქუთაისი მე-18-მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე 16

ქართული სკოლის დაარსება-განვითარება ქუთაისში 21

ქუთაისის ქართული სკოლა და 1890-იანი საგანმანათლებლო რეფორმები 33

ბრძოლა გიმნაზიის სტატუსის მოპოვებისათვის 38

ქართული სკოლა რეაქციის პერიოდში 47
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრინციპები

ქართულ სკოლა-გიმნაზიაში 52

სასწავლო პროგრამებზე მუშაობის ზოგიერთი საკითხისათვის .. 68

ქუთაისის ქშწკგ საზოგადოება და სკოლა-გიმნაზია 72

სკოლა-გიმნაზია და
საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება 80

წიგნის საგამომცემლო საქმე ქუთაისში
და ქართული სკოლა-გიმნაზია 84

ქართული გიმნაზია და სახალხო უნივერსიტეტი 96

ალმანახი „ცდა" და სკოლის პედკოლექტივი 104

სკოლა ეროვნული თეატრისა და
მუსიკალური განათლების სათავეებთან 113

საბიბლიოთეკო საქმიანობა და გიმნაზია 121

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგები და პრესა 128

გიმნაზიის პედაგოგები სამეცნიერო-კვლევით სარბიელზე 133

სკოლა-გიმნზაიის პედაგოგები 156
ალექსი ჭიჭინაძე 156
იოსებ ოცხები 185
ალექსანდრე გარსევანიშვილი 198
სილოვან ხუნდაძე 208
იასონ ნიკოლაიშვილი 219
დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი) 224
ტრიფონ ჯაფარიძე 227
თომა მთავრიშვილი 233

ბოლოთქმა 240

ლიტერატურა 245

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში.

ნაბეჭდი ფორმა 16
ქაღალდის ზომა 60X84. 1/16

გადაეცა წარმოებას 10. 06. 2009 წ.

ტირაჟი 200

256